საქართველო ბეჭედია ბაჟაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველ... ორშაბა... 37(768) ...-20 სექტემბ... ფასი 1,50 ლარი



როგორ ღადაობდნენ მამულიჩაზე პატიმრები ციხეში

გვ. 14

თავიდანვე გადავწყვიტეთ, რომ რაღაც დოზით შეგვეტანა უცენზურო სიტყვები – ასე რომ არ გაგვეკეთებინა, სცენარი დაზარალ-დებოდა

პროცესები გრძელდება. რა იქნება, კაცმა არ იცის

გვ. 10

რა სიურპრიზი გაუკეთა ქეთა თოფურიას დაბადების დღეზე მეუღლემ და ვინ მოახერხა მისი „ახალ ხმაში" მწვრთნელის რანგში დათანხმება

გვ. 15

რა მოიფიქრეს ბერასთან ერთად GDS-ის თანამშრომლებმა და როგორ გადმოიბირეს მათ დუტა და ვასიკო ოდიშვილი თავიანთ არხზე



გვ. 13

როგორ გრძნობს თავს მამუკა ჩარკვიანი თვენახევრიანი ოპერაციების შემდეგ და ვინ უსმენდა მის „გავაზაფხულოს" ავსტრიაში

როგორ გახდა თამაზ ჭეიშვილი „ფეისბუქის" დამაარსებლის, მარკ ცუკერბერგის მამა



გვ. 12

ერთხელ მიშა ავატირე – მთელი ორი აბზაცი ამოვუგდე და კინაღამ გაგიჟდა! მიშაც და სანდრაც შტატგარეშე იყვნენ ჩემთან



რა რთული პერიოდის გადალახვა მოუწევს მაკა ძაგანიას და რას უმკლავდებიან მსახიობი და მისი მეუღლე ერთად

გვ. 18



გვ. 57

იყო თუ არა შოთა რუსთაველი გვარად ბაგრატიონი და ეწამებოდა თუ არა ის ცოტნე დადიანთან და კოხტასთავის ამბოხებულებთან ერთად

იღბლიან კვირას გისურვებთ!

# ვინ უშვებს პირველ ქართულ სუნამოს და რა გახდა ანა ბასილაიას ბიზნესიდეის შთაგონების წყარო

**ბასილაიებს ქართული ბიზნესის დიდ ოჯახში თვალსაჩინო და პრესტიჟული ადგილი უკავიათ. ბიზნესმენ თამაზ ბასილაიას ბიზნესპროექტებზე ჩვენ უკვე ვწერდით. ამჯერად თავს ამ წარმატებულ ბიზნესმენსა და ქველმოქმედზე საუბრით აღარ შეგაწყენთ და მისი ქალიშვილის, იურისპრუდენციის პირველი კურსის სტუდენტის, ანა ბასილაიას ახალი იდეის შესახებ მოგითხრობთ. ანა სულ ახლახან გახდა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი და როგორც ადრეც მოგახსენეთ, სერიოზული გეგმები აქვს.**





**ანა ბასილაია**: სამართალმცოდნეობაზე არჩევანი შეგნებულ ასაკში გავაკეთე და განსაზღვრული მაქვს, იურისტი გავხდე – თანაც სისხლის სამართლის სპეციალობით.

**– ადვოკატურაში ცდი ბედს?**

– არა, პროკურორობაა უფრო ჩემი სტილი ***(იცინის).*** მამა დიდხანს ცდილობდა, გადამეფიქრებინა, მაგრამ მყარი გადაწყვეტილება მივიღე. ამჟამად ინტენსიურად ვმეცადინეობ. უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ, ვაპირებ უცხოეთში გავაგრძელო სწავლა. კვალიფიკაცია ავიმაღლო და შემდეგ პროფესიონალი ჩემს ქვეყანას დავუბრუნდე. ზოგადად, ჩემი პრინციპია, რომ ადამიანის განათლება მისსავე სამშობლოს უნდა მოხმარდეს. ასე ვაპირებ მეც.

**– პარალელურად, ბიზნესშიც ჩაერთვებით?**

– მამაჩემის წყალობით, ასეთ გარემოში ბავშვობიდანვე მიწევდა ყოფნა. ძალიან ორგანულია ჩემთვის ეს ყველაფერი. ამიტომაც არ ვიცი, როგორ და რა წილად, მაგრამ იურისტობასა და ბიზნესს აუცილებლად შევუთავსებ ერთმანეთს.

**– შევიტყეთ, რომ ახალი ბიზნესიდეა გაქვს, რომელზეც მუშაობა უკვე დაიწყე და დამოუკიდებლად აპირებ მართვას.**

– კი, სწორი ინფორმაცია გაქვთ. მოგეხსენებათ, ადგილობრივი წარმოების პროდუქცია ქართველებს ბევრი გვაქვს, თუმცა ქართული სუნამო ბაზარზე არ არის. მე მინდა, რომ სუნამოს მწარმოებელი საწარმო გავაკეთო. ეს იქნება ქართული სუნამო, რომელსაც თბილისის საწარმოში ჩამოვასხამთ. თავდაპირველად, გეგმაში გვაქვს, უფრო საყოველთაოდ მისაღებ არომატსა და სურნელზე დავიწყოთ მუშაობა. ჩემთვის, ასეთ შემთხვევაში, მისაბაძია და ერთგვარი შთაგონების წყარო გახდა „ნარცისო როდრიგესის” ხაზი, რომელიც თითქმის ყველა ტიპის მომხმარებლებზეა გათვლილი. ასევე, მისი სუნამო გამორჩეულია აკადემიურობითაც და ე.წ. „ქეჟუალი” სტილითაც. მეც ასე ვაპირებ, რომ გამოვუშვა პირველი ქართული სუნამო, რომელსაც ქალბატონები და მამაკაცები როგორც ჯინსებსა და ყოველდღიურ სამოსში გამოწყობილნი მიიპკურებენ, ასევე წავლენ საღამოს წვეულებებზე. „ნარცისომ” მოძებნა სუნამოში ,,ოქროს შუალედი” და მე მინდა, ეს კვეთა იყოს ქართულ სუნამოშიც.

**– ანუ, მამაკაცის ხაზზეც იმუშავებთ?**

– რა თქმა უნდა, მამაკაცისთვისაც შევქმნით. ასევე, გვექნება ეგრეთ წოდებული „უნი სექსი,” ანუ სუნამო, რომლის ხმარება შეუძლიათ, როგორც ქალბატონებს, ასევე – მამაკაცებს. თავდაპირველად, დიდი ასორტიმენტით ვერ გავანებივრებთ ქართულ საზოგადოებას, თუმცა განვითარების პროცესში, კიდევ უფრო მრავალფეროვანი არჩევნის საშუალება მიეცემა მომხმარებელს. მთავარია, რომ უკვე ვმუშაობ და ძალიან მალე, საქართველოს მოსახლეობას შევთავაზებ ქართულ სუნამოს. იმედია, მას ძალიან კრიტიკულად არ შეხვდებიან.

**– სახელი ხომ არ მოგიფიქრებიათ?**

– კი, მაგრამ, მოდი, სიურპრიზად დავტოვოთ და პრეზენტაციას რომ გააშუქებს „თბილისელები”, იქ გაგიმხელთ. ვფიქრობ, თავისთავად, სუნამოს მწარმოებელი ქარხნის ამუშავება, პატარა საქმე არ გახლავთ და ამაში როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების მხარდაჭერაც დამჭირდება.

**ანა თაბაგარი**

# რა მიაჩნია ბიზნესში ქალურ სისუსტედ ქეთევან ბეჟანიშვილს

**ძალიან საინტერესო ქალბატონი, მუდმივად ინოვაციების ძიებასა და განხორციელებაში – ქეთევან ბეჟანიშვილი, პროფესიით ექიმი-თერაპევტი, გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის სამედიცინო ცენტრის გენერალური დირექტორი, შპს „ალსს" მონოპროფილური კლინიკისა და სამედიცინო ჰოლდინგის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომელმაც 90-იანი წლებიდან მოყოლებული რამდენიმე საინტერესო ბიზნესპროექტი განახორციელა. ამჯერად ის მკითხველთა რეიტინგში სწორედ მისი ერთ-ერთი განხორციელებული პროექტის, წარმატებული მონოპროფილური კლინიკის აღიარებით მოხვდა. სულ ახლახან კი, კლინიკამ 2015 წლის „დარგის ლიდერის" სტატუსით სტატისტიკური კვლევების სამეცნიერო-საინფორმაციო ცენტრისგან ეროვნული სერტიფიკატი მიიღო. ქალბატონი ქეთი განვლილ წლებზეც საინტერესოდ მოგვითხრობს.**

**– ქალბატონო ქეთი, როგორ იწყებოდა თქვენი პროფესიული საქმიანობა, პირველი ნაბიჯები ბიზნესსა და მედიცინაში...**

– უმაღლესი განათლება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მივიღე. მეოთხე კურსზე ვიყავი, როცა გავთხოვდი და მეუღლესთან ერთად, რომელიც იმხანად ყაზახეთში მუშაობდა, მეც იქ მომიწია გადასვლა მცირე ხნით. 90–იან წლებში ისევ თბილისში დავბრუნდი. მე და ჩემმა მეგობარმა ნატა ქართველიშვილმა გადავწყვიტეთ, ჩამოგვეყალიბებინა პირველი კოოპერატივი და ქართული წარმოების პარფიუმერია გვეწარმოებინა. ბრენდს ერქვა „ედელვაის 90", რომელიც სახის კანის გამწმენდ, მკვებავ, მოვლისა და კოსმეტიკურ საშუალებებს მოიცავდა. იყიდებოდა საკმაოდ წარმატებულად, თუმცა სამოქალაქო ომის პერიოდში აღნიშნული მაღაზიები დაიწვა და შესაბამისად, ეს ბიზნესიც ჩავარდა. მოგვიანებით, ისევ გაგვიჩნდა იდეა, ამჯერად პირველი სადაზღვევო კომპანია ჩამოგვეყალიბებინა, რომელიც ჯანმრთელობის რისკების დაზღვევის მიმართულებით იმუშავებდა. მას ერქვა „ალსს" – ალტერნატიული სამედიცინო სამსახური. შემდგომ გაჩნდა პირველი კერძო რეანიმაცია. ასევე, პირველი კერძო ტრავმატოლოგიური სამსახური და ამ ბაზაზე შევქმენით პირველი პოლიპროფილური კერძო კლინიკა, რომელიც უპრეცედენტო მოვლენა იყო იმ მომენტისთვის. კლინიკა ქავთარაძის ქუჩაზე მდებარეობდა და მას შემდეგ პატარ–პატარა ნაბიჯებით მოვდივართ და თანდათან ვიზრდებით. სახელმწიფო საჩუქრებით, სუბსიდირებითა და პროგრამებით განებივრებული არასდროს ვყოფილვართ. ამას წინათ ჯანდაცვის სისტემის მაღალი თანამდებობის პირმა აღნიშნა კიდეც კერძო საუბარში, თქვენ სწორედ ამიტომ მოხვედით ამ პოზიციამდე და გადარჩით, რომ საკუთარი ძალებით, პროტეჟეების გარეშე მოდიხართ დღემდეო. დღეისთვის ჩვენი ჰოლდინგი მოიცავს 2 კლინიკას. ესენია: სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება – ალსს, რომელიც ქავთარაძეზეა განლაგებული და მეორე, ასევე პოლიპროფილური კლინიკა, ყოფილი არამიანცის საავადმყოფოს ტერიტორიაზე. 2011 წელს ჩვენ შევიძინეთ ეკონომიკის სამინისტროს აუქციონზე გამოტანილი გადაუდებელი ქირურგიის დაწესებულება და ტრავმატოლოგიური კლინიკა „სინთეზი", მოვახდინეთ მისი რებრედინგი–რეორგანიზაცია, გადავაიარაღეთ მატერიალურ–ტექნიკური ბაზა და ეტაპობრივად რემონტდება. ამას სჭირდება სერიოზული ინვესტიცია. ჩვენ დღეისთვის გვაქვს „ემერჯენსი", ქირურგიული განყოფილება, ტრავმატოლოგიური–ორთოპედიული, სისხლძარღვთა და მიკროქირურგიული განყოფილება. ჩვენთან მუშაობენ წარმატებული სპეციალისტები, 6 პროფესორი, 2 დოქტორანტი. ჩვენს ბაზაზე განთავსებულია საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაცია, რომელიც ევროპისა და მსოფლიო ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის საპატიო წევრია. სამედიცინო უნივერსიტეტის ამ მიმართულებას ხელმძღვანელობს პროფესორი გია თომაძე. ზოგადად, კლინიკაში ძალიან მაღალი კლასის პროფესურაა წარმოდგენილი. საქართველოში ასეთი პრაქტიკაა, რომ პაციენტი ძალიან ხშირად მიდის და ენდობა ცნობილ მახეს, ანუ კონკრეტულ გვარ–სახელს. სწორედ ასეთი წარმატებული სპეციალისტები მუშაობენ მხოლოდ ჩვენს ბაზაზე და სხვაგან არსად საქმიანობენ. ეს ფაქტი ჩემთვის ძალიან საამაყოა.

**– იქნებ დაგვისახელოთ თქვენი კლინიკის აღიარებული მედიცინის მუშაკები...**



– ეს მთელი გუნდია. პროფესორი გია თომაძე; პროფესორი ავთანდილ მეგრელაძე – კლინიკის სამედიცინო სამსახურის ხელმძღვანელი; გვყავს ძალიან წარმატებული ქირურგები, პროფესორები: ალეკო გვაზავა, აბდომინალურ ქირურგიაში გია აზმაიფარაშვილი, მამუკა გოლეთიანი; სისხლძარღვთა და მიკროქირურგიაში პროფესორი თემურ კოპაძე, ნეიროქირურგიაში პროფესორი სოსო გვაზავა და ზურაბ გერმანიშვილი. ტრავმატოლოგიურ დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დოქტორანტი შოთა ბოლქვაძე, ახალგაზრდა ენერგიული კადრია. როგორც დირექტორი და წარმმართველი მენეჯერი, ვცდილობ, რომ ამ წარმატებულ, აღიარებულ კადრს ჩვენს კლინიკაში პოზიტიური სამუშაო ატმოსფერო ჰქონდეს. უპირველესად, ეს ფინანსებთანაა დაკავშირებული და ვცდილობთ, რომ მათ თავი ამ მხრივაც კომფორტულად იგრძნონ. ჩვენი კლინიკის პერსონალი კმაყოფილი უნდა იყოს, რომ პაციენტებთან ურთიერთობისას სხვა ფაქტორებზე არ იფიქროს.

**– ქალბატონო ქეთი, რა არის აუცილებელი, რომ ბიზნესში წარმატებას მიაღწიო?**

– ბევრი ფაქტორია. უპირველესად, საჭირო დროს, საჭირო ადგილას უნდა აღმოჩნდე და იმოქმედო ოპტიმალურად. უმთავრესი კი ის არის, რომ ზუსტად აფასებდე შენს შესაძლებლობებს. როდესაც მე და ჩემმა კომპანიონმა ნატა ქართველიშვილმა დავიწყეთ ბიზნესი, მახსოვს, კოოპერატივის წესდებაც კი არ არსებობდა საქართველოში. რუსულიდან თავად ვთარგმნე და ქართული ანალოგი გავაკეთე. წარვადგინე მაშინდელ აღმასკომში და ყველა გაოცდა, კოოპერატივის წესდება რომ მქონდა. მეც შემეძლო სახლში წყნარად ჯდომა, მეუღლე უზრუნველყოფდა ოჯახს, მაგრამ მე და ჩემს მეგობარს ერთი ადგილის ტკეპნა არ გვსურდა. სულ ძიებაში ვიყავი, ფეხსაცმელების ატელიეც კი გავაკეთე. ინდოეთიდან ძვირფასი ინდური ჩაი ჩამოვიტანეთ და პროფესორ ნოდარ ჯოგლიძესთან ერთად, იოდიზებული ჩაი გავაკეთეთ. არ ვჩერდებოდით. და აი, დღეს ვაკეთებთ იმას, რაც ყველაზე უკეთ ვიცით და გამოგვდის!

**– ქალბატონო ქეთი, ამდენი წელიწადია ბიზნესში ხართ და მინდა, „ქალური კითხვა" დაგისვათ, სად გიგრძნიათ სქესის სისუსტე?**

– ქართულ სინამდვილეში, სამწუხაროდ, სისუსტეა, რომ ქალი ხარ. გარკვეულ ეტაპამდე კარგია, რომ ქალი ხარ, რადგან სერიოზულ და ანგარიშგასაწევ კონკურენტ ძალად არ აღგიქვამენ და ეს გაძლევს საშუალებას, წინ წახვიდე. თუმცა, დაინახავენ თუ არა, რომ რაღაცას მიაღწიე, მაშინვე ერთვება ფარული მუხრუჭი. ამ დროს გჭირდება მეტი ენერგია, რომ დაფუძნდე და შესაბამის თამაშის წესებში ჩაერთო. მე ყოველთვის მაინტერესებდა, სად გამაჩერებდნენ. ეს პროცესიც საინტერესოა. ამ გადასახედიდან ვფიქრობ, ქალებსაც შეგვწევს ძალა, დავამტკიცოთ, რომ ჩვენ შეგვიძლია წარმატების მიღწევა ყველა სფეროში!

**ანა თაბაგარი**

## ძველი დიდების ნაშთი

### „ვაჰ, დრონი, დრონი“

რაკი **წვრილმანი ქურდობა ყოველი სახელმწიფოს თანამდევი,** შეიძლება ითქვას, **უკვდავი სულიც კია**, ისე მოხდა, რომ **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ისნის რაიონული ოფისიდან კომპიუტერი მოიპარეს,** თუმცა **ქართული პოლიციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დამნაშავე რამდენიმე დღეში გასკვანჩეს**.

როგორც ოფიციალური ქრონიკა იტყობინება, „შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, **ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული** მ. ა. **ქურდობის ბრალდებით თბილისში დააკავეს**.“

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ **კომპიუტერი ამავე ოფისის, ანუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რაიონული ორგანიზაციის თანამშრომელს მოუპარავს**. პოლიციამ **კვალს ლომბარდში მიაგნო,** ხოლო ბრალდებულმა დანაშაული აღიარა.

ეს კონკრეტული კრიმინალი არაფრითაა საინტერესო, რომ არა, სულ მცირე, ორი „მაგრამ“: ჯერ ერთი, რომ **„ერთიანი ნაციონალური ორგანიზაციის“ თანამშრომლებს ისე გასჭირვებიათ,** საკუთარი **ოფისებიდან იპარავენ სამსახურებრივ ტექნიკას** და ალომბარდებენ (ჭეშმარიტად, დრონი მეფობენ და არა მეფენი...) და, რაც მთავარია, **პარტიას ავტორიტეტი ფრიად დასცემია**, არადა, ერთ დროს მათ უკითხავად **ცაში ჩიტს ვერ შეეფრთხიალა**, იმის პარალელურად, რომ **ნაფეშქაშები** (კომპიუტერებს ვინ იკადრებდა) **მილიონიანი ქონებები მისდიოდათ ზღვად: „ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად, წარილტვნენ, გაჰქრნენ სიზმრებრივ ჩქარად“...**–

## ვატიკანის „ულტიმატუმი“

თუკი ჩვენთან იმაზე დავობენ, **თუ ვინ უნდა გამოვიდეს სიტყვით გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე** (თუმცა კონსტიტუცია ნათლად განსაზღვრავს ამ საკითხს, მაგრამ პრეზიდენტიც ადამიანია და უნდა პირველობა), რაკი **ჩვენს ჩრდილოეთით გარკვეულია**, რომ პირველკაცი ვლადიმირ პუტინია, ახლა **იმაზე თუ იბჭობენ, შეუშვებენ თუ არა რფ-ის პრ.-ს აშშ-ის ტერიტორიაზე.**



დიდი ალბათობით, შეუშვებენ, თუმცა, აი, **ის კი არ დაზუსტებულა**, **შეხვდება თუ არა ჩრდილოური პრ. თავის ოკეანისგაღმელ კოლეგას.** როგორც აღმოჩნდა, **თეთრი სახლი დუმს**, მიუხედავად პრ. პუტინის პრესმდივნის განცხადებისა, რომ **კრემლიც ღიაა დიალოგისთვის და პიონერივითაც მზადაა** ამ **შეხვედრისთვის.**

მეტიც, არსებული ტრადიციით, **რომის პაპი უნდა შეხვდეს იმ ქვეყნის ლიდერს, რომელიც იმ მომენტში გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეა:** აწ კი ეს მისია რუსეთის მხრებზეა.

### მაღალ-მაღალი „ძეხვები“

მაგრამ „ნიუ-იორკ თაიმსი“ იუწყება, რომ, **რომის პაპის პრესმდივნის ცნობით,** ეს **შეხვედრა შედგება, თუ პრ. პუტინი, ჩვეულებისამებრ, არ დაიგვიანებს და პუნქტუალური იქნება.**

შეგახსენებთ, რომ წინა შეხვედრისას რუსეთის პირველკაცმა ვატიკანის პირველკაცი 70 წუთი ალოდინა.

უცნობია, აპირებს თუ არა ვლ. პუტინი პუნქტუალობის გამოჩენას რომის პაპთან, მაგრამ, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ **27 სექტემბერს სიტყვით უნდა გამოვიდეს გაეროს მაღალ ტრიბუნაზე.**



ზემოთქმულიდან გამომდინარე კი, გასაკვირია ჩვენებურ რადიკალ მედასავლეთეთა დუმილი, ანუ **რატომ არ ადანაშაულებენ გაეროსა და ვატიკანს რუსოფილობაში?!** ვითომ, **რადგან „პარასკევიცაა“ და ეს კონკრეტული „ძეხვებიც“ ფრიად მაღლა კიდია?!** –

## ნატურით

### ანუ აგურები ვჭამოთ?!

თითქოს დასავლური სანქციები არ ჰყოფნიდათ, რაკი **ისეც ხდება, რომ თვით იმპერიალისტებსაც კი ქვა აღმართში მიეწევათ**, შევიტყვეთ, რომ **ტულის სამშენებლო ქარხნის ხელმძღვანელობამ თანამშრომლებისთვის ხელფასის აგურებით ანაზღაურების გადაწყვეტილება მიიღო**.

იმ მიზეზით, რომ **ქარხნის ხელმძღვანელობას თანამშრომლების 4,41 მილიონი რუბლი ჰმართებს**, თურმე, აი, ასეთი არაორდინარული გამოსავალი მოიძებნა: **ვალს გაისტუმრებენ, არც მეტი, არც ნაკლები, ნატურით.**

დღეის მდგომარეობით, **900 000 რუბლი უკვე გაუსტუმრებიათ აგურ-აგურ**. ამ გადაწყვეტილებას კი იმით ხსნიან, რომ ქარხნის აქტივები დაყადაღებულია, რადგან ქარხანას 47-მილიონრუბლიანი ვალი აქვს. რაკი **შემთხვევა ამოვარდნილია ნორმის საერთო კონტექსტიდან**, ყოველი შემთხვევისთვის, სრულ ისტორიას გიამბობთ: გამოშვებული აგურისთვის ქარხანა ფულს არ იღებდა, პროდუქციით მევალე კომპანიის დავალიანება იქვითებოდა.

ასეა თუ ისე, ჩვენ **არ ვიცით, სახელდობრ, რამდენი აგური შეხვდა თითოეულ თანამშრომელს**, მაგრამ, ორ-ორი რომ შეხვდებოდათ, ნათელია! –


ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ქეთი კაპანაძე, ეთო ხურციძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტი: თეზუკა კვეზერელი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

ოფისმენეჯერი: თათია ფარესაშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, ხატია ქლენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“ იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com


ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

# მორალი – არაბულად ხარჯი

**სირიელი ლტოლვილების თემა კვლავ აქტუალურია**, მათ შორის, **ჩვენთანაც,** იმ მიზეზით, რომ **კვლავაც არიან გულჩვილნი**, რომლებიც სახელმწიფოს (თავისი დევნილებისთვის რომ ვერ მოუვლია ჯეროვნად) **უკიჟინებენ**, რომ **ახლა გვმართებს კეთილშობილების გამოჩენა და ლტოლვილთა მიღება.**

მეორე მხრივ, **აღმოსავლელ ლტოლვილთა ბედი რეალურადაა გულისმომკვლელი**, თუმცა, **ემოციები რომ გვერდზე გადავდოთ**, წინასწარი მონაცემებით, **2015 წლის განმავლობაში ევროპაში დაახლოებით 400 000 ლტოლვილი ჩავა**, 2016 წლისთვის კი ეს რაოდენობა **450 000-მდე გაიზრდება.** ნავარაუდებია, რომ **ლტოლვილთა უმეტესობა საცხოვრებლად გერმანიას აირჩევს**.



საკუთრივ ევროკავშირის მონაცემებით კი: **წლის დასაწყისიდან დღემდე ევროკავშირის ქვეყნებმა 350 000 დევნილი მიიღეს ახლო აღმოსავლეთიდან** (ძირითადად, სირია-ერაყიდან), **ცენტრალური აზიიდან** (ძიირთადად, პაკისტან-ავღანეთიდან) **და აფრიკიდან**.

ხოლო ამასობაში გაირკვა, რომ **საუდის არაბეთი მზადაა, გერმანიაში 200-მდე მეჩეთი ააშენოს**, რომ **ლტოლვილები რელიგიური რიტუალების აღსრულებაში არ შეფერხდნენ** (მოტივით – ეს ჩვენი მორალური ვალიაო). ფაქტია, რომ **მორალზე საუდის არაბეთში ფრიად ორაზროვანი წარმოდგენა ჰქონიათ:** რადგან, 2011 წლიდან, როგორც კი სირიაში სამოქალაქო ომი დაიწყო, **საუდის არაბეთმა სამუშაო ნებართვების გაცემა შეწყვიტა**, ხოლო **2014 წელს** 561 ლტოლვილი მიიღო და **მათგან მხოლოდ 100-ს მისცა თავშესაფარი.**

ჩვენ, **უდავოდ, გაგვიმართლა, რადგან ლტოლვილები ჩვენნაირ ღარიბ ქვეყანას იწუნებენ**, თუმცა ევროკავშირისკენ ლტოლვილთა ნაკადის მიმართვას აქვს თავისი ლოგიკა: **სირიის სამოქალაქო ომი და არეულობა ერაყში დასავლური პოლიტიკის შედეგიცაა**, ამიტომაც **სამართლიანი იქნებოდა, თუ მსხვილ-მსხვილი მოთამაშეები** (ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ჩათვლით) **ამ ტვირთს გაიზიარებდნენ, ანუ ლტოლვილებს გაინაწილებდნენ.**

# ევროსამართლის ხიბლი

## ანუ ქართველი დამსაქმებელი – ღვთის „საჩუქარი“

**სანამ რფ-ში**, კერძოდ, ტულაში **თანამშრომლებს ხელფასს ნატურით, ანუ აგურით უნაზღაურებენ, ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებით, დრო, რომელსაც დასაქმებული სამსახურამდე მისასვლელად ხარჯავს, სამუშაო საათებად უნდა ჩაითვალოს.**

სასამართლომ დაადგინა, რომ ეს **შეეხება იმ ადამიანებს, რომლებსაც სამსახურებამდე მისასვლელად დრო სჭირდებათ.** ხოლო **გადაწყვეტილება ევროკავშირის პოლიტიკაზე ყოფილა დაფუძნებული**, რომელიც **დასაქმებულთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნავს.**



მოკლედ, **ევროპული სამართლის პათოსი ასეთია: „ათასობით დამსაქმებელი არღვევს სამუშაოს განაწესს.“**

ყველაზე **მტკივნეული** (ჩვენთვის, საქართველოში დასაქმებულებისთვის) ადვოკატის შეფასებაა: **„თუ თქვენ დაიანგარიშებთ, რა დროს ხარჯავენ ისინი გზაში, მიხვდებით, როგორი დაბალია მათი ანაზღაურება სამუშაო დროსთან შედარებით.“**

**მტკივნეული,** რადგან **ქართველი დამსაქმებლების პათოსია:** იმითაც **უნდა იყო ბედნიერი, რომ მასთან ხარ დასაქმებული,** ამდენად, **ხელფასი, საერთოდაც, რა მოსატანია?! –**

მეორე მხრივ, თუ გავიხსენებთ, რომ **ევროკავშირთან დაახლოების ეგიდით**, ჯერ იყო და, ამ **ჩვენი საკანონმდებლო ორგანოს ძალისხმევით, ბუსუსებიანი პრეზერვატივების გაყიდვა აკრძალეს** სასწავლო დაწესებულებების სიახლოვეს; მოგვიანებით კი, **დისკრიმინაციული კანონიც მიიღეს**, იბადება კითხვა: **ევროსასამართლოს ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებაზე რა აზრისა ბრძანდებიან** ჩვენი რჩეულები?! თუ, **ქვეყნის ეკონომიკას კვლავაც მხოლოდ პატიოსან გვამთა მაღალ-მაღალი ხელფასების დასაფინანსებელი ფული აქვს?! –**

# „ნაციონალური“ მეტრაგედიეები

თუმცა **ლარი ისე მირბის, ლამისაა, ყველაზე მარდი მდევარიც ვერ დაეწიოს** და **ელექტროენერგიის ტარიფმაც მოიმატა**, რაც საქართველოს მოქალაქეებს რეალობად უქცევს ავბედით ანდაზას: **საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო,** თუმცა **პოლიტიკური ოპონენტების პათოსი ისეთია**, რომ, ჯერ ერთი, საყველპურო სიმღერის სიუჟეტი გახსენდება: **„სიკვდილი და სიღარიბე, ორნივ ერთად მოდიოდა**, შევხედე და შემეშინდა, სიკვდილს სიღარიბე სჯობდა“ და, რაც მთავარია, **თავადაც ასკვნი, რომ სიკვდილს მაინც სიღარიბე სჯობია. –**

ასე მაგალითად, საპარლამენტო უმცირესობის წევრი ბ-ნი **გაბაშვილი** (გოკა) **ამტკიცებს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ერთდროულად 100 ათასამდე მოქალაქეს უსმენს** და ხელისუფლება ამ მეთოდით ცდილობს, გაიხანგრძლივოს არსებობა. მართალია, მას **ვერ დავწამებთ ცილს, რომ არ იცის, თუ რა შესაძლებლობების აპარატურა ჰქონდა სუსს** და **რამდენს უსმენდა მისი მშობელი პარტია**, თუმცა ისიც ფაქტია, რომ **დღევანდელი მოსმენის შედეგი არ ჩანს** (არადა, ვერც ჩვენს თავებს დავწამებთ ცილს, რომ არ ვიცით, რა შედეგი მოჰყვებოდა ხოლმე მოსმენებს).

როგორც უნდა იყოს, ბ-ნი **გაბაშვილი უბნობს, რომ აწ საქართველოს მოქალაქეები უფრო დამონებულნი არიან**. მომყავს ციტატა: „ქვეყანა მოაქციეს ერთი ადამიანის, ერთი ოლიგარქის, ბიძინა ივანიშვილის მონობის ქვეშ.“

ხოლო, **ვიდრე დამონებულები გმინავენ ბორკილქვეშ,** ჟურნალისტი ქ-ნი **კვესიტაძე აცხადებს,** რომ, ჯერ ერთი, **„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობისას ხელისუფლების კონტროლის მსხვერპლი იყო** (თვით შოთა უტიაშვილის მეორე ნახევარი?! – ) და, რაც მთავარია, **იმისიც ღრმად სწამს, რომ „დღეს ჟურნალისტები კიდევ უფრო მეტს ლაპარაკობენ ზეწოლაზე, ვიდრე მაშინ.**“

ერთი სიტყვით, **შექსპირის გენია გადასახედია,** რადგან **„ნაციონალურმა“ მეტრაგედიეებმა უილიამის ნიჭი**, ვაი რომ, **უმოწყალოდ ჩააჩოჩეს!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას ტრაგიკულად დაღუპვის საქმე კვლავ გაუხსნელია, თუმცა ამის გარშემო არც ბინძური ჭორების ნაკლებობაა და ლოგიკური მოსაზრებაც არსებობს, რომლებიც აძლიერებს მკვლელობის ვერსიას. თებერვილის იმ კვირის დასაწყისში, როდესაც ზურაბ ჟვანია დაიღუპა, პრემიერ-მინისტრმა დიდი საპრივატიზაციო დოღი დააანონსა (სატელევიზიო არქივებში მისი ეს გამოსვლა შემონახული იქნება), რადგან გასაყიდად ერთიან პაკეტში ყველაზე მსხვილი ობიექტები გამოდიოდა, ფოთის პორტისა და თბილისის აეროპორტის ჩათვლით. მაგრამ, მომხდარი ტრაგედიის გამო, საპრივატიზაციო დოღი ვერ შედგა, თუმცა დაპირებულზე მოკრძალებული პრივატიზაცია მოგვიანებით შედგა. მთელი ამ წლების განმავლობაში პრემიერ-მინისტრის ტრაგედიასთან პრივატიზაციის ამბავს ნაკლებად აკავშირებდნენ და აქცენტს მხოლოდ პოლიტიკურ შემადგენელზე აკეთებდნენ. იღებდა თუ არა მონაწილეობას ტრაგედიაში დიდი ფული და ვინ იდგა მის უკან? – ამ თემაზე ვახტანგ მაისაია გვესაუბრება.**

# რატომ გაანადგურეს ზურაბ ჟვანიას არქივის მასალები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით და რატომ აპირებდნენ ფოთის პორტის მიყიდვას ადამიანისთვის, რომელიც იყო ბინ ლადენის კომპანიის მმართველი და „შავი" იარაღის ბარონი

**– პრივატიზაციის თემა აქტიურად არ ხსენებულა ამ ტრაგედიის კონტექსტში, თქვენ რა ვერსია გაქვთ და რას გულისხმობდა დაანონსებული დიდი საპრივატიზაციო დოღის პოლიტიკურ სარჩულად?**

– საქმე ისაა, ვინ იდგა იმ კომპანიების უკან, რომლებიც აპირებდნენ იმ ობიექტების პრივატიზაციას. ზუსტად შემიძლია, გითხრათ, რომ ეს პრივატიზაცია ჩატარდა, მე მაინც პირდაპირ ვამბობ, ზურაბ ჟვანიას პოლიტიკური მკვლელობის შემდეგ. ზუსტად მახსოვს, რომ, დაახლოებით, ერთ თვეში ორი ობიექტის პრივატიზაცია მოხდა: თბილისის აეროპორტი გადაეცა თურქულ კომპანია „ტავს", ფოთის პორტი კი – არაბულ კომპანია „რაკიას", რომელიც ისევე გაქრა 2012 წლის პირველ ოქტომბერს, როგორც შარშანდელი თოვლი და დღემდე უცნობია, რა ძალები იდგა ამ კომპანიის უკან. თუმცაღა, შემიძლია, გითხრათ, რომ საკმაოდ სერიოზული ძალები იდგნენ; ისეთები, როგორიც არის, მაგალითად, ადნან ხაშოგისნაირი ავანტიურისტები, საკმაოდ ცნობილი იარაღით მოვაჭრე, რომელიც გარეული იყო არაერთ მსხვილ საერთაშორისო სკანდალში, მათ შორის, ისეთ მსხვილ სკანდალში, როგორიც იყო 1986 წლის ირან-კონტრას სკანდალი, რომელსაც შეეწირა ამერიკის უშიშროების საბჭოს მაღალჩინოსანი ოლივერ ნორტი, რომელმაც ჩვენება მისცა ამერიკის სპეციალურ საგამოძიებო კომისიას და ამის შემდეგ დაიღუპა გაურკვეველ ვითარებაში. საინტერესო მომენტია, რომ ადნან ხაშოგის კვალი ფიგურირებდა ლიბანის პრეზიდენტ ჰანანის მკვლელობაშიც, რომელიც, ასევე, საეჭვო ვითარებაში დაიღუპა.



**ზურაბ ჟვანიამ მთხოვა ადნან ხაშოგის შესახებ ინფორმაციის მომზადება და მითხრა, რომ ეს იყო „ბაბუს" დავალება. ხაშოგის კომპანიები პრივატიზაციას ახორციელებდნენ და როდესაც საქმე კეთდებოდა, კომპანიები ქრებოდა**

საინტერესო საკითხია, თუ ვინ გაიყვანა მიხეილ სააკაშვილი საუდიტების დინასტიის მაღალი დონის წრეებთან: გვახსოვს, რომ საუდის არაბეთის მეფემ პირადად მიულოცა მიხეილ სააკაშვილს 26 მაისს დამოუკიდებლობის დღე და მიხეილ სააკაშვილმა თვითონვე გვანახვა ის ხმალი, რომელიც მას აჩუქეს და რომელიც საუდიტების ყველაზე მაღალი სახელმწიფო ჯილდოა. მას საუდიტების დინასტიის წარმომადგენლები ასეთ ჯილდოს არ მისცემდნენ ლამაზი თვალების გამო. დადასტურებული ფაქტია მისი ხშირი ვოიაჟები საუდის არაბეთში. ერთი სიტყვით, კომპანია „რაკია" ისევე გაქრა საქართველოდან, როგორც ლიბანსა და კვიპროსში ქრებოდა ხაშოგის კომპანიები, რომლებიც პრივატიზაციას ახორციელებდნენ და, როდესაც საქმე კეთდებოდა, კომპანიები ქრებოდა.

**– რას გულისხმობთ „საქმის გაკეთებაში"?**

– თუ გავითვალისწინებთ, რომ ადნან ხაშოგი იყო შავი ბიზნესის ბარონი და იარაღით უკანონო ვაჭრობის მთავარი დილერი, ბუნებრივია, მას ეს კომპანიები სჭირდებოდა ამ მიზნების შესასრულებლად.

**– იმას ამბობთ, რომ ფოთის პორტით „რაკია" გადაზიდავდა კონტრაბანდულ იარაღს?**

– ბუნებრივია, ამის დამადასტურებელი დოკუმენტებიც არსებობს. როგორ შედიოდა ეს იარაღი ფოთის პორტში ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე და ერთ-ერთი კონტრაქტი შესრულდა უშუალოდ ომის დროს, ეს იარაღი წამოვიდა იორდანიიდან.

**– და დოკუმენტებში წერია, რომ იარაღი იყო? და თუ წერია, რომ იარაღია, შავი როგორღა გამოდის?**

– დოკუმენტებში სულ სხვა რამ წერია და სულ სხვა რამ გადაიზიდა. მაგალითად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო გამოიწერდა რაღაც დონის იარაღს, რომელიც ჩამოდიოდა, მაგრამ, არავინ იცის, სად ქრებოდა. ეს იარაღი შეიძლებოდა, ჩამოწერილიყო, მაგალითად, რომ ის გამოიყენეს საბრძოლო ოპერაციების დროს.

**– ან იყო იმ სამხედრო ბაზებში, რომლებიც ოკუპანტებმა დაიკავეს?! საინტერესო თემაა, რა შეიარაღება იყო ომამდე ჩვენს არსენალში და რა გაანადგურეს ოკუპანტებმა, თუმცა ჩვენ ამას უკვე ველარასდროს გავიგებთ.**

– ეს ძალიან სენსიტიური თემაა, მით უმეტეს, რომ ეჭვი მეპარება, იარაღის გარკვეული სახეობა, რომლებიც საქართველოში შემოდიოდა ფოთის პორტით, ოდესმე ჰქონოდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, იმიტომ რომ ამის საჭიროება არ იყო.

**– რა ადასტურებს, რომ ხაშოგი იდგა „რაკიას" უკან? რა გაფიქრებინებთ ამას?**

– მაქვს ჩემი ვარაუდები, რომლებიც არგუმენტებითაა განმტკიცებული. მე ზურაბ ჟვანიას აპარატში ვმუშაობდი, ვიყავი პოლიტიკური დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი და ერთ პერიოდში ვასრულებდი პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობასაც. საინტერესო ის არის, რომ მე ვიყავი ბატონი ზურაბ ჟვანიას რეფერენტი და ვუმზადებდი სპეციალურ ანალიტიკურ მოხსენებებს. მახსოვს, 1997 წელს ზურაბ ჟვანიამ დამიძახა და მთხოვა, მომემზადებინა ანალიტიკური მასალა, რომელიც შეეხებოდა ერთიანი კავკასიური ბაზრის შესახებ. გემახსოვრებათ ეს ინიციატივა.

**– მახსოვს, იმაზეც იყო საუბარი, რომ სააკაშვილმა მოჰპარა გამსახურდიას ერთიანი კავკასიური სივრცის იდეა.**

– ყოველდღიურ საინფორმაციო მასალებს ისედაც ვუმზადებდი, მაგრამ მთხოვა, რომ ერთიანი კავკასიური ბაზრის შესახებ ვრცელი მასალა მომემზადებინა. საუბარი იყო კავკასიაში საერთო ბაზრის, საერთო ბანკის შექმნაზე... მოვუმზადე დეტალიზებული ინფორმაცია ამის შესახებ და როდესაც მივუტანე, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ მთხოვა ადნან ხაშოგის შესახებ ინფორმაციის მომზადება და მითხრა, რომ ეს იყო „ბაბუს", ანუ პრეზიდენტ შევარდნაძის დავალება. მოვუმზადე ინფორმაცია ხაშოგზე. მე მაშინ არ ვიცოდი, რომ ხაშოგი მონაწილეობის მიღებას აპირებდა ამ ერთიანი კავკასიური ბაზრის შექმნაში. დოკუმენტებიც არსებობს: არის ფოტო, რომელზეც ამ ინიციატივის ავტორი და ხაშოგი ერთად სხედან შეხვედრისას. ხაშოგი აპირებდა, რომ ამ ინიციატივაში ჩაედო 10 მილიონი დოლარი, ეს თანხა უნდა გაზრდილიყო 100 მილიონ დოლარამდე და ამ საერთო კავკასიური ბაზრის სქემაში იყო ფოთის პორტიც.

**– ეს მინდოდა, მეკითხა: სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის რა ობიექტები მოიაზრებოდა ამ ერთიანი კავკასიური ბაზრის სტრუქტურაში?**

– აქ მოიაზრებოდა ნავთობის გადაზიდვის ერთიანი სისტემის, ერთიანი საფინანსო ბირჟის შექმნა, სატრანზიტო გადაზიდვების უზრუნველყოფა. დასავლეთის სახელმწიფოებიდან უნდა მოზიდულიყო ინვესტიციები. დასავლეთში გარკვეული პოლიტიკური წრეები ლობირებდა ამ იდეას. მაშინ ნუხაევი იყო ამ იდეის ინიციატორი – ცნობილი მილიარდერი, იჩქერიის მთავრობის ვიცე-პრემიერი. ჩეჩნეთს სჭირდებოდა ეკონომიკური დამოუ-

კიდებლობის მოპოვება. 1997 წელს საქართველოში რომ ჩეჩნური ნავთობი გამოჩნდა, რამაც დააგდო ნავთობის ფასი, სწორედ ამ ინიციატივის შედეგი იყო.

**– შევახსენოთ მკითხველს, რომ ამ დროს პირველი ომი რუსეთ-ჩეჩნეთს შორის დასრულებულია და მეორე არ დაწყებულა.**

– ეს ის პერიოდია, როდესაც კრემლმა ცნო იჩქერიის დამოუკიდებლობა ხასა-ვიურტის ხელშეკრულებით, როდესაც ჩატარდა ლეგიტიმური არჩევნები ჩეჩნეთში და აირჩიეს იჩქერიის ლეგიტიმური პრეზიდენტი მასხადოვი. რუსეთს კი ჰქონდა მინიჭებული ჩეჩნეთისთვის სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობა, მაგრამ, ფაქტობრივად, ბლოკადაში ჰყავდა. ამიტომ ჩეჩნეთს სჭირდებოდა ისეთი ეკონომიკური ინტერესის წამოწევა, რაც მათ დამოუკიდებლობას მიანიჭებდა.

**– გასაგებია, რომ აქედან გავიდოდა ჩეჩნური ნავთობი სხვა ქვეყნებისკენ. ჩრდილო კავკასიიდან მხოლოდ ჩეჩნეთი იყო ჩართული ინიციატივაში?**

– დიახ, ინიციატივას აზერბაიჯანიც უჭერდა მხარს და დასავლეთის გარკვეული წრეებიც. თურქეთიც იყო დაინტერესებული. ლაპარაკი იყო სატრანზიტო-საკომუნიკაციო კვანძების შექმნა-განვითარებაზე და ამ სქემაში იგულისხმებოდა ფოთის პორტიც. ამ დროს, რატომღაც, გამოიკვეთა საუდის არაბეთის ინტერესებიც და აქტიურობდა ხაშოგი. არ მივაქცევდი ყურადღებას ხაშოგის შესახებ ჩემ მიერ მომზადებულ ინფორმაციას ზურაბ ჟვანიასთვის, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: 2005 წლის თებერვლის დასაწყისში, 1-დან 5-მდე, ბაქოში უნდა ჩავსულიყავი ბრიუსელიდან, რათა მონაწილეობა მიმეღო „ნატოს" ღონისძიებაში – მე „ნატოს" რაპორტერი ვიყავი. ამ დროს დამიკავშირდა ადამიანი და მითხრა, რომ ზურაბ ჟვანიას ჩემთან შეხვედრა უნდოდა 5-დან 7 თებერვლამდე. ბაქოში უნდა ჩავსულიყავი 1-დან 5-მდე, ამიტომ უკან წამოსასვლელი ბილეთები გადავწიე, რადგან თბილისში უნდა გამომევლო. მაგრამ ბაქოში 3 თებერვალს შევიტყვე ამ ტრაგედიის შესახებ. მე, მოგეხსენებათ, 2009 წლის მაისში დამაპატიმრეს და ერთ-ერთი ღამეული დაკვითხვისას ოთახში შემოვიდა კონტრდაზვერვის ორი თანამშრომელი. ერთ-ერთმა, დაბალი, მელოტი და შავგვრემანი კაცი იყო, სხვათა შორის, ძალიან ჰგავდა გარეგნულად ხაშოგს, მკითხა, საიდან ვიცოდი ხაშოგის შესახებ და საიდან მივიღე მასზე ინფორმაცია. ბუნებრივია, მიდიოდა ძალოვანი დამუშავებაც. დაინტერესდა, რატომ გადავცვალე ბრუისელში დასაბრუნებელი ბილეთი. ასევე, დაინტერესდა კავკასიური ინიციატივის შესახებ, დამიდო ჩემი ანალიტიკური მოხსენება და მითხრა, რომ ჩემ მიერ მომზადებული მასალები ნანახი ჰქონდა. მე სისტემატიზებული მქონდა ჩემი არქივი, მათ შორის, ცალკე დირექტორიაში ვინახავდი ბატონი ზურაბისთვის მომზადებულ ანალიტიკურ არქივს.

**– ანუ, ორ ეგზემპლარად იყო ეს მასალები: ერთი თქვენ გქონდათ, მეორე – ზურაბ ჟვანიას?**

– ძირითადად ასე იყო, გარდა გამონაკლისისა, როდესაც ერთ ეგზემპლარად მას ვუმზადებდი ინფორმაციას. მაგრამ ხაშოგის შესახებ ინფორმაცია არ განეკუთვნებოდა საიდუმლო დოკუმენტაციას და მოხდა საინტერესო რამ: მე მომისაჯეს 2010 წლის ნოემბერში, 2011 წლის აპრილში კი სასწრაფო წესით იკრიბება საქართველოს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია და ისინი იღებენ გადაწყვეტილებას, რომ ჩემი ეგრეთ წოდებული არქივი, ჩემი კომპიუტერი და მასში არსებული მთელი ინფორმაცია განადგურდეს.

**– რა მოტივით?**

– არ ვიცი. წარმოიდგინეთ, მომისაჯეს ჯაშუშობა და ეს ჩემი კომპიუტერი იყო მტკიცებულება. სულ სამი მტკიცებულება ჰქონდათ: ჩემი კომპიუტერი, „ფლეშკა", რომელზეც იგივე ინფორმაცია იყო, რაც კომპიუტერში და, წითელი ფერის წიგნაკი, სადაც ეწერა, რომ ვითომ მე ვიყავი სუკის გენერალ-პოლკოვნიკი. ეს ჩემთვისაც აღმოჩენა იყო, რადგან, გავიგე მას შემდეგ, რაც გავთავისუფლდი და საშუალება მომეცა, გადამეხედა ჩემი საქმისთვის, რომელსაც ახლაც ადევს გრიფი „საიდუმლოდ". იქ წერია, რომ კოლეგია შეიკრიბა სასწრაფო წესით და გაანადგურეს ნივთმტკიცება. არადა, ჯაშუშის სამხილი, მინიმუმ, 100 წელს მაინც უნდა ინახებოდეს არქივში, თუკი ეს სახელმწიფო დანაშაულია. მაგრამ აქ სხვა რამ იკვეთება: გახსოვთ, რომ ხარშილაძემ გაიტანა ზურაბ ჟვანიას დოკუმენტები და გაანადგურა. ასევე, 2011 წლის თებერვალში №17 დაწესებულებაში მოდიან მეგის ქარდავა და სოსო თოფურიძე, აჰყავთ ალექსანდრე თედეევი და ავალებენ ჩემს ლიკვიდაციას ზონაში. თედეევს მიცემული აქვს ჩვენება, რომ მას მისცეს ბლანტი სითხე, რომელიც ჩემთვის ყავაში უნდა ჩაესხა და მე ვითომ გული გამიჩერდა. კონტრდაზვერვის თანამშრომლის მიერ ხაშოგით დაინტერესებამ მაფიქრებინა, რომ „რაკიისა" და ფოთის პორტის უკან ხაშოგი იდგა.

**– იმის თქმა გინდათ, რომ ეს ინფორმაცია აღარ არსებობს?**

– ამობეჭდილი სახით არსებობს საქართველოს საქალაქო სასამართლოს საიდუმლო განყოფილებაში და იმდენადაა გასაიდუმლოებული, რომ მე არ მაძლევენ მისი ხელახლა წაკითხვის უფლებას; ორ თვეს არ მისცეს ამის საშუალება სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილს.

**– თქვენ ვარაუდობთ, რომ ზურაბ ჟვანიას არ უნდოდა ხაშოგის შემოყვანა?**

– როგორც ჩანს, ასეა. ხაშოგი იყო ბინ ლადენის კომპანიის მმართველი. მას ეკრძალება შესვლა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ოფიციალურად ეძებენ ამერიკის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები.

**– ახლაც შეიძლება იკვეთებოდეს ხაშოგის ინტერესები?**

– ბუნებრივია, ბოლოს და ბოლოს, „თალიბანის" ნარკოტიკი როგორ მოხვდა საქართველოში?! ცნობილია, რომ ხაშოგი უზრუნველყოფდა თალიბებისთვის იარაღის ექსპორტს. ის ფაქტი, რომ ბოლოს 3 ტონა თხევადი ჰეროინი დააკავეს, მოწმობს, რომ თალიბანი საქართველოს კარგა ხანია იყენებდა ნარკოტიკების ტრანზიტად. თალიბანის ნარკოტიკი კი უშუალოდაა დაკავშირებული ხაშოგთან.

**ნინო ხაჩიძე**

# ექიმი გირჩევთ

## კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო ეროვნული ცენტრი



**სოფო ლილუაშვილი**
**დერმატოლოგ-ვენეროლოგი**

**– როგორ ხდება კანისა და ვენერიულ სნეულებათა ცენტრში ხალებისა და კანის მთლიანი ზედაპირის გამოკვლევა?**

– კანისა და ვენერიულ სნეულებათა სამეცნიერო-კვლევით ეროვნულ ცენტრში კანის მთლიანი საფარველისა და ხალების დიაგნოსტირება ხდება ულტრათანამედროვე კომპიუტერული სისტემის აპარატით „OLEMAX HD".

აპარატის დახმარებით შესაძლებელია ხალების დიაგნოსტირება როგორც მაკრო, ასევე მიკროსკოპული გამოსახულებით. სისტემა ეფუძნება ვიზუალიზაციისა და პროგრამირების ინტეგრირებულ პროცესებს, რომლის საშუალებითაც ხდება გამოსახულების გადიდება უმაღლესი ხარისხით და შემდეგ, შედეგების ზუსტი მათემატიკური ანალიზი. პაციენტის ყველა მონაცემი ინახება ელექტრონულ ბაზაში და ხელმისაწვდომია ნებისმიერ დროს. პაციენტს გამოკვლევის შედეგად მიღებული დასკვნა ეძლევა ხელზე.

ხალების მონიტორინგის პროგრამა მოიცავს რამდენიმე მეთოდს, კერძოდ, ხალების დერმატოსკოპიურ შეფასებას (ABHD წესი, ხალების ავთვისებიანობის ხარისხის გამოთვლა, ახალი წარმონაქმნების დეტექცია და კონტროლი).

გარდა ხალებისა, აპარატის დახმარებით ხორციელდება კანის ნებისმიერი დაავადების დიაგნოსტირება მთლიანი სხეულის კარტირების საშუალებით, რომლის დროსაც შესაძლებელია, კანის საფარველის გადაღება სხვადასხვა პოზიციაში ციფრული ხარისხით, რაც საგრძნობლად აადვილებს პაციენტის კანის მდგომარეობის ცვლილების დაფიქსირებას.

აპარატი „MOLEMAX HD" იძლევა საშუალებას თმის ცვენის დროს განისაზღვროს ცვენის განვითარებისა და დინამიკის კონტროლი.

**– რამდენად ზუსტია კომპიუტერული დიაგნოსტიკა კანის გამოკვლევის დროს?**

– კომპიუტერული დიაგნოსტიკის მეთოდი დიდი სიზუსტით გამოირჩევა. ხალების არსებობის შემთხვევაში, დერმატოსკოპიული მაჩვენებლების შეფასების შემდეგ (საზღვრები, ასიმეტრია, პიგმენტური ჩანართების არსებობა), პროგრამა ავტომატურად ითვლის ხალების ავთვისებიანობის ხარისხს და გადაგვარების რისკს. ავტომატურ რეჟიმში აფიქსირებს ის, კანის ნებისმიერი დაავადების შემთხვევაში, ზუსტ და მაღალი ხარისხის დერმატოსკოპიურ სურათს.

ტრიქოსკანის (თმის ზრდის) ფუნქცია ავტომატურად ითვლის თმის ზრდის ბიოლოგიურ პარამეტრებს, როგორიცაა, თმის სიხშირე, თმის ღერის სისქე, ანაგენისა და ტელოგენის შეფარდება. ეს კი საშუალებას გვაძლევს. მივიღოთ რეალური სურათი თმის ცვენის შესახებ.

*შეკითხვებისთვის დარეკეთ:*
*551 51 23 40; ლუბლიანის №5 (ყოფილი რკინიგზის საავადმყოფოს ტერიტორია).*

**ლარის კურსიც მიექანება გაურკვეველი მიმართულებით და მას ახლა უკვე ელექტროენერგიის ტარიფიც მიუერთდა, ხოლო, რადგან დოლარისა და ელექტროენერგიის ფასს არცთუ მცირე ადგილი უჭირავს, ზოგადად, პროდუქციის ფასებში, ფაქტია, ფასების მატებაზე აწ უკვე ეს ორი ფაქტორი იმოქმედებს. ლარის, ელენერგიისა და პროდუქციის ღირებულების საქართველოს მოქალაქეების ჯიბეებზე ზემოქმედების პერსპექტივაზე, ეკონომიკის ექსპერტ იოსებ არჩვაძესთან ერთად ვისაუბრებთ.**

# რით აინაზღაურებს საქართველოს მოსახლეობა ფულადი გზავნილების 400 მილიონი დოლარით შემცირებასა და ელექტროენერგიის გაძვირებით გამოწვეულ 300-მილიონლარიან დამატებით ხარჯს

**– რამდენად ადეკვატურად გაიზარდა ლარის გაუფასურების კვალდაკვალ სამომხმარებლო ფასები და, ბუნებრივია, ელექტროენერგიის ტარიფიც?**

– ჩვენ დენზე გვაქვს აქცენტი, თორემ ბევრი საქონელი ძვირდება თანდათან. ჩვენი ეკონომიკა, სამწუხაროდ, ტრადიციულად იმპორტდამოკიდებულია და იმპორტის თანაფარდობა მთლიან შიგა პროდუქტთან არის საკმაოდ მაღალი – ნახევარზე მეტია. ბოლო თვეებში ეს მაჩვენებელი შემცირდა, ოღონდ ეს არ არის კარგი ცხოვრების შედეგი და მთლიანობაში არ ცვლის სურათს. ამიტომ ნებისმიერ ქვეყანაში, ისრაელი იქნება, ნორვეგია თუ იაპონია, იქაური ეროვნული ვალუტების გაუფასურება შედარებით ნაკლებად აისახება იმ ქვეყნების სამომხმარებლო ბაზარზე, ვიდრე ჩვენთან. საკმარისია, ერთი-ორი პუნქტით დაეცეს ლარი, რომ ეს 6-7-ბალიან რყევებს იწვევს ჩვენს სამომხმარებლო ბაზარზე.

**– ჩვენთან ის ტენდენციაც არის, განსხვავებით იმ ქვეყნებისგან, რომლებიც თქვენ ჩამოთვალეთ, რომ იმ პროდუქციის ფასებიც იზრდება, რომლებსაც ვალუტის კურსთან პირდაპირი კავშირი არ აქვს.**

– აქ რამდენიმე მიზეზია: ჯერ ერთი, საქონელი რომ მზადდება, ის მზადდება იმ მიზნით, რომ გაიცვალოს. თუ ადამიანი ყიდის ადგილობრივი წარმოების რაღაც საქონელს, ვთქვათ, ხორცს, იქიდან მიღებული თანხით უნდა იყიდოს იმპორტირებული საქონელი, რომელიც გაძვირებულია და იძულებულია, გააძვიროს ადგილობრივი წარმოების პროდუქციაც, რომ ძველი საფასო წონასწორობა შეინარჩუნოს. და კიდევ ერთი მომენტი: როდესაც ასეთი რყევებია, ნებისმიერი მწარმოებელი, თუ აქვს საშუალება ბაზრისთვის საკუთარი პირობების კარნახისა, მონოპოლიური იქნება, ოლიგოპოლიური თუ უბნის ბაზარი.



ელექტროენერგიის გაძვირება გაცილებით მეტია, ვიდრე ინფლაციის მაჩვენებელი, იმიტომ რომ ყველაზე მრავალრიცხოვანი კატეგორიაა საშუალო კონტინგენტი, რომელიც ყველაზე მეტად არის დაჩაგრული

**– უბნის მონოპოლიური.**

– დავარქვათ ასე პირობითად, ის ცდილობს, გარკვეული უსაფრთხოების ბალიში ჩადოს, ანუ ფასნამატი ჩადოს არა მდგომარეობის პროპორციულად, არამედ გაცილებით მეტი.

**– მარტივად ვიტყვი, როდესაც 1, 67 იყო დოლარი-ლარის მიმართება, გარიგებები იდებოდა 1,8-ში, როგორც ცნობილია.**

– ეს არის უსაფრთხოების ბალიში და, ფაქტობრივად, იგივე გააკეთა სემეკმა ენერგეტიკოსების მოთხოვნით, როდესაც დენი ერთი მესამედით გააძვირა. სხვათა შორის, ჟურნალისტები და ყველანი ვცოდავთ იმით, რომ ვლაპარაკობთ, თუ რამდენი თეთრით გაძვირდა კილოვატსაათი ელექტროენერგია, თუმცა უნდა ვისაუბროთ, თუ რამდენი პროცენტით გაიზარდა. რადგან დენის ხარჯი და მისი მონაწილეობა ინფლაციის გასაანგარიშებელ კალათაში საკმაოდ მაღალია: 7-8 პროცენტის დონეზეა და იმ 7-8 პროცენტს რომ კიდევ ვაძვირებთ 31 პროცენტით, ეს საკმაოდ სოლიდური მატებაა. და ჩვენს მოსახლეობას, თუ ერთი წლის განმავლობაში არაფერი შეიცვლება, ერთ წელზე გაანგარიშებით, დაახლოებით, 300 მილიონი ლარით მეტის გადახდა მოუწევს მოხმარებულ ელექტროენერგიაში. მართალია, ბოლო კუნძული, კახეთი, ჯერჯერობით ინარჩუნებს თავის პოზიციას, მაგრამ არ მგონია, ამან დიდხანს გასტანოს.

**– თქვენი ვარაუდით, დაეცემა უკანასკნელი ბასტიონი ელექტროენერგიის გაძვირების გზაზე?**

– სამწუხაროდ, დაეცემა, უბრალოდ დროის ამბავია, მაგრამ ეს ელექტროენერგია ცალკე რომ იდგეს და არ ახდენდეს გავლენას ფასებზე…

**– სანამ ელექტროენერგიის საფასურზე გადავალთ, ლარის გაუფასურების ადეკვატურად გაიზარდა ფასები სამომხმარებლო ბაზარზე? იმიტომ რომ ლარის გაუფასურება პირდაპირპროპორციულად არ აისახება ხოლმე პროდუქციის ფასზე, როგორც წესი. თუ ლარი გაუფასურდა 30 პროცენტით, ეს არ ნიშნავს, რომ ფასებიც უნდა გაიზარდოს 30 პროცენტით.**

– თანხვედრა არ ხდება აბსოლუტური საათიაქო სასწორით. თან, გავითვალისწინეთ, რომ ჯერ კიდევ გრძელდება საზაფხულო სეზონი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფასების შემცირება. საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ფასები სეზონური ფაქტორის გავლენით ყალიბდება. ამდენად, მინიმალურია ამ სეზონზე ვალუტის კურსის დაცემა, სხვა თვეებთან შედარებით.

**– ანუ ვალუტის კურსის ვარდნის გავლენაა ფასებზე?**

– დიახ, მაისიდან სექტემბრამდე მინიმალურია ვალუტის ვარდნის გავლენა სამომხმარებლო ფასებზე, თუმცა ის უსაფრთხოების ბალიში, რომელიც ვახსენე, ამ დროსაც მოქმედებს.

**– ელექტროენერგიის ფასის გაზრდა ენერგოკომპანიებმა ლარის გაუფასურების გამო მოითხოვეს და, მართლაც, ელექტროენერგია გაიზარდა იმდენივე პროცენტით, რა პროცენტითაც გაუფასურდა ლარი. ასეთი გაძვირება ადეკვატურია?**

– ქართულ ანდაზეოლოგიაში ვეძებ და მიჭირს შესაფერისის მოძებნა. დაახლოებით, ასეა: ურია წყალს მიჰქონდა და გზაც იქით ჰქონდაო.

**– ან საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი.**

– საბაბს ეძებდნენ და იპოვეს… ფაქტია, რომ გაგვიძვირდა, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება, რომელ კონტინგენტსა და კატეგორიას გაუძვირდა ყველაზე მეტად. ის სამსაფეხურიანი მახინჯი ფორმულა არა პროგრესული, არამედ ფულის ამოღების რეპრესიული ფორმაა. მოსახლეობის ყველაზე ღარიბ კატეგორიას, რომლებიც 101 კილოვატსაათამდე ელექტროენერგიას მოიხმარენ, ტარიფი გაეზარდა 3,5 თეთრით; ყველაზე მაღალი კატეგორიის მომხმარებლებს, ანუ ვინც 301 კილოვატსაათზე მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს თვეში, კილოვატსაათის საფასური გაეზარდათ 3,8 თეთრით და შუა ნაწილი ყველაზე მეტად დაიჩაგრა. არ ვიცი, გამოდგება თუ არა ამ შემთხვევისთვის ცნობილი გამონათქვამი, შუა უნდა გაიკრიფოსო, მაგრამ ფაქტია, რომ მათ 4,5 თეთრით, ანუ ყველაზე მეტად გაეზარდათ ელექტროენერგია.

**– რომ ისინიც 101 კილოვატსაათის მომხმარებელთა რიგებში ჩამოიყვანონ?!**

– საქმე ის არის, რომ საქართველოში ელექტროენერგიის მომხმარებელი, დაახლოებით, მილიონ-ნახევარი აბონენტია, მათ შორის, თბილისში 420 000-ზე მეტი და ყველაზე მრავალრიცხოვანი კონტინგენტია შუა. ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებით, თბილისში, საშუალოდ, 280 კილოვატსაათამდე ელექტროენერგია იხარჯება, რეგიონებში, საშუალოდ, 220-230 კილოვატსაათი და, ფაქტობრივად, გამოდის, რომ ამ ფენიდან მოხდება ყველაზე მეტი თანხის ამოღება. ამის გათვალისწინებით, გაძვირება გაცილებით მეტია, ვიდრე ინფლაციის მაჩვენებელი, იმიტომ რომ, ყველაზე მრავალრიცხოვანი კატეგორიაა საშუალო კონტინგენტი, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაჩაგრულები.

**– ელექტროენერგიის მომხმარებელი საშუალო კონტინგენტის რაოდენობა თითქმის ემთხვევა საშუალო ფენას? მათი ჯიბეების დამძიმება არის სახელმწიფოებრივი ხედვა?**

– მაღალი კორელაცია არსებობს შემოსავლებისა და მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობას შორის, მაგრამ ტოლობის ნიშნის გავლება რთულია.

**– გამოდის, რომ საშუალო კონტინგენტის ნაწილი უნდა ჩამოვიდეს 101 კილოვატსაათამდე ელექტროენერგიის მოხმარების ჯგუფში, სახელმწიფოსთვის რატომ უნდა იყოს ხელსაყრელი საშუალო ფენის დამძიმება? ეს ლოგიკაა გაუგებარი.**

– მახსენდება ის ამბავი, დეკაბრისტები რომ უნდა ჩამოეხრჩოთ პეტრე-პავლეს სიმაგრეში და თოკები ჩამოწყდა, ჩამოხრჩობაც ვერ ისწავლესო. თუ ტარიფების ფასების მომატებაზეა საუბარი, ყველაზე ოპტიმალური იქნებოდა მათი მომატება საზაფხულო სეზონის დაწყებამდე, როდესაც ენერგიის მოხმარება ზოგადად მცირდება და ამიტომ გაძვირებას შედარებით უმტკივნეულოდ აიტანდა მოსახლეობის დიდი ნაწილი. რა თქმა უნდა, მაღალშემოსავლიანი ფენისთვის, რომლებიც ჰაერის კონდიცირების სისტემებს იყენებენ, ზაფხულში დენის მოხმარება არაფრით ჩამოუვარდება ზამთარში მოხმარებას, მაგრამ ეს მაინც ცალკეული შემთხ-

# რა ღირს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის მამის კუთვნილი ფერწერული ტილო და ანტიკვარული კარადა

სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე და საპარლამენტო მდივანი ნოდარ კერესელიძე 1982 წელსაა დაბადებული თბილისში. საბაკალავრო უმაღლესი განათლება 1999-2004 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, სადაც ორ ფაკულტეტზე სწავლობდა და, შესაბამისად, დაეუფლა ორ სპეციალობას – საერთაშორისო სამართალსა და საბანკო და საფინანსო საქმეს. 2005-2006 წლებში დუნაის უნივერსიტეტში მიიღო სამაგისტრო განათლება სპეციალიზაციით – ევროკავშირის სამართალი, პოლიტიკა და ბიზნესი. 2012-2014 წლებში მასაჩუსეტსის უნივერსიტეტში გახდა საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების მაგისტრი. მისი სამუშაო გამოცდილება კი 2004 წლიდან იწყება, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საპარლამენტო სტაჟიორისა, 2005-ში უკვე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების სამმართველოს ატაშედ დაინიშნა; 2006-2007 წლებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მრჩეველთა საბჭოს მკვლევარი იყო; ხოლო 2007-2008 წლებში – ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაციის მკვლევარი (ათენში); იმავე წლებში კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამაგისტრო პროგრამების დირექტორიც გახლდათ. 2008-2009 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩევლის ფუნქციას ასრულებდა; 2009-ში სოფლის მეურნეობის სამინისტროს მარკეტინგული კვლევისა და სტრატეგიული განვითარების სამმართველოს უფროსად დაინიშნა; შემდეგ (2012-წლამდე) იმავე სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსად გადაიყვანეს; 2013 წელს მაკკეინის ინსტიტუტის საერთაშორისო მკვლევრად მუშაობდა, 2013-2014 წლებში – მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის მკვლევრად; 2014 წლის ნოემბრიდან დღემდე კი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილეა.



რაკი ჩინოვნიკური სტაჟი აქვს, ბ-ნი კერესელიძის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2009 წლით თარიღდება, რომელიც მან შეავსო, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მარკეტინგული კვლევისა და სტრატეგიული სამმართველოს უფროსმა და ოჯახის წევრებად მიუთითა მამა – ბატონი დავითი, დედა – ქალბატონი მარინე და ძმა – ივანე. იმხანად ივანე კერესელიძის საკუთრება იყო საცხოვრებელი ბინა აბასთუმანში, დავით კერესელიძის კი – საცხოვრებელი ბინა თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე (170 კვ. მ.) და აგარაკი ტაბახმელაში (მიწის ნაკვეთი 600 კვ. მ., სახლი – 80 კვ. მ.), მასვე ჰყავდა 2007 წლის ავტომანქანა „შევროლე ნივა“. ასევე, მისი საკუთრება იყო 10 000 ლარზე ძვირად ღირებული ფერწერული ტილო და ანტიკვარული კარადა. თუმცა ნოდარ კერესელიძეს ჰქონდა ნაღდი ფული დეკლარაციის შევსების დროს – 5 000 ლარი.

რაც შეეხება შემოსავლებს: 2008 წლის განმავლობაში ნოდარ კერესელიძემ, როგორც მინისტრის მრჩეველმა, 12 000 ლარი აიღო, ხოლო, როგორც კავკასიის უნივერსიტეტის თანამშრომელმა, 3020 ლარი; დავით კერესელიძემ, როგორც თსუ-ის პროფესორმა, 7 200 ლარი, მარინე კერესელიძემ, როგორც სამედიცინო უნივერსიტეტის სპეციალისტმა, 3 600 ლარი, დავით კერესელიძემ, როგორც „ბაგრატიონი 1882-ის“ იმპორტისა და ექსპორტის მენეჯერის თანაშემწემ – 510 ლარი.

ნოდარ კერესელიძის მიერ ბოლოს შევსებული დეკლარაცია 2014 წლით თარიღდება. მისი ოჯახის წევრების ოდენობა უცვლელია; უძრავი ქონების ოდენობაც და ნოდარ კერესელიძესაც კვლავ არაფერი აქვს ქონებრივ ანგარიშზე. რაც შეეხება მოძრავ ქონებას: ივანე კერესელიძის საკუთრებაა 2001 წლის „ფოლკსვაგენ პასატი“, დავით კერესელიძის – 2000 წლის „მერსედესი“, როიალი „პეტროფი“, ვაგნერის ფერწერული ტილო, მარინე კერესელიძე კი ზურაბ ნიჟარაძის ნამუშევრის მფლობელია.

დეკლარაციის შევსების დროს ნაღდი ფული მხოლოდ ნოდარ კერესელიძეს ჰქონდა – 5 000 აშშ დოლარი. რაც შეეხება შემოსავლებს: 2013 წლის განმავლობაში ნოდარ კერესელიძემ, როგორც მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის პროგრამის ასისტენტმა, 5 000 აშშ დოლარი მიიღო; დავით კერესელიძემ, როგორც თსუ-ის პროფესორმა, 19 800 ლარი; მარინე კერესელიძემ, როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპეციალისტმა, 7 200 ლარი; ივანე კერესელიძემ, როგორც „ბაგრატიონი 1882-ის“ მენეჯერმა, 6 000 ლარი, ხოლო, როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საყოველთაო ჯანდაცვის დეპარტამენტის პირველადი დოკუმენტაციის მართვის სამმართველოს უფროსმა სპეციალისტმა, 1 800 ლარი.

**ნინო ხაჩიძე**

---

ვევებია. ყველა დანარჩენისთვის ზაფხულის თვეები გარკვეული შეღავათია და ხარჯებიც ნაკლები აქვთ. ახლა კი გამოვიდა, რომ დაბალშემოსავლიანებს მოუწევთ 4 ლარით მეტის გადახდა თვეში, საშუალო კატეგორიას, დაახლოებით, 8 ლარით მეტის გადახდა და მაღალ კატეგორიას, სულ მცირე, 12 ლარით მეტის გადახდა. მაგრამ დენი ისეთი სამომხმარებლო დოვლათია, რომელიც გავლენას ახდენს აბსოლუტურად ყველა დანარჩენი სამომხმარებლო დოვლათის ფასზე.

**– ანუ ერთია, რომ ფასები იმატებს ლარის გაუფასურების გამო და ამას ემატება ელექტროენერგიის გაძვირების კომპონენტიც.**

– ელექტროენერგიის გაძვირება, დაახლოებით, სამი პროცენტით გაზრდის მოსახლეობის კომუნალურ ხარჯებს. მეორე მხრივ, ავიღოთ ისეთი პროდუქტი, როგორიც პურია: პურის ღირებულებაში ელექტროენერგიას დიდი წილი უჭირავს და მისი გაძვირება გამოიწვევს პურის 7-10 პროცენტით გაძვირებას. ეს მოსახლეობის ერთ სულზე, თვეში, საშუალოდ, გამოდის 1,8-2 ლარი, მთელი ქვეყნის მასშტაბით კი, ერთი წლის განმავლობაში, თუ არაფერი შეიცვალა, 100 მილიონი ლარის დამატებითი ხარჯის გაღებას მოსახლეობის მიერ.

**– ანუ მხოლოდ ელექტროენერგიისა და პურის გაძვირება მოსახლეობის წლიურ ხარჯს, საშუალოდ, 400 000 ლარით გაზრდის.**

– იმ 300 000 მილიონსაც ხომ თავისი ეფექტიანობის საზომი აქვს?! ეს რომ ის თანხა იყოს, რომელიც ინვესტირდება, კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ ელექტროენერგიის ტარიფის ზრდის ფორმულირება იყო შემდეგნაირი: გაზრდილი ხარჯების დასაფარავად. ამდენად, მინიმალურია შანსი, რომ ეს მოსახლეობისგან ამოღებული 300 000 ლარი უკან ჩაბრუნდეს და წაადგეს ელექტროსისტემის გაუმჯობესებას.

**– მხოლოდ პური ვთქვით, მაგრამ მხოლოდ პური ხომ არ არის? სამომხმარებლო ფასების ზრდის გათვალისწინებით რამდენი დამატებითი ხარჯის გაღება მოუწევს მოსახლეობას ყოველთვიურად?**

– მთლიანობაში ჩვენ წლის ბოლოსთვის გვექნება ორნიშნასთან მიახლოებული ან ორნიშნა ინფლაცია, ანუ ფასების ზრდა. 10-პროცენტიანი ინფლაციაც კი გვაძლევს, დაახლოებით, 90 ლარით მეტი ხარჯების გაღებას ყოველთვიურად ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

**– და საიდან უნდა მოიტანოს მოსახლეობამ ეს ფული?**

– წყაროები საკმაოდ დაძაბული და შემცირებულია. მართალია, თითქოს გაიზარდა ქვეყნის შიგნით სამუშაო ადგილების რაოდენობა 40 000-50 000-ით, მაგრამ ამ კვარტალურ ინფორმაციას ძალიან ფრთხილად მოვეკიდებოდი, იმიტომ რომ, აქ დიდ როლს ასრულებს სეზონური ფაქტორი. ამიტომ უნდა ვნახოთ, როგორ სურათს მივიღებთ მთელ წელზე გადაანგარიშებით, იმის გათვალისწინებით, რომ დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა არ იზრდება. მეორე მხრივ, შეგვიმცირდა უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობა. საბერძნეთის ამბავი ცნობილია, რუსეთიდანაც თითქმის განახევრდა შემოსული თანხები და ტენდენცია შენარჩუნდება. საერთო ჯამში, შემოსული თანხა შეგვიმცირდება, სულ მცირე, 350 – 400 მილიონი დოლარით. მაშინ, როდესაც ქვეყანაში ხარჯების გაზრდა მოგვიწევს, სულ მცირე, 400 მილიონი ლარით.

**– მხოლოდ პური რომ მივირთვათ და შუქი ავანთოთ.**

– და ფულადი ტრანზაქციებიც უცხოეთიდან საქართველოში საგრძნობლად მცირდება. ამით სერიოზული პრობლემა ექმნება კეთილდღეობის არსებული დონის შენარჩუნებასაც კი, არ არის ლაპარაკი მის ზრდაზე.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

# რა სიურპრიზი გაუკეთა ქეთა თოფურიას დაბადების დღეზე მეუღლემ და ვინ მოახერხა მისი „ახალ ხმაში" მწვრთნელის რანგში დათანხმება

*რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი ქეთა თოფურია ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობს. ჩვენი რესპონდენტი 9 სექტემბერს 29 წლის გახდა და, ამავე დროს, ამ დღეს ქორწინების 2 წელიც შეუსრულდა. 29-ე დაბადების დღეს მომღერალი სიახლით შეხვდა – მის გვერდით უკვე პატარა ოლივიაა. მიუხედავად ამისა, ქეთა უკვე აქტიურ მუშაობას შეუდგა და „ა სტუდიოსთან" ერთად ახალ რეპერტუარზეც მუშაობს. მალე მას ახალ ამპლუაშიც მოუწევს ყოფნა – ოქტომბერში „იმედის" არხზე ის „ახალი ხმის" ერთ-ერთი მწვრთნელი იქნება.*



**– რამდენიმე დღის წინ 29 წლის გახდი. როგორ აღნიშნე ეს დღე?**

– რატომღაც, არანაირად არ მინდოდა წელს დაბადების დღის აღნიშვნა, ლიოვას კი უნდოდა. მეუბნებოდა, აღვნიშნოთ შენი დაბადების დღე, რომელიც ბავშვის პრეზენტაციასავით გამოვა – შევკრიბოთ ჩვენი ახლობლები და ყველას ერთად ვაჩვენოთ ოლივიაო. მოსკოვში რომ დავბრუნდი, მუშაობა მალევე დავიწყე. 9-ში თავისუფალი დღე მქონდა, ამიტომ, მერჩივნა, დამესვენა და ხალხმრავლობისთვის თავი ამერიდებინა. მინდოდა სახლში, ჩემიანებთან ერთად ვყოფილიყავი. ჩემმა მეუღლემ კი საოცარი სიურპრიზი გამიკეთა.

**– მეუღლემ მართლაც ძალიან მაგარი საჩუქარი გაგიკეთა. იცოდა, ეს მანქანა რომ მოგწონდა თუ საკუთარი გემოვნებით შეარჩია?**

– რომ მომწონდა, იცოდა. ამერიკაში რომ ვიყავით, ნელ-ნელა შემაპარა – არკვევდა, რომელი მანქანა მომწონდა. პრინციპში, ყოველთვის ვხვდები ხოლმე მის ჩანაფიქრს, მაგრამ, ამჯერად ისე ებრაულად შემიყვანა, მართლა ვერ მივხვდი.

**– შენი რეაქცია როგორი იყო?**

– მშვენიერი რეაქცია მქონდა. მართლა ძალიან გამიხარდა, რადგან, არ მოველოდი. გაიხედე იქითო, მითხრა. გავიხედე და პირველი რეაქცია იყო: ვაა, ყოჩაღ, ქმარო-მეთქი.

**– 9 სექტემბერს ქორწინების 2 წელიც შეგისრულდათ.**

– პრინციპში, მე და ლიოვა უკვე ექვსწელიწადნახევარია, ერთად ვართ, მაგრამ ოფიციალური ქორწინებიდან 2 წელი შეგვისრულდა.

**– ოლივიაზე რას გვეტყვი, როგორი გოგოა?**

– ოლივია ძალიან წყნარი, მშვიდი, ჭკვიანი და, არანაირად რომ არ გაწუხებს, ისეთი ბავშვია. გამიმართლა.

**– ვის ჰგავს?**

– მე თუ მკითხავ, მამამისის ასლია, მაგრამ, ყველა მეუბნება, რომ შენ გგავსო.

**– გამომდინარე იქიდან, რომ უამრავი საქმე გაქვს, ოლივიას გაზრდას მარტო ნამდვილად ვერ შეძლებ. ვინ გეხმარება?**

– რა თქმა უნდა, ჩემს შემთხვევაში ეს შეუძლებელია. დედა და ძიძა მეხმარებიან.

**– ნატა როგორი ბებიაა?**

– ამბობს, არ მეგონა, ჩემს შვილზე მეტად ვინმე თუ შემიყვარდებოდაო.

**– ორსულობის შემდეგ ფორმაში სწრაფად ჩადექი. პრინციპში, წონაში დიდად არც იყავი მომატებული.**

– მეც ასე მეგონა, რომ ძალიან არ ვიყავი გასუქებული, მაგრამ, სასწორზე რომ დავდექი, აღმოჩნდა რომ 18 კილო მოვიმატე. რომ გითხრა, ძალიან მეტყობოდა-მეთქი, არა. არც განსაკუთრებული დიეტა დამიცავს მშობიარობის შემდეგ, თითქოს თავისით დავიკელი. ბოლოს, ზედმეტი წონა რომ მომეშორებინა, სწორად კვება დავიწყე. ამ ეტაპზე 3 კილო მაქვს ზედმეტი, რომელიც, მინდა, რომ დავიკლო, მაგრამ დიეტაზე არ ვარ.

**– ოლივიას დაბადებას როგორ შეხვდა ლიოვას უფროსი ქალიშვილი?**

– ძალიან ელოდებოდა დაიკოს დაბადებას. სახელებს ვარჩევდით და ძალიან ჩართული იყო ამ პროცესში. ამბობს, ერთი სული მაქვს, ცოტა როდის გაიზრდება, რაღაცეები რომ ვასწავლოო.

**– ფოტოებზე, რომლებსაც „ინსტაგრამზე" აქვეყნებ, ოლივიას არსად არ უჩანს სახე. როდის გეგმავ საზოგადოებას წარუდგინო?**

– ვფიქრობ, ჯერ ამისთვის ძალიან პატარაა და ამ ეტაპზე არ მინდა. ცოტა რომ წამოიზრდება, მერე აუცილებლად ვანახვებ საზოგადოებას.

**– ფოტოებზე გამახსენდა: როგორც ვიცი „ფეისბუქით" არ სარგებლობ, თუმცა, შენი სახელითა და გვარით უამრავი გვერდია გახსნილი და შენი ფოტოებიც ძალიან სწრაფად იდება.**



– „ფეისბუქის" გვერდი ადრე მქონდა, მაგრამ იმით დიდი ხანია, აღარ ვსარგებლობ. ფოტოებს რაც შეეხება, ალბათ, „ინსტაგრამიდან" იღებენ და იმას დებენ. ყოველ შემთხვევაში, მე არ ვათავსებ ამ ფოტოებს „ფეისბუქის" გვერდზე. ერთადერთი, რისი მომხმარებელიც ვარ, „ინსტაგრამია."

**– ქართული „ახალი ხმის" ერთ-ერთი მწვრთნელი იქნები. შენს სამსახურთან ერთად ამ ყველაფერს როგორ მოახერხებ?**

– გამომდინარე იქიდან, რომ მოკლე ხნით ჩამოვალ ხოლმე, გადაღებებიც ისე დავგეგმეთ, რომ ყველასთვის კომფორტული იყოს. ჩამოვფრინდები – გავფრინდები, ბავშვს დიდი ხნით ვერ ვტოვებ. ორსულობის შემდეგ გამიჩნდა „ჩუვსტვო ტრევოგი" – სახლიდან რომ გავდივარ, სულ იმას ვფიქრობ, უკან როდის დავბრუნდები.

**– რა პრინციპით შეაფასებ „ახალი ხმის"**

**ქრონიკული ალკოჰოლიზმისა და სიგარეტზე დამოკიდებულებისგან განკურნება**

მცენარეული, მაღალეფექტური, უსაფრთხო საშუალებით სისხლის, ღვიძლის, ფილტვების გაწმენდა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, აგრესიულობის, „პახმელიის", „ზაპოისა" და ღვიძლის სხვადასხვა გართულების მკურნალობა.

ალკოჰოლიზმის შემთხვევაში, ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენაზის გამომუშავებითა და მინერალური ბალანსის შევსებით, ალკოჰოლდამოკიდებულების აბსოლუტური მოხსნა.

**599-65-43-66, 558-20-31-35 ნინო ექიმი**

# სტომატოლოგიური კლინიკა „დენტოკლუბი“

## რა არის პოპულარული კლინიკის ექსკლუზივი და როგორ გახადა „მხიარულმა გაზმა“ სტომატოლოგთან ვიზიტი კომფორტული

*სტომატოლოგიური კლინიკა „დენტოკლუბს,” რომელიც გახსნისთანავე გახდა პოპულარული, არსებობის ხუთი წლის ისტორია აქვს. ეს არის გამორჩეული კლინიკა, რომლის სახელთან დაკავშირებულია ბევრი საინტერესო ნოვაციის დანერგვა საქართველოში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „დენტოკლუბი” ქართულ სტომატოლოგიაში მაღალ სტანდარტთან, უსაფრთხო მომსახურებასა და პაციენტებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებასთან ასოცირდება. ეს კი იწვევს დიდ ნდობას როგორც ქართულ სამედიცინო სივრცეში, ასევე მათში, ვინც ერთხელ მაინც გამხდარა ამ მყუდრო და სასიამოვნო გარემოს სტუმარი.*

*„დენტოკლუბი” მულტიპროფილური სტომატოლოგიური კლინიკაა, რომელიც ყველა ასაკის პაციენტს, მათ შორის ბავშვებს, სთავაზობს სტომატოლოგიური მომსახურების სრულ სპექტრს – თერაპიაში, ქირურგიაში, ორთოპედიაში, ორთოდონტიაში. „დენტოკლუბი” – ეს არის უმაღლესი ტექნოლოგიები პაციენტისთვის, ადგილი, სადაც მისვლამდე ვერც კი წარმოიდგენთ, თუ როგორი კომფორტული შეიძლება იყოს ვიზიტი სტომატოლოგთან. მომსახურების რა პაკეტს სთავაზობს კლინიკა პაციენტებს, ამის შესახებ კლინიკის გენერალურ დირექტორს, ირინა ჩემიას გავესაუბრეთ.*




**ირინა ჩემია**: კლინიკის გახსნიდან დღემდე არ შეცვლილა ჩვენი კლინიკის მთავარი მიზანი – მაქსიმალურად კომფორტულ გარემოში საუკეთესო მომსახურება შევთავაზოთ ჩვენს პაციენტებს. ამისთვის მუშაობს მთელი ჩვენი გუნდი. კლინიკა დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალი ექიმებით, რომლებიც მუდმივად გადიან სტაჟირებას ევროპის კლინიკებში. ამ ხუთი წლის განმავლობაში არაერთხელ განვაახლეთ სამედიცინო აპარატურა, რომლითაც სრულდება სხვადასხვა სახის მანიპულაცია. დღეს კლინიკა აღჭურვილია ფინური კომპანიის აპარატურით. PLANMECA-PROMAX 3D აპარატი საშუალებას გვაძლევს, შემოგთავაზოთ სრულყოფილი და მაღალკვალიფიციური კომპიუტერული დიაგნოსტიკა. ეს აპარატი სპეციალური რეჟიმებით მუშაობს, გამოირჩევა მინიმალური დასხივებით და იძლევა უზუსტეს სურათს, რის გამოც მისი გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებთან და ორსულებთან.



**– დღეს აქტუალური გახდა უსაფრთხო სტომატოლოგიური მომსახურება, როგორც ცნობილია, ამ მხრივ განსაკუთრებული სტანდარტი გაქვთ.**

– ჰიგიენური ნორმების დაცვას აქ გამორჩეული ყურადღება ეთმობა. ყოველი ინსტრუმენტი სტერილიზაციის რამდენიმე ეტაპს გადის. ინსტრუმენტები ქიმიურად, თერმულად და მაღალი წნევის ქვეშ მუშავდება. ჩვენ გვაქვს ყველაზე თანამედროვე სასტერილიზაციო აპარატურა, რომელიც მუშაობს ავტომატიზებულ რეჟიმში, რაც აბსოლუტურად გამორიცხავს ყველა რისკს. ჩვენთან მკურნალობა მიმდინარეობს ინდივიდუალურ კაბინეტებში. თითოეული კაბინეტი ყოველი პაციენტის მიღების შემდეგ მუშავდება სპეციალური სადეზინფექციო ხსნარებით.

**– იმ ნოვაციების შესახებ მინდა გკითხოთ, რაც მუდმივად ინერგება თქვენს კლინიკაში.**

– „დენტოკლუბი” მუდმივად ცდილობს, მაქსიმალურად ფეხი აუწყოს მსოფლიოს თანამედროვე მიღწევებს. საქართველოში პირველმა დანერგა დიოდური ლაზერის გამოყენება სტომატოლოგიაში. „დენტოკლუბს” უდიდესი გამოცდილება და საუკეთესო შედეგები აქვს ღრძილების, ტუჩის ჰერპესის მკურნალობისა და უსისხლო ქირურგიული ოპერაციების ჩატარებისას. ჩვენთან დაინერგა ნარკოზით სტომატოლოგიური მკურნალობა. „მხიარული გაზით“ და ზოგადი ანესთეზიით მკურნალობა „დენტოკლუბის” ექსკლუზიური მომსახურებაა, რაც მრავალწლიანი მუშაობისა და ბევრი ბარიერის გადალახვის შედეგად მოვახერხეთ. მას ბევრი უპირატესობა აქვს, ყველაზე მთავარი არის ის, რომ ამ მეთოდის გამოყენებისას სტომატოლოგთან ვიზიტის შიში, დაძაბულობა და სტრესი სრულიად მოხსნილია. მისი გამოყენება რეკომენდებულია 5-6 წლის ასაკიდან. შესაბამისად, ამ მეთოდს ძალიან ბევრი მშობელი მოუთმენლად ელოდა. მოგეხსენებათ, ჩვენს კლინიკაში ბავშვთა განყოფილება სრული დატვირთვით მუშაობს. ბავშვებისთვის განსაკუთრებით მზრუნველი გარემოა შექმნილი. ეს მეთოდი საუკეთესო გამოსავალია სტომატოლოგთან ვიზიტის შიშის მქონე არა მხოლოდ ბავშვების, არამედ ზრდასრული პაციენტებისთვისაც. ნარკოზით მკურნალობა განსაკუთრებით ეფექტური და გამართლებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პაციენტებისთვის.

კლინიკაში პრიორიტეტულია დენტალური იმპლანტაცია და ორთოპედიული მკურნალობა. სერტიფიცირებული იმპლანტების ფართო არჩევანი გვაქვს. ორთოპედიული მკურნალობისას ვიყენებთ სხვადასხვა მასალის ხელოვნურ გვირგვინებს და კონსტრუქციებს. ვმუშაობთ ცერეკის უახლესი ტექნოლოგიით, ბოლო მოდელის აპარატურით, რომლის მეშვეობითაც, პრაქტიკულად, რამდენიმე საათშია შესაძლებელი 100 პროცენტით მოუგვარდეს პაციენტს პრობლემა და მოწესრიგდეს ვიზუალური მხარე. ცერეკის მრავალ უპირატესობათა შორის, ერთ-ერთია პაციენტის მონაწილეობა კბილის ფორმისა და ფერის შერჩევაში. პაციენტს აქვს შესაძლებლობა, თვალი ადევნოს კომპიუტერული მოდელირების პროცესს. ცერეკის შესაძლებლობები შეუზღუდავია.

**– მომსახურების რა პაკეტს სთავაზობთ პაციენტებს?**

– ჩვენი მომსახურებით სარგებლობა შეუძლია ყველას. მაქსიმალურად ვცდილობთ, გავითვალისწინოთ არსებული რეალობა და პაციენტებს შევთავაზოთ მათთვის ხელსაყრელი პაკეტი და პირობები. ვთანამშრომლობთ წამყვან კერძო სადაზღვევო კომპანიებთან. პაციენტები სარგებლობენ უპროცენტო განვადებით. კლინიკას აქვს ბინაზე გამოძახების სერვისიც. გამოძახების ბრიგადა აღჭურვილია პორტატული რენტგენოგრაფითა და ბორმანქანით.

**დეტალური ინფორმაციისთვის დარეკეთ: 2141814.**
**მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზ №14 ა.**
**ვებ-გვერდი: www.dentoclub.ge**

**თამუნა ჩხენკელი**

---

**მონაწილეებს?**

– ჩემთვის მთავარია, ჰქონდეს ლამაზი ხმის ტემბრი და სიმღერის გემოვნება.

**– ადვილად მოახერხეს შენი ამ პროექტით დაინტერესება?**

– მოლაპარაკება და შემოთავაზება დიდხანს მიდიოდა. გამომდინარე იქიდან, რომ მე აქ (მოსკოვში) მაქვს ძალიან ბევრი საქმე, რთული იყო გადაწყვეტილების მიღება. „იმედის” გადაცემებიდან რამდენი შემოთავაზებაც მქონია, ვერასდროს შევძელი დათანხმება, ამ შემთხვევაში კი, ალბათ, იმდენად მობილიზებული ჯგუფი მუშაობს „ახალ ხმაზე,” მოახერხეს და „შემაბეს”.

**– ვინ მოახერხა შენი დათანხმება?**

– მოლაპარაკებები ნატო დუმბაძის საშუალებით ხდებოდა – ნატო მირეკავდა და ის მეკონტაქტებოდა, რადგან, პრინციპში, ჩემი წარმომადგენელი საქართველოში ის არის. ნატომ ზუსტად იცის, რა მინდა, რა მიყვარს, რა არის სწორი და რა არა. ისე გააკეთა ყველაფერი, რომ „იმედისგანაც” ზუსტად გაწერილი შემოთავაზება მივიღე.

**– ნატო დუმბაძე საკმაოდ ფეხბედნიერია შენთვის.**

– რა თქმა უნდა. ნატო რომ არა, დღეს მოსკოვში არ ვიქნებოდი.

**მარიკა ხიდურელი**

---

## ნანა კახნიაშვილის გახსენება



ღიმილით დადიოდი. მუდამ ღიმილით ლაპარაკობდი. თავზარდამცემი იყო შენი სიკვდილი... ცრემლი ვერ ანელებს ტკივილს, რომელმაც უკვე ფესვები გაიდგა ყველა იმ ადამიანის გულში, ვინც გიცნობდა, ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც შეხვედრიხარ, გასაუბრებიხარ... ასე გვგონია, დრო ამ ტკივილს მხოლოდ გაამძაფრებს...

ლამაზ, კეთილშობილ, სიყვარულითა და სიკეთით სავსე ქალბატონს ყოველთვის გქონდა სათქმელი შენი ახლობლებისა და მოსწავლეებისთვის. გამოცდილი პროფესიონალი, ადამიანურობის, კაცთმოყვარეობის, ჰარმონიულობის მაგალითი იყავი მუდამ.

წარსულმა დაგისაკუთრა, მაგრამ, ის სითბო, რომელიც დატოვე, ყოველთვის დაგაკავშირებს მომავალთან. არ მოშუშდება იარა და არ შეშრება მონატრების ცრემლი. ცხოვრება გაგრძელდება და ნანა კახნიაშვილის დატოვებული სიკეთე ამქვეყნად მის საყვარელ ადამიანებს ყოფას გაუადვილებს...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული...

**„რა არ გადამხდენია და რა არ მინახავს. თქვენ რა იცით, თქვენ რა იცით, ვინა ვარ!“ – გახსოვთ ეს სიმღერა ანსამბლ „ივერიის“ რეპერტუარიდან?..“ – ამბობს ჟურნალისტი, იუმორისტი მწერალი და ბიოენერგოთერაპევტი თამაზ ჭეიშვილი. 90-იან წლებში ის ტელეეთერით თავს უყრიდა ყველას, ვისაც მისი ტელეპათიური სეანსები ესაჭიროებოდა. ზოგს სწამდა მისი ძალის ზემოქმედების, ზოგს – არა, მაგრამ მთავარი არსი ამ სეანსებისა და ექიმი თერაპევტის მიზანიც ის იყო, რომ მაქსიმალური ზემოქმედება მოეხდინა დანევროზებულ მასაზე, რომელიც თავისთავად მისი მუდმივი „კლიენტი“ იქნებოდა. ბატონი თამაზი მალევე გაქრა ეკრანებიდან. მრავალი წელი ოჯახით უცხოეთში იმყოფებოდა. ამჟამად საქართველოშია და ტელეკომპანია „ობიექტივზე“ საავტორო გადაცემა „ექსტრაორდინარული“ მიჰყავს. რა იყო ეს სეანსები რეალურად, ვინ შარლატანობდა და რა ისტორიები გადახდენია თავს, ამაზე თავად გვიამბობს. ის იმდენად საინტერესო ადამიანია, მასთან ნებისმიერ თემაზე საუბრის შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვა, მაგრამ დანარჩენზე სხვა დროს.**

# როგორ გახდა თამაზ ჭეიშვილი „ფეისბუქის“ დამაარსებლის, მარკ ცუკერბერგის მამა

**– ბატონო თამაზ, თქვენს ფეისგვერდს ვათვალიერებდი და სააკაშვილთან გადაღებულ ერთ ძალიან ძველ ფოტოს წავაწყდი. როგორც ჩანს, ერთმანეთის დიდი ხნის ნაცნობები ხართ.**

– ეგ ფოტო გადაღებულია გაზეთ „შანსის“ რედაქციაში, 1994 წელს. მე გადავიღე. მაშინ რედაქტორის მოადგილე ვიყავი. მთავარი რედაქტორი ბონდო ქურდაძე იყო. ვიდრე „ნიანგში“ დავიწყებდი მუშაობას, „საქინფორმის“ ფოტოქრონიკის ფოტოკორი ვიყავი და თან, ვილებდი. სხვათა შორის, „შანსის“ 500 000 ტირაჟი ორ დღეში იყიდებოდა. ერთხელ, მიშა ავატირე. მთელი ორი აბზაცი ამოვუგდე, კინაღამ გაგიჟდა! მიშაც და სანდრაც შტატგარეშე იყვნენ ჩემთან.

კიდევ მაქვს ერთი ფოტო, მიშა რომ ველარ გავაგდეთ რედაქციიდან. თანამშრომელი გოგოს დაბადების დღე იყო და ისე დათვრა, სკამიდან ვერ დგებოდა.

**– 90-იან წლებში პროფკავშირების სახლში და ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში აწყობდით სამკურნალო სეანსებს. მახსოვს, ბევრი ხალხი იკრიბებოდა, მერე ყველა ერთად ითენთებოდა და ითიშებოდა. რა იყო ეს სინამდვილეში?**


ერთხელ მიშა ავატირე – მთელი ორი აბზაცი ამოვუგდე და კინაღამ გაგიჟდა! მიშაც და სანდრაც შტატგარეშე იყვნენ ჩემთან

– მე ვიყავი პირველი საბჭოთა ექსტრასენსი, ვინც რუსული ცენტრალური არხის პირდაპირი ეთერით ჩაატარა მასობრივი სამკურნალო სეანსი, მაშინდელი სუპერპოპულარული გადაცემა „ვზგლიადის“ ეგიდით. გადაცემა მიჰყავდა ვლად ლისტევს და მუკუსეევს. ეს იყო ნამდვილი სენსაცია 1988 წლის ოქტომბერში, „ოსტანკინოს“ ანძის დარბაზში. რაც შეეხება ხალხის მოთენთვას, თავის ტრიალს, ხელების ქნევას და ასე შემდეგ. ასეთი რამეები ხდებოდა სპონტანურად და ეს არის მასობრივი ფსიქოზის ნაწილი...

**– ფსიქოზი?.. და სად შეიყარა კი მაგრამ ამდენი ნევროზიანი ერთად. საიდან გაქვთ ეს უნარი, ბატონო თამაზ?**

– ბავშვობაში წინასწარ ვგრძნობდი, როდის გამიძახებდა მასწავლებელი, როგორი ამინდი იქნებოდა და ასე შემდეგ. მაშინ მეგონა, ყველას ჰქონდა ეს უნარი, მაგრამ რომ გავიზარდე, კიდევ უფრო უცნაური რალაცეები დამეწყო. კედლის იქეთ ვხედავდი შავთეთრად, როგორც ნეგატივს. ძალიან განვიცდიდი. მშობლებმა ცნობილ ფსიქიატრ მაკარიძესთან წამიყვანეს და როცა ვუთხარი, ახლახან იქითა ოთახში ბავშვი მაგიდაზე აძვრა-მეთქი, უცებ გაიქცა იმ ოთახში და ფერდაკარგული დაბრუნდა

**– თქვენ, აბა, ნათელმხილველიც ყოფილხართ.**

– ალბათ, ესეც არის. აი, ჩემს მერე დაიწყო კაშპიროვსკისა და ჩუმაკის „ეპოქა“. ჩუმაკი მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიყვანე, ცენტრალურ ტელევიზიაში მუშაობდა და პირდაპირ ეთერში სამკურნალო სეანსი ჩაატარა.

**– თბილისში ლაპარაკობდნენ, რომ ეგენი აფერისტები, ანუ შარლატანები იყვნენ.**

– არა, შარლატანი არცერთი არ ყოფილა. არც ჯუნა, სხვათა შორის. ეს არის ადამიანის მასებზე ზემოქმედების რეალური უნარი, რასაც ტელეეთერი უფრო აძლიერებს. მეორე საკითხია დასაშვებია თუ არა ასეთი სეანსების ჩატარება.

**– და არის ასეთი სეანსების ჩატარება დასაშვები?**

– ჩემი აზრით, არა. ამიტომ, დროზე დავანებე თავი ტელეეკრანიდან ზემოქმედებას. ასევე, უარი ვთქვი დარბაზებზე. მოხდა ისე, რომ მომიწია მუშაობა იმ მეცნიერებთან, რომლებიც ასეთ არაორდინარულ მოვლენებს შეისწავლიდნენ და ბევრი ახალი და საჭირო შევიტყვე მათგან.

**– ანუ, მოერიდეთ იმას, რომ თქვენზეც არ ეთქვათ, აფერისტიაო. მაგრამ, იცით, რომ თქვენზეც ამბობდნენ ამას?**

– შეიძლება, ჩემზეც ამბობდნენ აფერისტიაო, აბა, მე რა ვიცი, მაგრამ დღედას გეფიცებით, არ ვარ აფერისტი. ამ 35 წლის განმავლობაში, ასობით ადამიანი მოვარჩინე! იმათთვის, ვისაც ვუშველე, „ღმერთი ვარ“, ვინც ვერ მოვარჩინე, შეიძლება – აფერისტი. თავი დავანებე მასებზე მუშაობას, ჯგუფურ სეანსებს, მით უმეტეს, კიდევ ვიმეორებ, ტელეეკრანიდან ზემოქმედებას! რატომ, იცით? ძნელია, აკონტროლო ამხელა მასა, ძნელია აკონტროლო ეკრანის წინ მჯდომი ათიათასობით ადამიანი! დარბაზის კონტროლიც ძნელია, ამიტომ დავანებე, თორემ ინდივიდუალურად ვინც მოდის ჩემთან, თუ ჩემი პაციენტია, ვმკურნალობ.

**შამპანურით დავთვერი და ამ ამბის კულმინაცია ის არის, რომ მილიონერ დონალდ ტრამპს „ქართული დავუჭირე“ – ჰონორარზე უარი ვუთხარი**

**– კარგი. ახლა სხვა რამეზეც ვისაუბროთ.**

– მე და ლია მიქაძე საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა ინდოეთში გასამგზავრებელი დელეგაციის სიაში ჩაგვწერა. ჯერ მოსკოვში წავედით მატარებლით. ვწევარ კუპეში. თვალები დახუჭული მაქვს. უცებ, „შავ ეკრანზე.“ ვხედავ ძალიან მდიდრულ ჰოლს, უშველებელი ჭაღით ჭერზე. ჰოლის შუაში შადრევანითა და ლამაზი კიბეებით. კუთხეში, თეთრ როილათან ზის შავ სმოკინგში გამოწყობილი კაცი და უკრავს. წამოვხტი, ეს ყველაფერი დავხატე ქაღალდზე და ლიამ შეინახა. როცა დელიში სასტუმროში მიგვიყვანეს, ზუსტად იმ ჰოლში მოვხვდით, რომელიც მატარებელში ვნახე. ლიამ ნახატი ამოიღო და კინაღამ დაეცა.

**– მოდი, სიცილსა და ფსიქიატრიას შორის კავშირზე ვისაუბროთ – აი, ისეთ სიცილზე, არანორმალურს რომ ვეძახით.**

– საერთოდ იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის! ისე კი, ძალიან სერიოზული და რთული საქმეა იუმორი – თან, დეფიციტი. დამისახელეთ თუნდაც ერთი იუმორისტი მწერალი – ცოცხალი, რა თქმა უნდა.

**– ჰელერს თუ იცნობთ, საგნებს რომ გადააადგილებს?**

– ჰელერი მსოფლიოში ერთადერთი ადამიანია, რომელიც გარკვეული მანძილიდან, აზრის ზემოქმედებით, ღუნავს ლითონის საგნებს. მან მეცნიერ ფიზიკოსთა და ათასობით ადამიანთა თვალწინ, გააჩერა ლონდონის მთავარი საათი „ბიგ ბენი.“ გააჩერა აზრით, დისტანციურად. ამ ექსპერიმენტში 10 ცნობილი მეცნიერი მონაწილეობდა.

მოსკოვში, 80-იან წლებში ისეთ მეცნიერთან მომიწია მუშაობა, როგორიც იყო იური კობზარევი, რადიოლოკაციის მამა. ახლა რომ დავიწყო ყველაფრის მოყოლა, ჟურნალი კი არა, კილომეტრიანი ავტობანი არ ეყოფა. ამოუხსნელი, არაორდინარული მოვლენები არსებობს. ბევრი მეცნიერულად ახსნილია, მაგრამ ამ მოვლენების ირგვლივ ბევრი „ფოკუსნიკი“ და შარლატანი იყრის თავს.

**– და მეც მაგაზე გეკითხებოდით წეღან, არა არაო, რომ ამბობთ. ბავშვობის მერე გქონიათ ფსიქიატრთან ურთიერთობა, მაგალითად – ავლიპთან?**

– ავლიპი ნამდვილი გენიოსი იყო. შევარდნაძე ახალი დანიშნულია და დაიწყო ბრძოლა „ნეგატიური მოვლენების“ წინააღმდეგ. პარტიის ცეკამ მიიღო დადგენილება: ვისაც ორი აგარაკი აქვს, ერთი ჩამოერთვას. მოკლედ ჩამოართვეს აგარაკები მწერლებს, მეცნიერებს... შევარდნაძემ იკითხა - ავლიპს რატომ არ ჩამოართვითო. ვერ გავუბედეთ ამბროსიევიჩ, მსოფლიო დონის მეცნიერია და ქვეყანას შეატყობინებენ ჟურნალისტებიო. კარგი, მე დავურეკავო. ურეკავს. მოკლედ, უთხრა, რომ ერთი აგარაკი სახელმწიფოს უნდა ჩააბაროთ, ამხანაგო ავლიპიო. პაუზა და ავლიპი პასუხობს: ყმაწვილო, თქვენ ჩემი პაციენტი ხომ არ იყავით ოდესღაც? კულტურულად უთხრა შენ გიჟი ხომ არა ხარო?

**(გაგრძელება 27-ე გვერდზე)**

**მამუკა ჩარკვიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მთელი საქართველო წუხდა; ნაცნობი თუ უცნობი – ყველა მის დახმარებას ცდილობდა. აღსანიშნავია მარათონი, რომელიც მომღერლის მკურნალობის დასაფინანსებლად უნდა გამართულიყო – ძალიან ბევრი იყო დახმარების მსურველი... ბატონი მამუკა უკვე ათი დღეა, თბილისშია და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც სტაბილურია. ჩვენ დავუკავშირდით მომღერლის დას, თაკო ჩარკვიანს, რომელმაც გვიამბო, თუ რა რთული პერიოდის გადატანა მოუწია მთელ ოჯახს.**

# როგორ გრძნობს თავს მამუკა ჩარკვიანი თვენახევრიანი ოპერაციების შემდეგ და ვინ უსმენდა მის „გავაზაფხულოს" ავსტრიაში

**– როგორ ჩაიარა ოპერაციებმა, რაიმე გართულება ხომ არ ყოფილა?**

– ყველაფერმა კარგად ჩაიარა, თვე-ნახევრის განმავლობაში რვა ძალიან სერიოზული ოპერაცია გაკეთდა ავსტრიაში. არანაირი გართულება არ ყოფილა და ეს ყველაფერი ბატონი სოსო ნანობაშვილის დამსახურებაა, რომელმაც მოჰკიდა მამუკას ხელი და სიცოცხლე შეუნარჩუნა. ბატონმა სოსომ რამდენიმე ექიმთან ერთად უხელმძღვანელა ამ ყველაფერს და შესანიშნავად გააკეთა თავისი საქმე. მამუკას ძვლის ტვინში ჰქონდა ბაქტერია, რომელიც დათრგუნეს. ახლა რეაბილიტაციის კურსს გადის. ათი დღეა, რაც თბილისში ჩამოვიდა და ბევრად უკეთ გრძნობს თავს, ხასიათზეც მოვიდა.

**– რთული პერიოდის გადატანა მოგიწიათ; იმასაც კი ამბობდნენ, რომ ფეხის ამპუტაცია იყო საჭირო.**

– ურთულესი იყო ეს ყველაფერი ჩვენთვისაც და, მამუკასთვის – მით უმეტეს. ჩვენ ისე წავედით ავსტრიაში, რომ გადარჩენის ერთ პროცენტსაც ვერ გვაძლევდნენ დაიმედებით – ამ ერთ პროცენტზეც ალბათობით ლაპარაკობდნენ, მაგრამ, სხვა გზა არ გვქონდა, უნდა გაგვეკეთებინა ოპერაცია, რადგან უმძიმეს მდგომარეობაში იყო მამუკა. საქართველოში რომ ვერ დაადგინეს, რა სჭირდა, აუცილებლად ფეხის ამპუტაციას ითხოვდნენ. ბატონი სოსოს შესახებ ინფორმაცია თავად მოვიძიეთ. ეს ადამიანი დიდი ხანია, ავსტრიაში მოღვაწეობს დავუკავშირდით და გადავუგზავნეთ ყველაფერი, რაც მოითხოვეს. ფეხის ფოტო რომ მივეცით, გაგიჟდნენ, ეს იყო საოცრება – შეუხორცებელი ჰქონდა ყველა ის წერტილი, სადაც აპარატი ჩაუდგამთ, აპარატის ჩადგმა კი იგივე ოპერაციაა.

**– საკამოდ სოლიდურ თანხაზე იყო საუბარი. მართალია, რომ ბატონმა ჯანსულმა ამ საკითხზე პრემიერს დაურეკა?**

– ეს ყველაფერი ძალიან დიდ ფინანსებთან იყო დაკავშირებული, რომლის გადახდის არანაირი საშუალება არ გაგვაჩნდა. სამეგობროში მაშინვე ითქვა მარათონის შესახებ, რომელსაც ცალკე აღვნიშნავ. ვიდრე მარათონი დაიწყებოდა, რამდენიმე დღით ადრე, ჯანსულმა დარეკა პრემიერთან და ესაუბრა პრესსამსახურის წარმომადგენელს – აუხსნა ჩვენი მდგომარეობა და იკითხა, რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო. აქ იმდენად დიდ თანხაზე იყო საუბარი, ვერავის მოსთხოვდი და დაავალდებულებდი. თან, იცით რაში იყო სირთულე? ეს მომაკვდინებელი ჩხირი, რომელიც ძვლის ტვინში ამოიჩეკა, (ეგრეთ წოდებული „ბაუმანის ჩხირი"), უკვე ხახაში იმყოფებოდა, რაც ნიშნავდა, რომ მამუკა მომაკვდავ მდგომარეობაში იყო. მართალია, ლაპარაკობდა და სრულ გონებაზე იყო, მაგრამ ორგანიზმში უძლიერესი ინტოქსიკაცია მიდიოდა. 40 ჰქონდა სიცხე. რამდენიმე დღეში დარეკეს პრემიერის აპარატიდან და გვითხრეს, რომ ბატონი ირაკლი, ჯანდაცვის სამინისტროსთან და მერიასთან ერთად, საკუთარ თავზე იღებდა დაფინანსების საკითხს. მოკლედ, ასე წავედით ავსტრიაში. იქ ძალიან დაგვეხმარა ავსტრიის ელჩი კოტე ზალდასტანიშვილი – მან, ფაქტობრივად ერთ დღეში მოგვიგვარა ყველაფერი. ახლა აუცილებლად უნდა შევეხო მარათონის თემას: როდესაც მამუკას მდგომარეობის შესახებ გაიგეს, მაშინვე დამირეკა ეკა ხოფერიამ, თუმცა, ისე მოხდა, რომ „იმედი" მარათონს ცოტა მოგვიანებით აკეთებდა, ჩვენ კი ძალიან გვაგვიანდებოდა, საათებზე ვიყავით დამოკიდებული და რამდენიმე დღე წყვეტდა ყველაფერს. პირადად მე ვესაუბრე ნიკა გვარამიას და ვუთხარი, რაც ხდებოდა ჩვენს თავს. მიპასუხა, რომ მაშინვე მივსულიყავი „რუსთავი 2-ში". ზუსტად 15-20 წუთში ნანუკა ჟორჟოლიანმაც დამირეკა – ჩვენმა ჯგუფმა უკვე დაიწყო მარათონის აწყობა და ყველაფერი კარგად იქნებაო. მთელი ქალაქი, მთელი ესტრადა იდგა ჩვენ გვერდით, ერთი წუთითაც არ მოგვცილებია არავინ. ამ დროს რა ხდებოდა ჩვენთან, ვერ გეტყვით, გადაჭარბების ხარისხში არ ვამბობ, ასეთი სიყვარული არ მინახავს; ვილაცეები რეკავდნენ, სად დავრიცხოთ თანხაო და სასწრაფოდ ითხოვდნენ ანგარიშის ნომერს. ჩვენ დაბნეულები ვიყავით, ისიც არ ვიცოდით, რა გვეპასუხა. ეს ყველაფერი მერე ნანუკამ მოაწესრიგა. „რუსთავი 2-მა" გააკეთა საოცრება – ოთხ საათში მთელი მარათონი ჰქონდათ აწყობილი. ამისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მთელ ამ ტელევიზიას და მათ კოლექტივს. თუმცა, საბოლოოდ აღარ დაგვჭირდა ეს ყოველივე, რადგან, ძალიან მალე შეგვატყობინეს პრემიერის გადაწყვეტილებაც, რაც სასიხარულო იყო ყველასთვის. „რუსთავი 2-მა" იმავე წამს გაასაჯაროვა ეს ინფორმაცია და, მერწმუნეთ, აქ არ ყოფილა არანაირი პოლიტიკური აქტივობა.



**ფეხის ფოტო რომ მივეცით, გაგიჟდნენ, ეს იყო საოცრება – შეუხორცებელი ჰქონდა ყველა ის წერტილი, სადაც აპარატი ჩაუდგამთ**

**– თავად მამუკამ თუ იცოდა თავისი რეალური მდგომარეობა?**

– მამუკამ იცოდა, რომ ფეხის ამპუტაციის ალბათობაზე იყო საუბარი, თუმცა, ამდენად მძიმე თუ იყო მდგომარეობა, წარმოდგენა არ ჰქონდა. იმედი არ არსებობდა და რა უნდა გვეთქვა. სიცოცხლის გარანტიას ვინ მოგვცემდა, ისეთი სიტუაცია იყო. ფეხი თუ შეუნარჩუნდებოდა, სიზმრადაც ვერ ვნახავდით. პირველი ოპერაციის შემდეგ მე და ირმა, მამუკას მეუღლე, ვიყავით მასთან და, როგორც კი გაიღვიძა, თვალები რომ გაახილა, პირველად ის გვკითხა, ფეხი მაქვსო? გაქვს-მეთქი. ამას ვერავინ წარმოიდგენდა. ძალიან გაწვალდა, ბევრი ტანჯვა გამოიარა, ასეთ დასუსტებულ ორგანიზმზე თვე-ნახევრის განმავლობაში რვა ოპერაცია გაიკეთა. ამ გაწამაწიის მიუხედავად, ავსტრიაში იყო ერთი ძალიან კარგი მომენტი: ერთხელაც, შევდივარ საორდინატოროში და რაღაც ნაცნობი ხმა მესმის; გავიხედე და – იქაური ექიმები უსმენენ მამუკას „გავაზაფხულოს". ეს ბატონი სოსოს დამსახურებაა – „ფლეშკით" მიუწოდებია მათთვის სიმღერები. ბოლო ხმაზე ჰქონდათ გერმანელ ექიმებს აწეული და უსმენდნენ. ეს ძალიან გულის ამაჩუყებელი და მნიშვნელოვანი მომენტი იყო ჩემთვის და, მამუკასთვის ხომ – საერთოდ. უცებ შევედი პალატაში და მამუკას ვეუბნები: შენ არ გესმის, მაგრამ, შენს სიმღერებს მთელი საავადმყოფო უსმენს-მეთქი, ისევ გავედი, ეს ყველაფერი გადავიღე მობილურით და ვაყურებინე. გაგიჟდა სიხარულისგან – მუსიკას ხომ ეროვნება არ აქვს.

**– ახლა როგორ გრძნობს თავს?**

– ახლა მშვენივრად არის, ბრძოლისუნარიანობა და ყველაფერი დაუბრუნდა. მის ოპერაციებს ავსტრიაში ერთი ქართველი, ძალიან მაგარი ექიმი თეიმურაზ კოპაძე ესწრებოდა, რომელიც, საბედნიეროდ, ახლა საქართველოშია და ის უკეთებს გადახვევებს. ორჯერ უკვე თავისი ეტლით გავიდა მამუკა გადახვევებზე. 10 ოქტომბერს სურათი უნდა გადავუგზავნოთ და იმის მიხედვით დაგვინიშნავენ მკურნალობის გაგრძელებას. ამ ეტაპზე ჯერჯერობით არ შეუძლია ფეხის დადგმა. საერთოდ, თვითონ ძალიან გამძლე ადამიანია და დაბრკოლებებს არ უშინდება, მაგრამ, ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში დაიტანჯა.

**– ალბათ, მალე ისევ შეძლებს მსმენელის გახარებას. უკვე ხომ არ გეგმავს რამეს?**

– ვიცი, რომ ცოცხალ ბენდთან ერთად უნდა ძალიან კონცერტის გაკეთება. 24 აგვისტოს იყო მისი კონცერტი დაგეგმილი 60 წლის იუბილის აღსანიშნავად, თუმცა, ამ ყველაფრის გამო გადაიდო.

***P.S. ჩვენ დავუკავშირდით ბატონ მამუკას, მაგრამ, მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ შეძლო საუბარი, მხოლოდ ის გვითხრა, რომ აუცილებლად აპირებს „გაზაფხულებას" და მადლობის გადახდას პრემიერისთვის, ბიძინა ივანიშვილისთვისა და, საერთოდ, მთელი საქართველოსათვის.***

**ეთო ხურციძე**

**18 ივლისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნარკოტიკების შემოტანის ფაქტზე აეროპორტში კახა მამულაშვილი, იგივე მამულიჩა დააკავეს. ამ ამბავმა ხალხის აზრი ორად გაყო: საზოგადოების ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ ეს აბსურდი იყო, მეორე კი – პირიქით. მოკლედ, ამ დღეს მამულიჩას ამბავმა ყველა პოლიტიკური ამბავი დაჩრდილა და თბილისს ახალი სასაუბრო თემა მისცა. ორ თვეში კი, 9 სექტემბერს, თითქოსდა მივიწყებული ამბავი კვლავ აქტუალური გახდა: 15 000 ლარი გირაოს სანაცვლოდ სასამართლომ კახა მამულაშვილი დარბაზიდან გაათავისუფლა. ამ დღეს ინტერნეტ სივრცეში ბევრ დადებითსა და ბევრსაც უარყოფითს ამოიკითხავდით. რაც შეეხება მამულიჩას პასუხს ამ ყველაფერზე, მან ერთ სტატუსში გააერთიანა და „ფეისბუქის” საკუთარ გვერდზე მიმართა ყველას, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყებოდა: „ჩემო მეგობრებო, ნაცნობებო, უცნობებო! ჩემი ოჯახი, ჩემი ქვეყანა და, საერთოდ, მეგობრობა – ჩემი ყველაზე მთავარი ნარკოტიკია...”**

**ინტერვიუ კახა მამულაშვილთან, იგივე მამულიჩასთან, გვიან ღამით ჩავწერეთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მასთან მეგობრების სტუმრობა მთელი დღის განმავლობაში არ წყდებოდა.**

# როგორ ღადაობდნენ მამულიჩაზე პატიმრები ციხეში

**– მამულიჩ, ეს ორი თვე შენთვის, დარწმუნებული ვარ, დაუვიწყარი იყო.**

– ხომ ამბობენ, ყველაფერი შეიძლება მოხდესო. რაღა მე მეტაკა ეს ყველაფერი, ვერ მივხვდი. არა, რა, მარტო გასაშვები მართლა არსად არ ვარ. სიმართლე გითხრა, ძალიან მიხარია, ამდენ ხალხს რომ ვყვარებივარ, თუმცა, ისეთებიც გამოჩნდნენ, ვინც უარყოფითად იყო განწყობილი, ოღონდ არ ვიცი, რატომ. მთელი ცხოვრება ასე ვცხოვრობ. შეცდომები როგორ არ დამიშვია, მაგრამ არც ჩემი სიტყვით და არც ჩემი საქმით არავისთვის დისკომფორტი არ შემიქმნია – როგორც ნაცნობებისთვის, ასევე უცნობებისთვის. ჩემი ცხოვრების წესი არასოდეს არ ყოფილა დამალული და ვერც იქნებოდა ჩემი საქმიდან გამომდინარე. ჩემმა მეგობრებმა და ყველამ კარგად იციან, რა შეხება შეიძლება მქონოდა ნარკოტიკთან. ვიღაც-ვიღაცეებზე კი მწყდება გული, მაგრამ, რას ვიზამ, ყველას თავისი ცხოვრება აქვს და თავისი გზით იარონ. რაც მთავარია, ბევრი გულშემატკივარი მყავს და ამით ვარ ძალიან ბედნიერი კაცი. რა გითხრა, დამნაშავე ვარ, დასახვრეტი...

**– როცა დაგიჭირეს, განსაკუთრებით იმ ფაქტით დარჩა ყველა გაოგნებული, როცა გაჟღერდა ინფორმაცია, რომ კოკაინის ზემოქმედების ქვეშ იყავი. გაკვირვების მიზეზი კი ის იყო, რომ ყველამ იცის: მამულიჩა არც სვამს, არც სიგარეტს ეწევა და არც ნარკოტიკს ეკარება.**

– ჰოდა, ეგ არის, საერთოდ არ ვსვამ, არ ვეწევი და, მოკლედ „პენალტი დავარტყი.”



**– პრესაში აჟიოტაჟი ატეხა იმ ფაქტმაც, რომ პროცესი ერთ დარბაზში უნდა გამართულიყო, მაგრამ სხვა დარბაზში გაიმართა, ჟურნალისტებმა და ახლობლებმა კი მხოლოდ მას შემდეგ შეიტყვეს გამართული პროცესისა და გირაოთი გათავისუფლებული მამულიჩას შესახებ, როცა ეზოში დაგინახეს, მანქანაში როგორ ჯდებოდი. ასე რატომ მოხდა?**

– როგორც ადვოკატმა მითხრა, იმ დარბაზში, სადაც პროცესი უნდა გამართულიყო, მიკროფონი გაუფუჭდათ და ამიტომ მეორე დარბაზში გადამიყვანეს.

**– ყველა თუ არ გიცნობს, გცნობს მაინც. როგორ შეგხვდნენ იქ, სადაც ბოლო ორი თვე გაატარე?**

– სხვათა შორის კარგად. ძალიან ბევრი ნაცნობიც იჯდა. რა თქმა უნდა, ადამიანისთვის ციხეში ჯდომა იგივეა, ცხოველი გალიაში რომ ჩასვა, თან, ჩემნაირი აქტიური ტიპისთვის. ერთ ადგილას ჯდომა არასდროს შემეძლო. იქაც გიჟივით ვიყავი, სულ დავდიოდი. პატიმრები ღადაობდნენ ჩემზე – ვენტილატორი აღარ მოგვიტანოთ, მამულიჩა იმდენს დადისო.

**– მართალია, შენს ამბავს ბევრი განიცდიდა, მაგრამ, ყველაზე მეტად ეს ლელას შეეხო.**

– რა თქმა უნდა. დღეს ვამბობდი, ლელას მართლა უკეთესი მამულიჩა ეკუთვნის-მეთქი. არ მინდოდა, ასეთი რაღაც მომხდარიყო, მაგრამ, რას ვიზამ, სამწუხაროდ, მოხდა.

**– როცა ერთ-ერთ საიტზე ლელას პირველი კომენტარი დაიდო, ამასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა უამრავი ადამიანისგან. ლელამ თქვა, რომ სხვა კახა მამულაშვილი იყო დაკავებული, შენ კი უცხოეთში იმყოფებოდი იმ მომენტში.**

– მაგ დროს ჩამოვფრინდი უცხოეთიდან. ლელამ არ იცოდა და ვერც წარმოედგინა, რომ დაკავებული მე ვიყავი. ფაქტი ერთია: მოულოდნელად ყველას ძალიან დიდი დისკომფორტი შევუქმენი, რასაც ძალიან განვიცდი.

**– 15 000 ლარის სანაცვლოდ გირაოთი გაგათავისუფლეს, რასაც ასევე ცუდი კომენტარები მოჰყვა – თანხა ეცოტავათ. კანონი ერთი უნდა იყოს ყველასთვის.**

– 15 000 ლარი ვინმეს ცოტა თუ ჰგონია,

## პროცესები გრძელდება. რა იქნება, კაცმა არ იცის

არ ვიცი. დღესდღეობით სასამართლოც არ დამთავრებულა, პროცესები გრძელდება. რა იქნება, კაცმა არ იცის. კანონი დავარღვიე და დავისაჯე. რატომ გამოგიშვესო. არასდროს არავისთვის მიკითხავს იგივე რამ და არ გამხარებია სხვისი ცუდი. ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, როგორიც ყველაა. ვიღაცას ჰგონია, რომ არასამართლიანი იყო ჩემი გირაოთი გამოშვება, ზოგს – პირიქით. არასდროს ჩემი პრობლემა სხვისთვის არ მომიხვევია, ჩემთვის ვიყავი. ყოველთვის ვცდილობდით მეც და ჩემი ოჯახიც, საჭირო დროს გვერდით დავდგომოდით ადამიანებს. ბევრი კარგი საქმე გაგვიკეთებია და არასდროს არ გვისაუბრია ამაზე სახალხოდ. კიდევ ერთხელ ვამბობ: არასოდეს გამხარებია სხვისი ცუდად ყოფნა და არასდროს ცილი არ დამიწამებია სხვისთვის. ყველა ადამიანი თავისებურია. ცხოვრება გრძელდება.

**– ალბათ, ენით აუწერელი შოკი იყო, როცა გააანალიზე, რა ხდებოდა შენს თავს.**

– ხომ იცი, უშნოდ რომ ხარ ატეხილი ხოლმე, მაგის ბრალია ძირითადად. საკუთარ თავზე მეტად ლელაზე, ოჯახის დანარჩენ წევრებზე და მეგობრებზე ვნერვიულობდი. ჩემს საქციელს გამართლება არ აქვს. გული მწყდება, რომ ვანერვიულე ის ხალხი, ვისაც ვუყვარვარ და ვისაც გული შესტკივა ჩემზე. ძალიან ბევრია ასეთი და მიხარია, რომ გვერდით ამდენი კარგი ადამიანი მყავს. ცუდის თქმასა და დაწერაზე ადვილი არაფერია. არავის არაფერს არ ვაბრალებ და არც პრეტენზია მაქვს ვისნმესთან. ყველას თავისი სიმართლე და ცხოვრება აქვს.

**– ახლა რას აპირებ?**

– ძალიან ბევრი საქმე გვაქვს. იცი, რომ უსაქმური არასდროს ვყოფილვარ. ჯერჯერობით გარეთ ვარ, ჩემს ოჯახთან და მეგობრებთან ერთად. რაც გამოვედი, უამრავი მეგობარი მოდის ჩემს სანახავად. ასეთ დროს, ხომ იცი, ყველაფერი კარგად ჩანს – კარგიც და ცუდიც. როცა ასეთი პრობლემა გაქვს, იმასაც უნდა მიხვდე, რომ ვიღაცეები ცუდსაც დაწერენ და იფიქრებენ შენზე – რეალობა ესაა. რა თქმა უნდა, მარტო იმიტომ ვარ დამნაშავე, რომ ზოგ-ზოგიერთებს სალაპარაკო მივეცი. შეიძლება, ბევრი რამის თქმა მინდოდეს, მაგრამ, სანამ სასამართლო არ დამთავრდება, ჯერჯერობით თავს შევიკავებ.

**მარიკა ხიდურელი**

# რა მოიფიქრეს ბერასთან ერთად GDS-ის თანამშრომლებმა და როგორ გადმოიბირეს მათ დუტა და ვასიკო ოდიშვილი თავიანთ არხზე

*GDS-მა ახალი სატელევიზიო სეზონი ბევრი ძალიან კარგი სიახლით დაიწყო: ორი ახალი კომედიური სერიალის – რუსული „სამზარეულოს" ქართული ანალოგისა და „ცოლებისა და ქმრების" ნახვა 14 სექტემბრიდან შეგეძლებათ. გარდა ამისა, ყველა სულმოუთქმელად ელოდება „ტიფლისის" მეორე სეზონს... აღნიშნული სერიალიდან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ქართულ ტელეკომპანიებს შორის GDS უკონკურენტოა ამ კუთხით. უფრო დაწვრილებით ახალი სატელევიზიო ეთერისა და პროგრამების შესახებ GDS-ის დირექტორს, ჯაბა მელქაძეს ვესაუბრეთ.*



**– ამჯერად რას სთავაზობთ ახალ სეზონზე მაყურებელს?**

– ბევრი სიახლე გვაქვს, მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ავირჩიეთ ერთი ნიშა, რომელიც არავის ჰქონდა ქართული ტელეკომპანიებიდან, თუმცა, ეს არჩევანი მხოლოდ ამიტომ არ გაგვიკეთებია; უბრალოდ, სერიალების კუთხით ჩვენმა რამდენიმე ექსპერიმენტმა გაამართლა და დაგვანახვა, რომ შეგვწევს ძალა, დავამზადოთ ხარისხიანი პროდუქტი. თან, ყოველივე ამაზე დიდი დრო არ დაგვიკარგავს და 14 სექტემბრიდან ვიწყებთ ახალ სატელევიზიო სეზონს. ვფიქრობთ, დიდ მოწონებას დაიმსახურებს ჩვენი არჩევანი.

**– ვიცი, რომ ორი კომედიის გადაღება დაიწყეთ, რომელთაგან ერთი – რუსული „მზარეულების" მსგავსია. უფრო ვრცლად გვესაუბრეთ ამ და სხვა სერიალებისა თუ პროგრამების შესახებ.**

– დიახ, სერიალი „მზარეულები", რომლის გადაღებები უკვე დაწყებულია და ახალ სეზონზე იხილავს საზოგადოება, რუსული წარმატებული ფორმატია, რომელიც ჩვენ ოფიციალურად შევიძინეთ. პირადად მე, მთავარი პერსონაჟიდან გამომდინარე მომეწონა სცენარი და ვიფიქრე, რომ ქართული ვერსიაც კარგი იქნებოდა, თუმცა, არა რესტორნის თემის გამო. რუსული „სამზარეულოს" მთავარი პერსონაჟი ჰგავს ქართველს – ძალიან ქარიზმატულია, ბუზღუნა და ცუდ სიტყვებსაც ხშირად ამბობს ***(იცინის),*** თუმცა, ოქროს ხელები აქვს და ღვთაებრივ საჭმელებს ამზადებს. აქედან გამომდინარე, ჩავთვალე, რომ ეს ფორმატი იმუშავებდა ქართულ ბაზარზე და ქართველი მაყურებელიც შეიყვარებდა. ასევე, ჩვენს არხზე კიდევ ერთი სერიალი იქნება კომედიის ჟანრში – „ცოლები და ქმრები", რომელიც ჩვენი ორიგინალია. მთავარი თემა აქ ორი მეზობელი ოჯახის ურთიერთობაა. ერთი ოჯახი ახალი შექმნილია, ახალ ბინაში ცხოვრობს და ჰგონია, რომ მთელი ცხოვრება დაბრკოლებების გარეშე ჩაივლის; მეორე – დაღვინებული, გამოცდილი ოჯახია და მათ კარგად იციან, რომ თანაცხოვრებას ბევრი სირთულე მოაქვს ***(იცინის).*** მოკლედ, ორივე სერიალი არის დიდი კომედია და თითოეული ცალ-ცალკე 22 წუთს მოიცავს. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ერთი ერთკამერიანია, ანუ, უფრო კინოპრინციპითაა გადაღებული, ხოლო მეორე – ერთი ლოკაცია და რამდენიმე კამერას მოუწია მასზე მუშაობა. ორივე ძალიან სასაცილოა, ენდეთ ჩემს სიტყვებს ***(იცინის).*** ახალი სეზონი იქნება სასაცილოც და სერიოზულიც. გვაქვს ჩვენი 44-წუთიანი დრამა, რომლის ირგვლივაც გავაერთიანეთ ყველა ჩვენი ორიგინალი და დავარქვით „ორიგინალური ქართული დრამა". ვიდეორგოლებიც გავაკეთეთ ყოველივე ამის აფიშირებისთვის. ორშაბათსა და სამშაბათს იქნება ქართული დრამის დღეები. სეზონი დავიწყეთ „ტიფლისით", ოღონდ, პირველი სეზონის გამეორებით; შვიდი კვირის შემდეგ კი დაიწყება ახალი სეზონი. ანალოგიური ვითარებაა „პარადოქსთან" დაკავშირებითაც. რაც შეეხება „ქერჩს", იგივე „დაკარგულ გმირებს", ესეც ამ სეზონისთვის გვაქვს შემონახული, უბრალოდ, პროგრამირების გამო ოდნავ გვიან შევთავაზებთ მაყურებელს – დაახლოებით ნოემბრის დასასრულს.

**– „მზარეულებში" დუტა თამაშობს მთავარ პერსონაჟს, ოღონდ თავისივე სახელითა და გვარით, ანუ, ეს კონცეფციაც არ შეცვალეთ. რატომ?**

– იმით დავიწყებ, რომ ფილმის რეჟისორი არის ირაკლი ჩხიკვაძე და ბევრი კარგი მსახიობი მონაწილეობს, როგორც ცნობილი, ასევე უცნობიც. დუტა იმიტომ შევარჩიეთ მთავარ როლზე, რომ, ფორმატიდან გამომდინარე, ზუსტად შეესაბამებოდა მის გმირს. ჩვენ შეგვეძლო, სცენარი შეგვეცვალა და დუტას პერსონაჟიც გადაგვეკეთებინა, მაგრამ, ვინაიდან საქართველოში გვყავდა დუტა, ყველაფერი უცვლელი დავტოვეთ. რაც შეეხება მის სახელს, რუსულ „სამზარეულოშიც" მთავარი პერსონაჟი საკუთარი სახელითა და გვარით თამაშობს, ამიტომ, ეს კონცეფციაც არ შევცვალეთ. ალბათ,

> **თავიდანვე გადავწყვიტეთ, რომ რაღაც დოზით შეგვეტანა უცენზურო სიტყვები – ასე რომ არ გაგვეკეთებინა, სცენარი დაზარალდებოდა**

საზოგადოებას გაახარებს ზუკა პაპუაშვილის დაბრუნება ეთერში, რომელიც დიდი ხანია არსად გვინახავს, ჩვენ კი მას დიდი სიხარულითა და სიყვარულით შევთავაზებთ მაყურებელს. ზუკა თამაშობს ძალიან მაგარ პერსონაჟს – გია ბუჩუკურს.

**– „მზარეულების" რუსულ ფორმატში არის ძალიან ბევრი უცენზურო სიტყვა და თამამი სცენები; ქართულ ვერსიაში ეს საკითხიც არ შეცვლილა?**

– ჩვენ ძალიან ბევრი ვიფიქრეთ ამ თემაზე. რუსული ენა ბევრ შესაძლებლობას გაძლევს ამ თვალსაზრისით, ანუ, ერთ ცუდ სიტყვას შეიძლება რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს და იმდენად ცუდად არ ჟღერდეს, ქართულში კი ამის ფუფუნება არ გვაქვს ***(იცინის).*** თუ ცუდია სიტყვა, ესე იგი, ცუდია, ნაკლებად ცუდი არ მოგვეპოვება. თავიდანვე გადავწყვიტეთ, რომ რაღაც დოზით შეგვეტანა უცენზურო სიტყვები – ასე რომ არ გაგვეკეთებინა, სცენარი დაზარალდებოდა. არის სცენები, როცა უნდა გაბრაზდეს პერსონაჟი, შეიგინოს, ვიღაცას შეურაცხყოფა მიაყენოს. ყოველივე ეს კი ცენზურის დაცვით არ გამოვა. აქედან გამომდინარე, შევარჩიეთ სიტყვების ჩამონათვალი, რომლებიც საზოგადოებისთვის კატასტროფა არ იქნება. ჩვენ ვზრუნავთ მაყურებელზე – ეს არის კომედია და თავისუფლად შეგეძლებათ, ბავშვებთან ერთად უყუროთ. რაც შეეხება თამამ სცენებს, რუსულ ვარიანტში ეს ძალიან ორგანულია, იმდენად ბუნებრივი, რომ სიუჟეტს სჭირდება. შესაბამისად, ისევ ფორმატიდან რომ არ ამოვვარდეთ, ჩვენს „მზარეულებშიც" ნახავთ თამამ სცენებს, თუმცა, არა იმავე დოზით. ამ სერიალის მთავარი პლუსი ის არის, რომ ძალიან სასაცილოა, და არა ის, რომ ბევრი თამამი სცენა იქნება.

**– გოგონები როგორ დაითანხმეთ მსგავს სცენებზე?**

– ზუსტად იმ განწყობით, რაზეც ვილაპარაკე. ეს არ არის რაღაც განსაკუთრებული და ზღვარს გადასული, ყველაფერი ჯდება კომედიის ჩარჩოებში და არ არის ეროტიკა ან პორნოგრაფია. თამამი სცენები იქნება იმ დოზით, რა დოზითაც საჭიროა.

**– რამდენად ჩართულია ახალი სატელევიზიო ეთერის საქმიანობაში ბერა?**

– ბერა არის მფლობელი და, კონცეფციით დაწყებული, ნებისმიერი პროდუქტის საქმის კურშია. როგორც ბერა, ასევე ჩვენც, თითოეული თანამშრომელი, დარწმუნებულები ვართ იმაში, რომ ეს მიმართულება გაამართლებს. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს სფერო არ იყო განვითარებული. შოუები, ტელევიზიები განვითარდნენ, თუმცა არავინ აქცევდა ყურადღებას სერიალს. სწორედ ბერასთან ერთად მოვიფიქრეთ ეს ყველაფერი და ვთქვით, რომ ამ კუთხით წავსულიყავი. ის, რაც ქართველ მაყურებელს არ ჰქონდა, ახლა მიეცემა. ჩვენ ვაბრუნებთ ქართველ გმირებს – ეს კიდევ ერთი ნაბიჯია კინოინდუსტრიისკენ.

**– ალბათ, გადაღებების პროცესიც ძალიან სახალისოა.**

– თითქმის ყველა გადაღებას ვესწრები და სულ სიცილი მესმის. კამერასთან თავს იკავებენ, მაგრამ, როგორც კი დუბლი დასრულდება, ხარხარებენ ***(იცინის).*** შესაბამისად, ეს განწყობა ედება ყველას – კადრშიც ხვდება და სცენაზეც მოქმედებს.

**– დუტა და ვასიკო როგორ გადმოიბირეთ თქვენს ტელევიზიაში?**

– არავინ გადმოგვიბირებია. ისინი თავისუფალი მსახიობები არიან და დუტამ, როგორც მსახიობმა დაიწყო ჩვენთან თანამშრომლობა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა არხის სახეა. ასევეა ვასიკოც, რომელსაც ერთ-ერთი მთავარი როლი აქვს „ცოლებსა და ქმრებში" და „ქერჩშიც" მონაწილეობს. ჩვენ არავის არ ვუწევთ ამ ეტაპზე კონკურენციას, მით უმეტეს – მსახიობების კუთხით. ჩვენნაირი პროდუქტი არცერთ კომპანიას არ აქვს, თუმცა, ნამდვილად გაგვიხარდება, თუ მოგვბაძავენ და დაიწყებენ სერიალების გადაღებას. ამ ნაბიჯით იმ სფეროს ავამუშავებთ ერთად, რომელიც დავიწყებას იყო მიცემული.

**ეთო ხურციძე**

**დღეს ძალიან ბევრი საკითხისადმი არასწორი დამოკიდებულება ჩამოგვიყალიბდა. უმნიშვნელო წვრილმანებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, იმას კი, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი სულის, ხორცისა და ცხოვრებისთვის, არაფრად მივიჩნევთ და ზოგჯერ მის შესახებ წარმოდგენაც არ გვაქვს. ამ ყველაფრის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# ეკრძალებათ თუ არა ქალებს შარვლის ჩაცმა და საჭიროა თუ არა ბავშვის ტაძარში სიარული და ხშირი ზიარება

– ზოგიერთი ქრისტიანი შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ შუა წირვაზე მოდის, ბავშვები მოჰყავს, აზიარებს, სეფისკვერს აიღებს და მიდის – ამით შემოიფარგლება მისი ქრისტიანობა, რაც არაფერს ნიშნავს. ბავშვები წმინდანი, ანგელოზები არიან და მათ ხშირი ზიარება არც სჭირდებათ, ზრდასრულ ადამიანებს კი ხშირი აღსარება და ზიარება ესაჭიროებათ. ამიტომ, თავს ნუ მოიტყუებთ, რომ იყავით ეკლესიაში, სეფისკვერი აიღეთ, მრევლი დაათვალიერეთ და მერე წახვედით გასართობად. ყოველი დღე და წუთი ნაყოფიერად უნდა გაატაროთ.

**– დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ადამიანების ჩაცმულობაზე, განსაკუთრებით კი ეკლესიაში ქალების შარვლით სიარულის შესახებ. საინტერესოა თქვენი, როგორც მოძღვრის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.**



დღეს სიყვარულსაც არავინ აქცევს ყურადღებას – რაღა დროს სიყვარულია, ვიღას უყვარს დღეს გოგო, მთავარია, მას სექსუალურად კარგად შეეწყოს

– დღეს ბევრი ქალბატონი თუ გოგონა სახლიდან ისეთი ჩაცმული გამოდის, ყველაფერი უჩანს. სამწუხაროდ, ქალისთვისაც და კაცისთვისაც სულერთი გახდა, რა აცვია და როგორ აცვია. დააკვირდით ახალგაზრდა ბიჭებს, როგორ აცვიათ, ლამის შარვალი ჩასძვრეთ; ისე აცვიათ, უკნიდან რომ შეხედავ, ვერ მიხვდები, კაცია თუ ქალი. ძველ აღთქმაში, „სიბრძნე ზირაქისაში“ წერია: სამი რამ ამხელს ადამიანს: სამოსელი, სიარული და სიცილი. ამიტომ, დააკვირდი საკუთარ თავს – როგორ გაცვია, როგორც იცინი და როგორ დადიხარ. შეიძლება, ფიქრობ, რომ გულში ქრისტე გყავს, მაგრამ, როგორ გყავს ქრისტე, როდესაც ასეთი ჩაცმული დადიხარ და შენი ჩაცმულობით სხვებს აგდებ ცოდვაში?! ვიღაც იფიქრებს: კარგი, მამაო, რომელ საუკუნეში ხართ, იმდენი რამ ხდება, რა დროს ჩაცმულობაზე ლაპარაკიაო. სიმართლე გითხრათ, მე თანახმა ვარ, ქალმა ჩაიცვას შარვალი – ხომ არსებობს ქალის შარვლებიც. შეიძლება, ჩაიცვა ქალის შარვალი, მაგრამ, არა ისეთი, რომ ყველაფერი გემჩნეოდეს. თუმცა, შეიძლება, კაბა გეცვას და ისე საშინლად გამოიყურებოდე, ჯობია, შარვალი ჩაიცვა. კდემამოსილად უნდა ეცვას ადამიანს.

**– სადმე წერია შარვლის აკრძალვის შესახებ?**

– სჯულის კანონში არსად არ წერია, რომ ქალმა შარვალი არ უნდა ჩაიცვას. წერია: მამაკაცის სამოსს ნუ ჩაიცვამს ქალი. საუკუნეების წინ ჩამოყალიბდა სექტა, რომლის წევრი ქალებიც იცვამდნენ მამაკაცის სამოსს, იპარებოდნენ საკურთხეველში და ემსახურებოდნენ ღმერთს, რაც არ შეიძლებოდა. როდესაც ეს სიტყვები დაიწერა, მაშინ ადამიანებს ეცვათ კვართი, მის შიგნით კი – ზოგს კაცის სამოსი, ზოგს – ქალის. ეკლესია გაფრთხილებთ, რომ ჩაიცვათ კდემამოსილად. ეკლესიაში რომ მოდიხართ, ისე არ უნდა გეცვათ, რომ თქვენ გიყურებდნენ და არა ხატებს. შარვალსაც რომ ჩაიცვამთ, ისიც ისეთი უნდა იყოს, რომ ყველაფერი არ გემჩნეოდეთ, როგორც ქალს, ასევე კაცს. ვიღაცამ შეიძლება თქვას, მამა გიორგი შარვლით სიარულს აკანონებსო. მე მხოლოდ ერთს გეუბნებით: იარეთ კდემამოსილად, მოწესრიგებულად ჩაცმულებმა.

**– დღეს ერთმანეთს ძალიან ადვილად ვაძლევთ დაპირებებს, რომლებსაც არასდროს ვასრულებთ და ადამიანების სიტყვების დაჯერება ძალიან რთული გახდა.**

– განსაკუთრებით მთავრობის წევრები იქცევიან ასე – რამდენი დაპირება, სიცრუე მოდის მათგან!.. ნეტარი ავგუსტინე, ჰიპონიის ეპისკოპოსი მეოთხე საუკუნეში, ამბობს: თუ მთავრობის წევრები იტყუებიან და ცრუობენ, ეს არის ავაზაკთა დიდი ჯგუფი. რატომ – დიდი ჯგუფი? იმიტომ, რომ მცირე ავაზაკთა ჯგუფები ორლობებში დაიპარებიან, დიდი ბანდები კი ხელისუფლებაში არიან. თუ გპირდებიან და არ აკეთებენ, მათი ღირსება არის ნული. გპირდები არჩევნების წინ და, რა ხდება მერე? რა თქმა უნდა, არანაირი დაპირება არ სრულდება. არჩევნების წინ ფეხქვეშ რომ გეგებოდნენ, ახლა ზემოდან დაგყურებენ და გეუბნებიან, შენ არაფერი გესმის, მისთვის შენ არარაობა ხარ. სამწუხაროდ, ხშირად ესენი არიან ახალგაზრდა გოგო-ბიჭები, რომლებსაც ქვეყანა და ხალხი საერთოდ აღარ აინტერესებთ.

**არაერთხელ მითქვამს, რომ „ჯვრის აყრა“ ეს მოგონილი ტერმინია, არ ხდება ასეთი რამ**

**– დღეს ქალებიც და კაცებიც ნაკლებად ფიქრობენ ოჯახის შექმნაზე.**

– მართალია. სერბეთის ძალიან ღირსეული პატრიარქი, რომელიც გასულ საუკუნეში ცხოვრობდა, ამბობდა ასეთ რამეს: „როცა სერბეთში ალბანელი მრავლდება და ჰყავს 5-6 შვილი, სერბს კი – 1-2 შვილი, სერბების მიწას ღმერთი გადასცემს ალბანელებს.“ საქართველოში ასე არ არის? ყველაზე ცოტა შვილი საქართველოში ქართულ ოჯახებშია. რატომ ვერ ნახულობენ ახალგაზრდები მოსაწონ გოგონებს, როგორ შეიძლება, ყველა ცუდი იყოს ან შეუხედავი? ან, შენ ვინ ხარ, რომ ასე ფიქრობ და ამბობ, რომ შენი მოსაწონი არავინ დაიბადა? თავად დაფიქრდი: რას წარმოადგენ, ვინ ხარ? გოგონები ხშირად ამბობენ – რა ვქნა, არ მოვწონვარო. თუ კარგი გოგო ნახე, მიდი და მოიყვანე ცოლად. ახლა, სამწუხაროდ, იმას კითხულობენ: მამას აქვს თუ არა ფული, რა მანქანას აჩუქებს სიმამრი და ასე შემდეგ. არავის არ უნდა, თავი შეიწუხოს და ამ ყველაფრის გამო ცოტა ხანში საქართველოში ქართველები უმცირესობაში ვიქნებით – ამის ნიშნები უკვე არსებობს. დღეს სიყვარულსაც აღარავინ აქცევს ყურადღებას – რაღა დროს სიყვარულია, ვიღას უყვარს დღეს გოგო, მთავარია, მას სექსუალურად კარგად შეეწყოს. გაუაზრებლად იქმნება ოჯახები: არა უშავს, პირველი თუ არ გაგიმართლა, მეორე ან მესამე გაგიმართლებს საპატრიარქოში იმ ადამიანების რიგი დგას, ვისაც მეორედ, მესამედ სურთ ქორწინება. უკვე მაგიური დამოკიდებულება აქვთ ამ ყველაფრის მიმართ – ეკლესია უნდათ იმისთვის, რომ დაიწერონ ჯვარი, მონათლონ ბავშვი და მერე ჯვარი აიყარონ. არაერთხელ მითქვამს, რომ „ჯვრის აყრა“ მოგონილი ტერმინია, არ ხდება ასეთი რამ. უბრალოდ, თუ რაღაც მოხდა, დაშორდი მეუღლეს და მეორედ გინდა დაოჯახება, მიდი ქორეპისკოპოსთან და მას სთხოვე კურთხევა მეორედ ქორწინებაზე – ის გაძლევს ამის უფლებას.

**– დღეს მოკრძალებაც და მორცხვობაც ჩამორჩენილობად ითვლება.**

– დიახ, სამწუხაროდ, ასეა – მორცხვი ხარ – ესე იგი, ჩამორჩენილი ხარ. გოგონას კაბა თუ აუფრიალდება და გაწითლდება, ეუბნებიან: კარგი რა, არ გრცხვენია? გაიხედე, ვიღას აცვია ასე... სექსი როგორ არ უნდა გქონდეს ქორწილამდე – არ უნდა გაიგო, შენი პარტნიორი როგორია? დღეს კდემამოსილება და მოკრძალება, სამწუხაროდ, სირცხვილად მიიჩნევა. თუ გოგონას გრძელი კაბა აცვია და ნაწნავი აქვს – გოიმი და ჩამორჩენილია. ვაჟი თუ მშობლებს ეკითხება აზრს და სახლში ადრე მიდის – ისიც ჩამორჩენილია. დღეს ბევრი დედ-მამა თავისი უგუნური საქციელით ცუდ გავლენას ახდენს შვილზე და მერე იმკიან ამ ყველაფერს.

**ნათია უტიაშვილი**

# როგორ უკუაქცია პოჩაევოს ღვთისმშობლის ხატმა ოსმალთა ლაშქარი

1597 წელს პოჩაევოს ღვთისმშობლის ხატმა პოჩაევოს სავანეში დაიდო ბინა. მალე მთაზე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი აღიმართა.

მემამულე ანა გოისკის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც პოჩაევოს მთისა და მის ირგვლივ მდებარე ადგილ-მამულებს ფლობდა, მთელი მისი ქონების პატრონი მემკვიდრეობით ვინმე ანდრია ფირლეი გახდა, რომელიც, სამწუხაროდ, მწვალებელი (ლუთერანობის აღმსარებელი) იყო. პოჩაევოს მონასტერსა და იქ მოღვაწე ბერებს დასანახად ვერ იტანდა და მუდამ მათ მოსპობასა და შევიწროებას ცდილობდა. მალე ანდრიამ მონასტერს მიწა და ტყეები ჩამოართვა, ბერები აცემინა და სენაკები დაუნვა, ხალხს კი მონასტერში დაბრძანებული ყოვლადწმიდა ქალწულის ხატისა და მისი ღვთაებრივი ნატერფალის თაყვანისცემა აუკრძალა. ბოლოს იქამდე გამძვინვარდა, რომ მონასტრიდან ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის გატაცება განიზრახა. 1623 წელს ანდრია ფირლეი, თავის მრავალრიცხოვან თანამებრძოლებთან ერთად, მონასტერს თავს დაესხა, მისი სალარო გაძარცვა და მარადქალწული მარიამის ხატიც გაიტაცა. მკრეხელმა ესეც არ იკმარა, მან თავის მეუღლეს ნაძარცვი საეკლესიო სამოსელი ჩააცვა, ხელთ წმიდა ბარძიმი დააკავებინა და ისე შეიყვანა იმ დარბაზში, სადაც მისი თანამეინახე თანამებრძოლები ღრეობდნენ. ანდრიამ მეუღლეს დარბაზში სიარული და მართლმადიდებლობისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის გმობა უბრძანა. ქალმა ანდრიას ბრძანება ხალისით აღასრულა. მაგრამ უფლის სამსჯავროს სასტიკმა სასჯელმაც აღარ დააყოვნა. მას უმალ ბოროტი სული დაეუფლა და მძვინვარე წამება დაუწყო. შეშინებულმა მწვალებელმა მარადქალწული მარიამის სასწაულმოქმედი ხატი და ნაძარცვი ქონება კვლავ პოჩაევოს მონასტერში დააბრუნა და იქაურობას სწრაფად გაეცალა.

სავანეში დაბრუნებული წმიდა ხატიდან კვლავ მრავალი სასწაული აღესრულა. ხატის დიდება მთელს რუსეთში გაბრწყინდა და სავანისაკენ ურიცხვი მომლოცველი კვლავ უწყვეტ ნაკადად დაიძრა.

ამ ურიცხვ სასწაულთაგან, რომელიც პოჩაევოს ღვთისმშობლის ხატის მიერ აღსრულდა, განსაკუთრებით იხსენიებენ 1675 წელს – მარადქალწული მარიამის მეოხებით სავანის თურქთა ლაშქრისაგან გადარჩენას. უსჯულოთა მხედრობა უკვე მონასტრის კედლებთან იყო მომდგარი. ბერებმა თავისი სასოება ზეციური დედოფლის მოწყალებაზე დაამყარეს, ხატის წინ დაუჯდომელს გალობდნენ და ჩაგრულთა მეოხს შემწეობას სთხოვდნენ. მოულოდნელად მლოცველ ბერთა წინაშე ბრწყინვალე სამოსით შემოსილი დედა ღვთისმშობელი გამოცხადდა, რომელსაც გარს ხმალშემართულ ანგელოსთა დასი ერტყა. იმავე წამს თურქთა ლაშქარს ისეთი თავზარი დაეცა, რომ მათ უკანმოუხედავად იწყეს გაქცევა და მალე მონასტრის შემოგარენიდან მთლიანად გადაიხვეწნენ.

1770 წელს პოჩაევოს მონასტერს უნიატები (უნია – კათოლიკური და ზოგიერთი სქიზმაში – განხეთქილებაში მყოფი მართლმადიდებელი ეკლესიების გაერთიანება რომის პაპის მეთაურებით; მათი მიმდევრები) დაეპატრონნენ, რომლებმაც ხატის მიერ აღსრულებულ სასწაულთა აღსაწერად საგანგებო კომისია შექმნეს. კომისიის მიერ მოპოვებული ცნობებიდანაც ცხადად ჩანს, რომ პოჩაევოს მონასტერში დაბრძანებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისგან იკურნებოდნენ არა მარტო მართლმადიდებლები, არამედ უნიატები, ლათინები და თვით ურიებიც, რომლებიც სასწაულებრივი შეწევნის შემდეგ მართლმადიდებლად ინათლებოდნენ.

1831 წელს პოჩაევოს სავანე კვლავ მართლმადიდებელთა ხელში გადავიდა. მას შემდეგ მონასტერს სახელად პოჩაევოს მიძინების ლავრა ეწოდა.

პოჩაევოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერი და იქ დაბრძანებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, ასევე ზეციური დედოფლის მიერ ლოდზე აღბეჭდილი წმიდა ნატერფალი, მთელი რუსეთის უდიდეს სიწმიდეებად მიიჩნევა და მათ მოსალოცად ოდითგანვე ურიცხვი მორწმუნე მიეშურება.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: აქვს თუ არა მოძღვარს უფლება, საჯაროდ გაამხილოს მორწმუნის მიერ მისთვის აღსარებაზე განდობილი ცოდვები?**

**პასუხი**: მოძღვარს აღსარებაში ნათქვამი ცოდვების გამხელის უფლება არ აქვს. ამით ის დაარღვევს მართლმადიდებელი ეკლესიის საიდუმლოს წესსა და კანონს. დათესავს უნდობლობას, სიწანულს წმინდა საიდუმლოს მიმართ. თუმცა, ზოგადად, ცოდვაზე მოძღვარმა შეიძლება ისაუბროს ქადაგების დროს, ოღონდ დაკონკრეტების გარეშე.

**კითხვა: ვინ არიან ქერუბიმები და სერაბიმები?**



**პასუხი**: ქერუბიმები და სერაბიმები არიან უფლის უმაღლესი ანგელოზები, რომლებიც ყველაზე ახლოს დგანან ღმერთთან. ხოლო, როდესაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიმართ ლოცვაში წარმოვთქვამთ: „უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაბიმთასა“, ეს ნიშნავს, რომ ღვთისმშობელი ყველა ზეციურ ძალაზე მაღლა დგას.

**კითხვა: რა ძალები გველობებიან სასუფევლისკენ მიმავალ გზაზე?**

**პასუხი**: სასუფევლის მოპოვებისთვის სამი უმთავრესი მტერი ჰყავს ადამიანს: პირველი – ხორციელი ზრახვებით, ცოდვით ვნებული ჩვენი ბუნება, მეორე – ხალხი, ვინც დაცემული სულით ცხოვრობს, ანუ ურწმუნონი და მესამე – ეშმაკი. ყველა ისინი გვიბიძგებენ იმისკენ, რომ ჩვენ უფლის ნების საპირისპიროდ, მათ ნებას დავექვემდებაროთ და დავკარგოთ ცათა სასუფეველი.

**კითხვა: რომელი ფსალმუნი წავიკითხოთ. რეალური მტრების ყოლის დროს?**

**პასუხი**: წაიკითხეთ 90-ე ფსალმუნი, რომელიც დაგიცავთ ბოროტებისგან.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## წმიდა იოანეს ლოცვა-ვედრება უფალმა შეისმინა

ერთხელ ათონზე დიდი გვალვა იყო. ივნისმა, ივლისმა და აგვისტომ უწვიმრად განვლო და მიწას ძალიან გაუჭირდა, ისე რომ, ხისა და ვაზის ფოთლები გახმა და ცვიოდა. ხალხი დიდ საგონებელში ჩავარდა. ათონზე, ქართველთა მონასტერში წმიდა ელია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიაა. წმიდა ელიას დღესასწაული რომ მოახლოვდა, მამა იოანემ დილით ადრე თავის შვილს, ექვთიმეს უბრძანა: „წაიყვანე ძმები და წადი ელიას ტაძარში, ღამე გაათიეთ და ლიტურგია აღასრულეთ“. როდესაც ამას ეუბნებოდა, მის წინაშე მრავალი მამა იყო შეკრებილი. ნეტარმა ბერმა თითქოს ხუმრობით უთხრა მათ: „ყრმანო, საწვიმრებიც თან წაიღეთ, რამეთუ ვესავ უფალს, რომ ამაოდ არ ჩაივლის ჩვენი ლოცვა“. მამები წავიდნენ და ღამე გაათენეს. ლიტურგიის დრო რომ მოახლოვდა, წმიდა მამა ექვთიმე შეიმოსა, და, როგორც კი ლოცვა დაიწყეს, პირველი სახარების წაკითხვის დროს, მთის თავს ზევით პატარა ღრუბელი გამოჩნდა. სულ მალე ცა ღრუბლებით დაიფარა, ზიარებამდე საშინელი წვიმა წამოვიდა და მთელი ქვეყანა დალბო. ეს რომ მამებმა იხილეს, უფალს ხელაპყრობილნი სწირავდნენ მადლობას. ლიტურგიის აღსრულების შემდეგ საზრდელი მიიღეს და შინ წამოვიდნენ. ის ძმები, რომლებსაც საწვიმრები ჰქონდათ, იოლად დაბრუნდნენ მონასტერში, ვისაც არა – დიდი შრომითა და გაჭირვებით, თუმცა, ორივე ჰმადლობდა უფალსა და ნეტარ მამა იოანეს.

## თესალონიკელი დიაკონი და წმიდა ილარიონ ქართველი

ერთხელ ერთი თესალონიკელი დიაკონი თავის ვენახში გავიდა. წარმართებმა შეიპყრეს იგი და ტყვედ წაიყვანეს. მას წმიდა ილარიონი გაახსენდა და ევედრებოდა, ელოცა მისთვის. იმ ღამით შეკრულ დიაკონს ძილში წმიდა ილარიონი ეჩვენა და უთხრა: „აღდექ, დიაკონო, ნუ გეშინია“. გამოღვიძებულმა დიაკონმა აღმოაჩინა, რომ ბორკილები ახსნილი ჰქონდა. ადგა, ლაშქარში ისე გაიარა, რომ ვერავინ შეამჩნია. შინ დაბრუნდა, ქადაგებდა და საკვირველების შესახებ ყველაფერი წმიდანს უამბო.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

**სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ ბოლო სეზონში მაყურებელს თინა დაუბრუნდა. ამ გმირის სერიალიდან დროებითი წასვლის მიზეზი, მისი როლის შემსრულებელი მსახიობის, მაკა ძაგანიას ცხოვრებაში მომხდარი სასიხარულო სიახლე – ფეხმძიმობა გახდა. მაკა ახლა პატარა გიორგის ზრდის და პარალელურად, სერიალის ახალი სეზონისთვის ემზადება.**

# რა რთული პერიოდის გადალახვა მოუწევს მაკა ძაგანიას და რას უმკლავდებიან მსახიობი და მისი მეუღლე ერთად

**– მაკა, რაც გიორგი შეგეძინა, ჩვენი სტუმარი არ ყოფილხარ, ამიტომ, მოგვიყევი, როგორი ბიჭია ის?**

– გიორგი ძალიან კარგი ბიჭია. დაბადებიდან ძალიან მშვიდი იყო, ისე არ გავუწვალებივართ, როგორც ბავშვების უმეტესობა აწვალებს მშობლებს. ახლა კი უკვე ის პერიოდი აქვს, როცა ყველაფერი უნდა შეამოწმოს. ყველაფერს პირში იტენის და გემოს უსინჯავს *(იცინის).* ნოემბერში ერთი წლის ხდება.

**– შენი უფროსი შვილი – ნუცი უკვე დიდი გოგოა, როგორია მისი და გიორგის ურთიერთობა?**

– გიორგის დიდი შეგუება არ სჭირდება, რადგან ვინც გაუღიმებს და ეთამაშება, უხარია და ყველა უყვარს. ნუცი, ამ მხრივ, ცოტა მძიმე შემთხვევაა, თან, ასაკიც ხელს უწყობს. მაგრამ ვამჩნევ, რომ პატარა ძალიან უყვარს და მის მიმართ თბილი დამოკიდებულება აქვს. ახლა აქ არაა. ბებიამ საბერძნეთში წაიყვანა და იქიდან მწერს: აუ, როგორ მომენატრა გიორგიო. ფოტოებს რომ ვუგზავნი ხოლმე, როგორ გაზრდილაო, – მეუბნება, არადა თორმეტი დღის წასულია *(იცინის).* თუმცა, ბავშვები მართლა სწრაფად იზრდებიან და მაიმუნდებიან. სიარული ჯერ არ იცის. მხოლოდ „მანეჟში“ დადის წრეზე. ხელს რომ მოჰკიდებ და გაატარებ, გიჟივით დარბის *(იცინის).* ლოგინში უკვე ველარ ვაწვენთ. თუ არ დაეძინა, გამორიცხულია, გაჩერდეს. როგორც კი დააწვენ, ეგრევე ფეხზე წამოხტება. ყველაფერს ეპოტინება და სულ მოძრაობაშია. არ ვიცი, როგორ არ იღლება და საიდან აქვს ამდენი ენერგია...



**წინ ძალიან რთული პროცესი გველის, რომელიც უკვე ბევრჯერ გადავდე და, ბოლო-ბოლო, სადღაც გავიჭედები**

**– დედას რა ეხმარება საჭირო ენერგიის მოკრებაში?**

– ამ ყველაფერს მე და ჩემი მეუღლე ერთად ვუმკლავდებით. როცა მე აღარ შემიძლია, ის მასვენებს. მას რომ აღარ შეუძლია – მე და ასე, ერთმანეთის შენაცვლებით, ყველაფერი უფრო მარტივია. თუმცა, აქამდე რომ დავაძინებდი, მთელი ღამე ეძინა და მეც ვახერხებდი კარგად გამოძინებას. ახლა ნელ-ნელა დაიწყო ღამისთევები. ხუთ საათზე იღვიძებს, საწოლში წამოჯდება და უკვე ყურადღება სჭირდება. ამას წინათ გაიღვიძა, წამოჯდა და იძახის: დედაა *(იცინის).*

**– როგორი დედა ხარ?**

– ვცდილობ, კარგი დედა ვიყო. ნუციზეც ვცდილობდი და ახლაც, რამდენად გამომდის ეს, უკვე ამათ იციან *(იცინის).* დედების იმ კატეგორიას მივეკუთვნები, ყველაფერს მძიმედ რომ უყურებენ და ძალიან განიცდიან. პირველ შვილზეც სულ მეჩხუბებოდნენ, რომ ბავშვი არც უსიცხოდ გაიზრდება და არც წაქცევის გარეშეო, მაგრამ მე მაინც ძალიან განვიცდიდი ამ ყველაფერს. ნუცის რომ ვირუსი ჰქონდა, მე ღამეებს ვათენებდი. გიორგის, ჯერჯერობით, რაიმე ვირუსი არ ჰქონია, რომ ეს დაგვჭირვებოდა. ახლა დაიწყება ეს სეზონი და უკვე ძალიან ვნერვიულობ.

**– პატარა ყოველთვის დიდ ყურადღებას იმსახურებს, ამაზე ნუცი არ ეჭვიანობს?**

– კი, ეჭვიანობს და სხვათა შორის, ამას არც მალავს. ამბობს ხოლმე: აბა, ახლა გეყოფათ მაგის მოფერება, მე აქ ვარ და მესმისო *(იცინის).* ეჭვიანობს, მაგრამ ამ გრძნობას ჩვენ ვუქარწყლებთ. დღეში რამდენჯერმე მეკითხება: „ხომ მე გიყვარვარ ყველაზე მეტად?" მეც ვეუბნები, რომ ასეა და ეს ცოტა ხანს ჰყოფნის.

**– უკვე თუ შეიძლება იმის თქმა, ვის ჰგავს გიორგი?**

– ხასიათებით ჯერ ვერ მიხვდები, ვის ჰგავს, მაგრამ უკვე ვიცით, რომ კეთილი ბიჭია. ყველას უღიმის და ვამჩნევთ, რომ შინაგანად ბედნიერია. გარეგნულად სასწაულად ჰგავს მამაჩემს.

**– მეუღლისთვის პირველი შვილია და არ გაუჭირდა მის მოვლაში მონაწილეობის მიღება?**

– არა, სამშობიაროდანვე ძალიან მეხმარება. მე თვითონ ჭიპლარს ვერ ვამუშავებდი, ცუდად ვხდებოდი და ამ ყველაფერს მამამისი უკეთებდა. საერთოდ, ყველაფრის გაკეთება შეუძლია. პირველივე დღიდან ისე უვლის, როგორც მე – დაბანა იქნება საჭირო, საჭმლის გაკეთება თუ სხვა რამ. შეიძლება ითქვას, იდეალური მამაა.

**– შვილის გაჩენის შემდეგ, ბევრი წყვილი წუწუნებს, რომ ერთმანეთისთვის დრო აღარ რჩებათ. თქვენ თუ მოახერხეთ ძველებური ურთიერთობის შენარჩუნება?**

– როცა შვილი გყავს, რაღაცეები იცვლება. წყვილის პირადი ურთიერთობა შედარებით გვერდზე გადადის და ბავშვის სახით საერთო საზრუნავი ჩნდება. მაგრამ სიყვარულის ნაყოფის ერთად გაზრდა საოცრად სასიამოვნო პროცესია. შესაბამისად, გირჩევნია, პირადი რომანტიკა ერთი დღით გადადო, მაგრამ ამის გამო დანაკლისის შეგრძნება არ გიჩნდება – არ იტყვი, ერთმანეთისთვის ვერ ვიცლითო. ასეთი პრობლემები, შეიძლება, იმ წყვილებს აქვთ, რომლებიც შვილის აღზრდის პროცესში ერთდროულად არ არიან ჩართულები. დედა ბავშვს ზრდის, მამა სამსახურშია და სხვადასხვა საქმე აქვთ.

**– სერიალის ბოლო სეზონზე მაყურებელს დაუბრუნდი. პატარასთან განშორება არ გაგიჭირდა?**

– როგორ არა, ძალიან გამიჭირდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. მაშინ ყველაფრისთვის თავი უნდა დამენებებინა, ბავშვი გამეზარდა და ფეხზე რომ დავაყენებდი, მერე გავსულიყავი. მაგრამ, მერე უკვე არავის არაფერში სჭირდები. ჩვილის დატოვება და დიდი დროის სხვაგან გატარება რთულია, თუმცა, ახლაც იგივე მომიწევს. ძიძაზე ფიქრიც არ მინდა, მაგრამ ვხვდები, რომ აუცილებელია.

**– აქამდე შენ და მეუღლე დამოუკიდებლად ახერხებდით ბავშვის მოვლას?**

– აქამდე, როცა მამამისს ეცალა, მასთან იყო. თუ არადა, ხან დედაჩემთან, ხან ბიცოლასთან, ბიძაშვილებთან და ასე დაგვყავდა აქეთ-იქით. აბა, ვის სცალია დღეს და ვინ დაიტოვებს? *(იცინის)* თუმცა, როდემდე შეიძლება, ასე ატარო ბავშვი. ამიტომ, აუცილებლად მომიწევს ძიძის აყვანა. ჯერ ამაზე ფიქრიც არ მინდა. მან ჩემი შვილი უნდა გაზარდოს და შესაბამისად, ერთად დიდი დრო უნდა გაატარონ. თან, გიორგი ახლა სწავლობს მეტყველებასაც და ზოგადად, ყველაფერს. ფეხსაც ახლა იდგამს და უდიდესი სიფრთხილე სჭირდება. ამიტომ, წინ ძალიან რთული პროცესი გველის, რომელიც უკვე ბევრჯერ გადავდე და ბოლო-ბოლო, სადღაც გავიჭედები *(იცინის).*

**– მალე სერიალიც გავა ეთერში. რა ელოდება მაყურებელს ახალი სეზონიდან?**

– ჯერჯერობით, აბსოლუტურად არაფერი ვიცი.

**– საინტერესოა, მეუღლე რას ფიქრობს თინაზე?**

– ეს განსაკუთრებულად არ განგვიხილავს. თუმცა, თინა საერთოდ არცერთ კაცს არ მოსწონს. ძლიერი და ჭკვიანი ქალები რომ არ მოსწონთ, ეს გასაგებია, მაგრამ თინა, ამასთან ერთად, უზრდელიცაა. პირდაპირობა მეც ძალიან მიყვარს, მაგრამ დიპლომატია აუცილებელია. ადამიანს ყველაფერი შუბლში არ უნდა ახალო. ამიტომ, თინასი მეც ძალიან ბევრი რამ არ მომწონს.

**– ვინმეს უთქვამს, რომ მასთან რამე საერთო გაქვს?**

– მსოფლმხედველობით მე და თინა ერთმანეთს ვგავართ. ახლა ქალის დაკნინების პერიოდი აღარაა. ვითომ ძალიან მოსწონთ ძლიერი ქალები, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყველა კაცს უჩნდება სურვილი, რომ წამყვანი პოზიციები თვითონ ეკავოს. ამის გამო სირთულეები ხშირად შემხვედრია და ზუსტად იმ დროს უთქვამთ: აუ, ახლა ამან თინა გაუშვაო... არადა, თინა არაფერ შუაშია, უბრალოდ, ის იმ სათქმელს ამბობს, რომლისგანაც ბევრი ქალი თავს იკავებს.

**– ოჯახური არდადეგების მოწყობა თუ მოახერხეთ ზაფხულის ცხელ დღეებში?**

– დასვენება ვერ მოვახერხეთ, რადგან ჩემს მეუღლეს, სამწუხაროდ, დედა გარდაეცვალა და ცოტა მძიმე ზაფხული გვქონდა. მხოლოდ რამდენიმე დღით ვახერხებდით ბავშვის ქალაქიდან გაყვანას. ახლა უკვე სეზონიც მალე გაიხსნება, ლექციებიც დაიწყება, თეატრიც და ამისთვის ვემზადები.

**ქეთი კაპანაძე**

**გამოცდილი, ასაკში შესული ადამიანები ამბობენ, რომ თუ იმ პატარა ნიუანსებს გაითვალისწინებთ, რაც წინაპრებმა ეგრეთ წოდებული ცრურწმენების სახით დაგვიტოვეს, მაშინ, ყველაფერი რიგზე იქნება და ეს ყოველივე კონკრეტული მიზნებისა და სურვილების ახდენაშიც დაგვეხმარება. ამ აზრს ეზოთერიკ-ფსიქოლოგი, ქალბატონი ნინოც ეთანხმება და ამბობს, რომ ჩვენი ბედისწერა მჭიდროდაა დაკავშირებული თილისმასთან.**

# როგორ შევარჩიოთ ამულეტი სწორად, რომ მან ბედნიერება მოგვიტანოს და რა თილისმური დატვირთვა აქვს ხის ღილებს

**ნინო:** დღეს, მოდაში შემოვიდა სხვადასხვაგვარი სამკაულის ტარება და ალბათ, ვერც კი ამჩნევენ, რომ მათი ხშირი გაკეთება, ერთგვარ თილისმურ ძალას იძენს, ცხოვრებაში გვეხმარება და გვიცავს მთელი რიგი უსიამოვნებების თავიდან აცილებაში.

**– როგორ იღებს ადამიანი იმ ენერგიას თილისმიდან, რომელიც ცხოვრებისეული დაბრკოლებების გადალახვაში ეხმარება?**

– თილისმა საჭირო და სასარგებლო ენერგიას გადასცემს მას, ვინც ატარებს. ამულეტად კი ნებისმიერი ნივთი შეგიძლიათ გამოიყენოთ. უბრალოდ, ის უნდა დამუხტოთ დადებითი ენერგიით, რომ ბედისწერასთან დაგაკავშიროთ და თქვენს იღბალზე იმოქმედოს. გეტყვით, რომ თილისმა ინდივიდუალური უნდა იყოს. მისი არასწორი ტარებისას კი ირღვევა ამულეტის კავშირი ბედისწერასთან და მისმა გავლენამ შესაძლოა, ნეგატიური შედეგები მოგიტანოთ. ევროპაში, თითქმის ყველა ადამიანი ატარებს ამულეტს და სჯერათ, რომ წარმატებას იზიდებენ. ამულეტი, რომელიც ზუსტად თქვენთვისაა დამზადებული და დამუხტული, მუდამ თქვენს გვერდით უნდა იყოს, ეხებოდეთ მას, ხედავდეთ ყოველდღიურად. კიდევ ვამბობ, ის ინდივიდუალურია და შესაძლოა, სხვისმა ამულეტმა თქვენ ბედნიერება ვერ მოგანიჭოთ.

**– როგორ შევარჩიოთ ამულეტი სწორად, რომ ბედნიერება მოგვანიჭოს?**

– გირჩევთ, თილისმად ისეთი ნივთი შეარჩიოთ, რომელიც გლუვია და არ აქვს წვეტიანი კუთხეები. სხვა მხრივ მის ფორმას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ძალიან მოგეწონოთ. მასთან ენერგეტიკული კავშირი რომ დაამყაროთ, საჭიროა, მუდამ თან გქონდეთ, მაგალითად, სუფრასთან, საწოლში, მანქანაში და ასე შემდეგ. გაითვალისწინეთ, რომ ეს ნივთი თქვენს კანს უნდა ეხებოდეს.

**– არ შეიძლება, ჩანთით ან საფულით ვატაროთ?**

– უმჯობესია, თუ ამულეტს გულზე დაიკიდებთ და ატარებთ დღისითაც და ღამითაც. თუ გინდათ, რომ კონკრეტულ ნივთს თილისმის თვისებები მიანიჭოთ და თქვენს ბედსა თუ კარიერაზე სასიკეთოდ იმოქმედოს, ერთ პატარა საიდუმლოს გაგანდობთ. ძილის წინ ადამიანი ფიქრობს კონკრეტულ საკითხზე, საკუთარ თავში იკეტება, ფაქტებს აანალიზებს და აწყობს მომავლის გეგმებს. ამ დროს ქვეცნობიერი აქტიურად აგრძელებს მუშაობას, გულზე დაკიდებული ამულეტი კი ნელ-ნელა იმუხტება. დილით მას უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლია თქვენთვის. ამულეტსა და ბედისწერას შორის რომ უდიდესი კავშირი-



ია, ეს ფაქტია და ამაში ბევრი თავად დარწმუნდა კიდეც. თქვენთვის სასურველი ამულეტი, დამუხტეთ თქვენს სასიკეთოდ და ოცნებები მარტივად აიხდინეთ. ასევე, კარგი იქნება თუ, ხის ლამაზ ღილს მიაკერებთ იმ ტანსაცმელს, რომელსაც ხშირად იცვამთ. მალე მიხვდებით, რომ თქვენს ცხოვრებაში სასიკეთო ძვრები დაიწყება.

**– კონკრეტულად, რა სასიკეთო ძვრებს ველოდოთ?**

– ხის ღილის ტარება ადამიანს ეხმარება აიცილოს ნეგატიური ფიქრები, ცუდი აურა, რომელიც გარშემო მყოფებისგან მო-

**არამც და არამც არ იქონიოთ სახლში გატეხილი ღილი, ეს ცუდის ნიშანია. ასევე, თუ ტანსაცმელზე ღილი გატყდა, ის სასწრაფოდ მიუშვირეთ გამდინარე წყალს, შემდეგ ცეცხლის ალზე შემოატარეთ და ისე გადააგდეთ**

დის, გახდეს თავდაჯერებული და დაიმუხტოს დადებითი ემოციებით. ეს, კი, ბევრი ადამიანისთვის სასურველ პარტნიორად და კომპანიონად გაქცევთ. აბა, ვის რაში სჭირდება ცხვირჩამოშვებულ და წუწუნა ადამიანებთან ურთიერთობა? სილაღე და თავდაჯერებულობა, ნებისმიერს ხდის უფრო მიმზიდველს. მაღაზიაში შეგიძლიათ, ასეთი ხის ამულეტური, ხის ღილი შეარჩიოთ. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ მზის ჩასვლის შემდეგ არ დააკეროთ ის ტანსაცმელს. ჯობია, ეს მზის ჩასვლამდე გააკეთოთ, რადგან, უძველესი გადმოცემით, არ ვარგა ნემსისა და მაკრატლის ხმარება ღამის საათებში. ეს არა მარტო ღილის დაკერებას, არამედ, რაიმეს გაჭრას და შეკერვასაც გულისხმობს. ესეც უძველესი ეზოთერიკული კანონია და ამასაც განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოთ. მაგრამ, თუ ბედს მიენდობით და ამბობთ: რაც მიწერია, არ ამცდებაო, მაშინ, ნულარც დაიწუწუნებთ, რომ წარუმატებელი და უიღბლო ხართ.

**– თილისმის თვისებას მხოლოდ ხის ღილები იძენს?**

– არა, რატომ? უბრალოდ, ეს უფრო ძლიერი ამულეტია, თორემ, ასევე კარგია თუ, აიღებთ ერთ წითელ, ერთ ლურჯ და ერთ ოქროსფერ ღილს და იმ ჩანთის სარჩულს მიაკერებთ, რომელსაც ყოველდღე ატარებთ. ის ერთგვარი თილისმა და დამცველი იქნება თქვენთვის და ესეც ბედნიერებას და წინსვლას გიქადით. თუმცა, არამც და არამც არ იქონიოთ სახლში გატეხილი ღილი. ეს ცუდის ნიშანია. ასევე, თუ ტანსაცმელზე ღილი გატყდა, ის სასწრაფოდ მიუშვირეთ გამდინარე წყალს. შემდეგ ცეცხლის ალზე შემოატარეთ და ისე გადააგდეთ. ამით თავს დაიცავთ შესაძლო საფრთხისგან. ხის სამკაულების ტარებასაც მსგავსი დატვირთვა გააჩნია. კერძოდ, თუ ხისგან დამზადებულ სამკაულებს ატარებთ, ის თქვენს წინსვლას შეუწყობს ხელს და გათვალვისგან და ავი მზერის შესაძლო უარყოფითი შედეგებისგან დაგიცავთ. გათვალვის საწინააღმდეგოდ ხის სამკაული ერთ-ერთი უძლიერესი დამცველია. ტყუილად როდი ვახსენე ავი მზერა... ადამიანის მზერაში ბევრი რამის ამოცნობა შეიძლება. მაგალითად, ბევრი ამბობს, რომ კონკრეტულ პიროვნებასთან შეხვედრა ცუდად აქვს დაცდილი, რადგან მისი მზერა ისე ზემოქმედებს, რომ მისთვის იმ დღეს უსიამოვნება გარდაუვალია. არსებობს, ასევე, გათვალვით გამოწვეული სხვა უსიამოვნებებიც, მაგალითად, უბედური შემთხვევა, ნერვული შეტევა, წარუმატებლობა, უიღბლობა და ასე შემდეგ. თვალიდან წამოსულ ძლიერ გამოსხივებას ადამიანის ცხოვრების რეალურად შეცვლა, უბედურების ან ბედნიერების მოტანაც შეუძლია. ასე რომ, დამიჯერეთ, ავი თვალიც არსებობს და ადამიანებისგან გათვალვაც რეალურად შესაძლებელია. მაგრამ, არ დაგავიწყდეთ, იმ მისიით ვართ მოვლენილნი, რომ ერთმანეთს დავეხმაროთ, გავუზიაროთ ცოდნა და გამოცდილება. ამით კი, ხელი შევუწყოთ ჩვენსავე მომავალს და გარშემო მყოფების ცხოვრებაც სასიკეთოდ შევცვალოთ. ამიტომ, როდესაც ადამიანებს ჩვენს გამოცდილებასა და ეზოთერიკულ თუ პარაფსიქოლოგიურ ცოდნას ვუზიარებთ, ამით მათთვის დიდი სიკეთე მოგვაქვს.

**ნონა დათეშიძე**



# რატომ ცდილობს ზოგიერთი ქალი სხვა ქალის ბედნიერების დანგრევას

**სასიყვარულო სამკუთხედი კვლავ დიდ პრობლემად რჩება. არსებობენ ქალები, რომლებიც არად დაგიდევენ სხვის ბედნიერებას, პირად ცხოვრებას და მოურიდებლად იჭრებიან მასში. მათ თავიანთი სიმართლე აქვთ: „სიყვარულმა გარჩევა არ იცის“, „მესამე არ ანგრევს ოჯახს“, „მიეხედა თავისი ქმრისთვის“, „მე არ ვიქნებოდი, სხვა იქნებოდა“... ერთი სიტყვით, თუ გინდა, მართალი გამოჩნდე, თავის გამართლების საშუალებას მოძებნი. თუმცა, ალბათ, არ გვაწყენდა ცოტა მეტი დაფიქრება და გულისხმიერება – თანადგომა ერთურთის მიმართ, მით უფრო, იმავე სქესის წარმომადგენლებისადმი, რომელსაც თავად მივეკუთვნებით.**

**ლენუკა** ***(35 წლის):*** იმის გარდა, რომ იმ ქალმა ჩემი ქორწინება შეიწირა, ცხოვრება დამინგრია და სიხარული წამართვა – მეც მორალურად და პიროვნულად გამანადგურა. ერთადერთი, ვინც ახლა მყავს და თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდე, ჩემი პატარა შვილია... ქმრის გვერდით კი ვცხოვრობ, მაგრამ არაფერს ვგრძნობ მის მიმართ. აგრესიაც კი აღარ შემრჩა, იმდენად გამოვიფიტე და დავიცალე... სულ ცოტა ხნის წინ ჩემი პრობლემა ჯიბრში ჩამდგარი თანამშრომელი და ჭირვეული პაციენტი იყო. ახლა, ამ ყველაფერზე მწარედ მეღიმება. თურმე, როგორი სანერვიულო მელოდა წინ და წარმოდგენაც არ მქონდა... მერე კი, ჩემმა ქმარმა გამომიცხადა, სიყვარული მეწვია და ეს გრძნობა ჩემზე ძლიერიაო. უცებ სამყარო ჩამოინგრა, დაიგრგვინა და ორად გაიყო. ფეხქვეშ მიწა გამომეცალა. მანამდე აზრადაც არასდროს მომსვლია, მთელი შვიდი წლის განმავლობაში, რომ ჩემს ქმარს შეეძლო, ასე, უცერემონიოდ და მარტივად ეღალატა. პირდაპირ მითხრა, რა ვქნა, სხვა მიყვარსო. არც კი მოერიდა. მას რომ ჰკითხოთ, კაცურად მოიქცა. საშინელებაა, როცა კაცი საზიზღრად იქცევა, მაგრამ თავი მაგარ ტიპად მოაქვს.

**– თქვენ არ შეგიმჩნევიათ მისთვის, რომ ვიღაც ჰყავდა?**

– არა. ჩვეულებრივად ვცხოვრობდით. ნორმალურად. რა უნდა შემემჩნია? ეტყობა, თავიდან ორ ფრონტზე მოქმედების იმედი ჰქონდა და არ გამოუვიდა. არ გამოვრიცხავ, რომ იმ ქალსაც დაეძალებინოს. მოსწყინდა ჩრდილში ყოფნა და „სიყვარულის ლეგალიზების“ სურვილით შეპყრობილმა, ჩემი ქმარი რადიკალურ გულახდილობამდე მიიყვანა. როცა სუნთქვაშეკრულმა, ტირილით ვკითხე, ასე რატომ მომექეცი-მეთქი, სრულიად გამაოგნებელი რაღაც მითხრა: სიყვარული სამუდამო არ არის. პატარა ვიყავი, როცა შენთან ურთიერთობა დავიწყე და მეგონა, ჩემი ცხოვრების მთავარი ქალი ვიპოვე. შევცდი, ვის არ მოსვლია... მე შენ წინაშე დამნაშავე არ ვარ. ეს იმან მითხრა და თვალები ამიხილაო.

**– „იმან“, ანუ საყვარელმა?**

– დიახ. პრობლემაც ესაა. „იმან“ აუხილა თვალები და ჩაუნერგა, რომ, თუ დამშორდებოდა, საკუთარ სინდისთან მართალი იქნებოდა. რატომ იბადებიან ასეთი ქალები საერთოდ – მიპასუხეთ...

**– ფიქრობთ, რომ ყველაფერში დამნაშავე ის ქალია?**

– ასე ვერ ვიტყვი, მაგრამ დიდწილად სწორედ ის არის დამნაშავე. კაცის ტვინის არევას რა უნდა. ქალმა არ უნდა იკადრო და სხვის „სივრცეში“ არ შეიჭრა. ჩემი ქმარი ისეთი ტექსტებით მელაპარაკებოდა, აშკარად იმ ქალისგან იყო დარიგებულ-დაპროგრამებული... შვიდი წელი ცოტა არ არის. როგორ ძალიანაც უნდა უყვარდეს ჩემი ქმარი იმ ქალბატონს, ჩემზე კარგად მაინც არ ეცოდინება მისი ხასიათი და ბუნება. ძალიან დამყოლია და ადვილად შეიძლება, მასზე ზეგავლენა მოახდინო. დარწმუნებული ვარ, იმ ქალმა აუცრუა გული ოჯახზე, ჩემზე... ყველაფერზე, რაც იქამდე ერთად გვქონია. მიმტკიცებდა, ეს არის ნამდვილი სიყვარული და არა ის, რაც ჩვენ გვაკავშირებდაო.

**– გამორიცხავთ, რომ მართლა უყვარს?**

– დიახ, გამოვრიცხავ. ატეხილია და ტვინამობრუნებული. შეუიარაღებული თვალითაც დაინახავ ამას. ზოგჯერ მეცოდება, მაგრამ თავისი ბრალია, რა უნდოდა იმ ქალთან?! როცა ტირილი დავიწყე, ეგრევე გამოაჩინა რეალური სახე ჩემმა ქმარმა – გულწრფელად შეწუხდა: მე შენც მიყვარხარ, მეძნელება ავდგე და წავიდე, მაგრამ სხვანაირად როგორ უნდა მოვიქცე, არ ვიციო.

## როცა სუნთქვაშეკრულმა და ატირებულმა ქმარს ვკითხე, ასე რატომ მექცევი-მეთქი, შოკისმომგვრელი რაღაც მითხრა

**– ანუ, ორივესთან მინდაო?**

– ასე გამოუვიდა. ისე შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს, ისე ცუდად ვარ, გული ნაწილებად მეყოფა. არ ვიცი, როგორ უნდა ვიცხოვრო, ძალიან მიყვარს; მიუხედავად ყველაფრისა, დაველოდო, მოვლენები როგორ განვითარდება და თვითონ რა გადაწყვეტილებას მიიღებს, თუ სკანდალი მოვუწყო... ან კისერზე ჩამოვეკიდო და შევეხვეწო, სულ ჩემთან დარჩეს და ის დაივიწყოს. თუმცა, ის ქალი არ მოასვენებს. ესეც პრობლემაა. ეტყობა, გადაწყვიტა, ბოლომდე დამანგრიოს და გამანადგუროს.

**– რატომ უნდა უნდოდეს ეს? თქვენ ხომ არაფერი დაგიშავებიათ?**

– როგორ არ დამიშავებია – მე ვარ ცოლი, ის კი – საყვარელი. ეგ სტატუსს არის გამოკიდებული და ზოგადად, მივხვდი – ამ ტიპის ქალებს პათოლოგიურად სძულთ ცოლები. არ ვიცი, ეს რა ფენომენია, მაგრამ ფაქტია.

**– თქვენი ქმარი უკვე წავიდა მასთან?**

– ვერც მიდის, ვერც ისვენებს, გაწამდა. მეც გავწამდი და დავიტანჯე ნერვიულობით. საყვარელ კაბაზე ან ფეხსაცმელზე რომ ჩაგეზიარება ვინმე, ამის ატანა გიჭირს და საყვარელი ადამიანი როგორ უნდა გაუყო სხვას? ხან მოდის, მეხუტება და დახმარებას მთხოვს... ხან ჩემი დანახვა არ უნდა. წარმოიდგინეთ, როგორ ვიქნები?! შიგნით ყველაფერი მიდუღს და მიკვირს, როგორ ვახერხებ მეტ-ნაკლებად სიმშვიდის შენარჩუნებას. თან, ეს ქალიც არ ისვენებს. მწერს მესიჯებს. არ იღლება, შემახსენოს, რომ ქმარი მარტო მე აღარ მეკუთვნის. როგორ ავიღო თავზე ხელი და როგორ მივუჩინო მისი კუთვნილი ადგილი. მაშინ, მეც მისნაირი უნდა გავხდე. ფსკერზე დავეშვა და გავაკეთო ის, რაც ჩემთვის მიუღებელია. როცა ზოგჯერ ჩემი ქმარი სახლში მოსვლას აგვიანებს და ვხვდები, რომ იმასთან არის, სიცარიელის განცდა ჭკუიდან მშლის. ნერვების ომია... ეტყობა, ის ქალი ხვდება, რომ დიდხანს ვეღარ გავუძლებ და დავთმობ პოზიციებს. მერე უკვე აშკარად გამოვა სცენაზე. სიტუაციას მთლიანად დაეპატრონება და მე სულ მარტო დავრჩები. ცხოვრება მენგრევა, სად შემეშალა? საკმარისად არ მიყვარდა ჩემი ქმარი? საკმარისად არ ვაქცევდი ყურადღებას? რა იქნება, ჩემი მომდევნო ნაბიჯი... ერთი სიტყვით, სრულ გაურკვევლობაში ვარ. მთელ ჩემს ცხოვრებას ვაანალიზებ. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ, გავაანალიზო – მაინც, რატომ ამოირჩია ჩემმა ქმარმა სხვა ქალი.

**– იქნებ, ჯერ არც ამოირჩია...**

– მაგის იმედი მაქვს მეც. იქნებ ჩემი ქმარი მიხვდეს, როგორია ის სინამდვილეში – სხვისი ბედნიერების, სხვისი სიხარულისა და სიყვარულის ქურდი, უსულო და უგულო. ერთი იდეა მაქვს – გლოვას მოვრჩე და უფრო მყარად დავდგე ფეხზე. თავსაც მივხედო და ჩემს ქმარს დავანახვო, რომ არავიზე ნაკლები ქალი არ ვარ. ვერ ვიფიქრებ იმაზე, რომ შეიძლება, ერთ დღეს ქმარმა მიმატოვოს. უნდა გავუძლო, უნდა მოვიგო ნერვების ეს ომი.

**დალი მიქელაძე**

# გაყრის მიზეზი

რის გამო შორდებიან ადამიანები ერთმანეთს?! ძირითადი მიზეზებია: ღალატი, ეგოიზმი და მატერიალური სიდუხჭირე... თუმცა, ბევრი ფსიქოლოგი ამბობს, რომ ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია.

მხოლოდ წყვილების 11 პროცენტია დარწმუნებული, რომ ქორწინება ყველა საშუალებით უნდა შეინარჩუნო, რადგან მიაჩნიათ, განქორწინების შემდეგ მათი ცხოვრება უკეთესი არ გახდება. არ შეიცვლება პოზიტივისკენ და პირიქით, გაუარესდება კიდეც.

მაინც ყველაზე აქტიურია და განქორწინების მიზეზებს შორის ლიდერობს, თანაც 24 პროცენტით – ღალატი. ეს ის არის, რასაც ადამიანები ვერ ეგუებიან და ვერ ერევიან.

21 პროცენტი მოდის სიღარიბეზე. უფულობა ცუდ სამსახურს უწევს სიყვარულს. უფულობა ისედაც ძალიან ცუდია, მით უფრო მაშინ, როცა შენზეა პასუხისმგებლობა.

19 პროცენტი წყვილებისა ერთმანეთს შორდება პრინციპების გამო, როცა არცერთი არ თმობს, არ მიდის კომპრომისზე. სიყვარული ის ჰგონიათ, რომ აუცილებლად მისი ინტერესები უნდა გაითვალისწინონ და ურთიერთობა ეწირება ჩვეულებრივ ეგოიზმს.

ნუ დაგავიწყდებათ ალკოჰოლი, ნარკოტიკი და „მისი უდიდებულესობა“ ყოფითი პრობლემები. სხვათა შორის, ეჭვიანობა ყველაზე ნაკლებად ხდება განქორწინების მიზეზი. გაგიკვირდებათ და ქალებს მოსწონთ ოტელლოსავით ეჭვიანი ქმრები.

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი ვარ. ქმარი მიყვარს და პატივს ვცემ, მაგრამ ზოგჯერ ისეთი გაჯიუტება იცის, მიჭირს ნერვების მოთოკვა. სკანდალის მოწყობა არ მინდა. არ მიღირს. არ მაქვს სურვილი „ისტერიჩკად“ მომნათლოს. მაგრამ სულ ჩუმადაც ვეღარ ვიქნები. მისი სიჯიუტით შეცდომებამდე მივდივართ, რაც ჩემს ოჯახს აზარალებს. ის ლოგიკა, რომ კაცია და ყველაფერი მას უნდა ეკითხებოდეს, არა მგონია, გამართლებული იყოს. ასე არ შეიძლება. როგორ მოვიქცე?**

**გამოხმაურება:** საკუთარი აზრი აუცილებლად უნდა გამოთქვათ. მშვიდად და კორექტულად. ეს მნიშვნელოვანია. მან უნდა დაინახოს თქვენი პიროვნება. თავად უკეთ იცით საკუთარი ქმრის ხასიათი, თუ მასზე ალერსი ჭრის, მაშინ მოეფერეთ და ისე უთხარით სათქმელი. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მოათვინიერებთ...

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როგაქიძე**

# წარსულის ანალიზი...

თუ ერთხელ არ გაგიმართლათ და ვერ შეხვდით ადამიანს, რომელიც ღირსეულ პარტნიორობას გაგიწევდათ, არ ნიშნავს იმას, რომ ხელი უნდა ჩაიქნიოთ. საკუთარ თავს ნუ გადაუწყვეტთ, რომ ცხოვრება დასრულდა. მთავარია, დაიხსომოთ და კარგად გააცნობიეროთ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი რამ – როცა მეორედ ქმნიან ოჯახს, ყოველთვის აქვთ იმედი, რომ ის პირველ ქორწინებაზე უკეთესი იქნება. მაგრამ, ეს რომ მოხდეს, აუცილებელია, ზუსტად იცოდეთ ერთი, მთავარი პირობა: თუ მამაკაცს ნამდვილად უყვარს ქალი და უნდა მასთან ოჯახი შექმნას, ის მას ისეთს მიიღებს, როგორიც არის სინამდვილეში. სულერთია, შვილიც რომ ჰყავდეს, ის თავის გადაწყვეტილებას არ შეიცვლის. წარსული აქვს ყველას და მისგან ვერავინ გაიქცევა. მუდმივად ნერვიულობა წარსულში დაშვებულ შეცდომებზე ნერვებისა და დროის ფუჭი ხარჯვაა.

სხვათა შორის, წარსული სერიოზული რესურსია, რომელიც თქვენ სასარგებლოდ უნდა გამოიყენოთ. ანუ, ძველი შეცდომების გაანალიზებით, რომელიც შესაძლოა, მაშინ ურთიერთობაში დაუშვით, უნდა ააშენოთ ახალი ურთიერთობა, უფრო მყარი და სტაბილური.

მთავარია, ამისთვის იყოთ მზად, აიღოთ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა... მიიღოთ ერთმანეთი ისეთები, როგორებიც რეალურად ხართ.

ყურადღება არ მიაქციოთ საზოგადოების აზრს, მითქმა-მოთქმას, სხვის ნეგატიურ შეფასებას.

წარსულს რაც შეეხება – გააანალიზეთ ის და არ მისცეთ საშუალება, თქვენს ახლანდელ ცხოვრებაში შემოიჭრას.

# საიდუმლო შიფრი

არსებობენ ქალები, რომლებსაც მამაკაცის მოხიბვლა განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე შეუძლიათ. მათ ამისთვის არც მომხიბლავი გარეგნობა სჭირდებათ, არც ჯადოსნური სიტყვები. არსებობს საიდუმლო შიფრი: ანუ, სიარულის, ჯდომისა და გამოხედვის მანერა, რომლებიც მამაკაცს გულგრილს არ ტოვებს.

მაგალითად, როცა ქალს უნდა მისთვის საინტერესო მამაკაცის ყურადღების მიპყრობა, უნდა დაჯდეს ისე, რომ ერთი ფეხი შეკეცილი ჰქონდეს, მუხლი კი ამ მამაკაცისკენ მიმართოს. გარდა ამისა, ჯდომის ეს პოზა ქალის თეძოებს უფრო მომხიბვლელად და მიმზიდველად წარმოაჩენს.

თუ მამაკაცი გიყურებთ, ხელში კი სანთებელას ან მანქანის გასაღებს ათამაშებს, ფაქტია, ის დაინტერესებულია თქვენით. პასუხად გაიღიმეთ და დაიწყეთ ბეჭდით ან საყურით თამაში. ეს ჭრის. მამაკაცს სითამამე ემატება და ბედავს გადმოდგას პირველი ნაბიჯი. თქვენ მისთვის უკვე სასურველი ქალი ხართ.

მოდუნდით... ხერხემალში ოდნავ მოიხარეთ და ნუ გაიჭიმებით, როცა თქვენთვის სასურველ და საინტერესო მამაკაცს ესაუბრებით. ეს მისთვის სიგნალი იქნება და გააქტიურდება. მხოლოდ მამაკაცთა იშვიათ გამონაკლისს ჰყოფნის სითამამე პირდაპირ გადავიდეს იერიშზე, როცა ქალი მოეწონება. მათი უმრავლესობა ელოდება სიგნალს ქალის მხრიდან. მეტისმეტად საქმიანი ქალის იმიჯის შექმნაც არ არის საჭირო, თორემ კაცს საერთოდ დააბნევთ და დააფრთხობთ.

# თავზე ძვირფასი...

თუ გულს ადვილად გტკენენ... თუ უმნიშვნელო წვრილმანზეც კი მზად ხართ, მთელი ხმით აბლავლდეთ, დროა დაფიქრდეთ და სანამ მთელ სამყაროს დაადანაშაულებდეთ თქვენ წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიაში, ჯერ საკუთარ თავს ჰკითხეთ, რატომ ხდება ასე. კაცებს ყველაზე ნაკლებად წუწუნა, მოჯაჯღანე, მუდმივად გალიზიანებული და გაუცინარი ქალები მოსწონთ.

თქვენ ან არ შეგიძლიათ თქვათ „არა“; ან ახლობელი ადამიანებისგან ითხოვთ ან ელით იმას, რაც მათ არა აქვთ და მხოლოდ თქვენს ფანტაზიებშია.

რა გვაგდებს აპათიაში და გვაკარგვინებს წონასწორობას? პრობლემები? არა! მხოლოდ და მხოლოდ მათზე რეაქცია. ზოგჯერ ეს რეაქცია საკუთარ თავზე ძვირფასი ხდება და სალად აზროვნების უნარს გვიკარგავს. წარმოიდგინეთ ასეთი სიტუაცია: ვიღაცამ თქვენი მისამართით სისულელე წამოისროლა და ძალიან მალე დაავიწყდა... სამაგიეროდ, თქვენ იმდენი მოახერხეთ, რომ აჰყევით მას... გულთან ძალიან ახლოს მიიტანეთ და რამდენიმე დღე გუნებამოშხამული, ცხოვრების ჩვეული რიტმიდან ამოვარდით. ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარი თავი ისე არ გიყვართ, როგორც უნდა გიყვარდეთ. როგორ შეიძლება, გარეშე პირის, თუნდაც მეგობრის, ან საყვარელი მამაკაცის დაუფიქრებლად ნათქვამი სიტყვები საკუთარ თავზე ძვირფასი იყოს.

დაფიქრდით, ღირს ნერვიულობად, ჩხუბად და ტირილად? რა თქმა უნდა, არა. ვითომ არ გაგიგონიათ და პრობლემაც აღარ იარსებებს. იმაზე ფიქრი – რატომ თქვა ეს ასე, რისთვის თქვა... რა გათვალა, რა ვერ გათვალა... როგორ გადავუხადო სამაგიერო... – საკმაოდ დიდი ხნით გამოგიყვანთ წყობიდან და ძვირფას დროს, რომელიც შეიძლებოდა, საკუთარ თავზე დაგეხარჯათ, ფუჭად დაგაკარგვინებთ.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# რა მზაკვრულ გეგმაზე ფიქრობდა მთელი ღამის განმავლობაში დავით კაკაბაძე უნიკალური ნივთის ხელში ჩასაგდებად

„ძმაო სერგო! მე კარგად ვარ. ამჟამად ვიმყოფები ფშავში და ამ წერილსაც მაღაროსკარიდან გწერ. ეს არის პატარა, საცოდავი სოფელი თავისი უბადრუკი დუქნითა და ფოსტის შენობით. აქ მე პირიქითა ხევსურეთიდან ჩამოვედი, სადაც ვიმუშავე ძალზედ ნაყოფიერად – გავაკეთე მრავალი ესკიზი და ჩანახატი. შენ, ალბათ, გიკვირს და ფიქრობ: რა მინდა ამ მივარდნილ მხარეში ან რამ მაიძულა აქ წამოსვლა. ვეცდები, ყველაფერი წვრილად აგიხსნა: შენ იცი, რომ ჩემმა გამოფენამ, რომელიც ტფილისის სასტუმრო „ორიენტში" ამა წლის მაისში მოეწყო, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეს გასაგებია – ტფილისი ხომ პატარა და ჭორიკანა ქალაქია. უნდა ვაღიარო, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა ვერ გაიგო, ან არ ისურვა, გაეგო ჩემი ნახატები... სამწუხაროა, რომ მნახველმა დავით კაკაბაძის შემოქმედებაში ვერ აღმოაჩინა დიდი გემოვნების მხატვარი... დღევანდელ პირობებში ასეთი შეფასება არა მხოლოდ შეურაცხმყოფელია, არამედ ძალზედ საშიშიც. მით უფრო, რომ ბოლშევიკური მთავრობა დიდად მადლიერი არ უნდა იყოს ჩემი საქციელის გამო: პარიზში ყოფნის დროს, საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატმა დამიბარა ტფილისში და, ამასთან, სამგზავრო ხარჯისთვის გამომიგზავნა 50 გირვანქა სტერლინგი. ეს ფული მივიღე ჭიათურის შავი ქვის საზოგადოება „ჩემოს" წარმომადგენლის, ჯაყელისაგან, დეკემბრის დამლევს, 1922 წელს. მაგრამ იმხანად საქართველოში დაბრუნება ვერ მოვახერხე და, საუბედუროდ ის ფულიც მალევე შემომეჭამა (მოგეხსენება, რა ძალა აქვს პარიზში 50 სტერლინგს). შენ იცი, რომ საფრანგეთში წასვლის მიზანი იყო მხატვრული საქმის შესწავლა. იმ ხნის განმავლობაში, როდესაც საქართველოს მთავრობა სტიპენდიას მაძლევდა, მე სისტემატურად და გულმოდგინედ ვმუშაობდი მხატვრობაში, მაგრამ როდესაც 1921 წლის მარტში დახმარება აღარ მომივიდა, იძულებული გავხდი, მეცადინეობა შემეწყვიტა და მთელი ჩემი ღონე იქეთ მიმემართა, რათა თავი კერძო მუშაობით დამერჩინა. ამის გამო მხატვრული საქმის, ერთხელ შეწყვეტილის, დამთავრება ვერ მოვახერხე... დაუმთავრებელი სწავლით კი საქართველოში დაბრუნება არ მივიჩნიე მიზანშეწონილად. ვფიქრობ, ეს გარემოება საკმარისი მიზეზია იმისთვის, რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობა ჩემზედ გალიზიანებული იყოს. ამიტომაც ავიკარ გუდა-ნაბადი, გადავიკიდე მხარზედ ჩემი „ეტიუდნიკი" და აქაურობას მოვაშურე... არც კი ვიცი, სიტყვებით როგორ გადმოგცე მისი მშვენიერება. ამაში რომ დარწმუნდე, ერთხელ მაინც უნდა ახვიდე „დათვის ჯვრის" უღელტეხილზე და პირიქითა ხევსურეთს იქიდან გადაჰხედო... გამოგიტყდები, იმან, რაც პირველყოფილ ბუნებაში ვიხილე, ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მე ფეხით გავიარე ას ვერსზე მეტი მაღაროსკარიდან სოფელ შატილამდე და უკან. მრავალჯერ დავსველდი მთის ჩქარ და ყინულივით ცივ მდინარეში, ზოგჯერ მშიოდა და, შენ წარმოიდგინე, მციოდა კიდეც, ამ განია ზაფხულში, განსაკუთრებით ღამით. ვინახულე ანატორის თავზარდამცემი აკლდამები და აგრეთვე ციხესიმაგრე შატილი, რომლის სახელწოდება, ჩემი ვარაუდით, ფრანგული სიტყვიდან – chateau („შატო" – ციხესიმაგრე") უნდა მომდინარეობდეს. ეს აზრი უფრო განმიმტკიცდა, როდესაც შატილში ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა მაჩვენა წინაპრის ნაქონი ძველი ხმალი, რომელსაც თვითონ ქართულ „დავითფერულს" ეძახდა და რომელიც სინამდვილეში აღმოჩნდა შუა საუკუნეების მარსელში დამზადებული იარაღი შესაბამისი დამღით: „David Ferari". მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც შემდეგ გადამხდა. რადგანაც არც კარავი გამაჩნდა და არც სხვა საძილე საშუალება, იძულებული ვიყავი, ღამე რომელიმე სოფელში გამეთია. ერთხელ, როდესაც უკვე ღამდებოდა, სოფელი კი არსად ჩანდა, დავინახე ვიღაც კაცი, რომელიც ბალახს თიბავდა და ვთხოვე, ჩემთვის ღამე გაეთევინებინა, რაზედაც იგი სიამოვნებით დამთანხმდა... ჩემმა მასპინძელმა ბალახის თიბვა მიატოვა და წინ გამიძღვა. ავიარეთ ფერდობი, ავედით ერთ მოშიშვლებულ მთაზე და გამოჩნდა ფუნის უზარმაზარი გროვა, ხოლო იმ გროვას რომ შემოვუარეთ, დავინახე მიწური სახლი, რომლის წინაც, მოტიტვლებულ ეზოში, 5 თუ 6 ბავშვი თამაშობდა. ჩემს დანახვაზე დაფრთხნენ და გაიქცნენ. შევედით მიწურში, სადაც დაგვხვდა მასპინძლის ცოლი – ნაადრევად დაბერებული, მაგრამ ჯერ კიდევ, საკმაოდ ლამაზი ქალი. დიასახლისმა დაგვსხა ტახტზე, წინ დაგვიდგა პატარა ტაბლა და შეუდგა ვახშმის სამზადისს. მე ინტერესით ვათვალიერებდი ოთახს: გაშავებულ პატარა ბუხარს, მის თავზე შემოგდებულ, გამურულ ფანდურს, წყლის რამდენიმე თუნგს და ხის დერგებს, სადაც ჩემი მასპინძლები ყველსა და ერბოს ინახავდნენ. მაგრამ ეს ყველაფერი დამავიწყა ერთმა საკვირველმა თექამ, რომელიც მოპირდაპირე კედელზე იყო გაკრული... ეს იყო ფანტასტიური აღმოჩენა! მე ამ აღმოჩენამ იმდენად შემძრა, რომ დამავიწყდა, სად ვიყავი და ვინ ვიყავი. გონს რომ მოვეგე, უკვე ფეხზე ვიდექი და ჩემი გაოცებული მასპინძლების თვალწინ იმ საოცარ თექას ხელით ვსინჯავდი. ის არ ჰგავდა ჩვეულებრივ აბსტრაქტულ ნამუშევარს – არც ფერით, არც კომპოზიციით და არც, მით უმეტეს, სიუჟეტით, მაგრამ მასში მე ვგრძნობდი საქართველოს მიწა-წყალს, ჰაერსა და მის გამაოგნებელ კოლორიტს... ჩვენში ყოველნაირ სიძველეს ერთნაირ მნიშვნელობას აძლევენ და ხელოვნების ფორმის დაფასება მარტო იმით ისაზღვრება, რომ ის ძველია. ეს ფარდაგიც ძველი იყო, მაგრამ მთელი ჩემი პარიზში ყოფნის დროს ასეთი ახალი და ორიგინალური არაფერი მენახა. თანდათანობით ვრწმუნდებოდი, რომ მისი ადგილი აქ არ იყო, ეს თექა ლუვრის საუკეთესო დარბაზში უნდა გამოეფინათ, რათა მისი ხილვით დატკბობის საშუალება მილიონობით ადამიანს მისცემოდა. ამ ფიქრიდან მასპინძლის ხმამ გამომიყვანა, რომელიც სუფრასთან მეპატიჟებოდა. ტახტზე ჩამოვჯექი თუ არა, ხირჩლამ ჟიპიტაურით სავსე პატარა ყანწი მომაწოდა და მე, როგორც აქ არის მიღებული, დავლოცე მისი ჯალაბი და საქონელი, შემდეგ ფრთხილად შევაპარე, რომ თექა ძალიან მომეწონა და რასაც დამიფასებდა, უყოყმანოდ გადავუხდიდი. მან თავი გააქნია და მთხოვა, რომ ამ საკითხზე აღარ გვესაუბრა. დავლიეთ კიდევ რამდენიმე ყანწი და ამასობაში დაღამდა კიდეც... ქალმა ბავშვები დააწვინა და მალე ჩვენც დასაძინებლად მოვეწყვეთ, მაგრამ თითქმის მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, სულ იმ თექაზე ვფიქრობდი და ვგრძნობდი, რომ მის გარეშე აქედან წასვლა ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა. გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, ეს შედევრი ხელში ჩამეგდო, რისთვისაც, მთელი ღამის განმავლობაში, საკმაოდ მარჯვე და ეშმაკური გეგმა მოვიფიქრე. მეორე დილით რომ ავდექით, დიასახლისმა სუფრა გაგვიშალა. ჩვენც დავსხედით და დავიწყეთ იმ საზიზღარი ჟიპიტაურის სმა. სამ-სამი ყანწი რომ დავლიეთ, მე ისევ თექაზე ჩამოვაგდე ლაპარაკი. მასპინძელმა მითხრა, რომ ის მისი ბებიის დედის, ვინმე გულქან არაბულის ნახელავი იყო. ჩემის მხრივ მე ვუამბე საკუთარი თავგადასავალი. ვუთხარი, რომ მხატვარი ვიყავი და ამ საქმეს საფრანგეთში ცხრა წლის განმავლობაში ვსწავლობდი. ველაპარაკებოდი, რა თქმა უნდა, მისთვის სრულიად გაუგებარ თემაზე: პარიზის ხელოვნების დღევან-









# გახდი სტუდენტი ყოველგვარი გამოცდების გარეშე




## კავკასიის ევროპული უნივერსიტეტი
## გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

**აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში სწავლებას, როგორც დასწრებულ, ისე დაუსწრებელ სასწავლო კურსზე, შემდეგ ფაკულტეტებზე:**

1. იურიდიული;
2. ეკონომიკური;
3. ფინანსები;
4. მენეჯმენტი;
5. მარკეტინგი;
6. ბიზნესადმინისტრირება;
7. ჟურნალისტიკა;
8. ინფორმატიკა – პროგრამისტი;
9. საერთაშორისო ურთიერთობები;
10. ტურიზმი;
11. დიზაინი;
12. თარჯიმანი;
13. ეკოლოგია;
14. პოლიტოლოგია;
15. ბიოლოგიური;
16. ზოგადი მედიცინა;
17. ფარმაცია;
18. ფსიქოლოგია;
19. სტომატოლოგიური;
20. აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი;
21. პედაგოგიკა და მეთოდიკა;
22. უცხო ენა;
23. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები;
24. სატრანსპორტო;
25. საინჟინრო;
26. ფინანსები და საბანკო საქმე.

***გაიცემა საერთაშორისო ხარისხის ბაკალავრის დიპლომი, რომელიც აღიარებულია 193 ქვეყანაში.***

ჩვენთან ჩარიცხულ ყველა სტუდენტს, პირველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, შეუძლია ყოველგვარი გამოცდების გარეშე, სწავლა გააგრძელოს საქართველოში აკრედიტებულ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში.

**ბიჭები გათავისუფლდებიან სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან.**

შპს „კავკასიის ევროპული უნივერსიტეტი“ არის უკრაინისა და სომხეთის ქვეყნებში აკრედიტებული უნივერსიტეტის ოფიციალური პარტნიორი და წარმომადგენელი საქართველოში.

**სწავლება მიმდინარეობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.**

**სწავლის საფასური შეადგენს:**

**სომხეთი**

დაუსწრებელი – 2 250 აშშ დოლარი
დასწრებული – 2 650 დოლარი

**უკრაინა**

დაუსწრებელი – 2 650 აშშ დოლარი
დასწრებული – 2 950 დოლარი

**გადახდა შესაძლებელია ყოველთვიურად 200 აშშ დოლარიდან**

**შესაძლებლობა გაქვთ, ისარგებლოთ სტუდენტური სესხით.**

სტუდენტთა რაოდენობა შეზღუდულია.

***მიმდინარეობს საბუთების მიღება შემდეგ მისამართებზე:***

**ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №47 (ყოფილი პავლოვი), მე-4 სართული, ოთახი 420. მეტრო „დელისის“ მოპირდაპირე მხარეს**

**ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას გამზირი №17, მე-2 სართული**

**ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №95**

**ტელ.: 577-717-444; 596-50-40-50.**

**www.ceu.ge**


დელ მდგომარეობაზე, იქ არსებულ ორ უმთავრეს დაჯგუფებაზე, რომელთაგან ერთი განაგრძობს კუბიზმის მონაპოვართა გაღრმავებას, მის ორგანიზაციას, სინთეზს, ახალი პირობების მიხედვით ახალი შესაძლებლობების აღმოჩენას (პიკასოდან დაწყებული, ანდრე ლოტამდე), ხოლო მეორე ჯგუფი ან სარგებლობს უკვე მოცემული მხატვრული ფორმულებით, ან ფიქრობს ბუნების უშუალო გადმოცემაზე. ამასთან, არ დავუმალე, რომ



ეს თექა ძირეულად განსხვავდება ამ ორივე ჯგუფის მიერ შემუშავებული კონცეფციისაგან და წარმოადგენს სრულიად ახალ, ჯერ კიდევ უცნობ მიმდინარეობას, რომელმაც, შესაძლებელია, რევოლუციური გარდატეხა შეიტანოს თანამედროვე ევროპის მხატვრულ რეალობაში. დასკვნის სახით კი ვუთხარი, რომ ჩვენი ვალია, ეს ნამუშევარი უსათუოდ გავაცნოთ ევროპელ მხატვრებს, რაც ორმხრივ სასარგებლო იქნება – ჯერ ერთი, რომ ისინი სულ სხვა თვალით შეხედავენ არა მხოლოდ საკუთარ შემოქმედებას, არამედ, თვალნათლივ დაინახავენ მხატვრობის განვითარების პერსპექტივებს და, მეორეც, ჩვენი პატარა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი და სამაყო იქნება ის, რომ ამ პერსპექტივას გენიალური ქართველი შემოქმედი, ანუ მისი დიდი ბებია დაუდებს სათავეს. ჩემი საწყალი მასპინძელი მთელი ყურადღებით მისმენდა, მაგრამ ვეჭვობ, ჩემი ამ გრძელი ტირადიდან ნიშანდობლივ რაიმე გაეგოს, ამიტომ, არც ვაციე, არც ვაცხელე და პირდაპირ ვუთხარი, თექა უნდა მომყიდო-მეთქი. არაო, – მიპასუხა, – გუშინაც ხო გითხარი, რო ვერ გავყიდიო. მაშინ, მაჩუქე-მეთქი. ეს მზაკვრული ხერხი წინასწარ მოვიფიქრე და ჩემი გეგმის კულმინაციად დავსახე, რადგან ვიცოდი, რომ მთიელი კაცი სტუმარს ასეთ თხოვნაზე უარს ვერაფრის დიდებით ვერ ეტყოდა. მართლაც, ჩემს სიტყვებზე ძალიან მოიწყინა, სახე ხელისგულებში ჩამალა და დიდხანს, ძალიან დიდხანს იჯდა ეგრე. მე ვხვდებოდი, რომ მის არსებაში ორი გრძნობა ებრძოდა ერთმანეთს: ვერც თექას ელეოდა და არც სტუმრის წყენინება უნდოდა, რის გამოც, ცოტა არ იყოს, სინდისის ქენჯნამ შემაწუხა, მაგრამ, ოღონდაც ის დაუძლეველი სურვილი ამესრულებინა და იმ წუთში ყველაფრისათვის მზად ვიყავი... თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. მერე არაყი დაისხა, დალია და დახლოებით ასეთი რამ მითხრა: „მე ადრე დავობლდი. ექვსი წლისას დედა მომიკვდა, რვისას – მამა. ბებია მზრდიდა, მაგრამ, თორმეტისა რო შევსრულდი, ისიც მომიკვდა. დავრჩი მარტო. საქონელს ვუვლიდი, თივას ვამზადებდი, ტყიდან შეშას ვეზიდებოდი. აქ მკაცრი ზამთარი იცის – თოვლი, ყინვა, ზვავები. კარგად რომ მოვიზარდე, ეს ჩემსავით ობოლი, ბოგანო ქალი შევირთე და ოჯახი კომლად ვაქციე. ექვსი ბალღი გვეყოლა, სულ ერთმანეთის მომდევნოები. მამლის ყივილზე ვდგები, ვწვალობ, ვშრომობ, წელებზე ფეხს ვიდგამ, რომ ჯალაბი როგორმე გამოვკვებო, მაგრამ მაინც მშივრები და შიშველ-ტიტვლები ვყრივართ. ზოგჯერ ისე შემჯავრდება ყველაფერი, რო თავის მოკვლა მინდება. მოვალ დაღლილ-დაქანცული და ტახტზე მივეგდები



– არ ვიცი, თოფი დავიცე თუ ხანჯალზე დავეგო, მაგრამ, ამ თექას რო შევხედავ, გულში ნათელი მიდგება, ყველაფერი მავიწყდება, ისევ კაცი მგონია ჩემი თავი, – ერთხანს იყუჩა, მერე ყანწი ისევ შეივსო და თქვა: – ეხლა, როგორც შენ იტყვი, თუ ეგრე გულით გინდა, ადექი, ჩამოხსენი და წაიღე”.

მე ველარაფერი ვაწამე. ერთხანს გაოგნებული ვიჯექი, მერე ავდექი, გადავეხვიე, ორთავ მხარზე ვაკოცე, დავემშვიდობე და წამოვედი. ახლა მაღაროსკარის ფოსტაში ვზივარ და ამ წერილს გწერ. სრულიად არ ვნანობ, რომ ის თექა არ წამოვიღე. ალბათ, ისევ იმ გამურულ კედელზე ჰკიდია და მის პატრონს, ერთ უბრალო ხევსურს, ცხოვრების ამაოებისგან აწეწილ სულს უმშვიდებს. ხელოვნების უმთავრესი დანიშნულებაც ხომ ეს არის.

***მარად შენი მოყვარული ძმა***
***დავით კაკაბაძე***
***4 აგვისტო, 1928 წელი.”***



## როგორ შევინარჩუნოთ სასიცოცხლო ტონუსი და ვაკონტროლოთ იმუნიტეტი

სასიცოცხლო ტონუსის შესანარჩუნებლად აუცილებლად აკონტროლეთ წნევა, სისხლძარღვების ჯანმრთელობა და წონა. გადაღლა, სტრესი და არასწორი კვება ცვეთს სისხლძარღვებს, უკარგავს ელასტიკურობას, იხშობა წვრილი ძარღვები, რასაც სპაზმები, თავის ტკივილი და მთელი რიგი უსიამოვნებები მოსდევს.

ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევისა და ინსულტის რისკ-ფაქტორებს შორის პირველ ადგილზე ჰიპერტონიაა.

კოორდინაციის დაკარგვის, თავბრუხვევის, თავის ტვინის სპაზმების დროს უნდა მიიღოთ მცენარეული ნედლეულით დამზადებული წამლები, რომლებიც აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლასა და წნევას, წმენდს კაპილარებს ცხიმოვანი დანალექებისგან, აღადგენს ძარღვების ელასტიკურობას და ასე შემდეგ.

დაძაბულობისა და გადაღლის დროს უნდა მიირთვათ საქონლის ღვიძლი ან ტვინი, ბროწეული, ანანასი, ავოკადო, ხორბლის, ღერღილის ნაწარმი, ბევრი ხილი და ბოსტნეული. C ვიტამინი, რომელსაც უხვად შეიცავს ფორთოხალი და გრეიპფრუტი და წმენდს ტვინის სისხლძარღვებს. კვებით რაციონში აუცილებლად ჩართეთ მინერალური ნივთიერებებით მდიდარი ზღვის პროდუქტებიც – ეს აუმჯობესებს ადამიანის გონებრივ აქტივობას.

იმუნიტეტი ორგანიზმის თავდაცვისუნარიანობაა გარე და შიდა გამღიზიანებელთა მიმართ. როდესაც ადამიანი ადვილად ცივდება, ხშირად ავადმყოფობს სხვადასხვა ინფექციური დაავადებით, მას სუსტი იმუნიტეტი აქვს.

იმუნურ პროცესებზე პასუხს აგებს ლიმფოციტები და მონოციტები. ამ უჯრედების რაოდენობის საგრძნობი მატება, ანუ, თუ ლიმფოციტები დაახლოებით ორმოც პროცენტს აღემატება, მონოციტები კი ათთხუთმეტ პროცენტზე მეტია, ეს იმუნური სისტემის გადაძაბვაზე – ორგანიზმის ინფექციასთან ბრძოლის პროცესზე მეტყველებს. მაგრამ, თუ ლიმფოციტების რაოდენობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული, ეს იმუნიტეტის დაქვეითების მაჩვენებელია. ასევე, სისხლში არსებობს სპეციალური იმუნოკომპეტენტური ცილები – იმუნოგლობულინები, რომელთა რაოდენობრივი მაჩვენებელიც იმუნიტეტის მდგომარეობაზე მიუთითებს. ადამიანი რომ მხნე, ჯანმრთელი და შრომისუნარიანი იყოს, აუცილებელია, მისი იმუნიტეტი გარკვეული პროცენტით აკმაყოფილებდეს საერთო ნორმებს.

## როგორ უნდა ვიკვებოთ ქრონიკული პანკრეატიტის დროს

პანკრეასი გამოყოფს ჰორმონ ინსულინს და მის საწინააღმდეგო გლუკაგონს. აქვს მეტად მნიშვნელოვანი გარეგანი სეკრეციის ფუნქციაც. მის მიერ გამოიყოფა საჭმლის მონელებაში მონაწილე ფერმენტები. პანკრეასის წვენის უკმარისობის დროს ძნელდება ცხიმების მონელება.

პანკრეასის ინსულარული აპარატის დაზიანება იწვევს შაქრიან დიაბეტს, ფერმენტული ნაწილის ანთება კი – პანკრეატიტს. პანკრეატიტი, შესაძლოა, იყოს მწვავე ან ქრონიკული მიმდინარეობის. ეს იმ ადამიანებს უვითარდებათ, ვისაც აქვთ ნაღველკენჭოვანი დაავადება, ქოლეცისტიტი, ქოლანგიტი და ასე შემდეგ. დაავადების მაპროვოცირებელ ფაქტორად ითვლება დიეტის დარღვევა, მწარე და ცხიმიანი საჭმლის, ალკოჰოლის გადაჭარბებული დოზით მიღება, არასრულფასოვანი კვება და ასე შემდეგ. პანკრეატიტის განვითარების მექანიზმი დაკავშირებულია ნაწლავებში მისი წვენისა და ნაღვლის გადასვლის პროცესის დარღვევასთან, რასაც შედეგად მოჰყვება პანკრეასის ქსოვილის თვითმონელება.

მწვავე პანკრეატიტი მუცლის შეტევითი, მწვავე ტკივილით იწყება. ავადმყოფს აღენიშნება ხშირი ღებინება. ამ დროს მდგომარეობა ძალიან რთულია და სერიოზული. ეს ყველაფერი, შესაძლოა, ნაწლავთა გაუვალობის მიზეზიც კი გახდეს. ქრონიკული პანკრეატიტის შემთხვევებში კი ადამიანს აწუხებს მუცლის შებერვა, ბოყინი, შეკრულობა, ან, პირიქით – ფაღარათი; აღინიშნება ტკივილი მუცლის ზედა ნაწილში და მარჯვენა ფერდქვეშ. თუ ქრონიკული პროცესი გამწვავდა და ადამიანმა დროულად არ უშველა თავს, შესაძლოა, განვითარდეს მწვავე პანკრეატიტი.

ქრონიკული პანკრეატიტის მკურნალობის ძირითადი პრინციპი დიეტის სათანადო დაცვაა. ამ დროს საკვები უნდა იყოს ნაკლებცხიმიანი, მაგრამ ცილებით გაჯერებული; ასევე, ის უნდა შეიცავდეს ვიტამინებსა და ნახშირწყლებს. დიდი მნიშვნელობა აქვს ნაღველკენჭოვანი დაავადებისა და ქოლეცისტიტის სათანადო მკურნალობის კურსის ჩატარებას.

ცხიმიანი და ცხიმში შემწვარი პროდუქტები იწვევენ დაავადების გამწვავებას. ამიტომ, გირჩევთ, მოერიდოთ მსგავსი საკვების მიღებას. თუ სხვა გამოსავალი არ გაქვთ და მოგიწიათ მათი ჭამა, სასწრაფოდ დააყოლეთ მათ ფერმენტული პრეპარატი, რათა მოხდეს ცხიმის დროული ნეიტრალიზაცია.

## ნაღვლის ბუშტის ანთების დროს საჭიროა მკაცრი დიეტა და სამკურნალო ვარჯიში

ქოლეცისტიტი ნაღვლის ბუშტის ანთებითი დაავადებაა. მის განვითარებაში ორი ფაქტორი მონაწილეობს: პირველი – ბაქტერიული ინფექცია, რომელიც ნაღვლის ბუშტში სხვადასხვა გზით ხვდება – ნაღვლის სადინარიდან, სისხლიდან და ლიმფიდან, იქ იბუდებს და იწვევს დაავადებას; და, მეორე – ნაღვლის შეგუბება – ნაღველი ნაღვლის ბუშტში გამომუშავდება, იქიდან კი სადინარით გადაისროლება თორმეტგოჯა ნაწლავში, სადაც მონაწილეობს საჭმლის მონელების პროცესში. ქოლეცისტიტის გამომწვევი მიზეზი, შესაძლოა, გახდეს პარაზიტული დაავადებები, მწვავე პანკრეატიტი, ჭარბი წონა, ნივთიერებათა ცვლის მოშლა, ნაღვლის ბუშტის კედლის სისხლმომარაგების დარღვევა, მემკვიდრეობითი ფაქტორები. თუ ნაღვლის ბუშტში კენჭებია, ქოლეცისტიტი მეტად მწვავდება.

ქოლეცისტიტის განვითარებასა და გამწვავებას ხელს უწყობს კვების რეჟიმის შეცვლა, ცხარე, ცხიმიანი, შებოლილი საკვების ჭამა; ფიზიკური და ემოციური გადატვირთვა, ალკოჰოლის დალევა. მწვავე ქოლეცისტიტს თან სდევს ძლიერი შეტევითი ტკივილი წელის მარჯვენა მხარეს, მხარში და ბეჭის მიდამოებში. ტკივილს თან ერთვის გულისრევის შეგრძნება. ამ დროს არ არის გამორიცხული ტემპერატურის მომატებაც. ქრონიკული ქოლეცისტიტი კი ყრუ ტკივილითა და ნაღვლის ბუშტის არეში ტკივილით ვლინდება, თან სდევს პირში მწარე გემო და გულისრევა. ამ დროს აუცილებელია, დაიცვათ მკაცრი დიეტა.

ზოგადად, ქოლეცისტიტის გამომწვევი მიზეზებიდან მთავარია ნაღვლის შეგუბება, რასაც ხელს უწყობს არარეგულარული და ჭარბი კვება, სიმსუქნე, უმოძრაო ცხოვრების წესი, საქმიანობის პირობები, ორსულობა, შეკრულობა, ინფექცია. ქოლეცისტიტი შეიძლება იყოს კენჭოვანი და არაკენჭოვანი, ქრონიკული და მწვავე.

მწვავე ქოლეცისტიტის შეტევა ხშირია ცხიმიანი საკვების მიღებიდან 2-4 საათის შემდეგ. ამ დროს საჭიროა სასწრაფოდ ექიმის გამოძახება. ექიმის მოსვლამდე არ შეიძლება სათბურის გამოყენება, კუჭის ამორეცხვა, ტკივილგამაყუჩებლის გაკეთება, საფაღარათო საშუალებების მიღება და სხვა.

ნაღვლის ნორმალურ დენას ხელს უწყობს სამკურნალო ვარჯიში. ქრონიკულად მიმდინარე ქოლეცისტიტის დროს ავადმყოფი უნდა სვამდეს იმ მედიკამენტებს, რომელსაც ექიმი საჭიროებისამებრ უნიშნავს. კენჭების არსებობისას კი დროულად უნდა გაკეთდეს ოპერაცია.

## რა ახასიათებს წითელ ქარს და რას იწვევს მისი დაგვიანებული მკურნალობა

წითელი ქარი მწვავე სტრეპტოკოკური ინფექციის ერთ-ერთი ფორმაა. მას ახასიათებს კანისა და ლორწოვანი გარსების

ანთება, ცხელება და ზოგადი ინტოქსიკაცია. დაავადება კი ვითარდება: გარედან – დაზიანებულ კანსა და ლორწოვანში სტრეპტოკოკის შეჭრის შედეგად, შიგნიდან კი – ორგანიზმში არსებული სტრეპტოკოკური ინფექციის კერიდან მიკრობის ლიმფოგენური ან სისხლით გავრცელებით. დამახასიათებელია სეზონურობა და მწვავდება სიცხეში. წითელი ქარის ორი ფორმა არსებობს: პირველი ერითემიული, როცა აღინიშნება მკვეთრად შემოსაზღვრული სიწითლე და, მეორე – როცა კანზე წარმოიქმნება სითხით სავსე ბუშტუკები, რომლებიც შემდგომ, შესაძლოა, დაჩირქდეს. დაავადებას წინ უსწრებს ლიმფური კვანძების ტკივილი, კიდურების მოძრაობის მოდუნება და სიმძიმის შეგრძნება. დაავადება იწყება მწვავედ, ზოგადი ინტოქსიკაციის სიმპტომებით. ამ დროს აღინიშნება თავის ტკივილი, შემცივნება, საერთო სისუსტე, გულისრევის შეგრძნება, ტემპერატურის მატება.

წითელი ქარისთვის დამახასიათებელია მკაფიო და შემოსაზღვრული სიწითლე, კანიდან სითხის გამოსვლა, შეშუპება. ერითემის ადგილას კანი გახურებულია, დაჭიმულია, შეხებისას – მტკივნეული, ზოგ შემთხვევაში კი ვითარდება ლიმფური კვანძებისა და სადინარების ანთებაც. ამ დროს აუცილებელია ანტიბიოთერაპიის დროულად დაწყება. თუ წითელ ქარს უყურადღებოდ დატოვებთ და დროულად არ უმკურნალებთ, მოჰყვება გართულებები: აბსცესი ანუ ჩირქგროვა, კანქვეშა ანთება, ჩირქოვანი ელემენტების გამრავლება, კანის წყლული, ვენის ანთება; ზოგ შემთხვევაში ვითარდება სეფსისი, პნევმონია, ნეფრიტი, გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა და ასე შემდეგ.

პროფილაქტიკის მიზნით კი აუცილებელია პირადი ჰიგიენის ზედმიწევნით დაცვა, კანის თანმხლები დაავადებებისა და პერიფერიულ სისხლძარღვთა დაავადების მკურნალობა, ქრონიკული სტრეპტოკოკური ინფექციების კერების გაჯანსაღება.

# ექიმის რჩევები

**კითხვა**: **ვარ 21 წლის გოგონა. ისეთი ნერვიული ვარ, ელემენტარულ შენიშვნაზეც კი ტირილს ვიწყებ, წვრილმან მიზეზებზე კი მაშინვე „ვფეთქდები." თავს ვერაფერს ვუხერხებ, არ ვიცი, როგორ მოვიქცე. გთხოვთ, მირჩიოთ რამე.**

**პასუხი**: რეკომენდებულია მიმართოთ ექიმს, რათა ჩატარდეს ზოგადი გასინჯვა და გამოკვლევა. როდესაც ამ ჩივილების გამომწვევი მიზეზები, კერძოდ, ფარისებრი ჯირკვლის მომატებული ფუნქცია გამოირიცხება, სასურველია ფსიქოთერაპევტის დახმარება.

**კითხვა**: **ვარ 25 წლის მამაკაცი. არ ვეწევი, წნევა ნორმალური მაქვს, არც ნევროზს არ ვაბრალებ სპაზმებს ყელში. ფარისებრ ჯირკვალზე გავიკეთე ექოსკოპია და მითხრეს, რომ ყველაფერი ნორმაში გაქვსო. გულიც არ მაწუხებს – კარდიოგრამა გადავიღე და ნორმაშიაო. სხვა რისი ბრალი შეიძლება იყოს სპაზმები ყელში?**

**პასუხი**: მართალია თქვენ არ აბრალებთ, მაგრამ, ყელში სპაზმების უხშირესი მიზეზი სწორედ ნევროზია.

**კითხვა**: **რას ნიშნავს ვესტის გულყრა და რა სიმპტომები ახასიათებს?**

**პასუხი**: ვესტის სინდრომი ვლინდება 3-დან 12 თვემდე ბავშვებში, რთული აბსანსის სახით. შეტევა გამოიხატება თავისა და ტანის მოხრით, ხელების მკერდზე დაკრეფით, რაც ხშირად მეორდება, ანუ, სერიულობა ახასიათებს. ამგვარ შეტევებს „სალმის" ტიპის შეტევებს უწოდებენ. ინფანტილური სპაზმი ანუ ვესტის სინდრომი მიეკუთვნება საკმაოდ მძიმე და ძნელად სამართავ კრუნჩხვით სინდრომებს. მისი დიაგნოსტირება ხდება კლინიკური და ეეგ მონაცემების საფუძველზე (ეეგ-ზე ახასიათებს გიპსარითმია), თუმცა, არცთუ იშვიათად, ვითარდება გენეტიკურად პირობადებული მეტაბოლური სინდრომების ფონზე, რაც საკმაოდ ძნელად დიაგნოსტირდება. რა წარმოშობისაც არ უნდა იყოს ინფანტილური სპაზმი, ანუ ვესტის სინდრომი, პირველ ყოვლისა, აუცილებელია გულყრების კუპირება (ხდება ძირითადად ჰორმონისა და ანტიკონვულსანტის საშუალებით). შეტევების გავლა არ გამორიცხავს დაავადების გამწვავებას, თუნდაც ინფექციის ფონზე. ვესტის სინდრომი ანუ ინფანტილური სპაზმი საკმაოდ მძიმე ზეგავლენას ახდენს ბავშვის ფსიქომოტორულ განვითარებაზე. ამ დროს ბავშვის ფსიქიკური განვითარება ძლიერ ჩამორჩება და პროგრესირებად ხასიათს ატარებს.

**კითხვა**: **ჩემს ახლობელს მხარზე გაუჩნდა ლურჯი ფერის სვირინგივით წერტილი, რომელიც გაზაფხულზე ონკოლოგთან აზოტით მოიყინა. ცოტა ხანში მოყინულ ადგილას გაუჩნდა მოზრდილი ზომის მუქი ლაქა. ახლა ისევ მივიდა ონკოლოგთან, რომელმაც ისევ მოუყინა. მაინტერესებს, შეეძლო თუ არა აზოტით მოყინვას მელანომის გამოწვევა და რამდენად საშიშია ამ პროცედურის ჩატარება პროფილაქტიკის მიზნით?**

**პასუხი**: მოყინვა მელანომას არ იწვევს, მელანომა კანის მელანოციტებისგან (უჯრედები, რომლებიც შეიცავენ პიგმენტ მელანინს) ვითარდება როგორც ნორმალური კანის, ასევე პიგმენტური ნევუსების (ხალების) ეპიდერმული მელანოციტებისგან. ადეკვატურია თუ არა ეს მკურნალობა, შორიდან დიაგნოსტირება შეუძლებელია.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

## თუ ღამით ცუდად გძინავთ, რძეში გახსნილი თაფლი დაგეხმარებათ, ალერგიის დამარცხებაში – ორკბილა, ხოლო კოლიტის დროს – საზამთროს ქერქი

ღამით არანაკლებ 8 საათი უნდა გეძინოთ მშვიდ და წყნარ გარემოში. არც ზედმეტი ძილი ვარგა, რადგან ასე ორგანიზმის ბიოლოგიური რიტმი ირღვევა. ძილის წინ კი არ დაგავიწყდეთ ოთახის განიავება, რადგან სუფთა ჰაერი მშვიდი ძილისთვის აუცილებელი პირობაა.

თუ ღამით ცუდად გძინავთ, აუცილებლად გაითვალისწინეთ ქვემოთ მოყვანილი რჩევები, რომლებიც ამ პრობლემის დაძლევაში დაგეხმარებათ: დაძინებამდე ერთი საათით ადრე გაიკეთეთ მასაჟი ყურის ბიბილოებზე. აქ განლაგებულია სპეციალური რეფლექსური ზონები, რომლებიც პასუხისმგებელია ორგანიზმის მოდუნებაზე. თუ რთული დღე გქონდათ და განერვიულებული ხართ, ძილის წინ დალიეთ 1 ჩაის ჭიქა რძეში გახსნილი 1 სადილის კოვზი თაფლი; ასევე, კარგი შედეგი აქვს პიტნისა და გვირილის ჩაის.



თუ ალერგია გაწუხებთ, უნდა სვათ ორკბილას ნაყენი: აფთიაქში ნაყიდ 20 გრამ ორკბილას დაასხით მდუღარე წყალი და გააჩერეთ 20 წუთის განმავლობაში, ოთახის ტემპერატურაზე, თავდახურულ ჭიქაში. შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ. სასურველია, ნაყენი უშუალოდ დალევის წინ მოამზადოთ.

კოლიტის სამკურნალოდ ხალხურ მედიცინაში იყენებენ საზამთროს ქერქს: 100 გრამ საზამთროს გამომშრალ ქერქს დაასხით 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ თავდახურული. დალიეთ ნახევარი ჭიქა ნაყენი დღეში 4-ჯერ. ეს უებარი საშუალებაა მსხვილი ნაწლავის ქრონიკული ანთების დროსაც.

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# როგორ გაიფრინა სტალინმა ვალერი ჩკალოვთან ერთად ხიდის ქვეშ და რატომ უყვარდა ბელადს ყველაფერი არაორდინარული



1937 წლის დასაწყისში სტალინმა რამდენიმე მნიშვნელოვანი განკარგულება გასცა, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა განხორციელებულიყო. ერთ-ერთი ასეთი ბრძანება ავიაციისა და საავიაციო მრეწველობის განვითარებას ეხებოდა. „მომავალი ჰაერში გადაწყდება!“ – ასეთი დევიზი წამოაყენა დიდმა ბელადმა პოლიტბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე და საავიაციო გამოკვლევების დაფინანსების გაზრდა ბრძანა: „დიდი ომი იმდენად ახლოა, რომ მთელი სახსრები თავდაცვას ხმარდება და თითქოს ექსპერიმენტებისთვის არ გვცალია, მაგრამ, გარწმუნებთ, ავიაცია სულ მალე შეასრულებს გადამწყვეტ როლს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში და, მით უმეტეს – ომის დროს“. სტალინმა ვოროშილოვს იქვე დაავალა სპეციალური საავიაციო სპეცდანაყოფის შექმნა: „შეარჩიეთ ოცამდე კაცი, ნებისმიერ დროს მზად რომ იქნება ცაში ასაჭრელად, როგორც საომარი, ასევე გამოსაცდელი ან სხვა მნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად“. მოვლენებს გავუსწრებ და ვიტყვი, რომ თანამედროვე საბჭოთა სტრატეგიული ავიაციისა და კოსმოსური ტექნოლოგიების დანერგვა თავიდან ბოლომდე სტალინის დამსახურებაა. მან, როგორც გენიალურმა სტრატეგმა, ჯერ კიდევ 30-იან წლებში ივარაუდა საჰაერო ტექნიკის უპირატესობა სხვა დანარჩენ სახეობებთან შედარებით და ამ საქმეს მძლავრი ბიძგი მისცა. საგულისხმოა ისიც, რომ მრავალი საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი თუ ინჟინერი პირადად სტალინის ბრძანების საფუძველზე გაათავისუფლეს საპყრობილეებიდან, სადაც ისინი სხვადასხვა პოლიტიკურ სასჯელს იხდიდნენ: „მათ პირადად მე ვუდგები თავდებში!“ – აცხადებდა სტალინი და ისინი ციხეებიდან გამოჰყავდა.

საჰაერო ოცეულის შექმნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც მომავალში უფრო კარგად გამოჩნდა. იქ საბჭოთა მფრინავების არაერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი აღიზარდა. მათ მეორე მსოფლიო ომშიც და მშვიდობიანობის დროსაც არაერთხელ ასახელეს სამშობლო. საავიაციო ქვედანაყოფი მართლაც რომ „მფრინავი ასების“ სამჭედლოდ იქცა და მას ვალერი ჩკალოვი ედგა სათავეში. შეიძლება ითქვას, რომ ჩკალოვი სტალინის პირადი მეგობარი და მისი, ეგრეთ წოდებული, „ლიუბიმჩიკი“ იყო. დიდ ბელადს ძალიან უყვარდა ყველაფერი არაორდინარული, არასტანდარტული და დიდ პატივს სცემდა იმ ხალხს, ვინც თავისი პროფესიონალიზმის წყალობით აღწევდა სრულყოფილებას. ამა თუ იმ დარგსა და პროფესიაში ჩკალოვიც ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა და სტალინი აღფრთოვანებული იყო მისი ოსტატობით: „ჩკალოვი სუპერ-ასია, სუპერ-პილოტი, – იმეორებდა ხოლმე ბელადი და დასძენდა – თავის საქმეში ყველა რომ ჩკალოვისნაირი პროფესიონალი იყოს, ერთიორად იხეირებს ქვეყანა“.

უმაღლესი პილოტაჟის ტექნიკით აღფრთოვანებული სტალინი ტუშინოს ყველა საავიაციო აღლუმის ბოლოს ჩკალოვს ისევ ჰაერში ასაფრენად იწვევდა და მისი ოსტატობით ტკბებოდა. ჩკალოვი თავისი „ილით“ გამაოგნებელ ტრიუკებს ასრულებდა. ერთხელ სტალინს უამბეს, რომ ჩკალოვმა ხიდის ქვეშ გაიფრინა და ისე გაიარა „საუნივერსიტეტო“ ხიდი, არც წყალს შეეხო და არც ხიდის თაღსო. „მართლაც საოცარია“, – ჩაილაპარაკა სტალინმა და მეტი აღარაფერი უთქვამს.

1937 წლის ივნისში ტუშინოს აეროდრომზე მორიგი საჰაერო აღლუმი გაიმართა, რომელსაც სტალინთან ერთად, ტრადიციულად, პოლიტბიუროს სხვა წევრებიც დაესწრნენ. უახლოესი სამხედრო-საჰაერო ტექნიკის დემონსტრაციის ბოლოს, სტალინის წინ ვალერი ჩკალოვი წარდგა, რომელმაც პატაკი ჩააბარა უმაღლეს მთავარსარდალს:

– ამხანაგო სტალინ, მზად ვარ, სასწავლო-საბრძოლო დავალების შესასრულებლად და, ნება მომეცით, შევუდგე მას!

სტალინმა ყურადღებით მოუსმინა მფრინავ „ასს,“ შემდეგ კი, როდესაც მან პატაკი დაასრულა, მეგობრულად მოხვია მხარზე ხელი და უთხრა:

– მე მითხრეს, რომ შენ შენი „მანქანით“ ხიდის ქვეშ ძვრები, მართალია?

ჩკალოვი წამოწითლდა, დაიმორცხვა და ჩაილაპარაკა:

– მართალია, იყო ასეთი ათი-თერთმეტი შემთხვევა, მაგრამ, გარწმუნებთ, ეს იმდენად უსაფრთხოა, ზიანს არავის მიაყენებს.

სტალინს გაეცინა და მიუგო:

## სტალინი პირადად უდგებოდა თავდებში დაპატიმრებულ ინჟინრებს და ათავისუფლებდა მათ

– შეგიძლია თუ არა, ასეთი ვოიაჟისას მგზავრიც გაიყოლო და ისე შეასრულო ეს ნომერი?

ჩკალოვმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა:

– რა თქმა უნდა, შემიძლია. მე ერთხელ ბელაკოვი (ცნობილი საბჭოთა პილოტი) ჩავისვი კაბინაში და მასთან ერთად გავიფრინე ხიდის ქვეშ, რადგან, არ იჯერებდა ამ ამბავს.

სტალინმა ჩიბუხი გადაისვა ულვაშებზე და ჩაილაპარაკა:

– მაშ, თუ ასეა, ახლა მეც პირადად უნდა დამიმტკიცო შენი ოსტატობა და სიმამაცე. გასაფრენად მოვემზადოთ.

ჩკალოვი გაშრა, აშკარად არ მოელოდა საუბრის ასეთ გაგრძელებას და ირგვლივ შემოკრებილ მდუმარე პოლიტბიუროს წევრებს შეავლო თვალი. ჩვენც ენა ჩაგვივარდა. არ ვიცოდით, რა გვექნა. ერთი სიტყვით, ძალიან უხერხული სიტუაცია შეიქმნა, ხმას ვერავინ ვიღებდით. მხოლოდ ვლასიკმა მოიკრიბა ნებისყოფა, სტალინთან მივიდა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ბელადი არ მოეშვა:

– ნუთუ ყოყმანობ და შენი ლაპარაკი მხოლოდ და მხოლოდ ფუჭი სიტყვებია და სხვა არაფერი?

ჩკალოვი უცებ გამოერკვა, სახე გაებადრა და თქვა:

– რატომაც არა, ამხანაგო სტალინ! მთელი სულითა და გულით გეპატიჟებით, მობრძანდით! – შემდეგ მან კაბინაში მიიპატიჟა სტალინი, მანამდე კი საავიაციო ჩაფხუტი გაუწოდა და აუხსნა, როგორ უნდა მოერგო. სტალინი საკმაოდ მოხდენილად ჩაჯდა კაბინაში და, მას შემდეგ, რაც ჩკალოვი შტურვალთან მოკალათდა და კაბინა დახურა, თვითმფრინავი დაიქოქა. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავცვივდებოდით ჩვენ და პოლიტბიუროს წევრები – იმ მომენტში ხომ ყველანი უძლურები ვიყავით, რაიმე გველონა. ვინ გაბედავდა, წინ აღდგომოდა დიდი ბელადის ნებას? თვითმფრინავი დაიძრა, ნელ-ნელა უმატა სისწრაფეს და ცაში აიჭრა, ტუშინოს ცაზე ნახევარწრე დაარტყა და სამხრეთით, ქალაქისკენ გაიჭრა. ამ სურათის შემხედვარე, ყველანი პირდაღებულები დავრჩით, მაგრამ ხმას ვერ ვიღებდით – ასე უაზროდ ვიდექით. როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, თვითმფრინავმა მოსკოვის თავზე გადაიფრინა და რამდენიმე მსუბუქი საჰაერო პასაჟის შემდეგ „საუნივერსიტეტო“ ხიდის ქვეშ გაძვრა. ეს სანახაობა იმ დღეს ათასობით მოსკოველმა იხილა, მაგრამ მათ რა იცოდნენ, რაოდენ ძვირფასი მგზავრი იჯდა შიგნით. აფრენიდან დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ ტუშინოს ცაზე კვლავ გამოჩნდა ჩკალოვის თვითმფრინავი, რომელიც მან მოხდენილი ოსტატობით დასვა საფრენ ბილიკზე და მის განაპირას შეკრებილი ადამიანების ცხვირწინ გააჩერა. კაბინიდან პირველი ჩკალოვი გადმოხტა, რომელმაც კაბინა გაუღო სტალინს და ეს უკანასკნელი დინჯი, ღირსეული მოძრაობით ჩამოვიდა ძირს. იქ შეკრებილმა ადამიანებმა ტაში დასცხეს, რაც, ერთი მხრივ, სტალინის სიმამაცისა და ვაჟკაცობის აღიარებას ნიშნავდა, ხოლო, მეორე მხრივ, ბრწყინვალე საშუალება იყო ნერვული ემოციებისგან თავშეკავების განსამუხტავად. დიდმა ბელადმა თვითმფრინავს შემოუარა და ხალხს ხელით ანიშნა, შეჩერდითო, შემდეგ კი, როცა ოვაციები შეწყდა, თქვა:

– ამხანაგებო, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე საოცარი და ამაღელვებელი რამ, რაც კი ოდესმე მინახავს. ამხანაგი ჩკალოვი მართლაც ისე მარდად და ზუსტად ძვრება ხიდის ქვეშ, გაკვირვებას ვერ ვმალავ. ასეთი რამის წარმოდგენაც კი რთულია და გადმოცემა მიჭირს. მერწმუნეთ, ეს უნდა შეიგრძნო და სრულ შთაბეჭდილებას მხოლოდ მაშინ მიიღებ. თუკი რომელიმე თქვენგანს სურვილი აქვს, მე შემიძლია, გიშუამდგომლოთ ამხანაგ პილოტთან!

– პოლიტბიუროს წევრები დუმდნენ. სტალინს გაეღიმა, ჩკალოვს მაგრად ჩამოართვა ხელი, შემდეგ გადაეხვია და ისე დატოვა ტუშინოს საფრენი მინდორი.

მეორე დღესვე ვალერი ჩკალოვს გმირის წოდება და ორი რიგგარეშე წოდება მიენიჭა.

...მახსოვს, როდესაც სტალინს ჩკალოვის ტრაგიკული დაღუპვის ამბავი შეატყობინეს, თვალები წამოუწითლდა და ცრემლი მოადგა.

**მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა**
**გიორგი ლაშაურმა**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**ხრიკაძე**

ეს არის სიტყვა **ხრიკიდან** ნაწარმოები გვარი. **ხრიკი** ნიშნავს ხერხს რამის მისაღწევად, ასევე, შესაკრავ კავს, დუგმას. **ხრიკას** კუთხურად ქვევრიდან ღვინის ამოსაღებ ჭურჭელსაც უწოდებენ.

ვარაუდით, **ხრიკაძეთა** წინაპრები ორშიმოს ხელოსნები იყვნენ და სწორედ ამის მიხედვით გაუგვარდათ სიტყვა **ხრიკა**. აღმოსავლეთ მთიანეთში ხშირად გვხვდება სახელი **ხრიკა.**

**ხრიკაძეები** მეცხრამეტე საუკუნეში ჩანან თეთრი წყაროს რაიონში.

საქართველოში 283 **ხრიკაძე** ცხოვრობს: ბორჯომში – 105, თბილისში – 65, ახალციხეში – 24. არიან სხვაგანაც.

**ეგრისელაშვილი**

გვარის ფუძეა გეოგრაფიული სახელი **ეგრისი**, რომელიც დასავლეთ საქართველოს ძველი სახელწოდებაა და **ეგრისის** ტომის სახელიდან მომდინარეობს.

**ეგრისი** იყო სოფელი ბედრუჯის, დღევანდელი ბოლნის-დმანისის მხარეში.

„1721 წელს საგაჩვეთს მოიხსენიება გიორგი **ეგრისელაშვილი**".

საქართველოში 185 **ეგრისელაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 127, დმანისში – 43, ბოლნისში – 5. არიან სხვაგანაც.

**ბალბანაშვილი-ბალაბანოვი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბალაბანა**, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება – **ბალ** და **ბანა**. სულხან-საბას მიხედვით, **ბალა** „დაძველებულს" ნიშნავს.

**ბალა** ღანუკელი მოხსენიებულია 1559 წელს კახთა მეფის, ლეონ მეორის მიერ მცხეთის ეკლესიისადმი მიცემული ყმების შეწირულობის წიგნში.

1721 წელს საგინაშვილ-ინდოშვილის ყმად ჩხიკვათში მოიხსენიება შავერდა **ბალაბანაშვილი**.

**ბალაბანაშვილები** დღეს **ბალაბანოვებად** და ბერძნებად არიან ჩაწერილები.




ამავე ძირისაა გვარი **ბალაბანიშვილი**.

საქართველოში 26 **ბალბანაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 14, ადიგენში – 11, მარნეულში – 1.

**ჩეკურაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჩეკურა.**

**ჩეკურა ჩეკურაშვილი** ერწოში, ამილახვარ გოსტაბაშვილის ყმების ნუსხაში მოიხსენიება მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში.

საქართველოში 147 **ჩეკურაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 47, მცხეთაში – 39, გარდაბანში – 27. არიან სხვაგანაც.

**პოჩიკაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **პოჩიკა**.

**პოჩიკაშვილი** მოიხსენიება სოფელ კოდაში 1851 წელს. კამერული აღწერის ამავე სიაში არიან მოსე და საქულა **პოჩიკაშვილები**. 1873 წელს ერთ-ერთ **პოჩიკაშვილს** ერქვა ყვავილა. 1886 წლიდან კი ჩნდება გვარი ყვავილაშვილი. გვხვდება ვარაუდი იმის შესახებაც, რომ თუში იჭარაული კოდაში გადასულა და **პოჩიკაშვილის** გვარი მიუღია.

საქართველოში 31 **პოჩიკაშვილი** ცხოვრობს: თეთრი წყაროში – 28, რუსთავში – 2, თბილისში – 1.

**კარიჭაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **კარიჭა**.

1729 წელს ატენელი ზაქარია გიორგაშვილის მიერ იორამ თარხნიშვილისადმი გაცემულ პირობის წიგნში მოიხსენიება ბერი **კარიჭაშვილი**. 1721 წელს სამღერეთში მოიხსენიება ბაბაჯანა **კარიჭაშვილი.**

საქართველოში 259 **კარიჭაშვილი** ცხოვრობს: გორში – 191, თბილისში – 65, რუსთავში – 3.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მომზადა ნონა დათეშიძემ**

---

(მე-12 გვერდიდან)

# როგორ გახდა თამაზ ჭეიშვილი „ფეისბუქის" დამაარსებლის, მარკ ცუკერბერგის მამა

1990 წლის 31 დეკემბერია, ნიუ-იორკში ქართველი მილიონერი ებრაელის ოჯახში ვარ. ებრაელები საერთოდ, სექტემბერში აღნიშნავენ ახალ წელს, მაგრამ, რადგან მთელ მის საგვარეულოს ვმკურნალობდი, გადაწყვიტეს, სპეციალურად ჩემთვის მოეწყოთ საახალწლო შეხვედრა. სუფრა არის ნაღდი ქართული. 12-ის 15 წუთზე რეკავს ტელეფონი. ეს ჩემი მასპინძელი პასუხობს და ქართული გინებით კიდებს ყურმილს. ვიღაც მაყირობს, დონალდ ტრამპის დავალებით გირეკავთო. მალე ისევ დარეკეს. ამ ჩემს მასპინძელს ცოტა არ იყოს ფერი დაეკარგა. მარტო „იეს" „იეს" – პასუხობს. ასე მითხრეს, ახლა დონალდ ტრამპის შვეულმფრენი დაჯდება თქვენს სახლთან და ცოტა ხნით წაიყვანთ თქვენს სტუმარს მისტერ ტომას ჩეიშვილსო. ალბათ, ერთადერთი ქართველი ვარ, ვინც ჩიტის გაფრენის სიმაღლიდან ვნახე მანჰეტენი. შვეულმფრენი სახლის სახურავზე დაჯდა და სულ მალე აღმოვჩნდი ეგრეთ წოდებულ „ბროლის დარბაზში," სადაც როიალიც კი ბროლისა იყო. საახალწლო მეჯლისზე ერთ ახალგაზრდა ლედის „კოსმეტიჩკა" დაუვარდა. რომ დაიხარა, წელში ვეღარ გასწორდა, რადიკულიტმა დაარტყა. რა არ სცადეს, დაახვიეს ექიმები, მაგრამ ვერ გაასწორეს... ბოლოს მე მომძებნეს. სადღაც 10 წუთში რადიკულიტიანი „ვალსს" ცეკვავდა. შამპანურით დავთვერი და ამ ამბის კულმინაცია ის არის, ჩემო კარგო, რომ მილიონერ დონალდ ტრამპს „ქართული დავუჭირე," ჰონორარზე უარი ვუთხარი!... მეორე დღეს „პახმელიისგან" და სინანულისგან თავი მისკდებოდა.

**– როგორც გამოჩნდით, ერთ მშვენიერ დღეს ისევე დაიკარგეთ. სად გაქრით?**

– სულ უცხოეთში ვიყავი. ბრაზილიაში სამჯერ წავედი – ერთხელ 6 თვე, მეორე – 8. მერე ჩემი უფროსი ვაჟიც წავიყვანე. ვიფიქრე, ნოსტალგიას გამიქარწყლებს-მეთქი, მაგრამ იმასაც დაეწყო ნოსტალგია. როცა ბრაზილიელი ცნობილი ბარდი მოვარჩინე პოლინეიროპათიისგან, ბრაზილიის ცენტრალური ტელევიზიის „პრაიმ თაიმში" მოვხვდი. ისე წავიდა საქმე, რომ მაია ტეიშეირას, ბრაზილიის ქველმოქმედ ქრისტიანთა ასოციაციის პრეზიდენტის ინიციატივით, „მაკუმბას" (მკურნალის) ტიტული მიბოძეს და ასოციაციის პრეზიდიუმში შემიყვანეს, მაგრამ საშინელი ნოსტალგიის გამო, საქართველოში დავბრუნდი. ნოსტალგიას შეუძლია, მოკლას ადამიანი. როცა ადამიანის გვარი იმხელა ავტორიტეტს იძენს, რომ პაციენტი მის სეანსზე მოხვედრაზე ოცნებობს, აქ იწყებს მოქმედებას ეგრეთ წოდებული ავტორიტეტის, ბრენდის მექანიზმი. ვინც კაშპიროვსკის ან უმაკის სეანსებზე მიდიოდა, სწამდა და ეს რწმენა ძლიერად მოქმედებდა! ერთ ადამიანს აძლევ სტრეპტოციდს და ეუბნები, რომ ეს კოდეინია. მისივე რწმენის წყალობით, სტრეპტოციდი კოდეინის ეფექტს იძლევა. ბრაზილიის ცენტრალური ტელევიზიის „SBT" საშუალებით, მთელმა ბრაზილიამ გამიცნო. ამ ტელევიზიის პოპულარული წამყვანის, ჟო სუერესის შვილი მოვარჩინე.

ერთხელ ვარ ავსტრიაში, ვენაში ავსტრიის ციხის უფროსის, მანფრედ სნაუცერის მიწვევით. ლონდონში გავიცანი და მიმიწვია. იცი, რას მეუბნება ეს კაცი? – ჩვენს ციხეში ხშირად ხვდებიან ქართველებიო. ვთხოვე და წამიყვანა ციხეში ექსკურსიაზე. რაც იქ ვნახე, დაუჯერებელია. შედით „ძიებაში", ჩაწერეთ ევროპის კომფორტული ციხეები და საოცრებებს ამოგიყრით. მოკლედ, ამ ქართველებმა მითხრეს, რომ საქართველოდან ჩამოდიან უფულო ქართველები ენის ცოდნის გარეშე. ხდებიან არალეგალები, ვერ ეწყობიან სამსახურებში. ღამეებს ათენებენ ქუჩაში. ციხეში მოხვედრისას კი მათ მშვენიერი პერსპექტივა ეხსნებათ – უფასო საკანი მხაპით, ინტერნეტით, ოთხჯერადი კვებით, ფიტნესკლუბი, საცურაო აუზი და ენის შემსწავლელი კურსები. რაც მთავარია, ასაქმებენ! მსუბუქი დანაშაულისთვის 7-8 თვე იხდიან სასჯელს და იქიდან გამოდიან ენის ცოდნით, მოვლილები და ჯანმრთელები. ამის მერე სამუშაოსაც შოულობენ და ადაპტირებულებიც არიან. სხვა რა გითხრათ... მოსკოვში დიდი ტირაჟით დაიბეჭდა ჩემი იუმორისტული მოთხრობების კრებული. ახლა ბრაზილიურ გამომცემლებთან მაქვს მოლაპარაკება. ვმუშაობდი „ნიანგში" ნოდარ დუმბაძესთან, ვარ 7 წიგნის ავტორი. ნამყოფი ვარ მსოფლიოს ყველა კონტინენტზე... ანტარქტიდის გარდა, ყველაზე მაგარი ქვეყანაა ნორვეგია, მაგრამ ნოსტალგიამ ვერც იქ გამაჩერა.

**– ბატონო თამაზ, ჩვენი საუბრის ბოლოს, „ფეისბუქის" დამაარსებელ მარკ ცუკერბერგზეც მინდა, გკითხოთ. „ფეისბუქზე" მოვკარი თვალი ასეთ ინფორმაციას, რომ მას ქართველი მამა ჰყავს და ის თქვენ ხართ. ექიმ ჰაუსის შემსრულებელზეც ხომ თქვეს – ჰიუ ლორის ქართველი მამა ჰყავსო.**

– ეს ჩემმა მეგობარმა ბონდო ქურდაძემ გამივრცელა, გაზეთ „შანსის" მთავარმა რედაქტორმა, რომელიც წლებია, ემიგრაციაშია. ამაზე კარგად ვიხალისე, მაგრამ რამდენად იხალისებს მარკ ცუკერბერგი, ეს რომ გაიგოს, ვერ გეტყვით.

**ეკა პატარაია**

**ხერხემლის გამრუდება ანუ სქოლიოზი მსოფლიოს მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტს აწუხებს და მათ აბსოლუტურ უმრავლესობას მოზარდები შეადგენენ. სქოლიოზის განვითარება ნელა მიმდინარეობს და, გარდა ფიზიკური ნაკლისა, ის სხვა დაავადებებსაც იწვევს. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია სკოლის მოსწავლეებისთვის, რადგან სქოლიოზის მთავარი გამომწვევი მიზეზებია მერხთან არასწორად ჯდომა, წელში მოხრილ მდგომარეობაში წერა და მძიმე ჩანთის ტარება.**

# არის თუ არა ხერხემლის გამრუდების განკურნება შესაძლებელი და რა წესების დაცვით შეიძლება მისი თავიდან აცილება

**მანანა ღუდუშაური** ***(ტრავმატოლოგ-ორთოპედი):*** სქოლიოზი არის დაავადება, რომელსაც ახლავს ხერხემლის რკალისებური გადახრა ფრონტალურ სიბრტყეში და მალების შემობრუნება ვერტიკალური ღერძის გარშემო. მისი განვითარების მიზეზი შეიძლება იყოს კუნთოვანი ქსოვილის დარღვევა, ხერხემლის მალების ძვლოვანი ქსოვილის სისუსტე, მემკვიდრეობითი ფაქტორი და ნევროგენული ფაქტორი. ეს დაავადება, სტატისტიკურად, უფრო 16 წლამდე ასაკის გოგონებს უვითარდებათ, რადგან მათ კუნთოვანი სისტემა სუსტად აქვთ განვითარებული და ნაკლებად მოძრავები არიან. სქოლიოზის ოთხ ხარისხს გამოყოფენ: პირველი ხარისხის დროს გამრუდების კუთხე ათი გრადუსია; მეორე ხარისხის დროს – ოცდახუთი გრადუსი; მესამე ხარისხის დროს ორმოცი და, მეოთხე ხარისხის დროს – ორმოცი გრადუსიდან ზემოთ. სქოლიოზი შეიძლება იყოს: თანდაყოლილი, შეძენილი და შთამომავლობითი. 45 წელიწადია, ამ სფეროში ვმუშაობ და გეტყვით: იშვიათი შემთხვევაა, რომ ბავშვს ჰქონდეს გამრუდება და მშობელს – არა. ასევე, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რაქიტს. ამ პათოლოგიით დაბადებული ბავშვების ძვლოვანი სისტემა სუსტია და ხერხემალი უფრო ადვილად მრუდდება. გარდა ამისა, არის კიდევ ერთი ჯგუფი, რომლებშიც ხერხემლის გამრუდების მიზეზის დადგენა ვერ ხერხდება. ამას ემატება არასწორი ჯდომა, არასწორი წოლა და მძიმე ჩანთის ტარება. ცოტა ხნის წინ მოვისმინე, თითქოს მითია, რომ მძიმე ჩანთა ხერხემლის გამრუდებას იწვევს, რაც არაა მართალი. ხერხემლის გამრუდების საწყისი თითქმის ყველა ბავშვს აქვს და, მას კიდევ დიდ და არათანაბარ სიმძიმეს რომ ავკიდებთ, ის აუცილებლად განვითარდება. ბავშვს ჩანთა ცალ მხარეს არ უნდა ეკიდოს, სიმძიმე ორივე მხარეზე თანაბრად უნდა იყოს გადანაწილებული, მაგრამ, როცა დიდ წონასთან გვაქვს საქმე, მაშინ ეს საკმარისი არაა. 7-10 წლის ბავშვის ჩანთა 5-6კილოგრამია და ეს ხერხემალზე საშინელ ზეგავლენას ახდენს. წონის დასაშვები რაოდენობა კილო-ნახევარია. როცა წიგნები ასე მძიმეა, მშობლებს ვაფრთხილებ ხოლმე, რომ ბავშვს ჩანთა მაინც შეურჩიონ მსუბუქი ნაჭრის, ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ადრე ვურჩევდი, შვილებისთვის წიგნები დაეშალათ და ნაწილ-ნაწილ გაეტანებინათ სკოლაში, რათა ხერხემალს ნაკლები ძალა დადგომოდა, მაგრამ ახლა წიგნებს ერთი წლით ურიგებენ, მათი საკუთრება აღარაა და მათი დაშლის უფლებაც აღარ აქვთ. ბევრმა მშობელმა გამოსავალი ბორბლებიან ჩანთაში იპოვა, მაგრამ ეს არაა სწორი, რადგან მისი ტარებისას ბავშვს გვერდზე გადახრა უწევს, რაც ასევე უარყოფითად აისახება ხერხემალზე.

**– როგორ უნდა გადავაჩვიოთ ბავშვი არასწორად ჯდომას?**

– თუ ბავშვი არასწორად ზის და ამის გამო შენიშვნას მივცემთ, ის გასწორდება, მაგრამ ეს მხოლოდ ორ წუთს გასტანს. სანამ ბავშვს არ ჩაუტარდება მკურნალობა და მისი კუნთოვანი სისტემა არ გამაგრდება, ის მანამდე ვერ გამოასწორებს დამოუკიდებლად ჯდომის მანერას, როცა ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად კუნთები ისე გამაგრდება, რომ ის თვითონ დაიჭერს ხერხემალს, ბავშვი გამართულად დაჯდება. წლების წინ, ბავშვისთვის განკუთვნილი სკამისა და მაგიდის გარკვეული სტანდარტები გვქონდა მოცემული, რომლის მიხედვითაც, ბავშვს მაგიდა იდაყვებამდე უნდა სწვდებოდეს, მაგიდის დახრილობა კი 15 გრადუსი უნდა იყოს. სკამის სიმაღლე ბავშვის მუხლიდან ქუსლამდე ზომას, სიგანე კი თეძოების ზომას უნდა ემთხვეოდეს.



**ბოლო წლებში ძალიან ცუდი მერხები შეიტანეს სკოლებში. ისინი, ჩინეთშია დამზადებული და იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი და მათი განვითარება განსხვავდება, ეს მერხები ქართველ ბავშვებზე მორგებული არ იყო**

ეს მონაცემები ასაკის მიხედვით ინდივიდუალურად იცვლება და ამ წესების დაცვა ძალიან რთულია, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ ბოლო წლებში ძალიან ცუდი მერხები შეიტანეს სკოლაში. ისინი ჩინეთშია დამზადებული და, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი განვითარება განსხვავდება მათგან, ეს მერხები ქართველ ბავშვებზე მორგებული არ იყო. ისინი ფიზიკურად ჩვენზე პატარები არიან და ჩვენი ბავშვები ამ მერხებზე ვერ ეტეოდნენ – მერხები დაბალი იყო და, იძულებულები იყვნენ, წელში მოხრილები მსხდარიყვნენ. ამას კომპიუტერთან ხანგრძლივად ჯდომაც დაემატა. ეს ყველაფერი კი ხერხემალსაც აზიანებს, მხედველობასაც და ნერვულ სისტემასაც. ამიტომ მშობლებს მეტი ყურადღება ჰმართებთ.

**– გამოდის, თუ სწორად მოვიქცევით, ხერხემლის გამრუდების პრევენცია სახლის პირობებშიც შესაძლებელია, არა?**

– დიახ, ეს ყველა მშობელს შეუძლია. პრევენცია, პირველ ყოვლისა, საწოლიდან უნდა დავიწყოთ. ნურავის ეგონება, რომ ძალიან რბილი საწოლი ფუფუნებაა და ამით ბავშვს კარგს უკეთებს. პირიქით, ხერხემლისთვის ცოტა მაგარი საწოლია მიზანშეწონილი. რაც შეეხება ბალიშს, ის ან საერთოდ არ უნდა გამოვიყენოთ ან ძალიან თხელი უნდა იყოს. ბავშვს სულ ზურგზე დაწოლილს ვერ გააჩერებ, მაგრამ გამართული მაინც უნდა იწვეს და ფეხები ცხვირთან არ უნდა მიიტანოს, რათა სქოლიოზი არ განვითარდეს. მე მყავს რამდენიმე ბავშვი, რომლებსაც კუზი აქვთ განვითარებული – მათ უკვე მეოთხე ხარისხი აქვთ. მშობლებმა ეს გვიან შეამჩნიეს და მისი შეჩერება ველარ მოხერხდა. ეს არის სქოლიოზის პროგრესირებადი ფორმა, რომელიც საკმაოდ იშვიათია და ამ დროს ოპერაციული ჩარევაა რეკომენდებული.

**– შეიძლება, ბავშვს სქოლიოზი ისე განუვითარდეს, რომ ტკივილი არ აწუხებდეს და ამის გამო ეს მშობელს მხედველობიდან გამორჩეს?**

– გარდატეხის ასაკში, ხშირ შემთხვევაში ბავშვები დედის თანდასწრებით ტანსაცმელს არ იხდიან, აბაზანაში მარტო შედიან და, შესაბამისად, დედა მათ შიშველს ვერ ხედავს. ამიტომ, შეიძლება, ხერხემლის გამრუდება გამოეპაროს. თუმცა, ძირითად შემთხვევებში, ეს მაინც შესამჩნევია ხოლმე.

**– რა ასაკშია შესაძლებელი გამრუდების შემჩნევა და რამდენ წლამდეა გართულებები მოსალოდნელი?**

– გამრუდების შემჩნევა უკვე შესაძლებელია 1-2 წლიდან. რაც შეეხება გართულებას, ის 16-17 წლამდეა მოსალოდნელი, ამის შემდეგ საშიშროება ქრება, მაგრამ, სამკურნალო ფიზკულტურა ადამიანმა მთელი ცხოვრება უნდა აკეთოს, რადგან ხერხემლის გამრუდების დროს ხერხემლის მალებს ფორმა აქვთ შეცვლილი და ასეთ მალებში ადვილად ვითარდება ოსტეოქონდროზი, სამკურნალო ფიზკულტურა კი ამის თავიდან არიდებაში დაგვეხმარება. ხერხემლის გამრუდების დროს მნიშვნელოვანია ფიზიკური დატვირთვისადმი დამოკიდებულებაც. ასეთ დროს ცეკვა უნდა გამოვრიცხოთ. შეიძლება, მისი საშუალებით ტანადობა მართლაც გამოსწორდეს, მაგრამ ხერხემალის მდგომარეობა გართულდება. ამ დროს დატვირთვა კი არა განტვირთვაა საჭირო, რაც წოლაში გამოიხატება. ბავშვი სკოლიდან რომ მოვა, ნახევარი საათი მაინც უნდა წამოწვეს და დაისვენოს. ძალიან კარგია ზურგზე ბრასით ცურვა. ყველაზე მთავარი კი სამკურნალო ვარჯიშებია, რომელიც ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობს, თუმცა, მისი დასრულების შემდეგ, მშობელმა აუცილებლად უნდა გააგრძელებინოს ეს ვარჯიშები სახლში. ამისთვის ბავშვს ყოველდღე უნდა გამოუყოს 20-25 წუთი. თუმცა, არ შეიძლება, პარალელურად ბავშვი მკურნალობის კურსზეც ვატაროთ, ცურვაზეც და, თავისთავად, სკოლაშიც – ეს მისთვის უკვე ზედმეტი ფიზიკური დატვირთვა იქნება; ამიტომ, ცურვა და ვარჯიშები ერთმანეთს უნდა შევუნაცვლოთ. ხერხემლის გამრუდების დროს ბევრი ჩივილი იჩენს ხოლმე თავს, რაზეც მშობელი ფიქრობს – არაფერია, გაუვლისო, მაგრამ, ასე არ უნდა მოვიქცეთ, გამომწვევ მიზეზს უნდა მივაკვლიოთ, თორემ, შეიძლება, მერე გვიან იყოს. როცა იცი, რომ ეს დაავადება გაწუხებს, კვების რაციონიც აუცილებლად უნდა განსაზღვრო და რძის ნაწარმით გაამდიდრო. რძე, ხაჭო და ყველი ამ დროს განსაკუთრებით კარგია და, გარდა ამისა, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთ დროს სიმძიმის აწევა არ შეიძლება. მინდა კიდევ ერთი რამ ვუთხრა მშობლებს გარკვევით: გამრუდებული ხერხემალი არ სწორდება. სისტემატური მკურნალობის შედეგად ხდება ხერხემლის გარშემო არსებული კუნთების გამაგრება, ტანდეგობის გაუმჯობესება და გამრუდების პროცესის შეჩერება, მაგრამ, არა სრული განკურნება.

**ქეთი კაპანაძე**

**ჩვენი ცხოვრების რიტმი იმდენად აჩქარებულია, რომ ძალიან გვიჭირს დროის სწორად გადანაწილება, მით უმეტეს, მაშინ, როცა საქმე კვებას ეხება. ალბათ, ძალიან ცოტას აქვს იმის ფუფუნება, რომ სამსახურიდან საჭმელად შესვენებაზე სახლში შეიაროს. ძირითადად მაინც „ფასტ-ფუდების" ნაწარმით გვიწევს გამოკვება. თუმცა, ყოველივე ეს არაჯანსაღი კვების ერთი მხარეა. ჩვენს რაციონში არსებობს საკვები, რომლის დიდი რაოდენობით მოხმარებაც სხვადასხვა დაავადებას იწვევს, მაგალითად, ასეთია ხორცი. არაჯანსაღ კვებაზე და მისგან გამოწვეულ სხვადასხვა დაავადებაზე ენდოკრინოლოგ ქეთი ტაბატაძეს ვესაუბრეთ.**

# რომელმა საკვებმა შეიძლება გამოიწვიოს ინფარქტი, ინსულტი ან განგრენა და რომელი პროდუქტები უნდა ამოვიღოთ ყოველდღიური რაციონიდან

**– ქალბატონო ქეთი, რომელი საკვებია ორგანიზმისთვის განსაკუთრებით საშიში და რა შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს არაჯანსაღმა კვებამ?**

– საერთოდ, ჯანსაღი ცხოვრების წესი ადამიანის ფიზიკურ აქტივობასთან და დღის წესრიგის სწორად დაგეგმვასთანაა დაკავშირებული. იდეალურ ვარიანტში, ადამიანი დღეში ოთხჯერ, პატარ-პატარა ულუფებით უნდა იკვებებოდეს და, ამავდროულად, აუცილებელია, შესაბამისი ფიზიკური დატვირთვაც ჰქონდეს. არაჯანსაღი კვება იწვევს სხვადასხვა დაავადებას, რომლებიც საბოლოოდ ქმნიან ჯაჭვს და, შესაძლებელია, ყოველივე ამან, სავალალო შედეგამდეც კი მიგვიყვანოს. ჯაჭვის შექმნაში ვგულისხმობ ერთი წარმოქმნილი დაავადებიდან მეორის განვითარებას და ასე შემდეგ. რაც შეეხება საკვებს, ადამიანის ორგანიზმისთვის ყველაზე მავნე არის დიდი რაოდენობით ხორცისა და ტკბილეულის მიღება. ნებისმიერი ცხიმიანი საკვები ცუდად აისახება ორგანიზმზე: ის ზრდის ქოლესტერინს, იწვევს სისხლძარღვების შევიწროებას, რაც განმაპირობებელია ისეთი დაავადებებისა, როგორებიცაა: შაქრიანი დიაბეტი, ღვიძლის დაავადებები, ჭარბი წონა და სხვა. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა აღვნიშნო „ფასტ-ფუდებისა" და მსგავსი სწრაფი კვების ობიექტების პროდუქცია, რომელიც საშიშია ადამიანისთვის. ტკბილი და გაზიანი სასმელებიც ძალიან შეზღუდული რაოდენობით უნდა მიიღოთ.

**– შესაძლებელია თუ არა, არაჯანსაღი კვების გამო ჭარბი წონის პრობლემა იმ ადამიანსაც შეექმნას, რომელსაც მიდრეკილება არ აქვს სიმსუქნისკენ?**

– დიახ, რა თქმა უნდა. მსგავსი პრობლემები, შესაძლებელია, ნებისმიერ ადამიანს შეექმნას. ვინც არაჯანსაღად იკვებება, ის სხვადასხვა დაავადების განვითარების რისკჯგუფს მიეკუთვნება. სწორი კვება ისევე აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე, როგორც არასწორი. რაც უფრო ნაკლებ ცხოველურ ცხიმს მოიხმართ, მეტად შეამცირებთ კვებით გამოწვეულ პრობლემებს. ამიტომ, ჩაანაცვლეთ ცხოველური ცხიმები მცენარეულით. ცხოველის ცილა შეიცავს ქოლესტერინს, რომელიც შესაძლოა „ჩალაგდეს" სისხლძარღვთა კედლებზე და გამოიწვიოს ათეროსკლეროზული „ფოლაქების" ფორმირება. ეს პროცესი განსაკუთრებით მაშინ შეიძლება მოხდეს, თუ შაქრიანი დიაბეტით ხართ დაავადებული. უფრო გასაგები რომ იყოს მკითხველისთვის, აღნიშნული „ფოლაქები" წარმოადგენენ ინფარქტის, ინსულტის ან განგრენის გამომწვევ მიზეზს სისხლძარღვთა „ჩაკეტვის" შემთხვევაში. ცხოველური ცხიმი შეიცავს: კარაქს, მარგარინს, ღორის ქონს; ხოლო მცენარეული – მზესუმზირას, ქოქოსს, ზეითუნსა და სიმინდს.



**დიეტა არ ნიშნავს შიმშილობას, ეს კარგად უნდა იცოდეთ, რათა უფრო არ გაამწვავოთ თქვენი მდგომარეობა და სხვა დაავადებას არ დაუდოთ საფუძველი**

**– გახშირდა შაქრიანი დიაბეტის შემთხვევები. როგორ მოქმედებს ამ დაავადებაზე სწორი კვება?**

– უპირველეს ყოვლისა, ვიტყვი, რომ შაქრიანი დიაბეტი ორი ტიპისაა და ორივე ითხოვს დიეტას, რომელიც გულისხმობს ნახშირწყლების შეზღუდვას. პირველი ტიპის დიაბეტით ძირითადად ბავშვები და ახალგაზრდები არიან დაავადებულები. ამ დროს კვება უნდა იყოს კალორიული – ფაქტობრივად, შესაძლებელია ყველაფრის ჭამა, მაგრამ აუცილებელია მიღებული საკვების დაანგარიშება პურის ერთეულებში. შაქრიანი დიაბეტის მეორე ტიპის დროს ავადდებიან მოწიფული და ხანდაზმული ასაკის ადამიანები, განსაკუთრებით – ჭარბი წონის მქონე პირები. მათი რაციონი აუცილებლად დაბალკალორიული უნდა იყოს, ვინაიდან ისინი ორიენტირებულები უნდა იყვნენ წონის დაკლებაზე. ასეთ დროს საკვები პროდუქტების მრავალფეროვანი არჩევანი არ არის და მათ შემადგენლობაში უნდა შედიოდეს: ცილები, ცხიმები, მინერალური ნივთიერებები და ვიტამინები. შაქრიან დიაბეტთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ამ დროს დიეტის დაცვა არ ნიშნავს მთელ რიგ აკრძალვებს და არ იძლევა არასრულფასოვნების შეგრძნების საფუძველს სხვა ადამიანებთან შედარებით. დიაბეტით დაავადებულთათვის დიეტა არის ის ბაზისი და ცხოვრების წესი, რომლის დაცვის შედეგად შესაძლოა მიაღწიოთ მნიშვნელოვან წარმატებას ამ სერიოზულ დაავადებასთან ბრძოლაში. კონკრეტულ შემთხვევაში დიეტა არ ნიშნავს შიმშილობას – ეს კარგად უნდა იცოდეთ, რათა უფრო არ გაამწვავოთ თქვენი მდგომარეობის სირთულე და სხვა დაავადებას არ დაუდოთ საფუძველი.

**– მოკლედ რომ ვთქვათ, რომელი პროდუქტები უნდა ამოვიღოთ რაციონიდან როგორც ჯანმრთელებმა, ასევე, დიაბეტითა და სხვა დაავადებებით დაავადებულებმა?**

– დაივიწყეთ, რომ: ხორცი იყო თქვენი ყველა კერძის ძირითადი შემადგენელი ნაწილი; რომ ხორცსა და თევზს დიდი რაოდენობით ცხიმში წვავდით; რომ მარილი ყველა კერძის ძირითად საკაზმს წარმოადგენდა; გამოცხობისას ზუსტად იცავდით შაქრისა და ცხიმის იმ რაოდენობას, რომელიც რეცეპტში იყო მითითებული (ეს უფრო შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებს ეხება); სალათებს დიდი რაოდენობით სხვადასხვა სოუსით კაზმავდით (მაიონეზით, ზეითუნის ზეთით თუ სხვა); ტკბილეულსა და დესერტს დიდი რაოდენობით შეექცეოდით და, ბოლოს, წახემსებისას, პირდაპირ ქილიდან მიირთმევდით.

**ეთო ხურციძე**

## ისტორიულ-შემეცნებითი დოკუმენტური ფილმის – „ორი სამშობლოს" წარმატება საქართველოსა და ისრაელში

„ორი სამშობლო" ისტორიულ-შემეცნებითი დოკუმენტური ფილმია, რომლის ავტორი და რეჟისორია ნინო ყოლანდარია, ხოლო ოპერატორი – მიხეილ მანდარია. ფილმში საინტერესო ჭრილშია წარმოდგენილი ებრაელი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. განხილულ თემებში საუბარია ქართულ-ებრაულ 26-საუკუნოვან ურთიერთობებზე; მის წარსულსა და დღევანდელობაზე; ანტისემიტიზმზე, რომელიც მთელ ევროპაში იყო გავრცელებული. საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა, სადაც ეს არ იგრძნობოდა. ფილმის ჩვენებამ საქართველოსა და ისრაელში წარმატებით ჩაიარა. თბილისში პრემიერა ამა წლის 4 თებერვალს კინოთეატრ „ამირანში" შედგა, რომელსაც ესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის ელჩები, მთავრობის წევრები, მეცნიერები, სამღვდელოება, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები. ფილმმა დიდი მოწონება დაიმსახურა და გაშუქდა რადიოსა და ტელევიზიის სხვადასხვა არხზე. სწორედ ასეთმა წარმატებამ განაპირობა მისი ხელმეორედ ჩვენება დავით ბააზოვის ებრაელთა ისტორიის მუზეუმში, სადაც მოწვეულ სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე და ბიძინა ივანიშვილი. სულ ახლახან, 6 აგვისტოს, ისრაელში, ამჯერად ქალაქ ხაიფაში მოეწყო ამ ფილმის ჩვენება. ამ ღონისძიების ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი გახლავთ ისრაელში, ქალაქ ხაიფაში მცხოვრები ორი ერის ღირსეული შვილი – პაატა იოსებაშვილი, რომლის ორგანიზებითაც მოხდა შემოქმედებითი ჯგუფის ჩაყვანა ისრაელში და ფილმის საზეიმო პრეზენტაცია. აღსანიშნავია, რომ ფილმის ავტორი და რეჟისორი ნინო ყოლანდარია განაგრძობს ამ თემაზე მუშაობას და ის უკვე შეუდგა გადაღებებს, რაც ასევე პაატა იოსებაშვილის ხელშეწყობით მიმდინარეობს.

## ორშაბათი 14 სექტემბერი

**08.00** ან/ფ "მადმუაზელ ზაზი", "ზუ" **09.00** "საქართველო არის ესე" **09.30** "სადილის დრო" **10.00** ტ/სერ. **"ანგელოზის სახე"** **11.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **13.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **14.30** მხ/ფ **"მთვარე პარადორის თავზე"** **16.40** "ეკონომეტრი" **17.00** მხ/ფ **"კონკორდი 79"** (ბ.ანდერსონი) **19.30** "სიტყვების თამაში" **21.00** ტ/სერ. **"სიცრუე"** **22.00** მხ/ფ **"ჰადსაქერის შემცვლელი"** **23.55** მხ/ფ **"მძინარენი"**.

**07.00, 15.40** სერ. **"ლამაზი სიზმარი"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **22.00** "კომედის კონცერტი" **00.00** ქალთა სახეები **00.30** სპორტ ტაიმი **01.00** სერ. **"გრიმი"** **01.30, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 15.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00, 3.30** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"მაგიის რაინდები"** **8.30 სერიალი "სხვისი სხეული"** 10.05, 11.05 **სერიალი "ქუჩები და გულები"** 12.30 **სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** 13.30, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** **15.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05 სერიალი "ტატიანა""** **18.30** დოკ. ფილმი "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.05 სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.00 სერიალი "დამიბრუნე სიყვარული"** **23.00 სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** **0.30 სერიალი "სხვისი სხეული"** **2.00 სერიალი "ქუჩები და გულები"**.

**06.00** სერ. **"კარმა"** **06.30** სერ. **"ბოშა ქალი"** **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.25** ქრონიკა **07.35, 08.10, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"გზაჯვარედინი"** **11.20** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური"** **18.45, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **7** სერ. **22.00, 23.00, 00.00** სერ. **"შუა ქალაქში -9" 1-2-3** სერ. **01.00** მხ/ფ **"კარლიტოს გზა"** (შ.პენი) **03.35** ფარული კამერა.

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია "ქართული სალვთისმეტყველო სკოლები" **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი "დიტო თუმანიშვილის ოჯახი" **07.10** დოკ.ფ. "ფურცლები ფრაგული დღიურიდან" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"ოთარაანთ ქვრივი"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** დოკ.ფ. "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული მულტ. ფილმი **15.35** ბავშვები მუზეუმში **15.50** სპექტაკლი **"დარისპანის გასაჭირი"** **17.30** დეკორატიული ფლორა "ვარდი" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"გზა შინისაკენ"** **20.40** ძილი ნებისა "ასფურცელა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი **21.35** ღვთის სახლი "შიდა ქართლი" **21.50** გამოყენებითი ხელოვნება "მინანქარი-თამაზ ელისაშვილი" **22.25** დოკ. ფ. "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია"-სამტრედია **22.45** საქართველოს სამართლის ისტორია **22.50** მუს.პაუზა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დოკ.ფ. **00.25** ტალანტები და თაყვანისმცემლები "გურამ საღარაძე" **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## სამშაბათი 15 სექტემბერი

**08.00** ან/ფ "მადმუაზელ ზაზი" ზუ" **09.00** "საქართველო არის ესე" **09.30** "სადილის დრო" **10.00** ტ/სერ. **"ანგელოზის სახე"** **11.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **13.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **14.30** "საუკუნის პორტრეტები" **15.00** ტ/სერ. **"სიცრუე"** **16.40** "ეკონომეტრი" **17.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **17.30** მხ/ფ **"მტირალა"** (ჯ.დეპი) **19.30** "სიტყვების თამაში" **20.20 კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი **22.20** სპორტული გადაცემა **22.50 კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი **01.00** მხ/ფ **"მშვენიერი არსებები"** **02.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

**07.00, 15.40** სერ. **"ლამაზი სიზმარი"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **00.00** სერ. **"გრიმი"** **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 15.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"მაგიის რაინდები"** **8.30 სერიალი "სხვისი სხეული"** 10.05, 11.05 **სერიალი "ქუჩები და გულები"** 12.30 **სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** 13.30, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** **15.30** გადაცემა "თქვენი გადახდილია" **16.05 სერიალი "ტატიანა""** **17.00** "მაესტროს ახალი ამბები" **17.05 სერიალი "ტატიანა""** **18.30** დოკ. ფილმი "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.05 სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.00 სერიალი "დამიბრუნე სიყვარული"** **23.00 სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** **0.30 სერიალი "სხვისი სხეული"** **2.00 სერიალი "ქუჩები და გულები"** .

**06.00** სერ. **"კარმა"** **06.30** სერ. **"ბოშა ქალი"** **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **07.35, 08.10, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"გზაჯვარედინი"** **11.20** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური"** **18.45, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **8** სერ. **22.00, 23.00, 00.00** სერ. **"შუა ქალაქში – 9"** **01.00** მხ/ფ **"დარჩენილი დრო"** **02.55** ფარული კამერა.

**06.10** სპექტაკლი **"დარისპანის გასაჭირი"** **07.35** დოკ. ფ. "სიჩუმის მცველნი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** დოკ. ფ. "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია"-სამტრედია **11.00** თაობა ზეტი **11.30** გამოყენებითი ხელოვნება "მინანქარი-თამაზ ელისაშვილი" **11.40** ღვთის სახლი "ნიქოზის ღვთაების ეკლესიის კომპლექსი **12.10** მხ/ფ **"გზა შინისაკენ"** **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **14.30** დოკ. ფ. "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** ტალანტები და თაყვანისმცემლები "გურამ საღარაძე" **16.20** კონცერტი **17.00** მგზავრები წუთისოფლისა "აჭარა სოფ. სარფი" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქართული ხმებისამედიცინო (თბილისი) **20.00** ღია აუდიტორია-ირმა რატიანი **20.40** ძილი ნებისა "მულტ.კონცერტი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** ჩვენი ფონდი "დიმიტრი თუმანიშვილი-მოქვი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დოკ. ფილ. **00.30** "ერთსულოვნების" სალონი "ქრისტიანობის ისტორია და დღევანდელობა აჭარაში" **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

გაგრძელება 35-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**14 – 20 სექტემბერი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.50 - **„უკომპლექსო"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 05წთ;*

17.40, 20.00, 22.30 - **„გადამზიდი: მემკვიდრეობა"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 35წთ;*

*დარბაზი 2*

20.00, 22.10 - **„ოცნებების სასაფლაო"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ;*

*დარბაზი 3*

12.00 - **„თავდაყირა"** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ;*

14.20, 16.40, 19.00 - **„მინიონები"** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;*

22.10 - **„აგენტები ა.ნ.ქ.ლ"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 55წთ;*

*დარბაზი 4*

12.10 - **„პიქსელები"** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ;*

14.30 - **„ანთ-მენი"** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 55წთ;*

17.10 - **„შეუსრულებელი მისია 5: განდევნილთა ტომი"**; *ხანგრძლივობა: 2სთ.*

20.00, 22.10 - **„არდადეგები"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ.*

*დარბაზი 5*

12.30, 14.45 - **„გადამზიდი: მემკვიდრეობა"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 35წთ;*

17.00, 19.50, 22.40 - **„უკომპლექსო"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 05წთ;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.15, 15.00 - **„უკომპლექსო"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 05წთ;*

18.00, 20.15, 22.40 - **„გადამზიდი: მემკვიდრეობა"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 35წთ;*

*დარბაზი 2*

12.30, 15.00, 17.20 - **„მინიონები"** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;*

19.40, 22.30 - **„უკომპლექსო"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 05წთ;*

*დარბაზი 3*

12.45 - **„ირაციონალური ადამიანი"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 35წთ;*

15.00 - **„გადამზიდი: მემკვიდრეობა"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 35წთ;*

17.30 - **„არდადეგები"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;*

20.00 - **„გადამზიდი: მემკვიდრეობა"** (ინგლისურად); *ხანგრძლივობა: 1სთ. 35წთ;*

22.20 - **„აგენტები ა.ნ.ქ.ლ"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 55წთ;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# საქონლის ხორცი შავი მოცხარით





**საჭირო ინგრედიენტები:** 800 გრამი საქონლის ან ხბოს ხორცი, 400 გრამი შავი მოცხარი, 1 პატარა თავი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, 1 ჩაის კოვზი შაქარი, მარილი და შავი პილ-პილი – გემოვნებით. 100 მილილიტრი ნახევრად მშრალი შავი ღვინო, 3 სადილის კოვზი ზეთი.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით ულუფებად. ყველა მხრიდან წაუსვით მარილი და პილპილი (სასურველია რბილი და ნაზი ხორცი შეარჩიოთ). ხორცის თითოეულ ნაჭერს დაასხით სულ ცოტა ზეთი და კარგად შეაზილეთ ყველა მხრიდან. თასში მოათავსეთ შავი მოცხარი, გახეხილი სტაფილო, ასევე, შაქარი და წვრილად დაჭრილი ხახვი. შაქრის გამო არ შეშინდეთ – ის კერძს არ ატკბობს, უბრალოდ, არომატს ანიჭებს.

გამოსაცხობ ფორმაში ჩააფინეთ ფოლგა, წაუსვით ზეთი. მასზე მოათავსეთ ერთი ფენა მოცხარი და გახეხილი სტაფილო. ზემოდან დააწყვეთ ხორცის ნაჭრები, შემდეგ ისევ სტაფილო და მოცხარი, ბოლოს კი ხორცის ნაჭრებით დაფარეთ.

მოასხით ღვინო. გადააფარეთ ფოლგა და აცხვეთ 200 გრადუსზე, ხორცის სრულ მომზადებამდე. უგემრიელესია.

# ხაჭოსა და ალუბლის ტორტი





**საჭირო ინგრედიენტები:** 400 გრამი ხაჭო (ცოტათი ცხიმიანი), 3 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 1 ჩაის კოვზი ვანილის შაქარი, 60 გრამი ყავისფერი შაქარი, 100 გრამი იოგურტი, 10 გრამი ჟელატინი, 50 მილილიტრი რძე, 100 გრამი უკურკო ალუბალი.

ა) სოუსი დიდებისთვის: 100 გრამი ალუბალი, 25 მილილიტრი თეთრი მშრალი ღვინო, 25 გრამი შაქრის პუდრი.

ბ) სოუსი პატარებისთვის: 100 გრამი ალუბალი, 25 გრამი შაქრის პუდრი.

**მომზადების წესი:** შაქარი აქციეთ პუდრად, ჟელატინი 15 წუთით ჩაალბეთ ცოტა ცივ წყალში, ფიალაში მოათავსეთ ხაჭო, ჩაასხით იოგურტი და ლიმონის წვენი, მოაყარეთ ვანილის შაქარი, 60 გრამი შაქრის პუდრი და ბლენდერით კარგად ათქვიფეთ.

ჟელატინს შეურიეთ რძე, ნელი მორევით აქციეთ ერთგვაროვან მასად და შეაზილეთ ხაჭოიან მასას. აიღეთ კექსის ფორმა. ჩაუფინეთ პერგამენტი და ჩაასხით ხაჭოს მთლიანი მასის ნახევარი. ზემოდან მოაყარეთ ალუბალი. დაამატეთ ხაჭოს დარჩენილი მასა და ნაპირები მოუსწორეთ. მჭიდროდ დააფარეთ ცელოფანი და მინიმუმ 3-4 საათით მოათავსეთ მაცივარში.

ცალკე მოამზადეთ სოუსები.

**სოუსი ა:** დააბლენდერეთ შაქრის პუდრი, ღვინო და ალუბალი.

**სოუსი ბ:** დააბლენდერეთ მხოლოდ ალუბალი და შაქრის პუდრი.

გაყინული დესერტი ამოიღეთ ფორმიდან, დაჭერით და მიირთვით სოუსთან ერთად.

დესერტს ფორმიდან ადვილად ამოიღებთ, თუ ფორმის ძირსა და კედლებს შეათბობთ.





# ყაბაყის კატლეტები

**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი მოზრდილი ყაბაყი, 100 გრამი მაგარი ყველი, 6 ცალი კვერცხი, 100 გრამი ფქვილი, 50 მილილიტრი ზეთი, 20 გრამი კარაქი, 1 ტოტი როზმარინი, ნახევარი ჩაის კოვზი მარილი, 100 მილილიტრი ძმარი, 1 ლიტრი წყალი, 1 ჩაის კოვზი მარილი.

**ყველის სოუსი:** 200 მილილიტრი ნაღები (30 პროცენტიანი), 100 გრამი ყველი.

**მომზადების წესი:** ყაბაყი გარეცხეთ, გაჭერით სიგრძეზე და კოვზით ამოაცალეთ თესლიანი შუაგული. შემდეგ გახეხეთ წვრილკბილა სახეხზე, მოაყარეთ მარილი, გააჩერეთ 10 წუთი და დაწურეთ საწურზე.

ყველი გახეხეთ წვრილკბილა სახეხზე. შეურიეთ ყაბაყი, 1 ცალი კვერცხი და ფქვილი, ამოურიეთ და გააჩერეთ 20 წუთი.

მიეცით კატლეტის ფორმა და ორივე მხრიდან დაბრაწეთ ცხელ, ზეთიან ტაფაზე.

კარაქი გაადნეთ, ჩაუმატეთ მასში როზმარინი.

ერთი ლიტრი წყალი წამოადუღეთ, ჩაუმატეთ ძმარი და მარილი. თასს წაუსვით ზეთი და ჩაახალეთ მასში კვერცხი ისე, რომ არ დაიშალოს. ნელა დაასხით წყალი, დადგით ნელ ცეცხლზე და ხარშეთ, ცილის გამაგრებამდე. დანარჩენი კვერცხებიც ასე მოხარშეთ. კატლეტი ულუფებად გადაანაწილეთ თეფშებზე. მოასხით როზმარინიანი კარაქი და დააწყვეთ მდუღარეში მოხარშული კვერცხები.

შეგიძლიათ, ყველის სოუსიც მოამზადოთ და მოასხათ: აადუღეთ ნაღები და დაუმატეთ ნატეხებად დამტვრეული ყველი. გაადნეთ ძალიან დაბალ ცეცხლზე. როცა ცოტა შეგრილდება, მოასხით კატლეტებს. უგემრიელესია.





# მსუბუქი სალათა

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ქილა ანანასის კონსერვი, 2 შეკვრა კრაბის ჩხირები, 150 გრამი რბილი ყველი, 1 კონა კამა, 3 კბილი ნიორი, 100 გრამი მაიონეზი.

**მომზადების წესი:** ყველი და კრაბის ჩხირები დაჭერით მომცრო კუბიკებად, კამა წვრილად.

ანანასის ნაჭრები დააწყვეთ საწურზე და დაწურეთ (თუ დიდი ზომის ნაჭრებია, დაჭერით).

ნიორი დააქუცმაცეთ, შეურიეთ მაიონეზში და ჩაუმატეთ სულ ცოტა ლიმონის წვენი.

ინგრედიენტები მოათავსეთ თასში, მოასხით ნივრიანი მაიონეზი და მოაყარეთ კამა.



# თევზი ბეკონითა და ბროკოლით – ია შუღლიაშვილისგან



*მიმაჩნია, რომ კარგი მეოჯახე-კულინარი ვარ. ვამზადებ თითქმის ყველა კერძს და, ამბობენ, გემრიელი ხელი გაქვსო. განსაკუთრებით კარგად გამომდის ცომეული. პირადად მე მიყვარს ქართული და იტალიური სამზარეულო, გამორჩეულად კი – პიცა. დღეს შემოგთავაზებთ თევზს ბეკონითა და ბროკოლით, რომელსაც ადვილად მოამზადებთ.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 400 გრამი კარტოფილი, 300 გრამი თევზის ფილე, ბეკონის 4 ცალი გრძელი, თხელი ნაჭერი, 500 გრამი ბროკოლი, 6 სადილის კოვზი უცხიმო რძე, 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 ტოტი როზმარინი, მარილი, წიწაკა და ჯავზი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** კარტოფილი გაფცქვენით, საშუალო ზომაზე დაჭერით და მდუღარე მარილიან წყალში მოხარშეთ. ღუმელი 220 გრადუსზე გააცხურეთ. ფორმაში ჩააფინეთ საცხობი ქაღალდი. როზმარინი დაკეპეთ, დაუმატეთ ზეთი და მარილი. თევზის ფილე 4 ნაწილად გაჭერით, წაუსვით როზმარინიანი ზეთი და თითო ნაჭერი თევზი თითო ფენა ბეკონში რულეტივით გადაახვიეთ. თევზის ნაჭრები მოათავსეთ ფორმაზე და 12-15 წუთი აცხვეთ. ამასობაში ბროკოლი ყვავილედებად დაანაწევრეთ და 5 წუთი ხარშეთ მდუღარე მარილიან წყალში, გადაწურეთ და დაუმატეთ წიწაკა. კარტოფილი გადაწურეთ, დაასხით რძე, დაუმატეთ ჯავზი, მარილი და გააკეთეთ პიურე. თეფშზე ერთად მოათავსეთ თევზის ნაჭერი, ბროკოლი და კარტოფილის პიურე.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# კარტოფილის რულეტი

**საჭირო ინგრედიენტები: კარტოფილის ცომისთვის** – 800 გრამი კარტოფილი, 75 გრამი მანანის ბურღული, 75 გრამი ახალგახეხილი პარმეზანი, 1 ცალი კვერცხი, 150 გრამი კარტოფილის სახამებელი, ცოტაოდენი პურის ფქვილი საფანელად, 60 გრამი კარაქი, 2-3 ღერი ოხრახუში, მარილი და ჯავზი გემოვნებით. **გულსართისთვის:** 1 კონა ოხრახუში, 1 კონა რეჰანი, 75 გრამი კედრის კაკალი, 75 გრამი თხილი, 40 გრამი გახეხილი პარმეზანი, მარილი, პილპილი – გემოვნებით.

**პომიდვრის სალსისთვის:** 500 გრამი პომიდორი, 1 თავი ხახვი, 0,5 კონა რეჰანი, 2 სადილის კოვზი ვაშლის ძმარი, 1 სადილის კოვზი ყავისფერი შაქარი, მარილი, ახალდაფქული შავი პილპილი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** კარტოფილი გარეცხეთ და 20 წუთის განმავლობაში მარილიან წყალში მოხარშეთ კანიანად. შემდეგ გადაავლეთ ცივი წყალი და კანი გააცალეთ. ცხელ-ცხელი კარტოფილი დაჭყლიტეთ, დაუმატეთ მარილი, მანანის ბურღული, პარმეზანი, კვერცხი, კარტოფილის სახამებელი, ჯავზი და კარგად აზილეთ.

**მოამზადეთ გულსართი:** მწვანილი წვრილად დაკეპეთ. ასევე დაკეპეთ თხილი და კედრის კაკალი. შეურიეთ ყველი, მწვანილი, მარილი და პილპილი. კარტოფილის ცომი გააბრტყელეთ ფქვილმოყრილ დაფაზე, ზედ გადაანაწილეთ გულსართი და ფრთხილად გადაახვიეთ. გადაიტანეთ ტილოზე, გაახვიეთ და ბოლოები ძაფით შეკარით. მოგრძო ფორმის მაღალ ტაფაში ან ქვაბში აადუღეთ წყალი, ჩაყარეთ 1 სადილის კოვზი მარილი და შიგ მოათავსეთ ტილოში გახვეული კარტოფილის რულეტი ისე, რომ წყალმა დაფაროს. ხარშეთ დაბალ ცეცხლზე 45 წუთის განმავლობაში. პომიდვრები ოთხად გაჭერით და თესლი ამოუღეთ. შემდეგ წვრილად დაჭერით, დაუმატეთ დაჭრილი მწვანილი, მარილი, შაქარი, ძმარი, პილპილი და წვრილად დაჭრილი ხახვი. ცალკე გაადნეთ კარაქი. ოხრახუში დაკეპეთ. რულეტი წყლიდან ამოიღეთ, გახსენით და დაჭერით, ზემოდან კი გამდნარი კარაქი მოასხით და ოხრახუში მოაყარეთ. მიირთვით პომიდვრის სალსასთან ერთად.



ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები



## თაიგული – დეკორი

თუ გსურთ, ლამაზი თაიგული დეკორად და ინტერიერის სამშვენისად აქციოთ, მარტივ მეთოდს გასწავლით.

დახედეთ სურათს. აიღეთ ჯამი და მის ზედაპირზე გამჭვირვალე სკოჩით ბადე გააკეთ-ეთ (სურათებზე ეს ნაჩვენებია). ჩაასხით ჯამში წყალი. ყვავილებს დაუმოკლეთ ღეროები და ჩააწყვეთ ბადის თითოეულ უჯრედში (შეავსეთ ბოლომდე). შეგიძლიათ, ამ პრინციპით თაიგული-დეკორი ხელოვნური ყვავილებისგანაც დაამზადოთ.




## ღია ბარათი

ძალიან ლამაზ ღია ბარათებს საკუთარი ხელითაც დაამზადებთ; სქელი თეთრი ფურც-ელი მოკეცეთ თქვენთვის სასურველ ზომაზე.

ღრუბელი დაასველეთ წითელი ან თქვენთვის სასურველი ფერის საღებავით. აიღეთ ბრიუსელის კომბოსტოს ან ჩინური კომბოსტოს თავი და გადაჭერით სწორად. ღრუბლით გადანაჭერზე კარგად წაუსვით საღებავი და დაადეთ გაკეცილ ფურცლებს – მისალოცი ბარათებისთვის ფულს აღარ დახარჯავთ.

30-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 16 სექტემბერი

**08.00** ან/ფ "მადმუაზელ ზაზი" "ზუ" **09.00** "საქართველო არის ესე" **09.30** "სადილის დრო" **10.00** ტ/სერ. **"ანგელოზის სახე"** **11.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **13.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **14.30** მხ/ფ **"დიასახლისი"** (გ. ჰოუნი) **16.40** "ეკონომეტრი" **17.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **17.30** მხ/ფ **"არჩევანი"** (ჟ.ბისე) **19.30** "სიტყვების თამაში" **20.20** **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი **22.20** სპორტული გადაცემა **22.50** **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი **01.00** მხ/ფ **"სხვისი სიკეთისთვის"** (ე.ნორეგა) **02.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

**07.00, 15.40** სერ. **"ლამაზი სიზმარი"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** ქალთა სახეები **00.30** სერ. **"გრიმი"** **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 15.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"მაგიის რაინდები"** **8.30** **სერიალი "სხვისი სხეული"** **10.05, 11.05** **სერიალი "ქუჩეი და გუნეი"** **12.30** **სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** **13.30, 14.05** **სერიალი "დაკარგული დრო"** **15.30** გადაცემა "თქვენი გადახდილია" **16.05, 17.05** **სერიალი "ტატიანა""** **18.30** დოკ. ფილმი "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.05** **სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** **20.05** **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.00** **სერიალი "დამიბრუნე სიყვარული"** **0.30** **სერიალი "სხვისი სხეული"** **2.00** **სერიალი "ქუჩეი და გუნეი"**.

**06.00** სერ. **"კარმა"** **06.30** სერ. **"ბოშა ქალი"** **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15, 03.50** ქრონიკა **07.35, 08.10, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"გზაჯვარედინი"** **11.20** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური"** **18.45, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **9** სერ. **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორისტთან **00.30** მხ/ფ **"შემზარავი ცინათგრძნობა"** (ს.ბულოკი) **02.25** მხ/ფ **"ადამიანი ფარვანა"** (კ.ფოქსი).

**06.10** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები "მერაბ კვიტაშვილი-თეირანი" **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.10** დიდ ხარ შენ უფალო-ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულები **07.30** ჩვენი ფონდი "დიმიტრი თუმანიშვილი-მოქვი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტიანული ხელოვნება "ივერიის ღვთისმშობლის ხატი" **10.40** ბავშვები მუზეუმში **11.20** დოკ.ფ. "კარბელაშვილები-მადლმოსილი ოჯახი" **12.10** ღია აუდიტორია-ირმა რატიანი **13.00** ისტორიის გაკვეთილი **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **14.30** დოკ. ფ. "დები ტრევისის სოცარი სახლი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **16.20** კონცერტი **16.50** დოკ.ფ. "ზღვარი" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00** სიახლენი **19.20** დოკ. ფ. "ორი სამშობლო" **20.40** ძილი ნებისა "წმ. ნინო ისმენს მაცხოვრის შესახებ" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ივერიის ეკლესია "საქართველოს ეკლესიის საზღვრები" **21.35** ეპოქის სახელები "ზურაბ ავალიშვილი" **22.25** ქართული ალბომი "ჭიჭინაძეების ოჯახი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დოკ.ფ. **00.30** დოკ.ფ. "ფურცლები ფრაგული დღიურიდან" **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## ხუთშაბათი 17 სექტემბერი

**08.00** ან/ფ "მადმუაზელ ზაზი" "ზუ" **09.00** "საქართველო არის ესე" **09.30** "სადილის დრო" **10.00** ტ/სერ. **"ანგელოზის სახე"** **11.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **13.30** დ/ფ "აუშენე უფრო დიდი" **14.30** მხ/ფ **"პირველი გვერდი"** (ჯ.ლემონი) **16.40** "ეკონომეტრი" **17.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.20** **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. მე-5/მე-8 ადგილებისთვის **22.20** სპორტული გადაცემა **22.50** **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი **01.10** მხ/ფ **"არსად მყოფი ბიჭი"**.

**07.00, 15.40** სერ. **"ლამაზი სიზმარი"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **22.00** პროფილი **23.30** ქალთა სახეები **00.30** სერ. **"გრიმი"** **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 15.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00,** "მაესტროსახალი ამბები **7.30** ანიმაცია **"მაგიის რაინდები"** **8.30** **სერიალი "სხვისი სხეული"** **10.05** **სერიალი "ქუჩეი და გუნეი"** **11.05** **სერიალი "ქუჩეი და გუნეი"** **12.30** **სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** **13.30, 14.05** **სერიალი "დაკარგული დრო"** **15.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05** **სერიალი "ტატიანა""** **18.30** დოკ. ფილმი "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.05** **სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** **20.05** **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.00** **სერიალი "დამიბრუნე სიყვარული"** **0.30** **სერიალი "სხვისი სხეული"** **2.00** **სერიალი "ქუჩეი და გუნეი"**.

**06.00** სერ. **"კარმა"** **06.30** სერ. **"ბოშა ქალი"** **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00, 03.55** ქრონიკა **07.35, 08.10, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"გზაჯვარედინი"** **11.20** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური"** **18.45, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **10** სერ. **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ **"რედი"** (ჯ.მალკოვიჩი) **02.10** მხ/ფ **"საიდუმლო სია"**.

**06.15** დოკ. ფ. "ზღვარი" **06.40** პატერიკი **06.50** დეკორატიული ფლორა "ვარდი" **07.05** ქართული ალბომი "ჭიჭინაძეების ოჯახი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** "ერთსულოვნების" სალონი "ქრისტიანობის ისტორია და ღღევანდელობა აჭარაში" **11.30** ეპოქის სახელები "ზურაბ ავალიშვილი" **12.10** დოკ. ფ. "ქართულ-ებრაული ურთიერთობა" **13.20** დოკ. ფ. "ნეკრესი" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** დოკ. ფ. "დები ტრევისის სოცარი სახლი" **15..05** ივერიის ეკლესია "ნიქოზის სამწყსო ჩრდილოეთ კავკასიაში" **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** საყმაწვილო ენციკლოპედია **16.10** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **16.55** სალვთისმეტყველო საუბრები "აფხაზეთის საეკლესიო მდგომარეობის სამართებლივი ანალიზი" **17.35** ჩვენი ფონდი "დიმიტრი თუმანიშვილი-მოქვი" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები-"ნიკოლოზ ლაგვილავა" **20.00** ქართული ხმები-ნართები (ცხინვალი) **20.40** ძილი ნებისა "ელესიური ცხოვრება" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე **22.25** კარაბადინი "ღვინო-რამაზ შენგელია" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დოკ. ფილ. **01.25** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## პარასკევი 18 სექტემბერი

**08.00** ან/ფ "მადმუაზელ ზაზი" "ზუ" **09.00** "საქართველო არის ესე" **09.30** "სადილის დრო" **10.00** ტ/სერ. **"ანგელოზის სახე"** **11.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **13.30** დ/ფ "აუშენე უფრო დიდი" **14.30** მხ/ფ **"არაბესკა"** (გ.პეკი) **16.40** "ეკონომეტრი" **17.00** მხ/ფ **"ამალია ერჰარტი"** **19.30** "სიტყვების თამაში" **21.00** მოკ. მხ/ფ **"ღვინის ქურდები"** **21.30** სპორტული გადაცემა **22.00** **რაგბი**. მსოფლიო თასი. პახსნის ცერემონიალი **22.50** **რაგბი**. მსოფლიო თასი: **ინგლისი – ფიჯი** **00.50** სპორტული გადაცემა **01.20** მხ/ფ **"მინდიხარ"**.

**07.00, 15.40** სერ. **"ლამაზი სიზმარი"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **116.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** ვანოს შოუ **22.50** ქერის უბანი **23.00** იღბლიანი ბორბალი **00.00** სერ. **"გრიმი"** **01.30** კარდაშიანები **01.00. 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 15.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"მაგიის რაინდები"** **8.30** **სერიალი "სხვისი სხეული"** **10.05, 11.05** **სერიალი "ქუჩეი და გუნეი"** **12.30** **სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** **13.30, 14.05** **სერიალი "დაკარგული დრო"** **15.30** გადაცემა "თქვენი გადახდილია" **16.05, 17.05** **სერიალი "ტატიანა""** **18.30** დოკ. ფილმი "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.05** **სერიალი "თქვი,**

**რომ ბედნიერი ხარ**" 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 **სერიალი "დამიბრუნე სიყვარული"** 0.30 **სერიალი "სხვისი სხეული"** 2.00 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"**.

**06.00** სერ. "**კარმა**" **06.30** სერ. "**ბოშა ქალი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.55, 03.35** ქრონიკა **07.35, 08.10, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**სიცოცხლის საფასური**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სერ. "**ჟუჟონები**" **20** სერ **00.00** მხ/ფ "**პომპეი**" (ე.ბროუნინგი) **02.05** მხ/ფ "**რემბო 4**" (ს.სტალონე) **03.45** მხ/ფ "**საიდუმლო სია**" (ი.მაკგრეგორი).

**06.10** მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** დოკ. ფილ. "ღალიის ხატის კვიპროსზე დაბრუნება" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **11.25** კარაბადინი "ღვინო-რამაზ შენგელია" **12.10** პორტრეტები-"ნიკოლოზ ლაგვილავა" **13.15** ბავშვები მუზეუმში **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **14.30** დოკ. ფ. "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** საყმაწვილო ენციკლობედია **16.10** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **16.35** მიწათმოქმედი "სოფელი დიდი ლილო" (რ. შალიბაშვილი) **17.00** დოკ. ფ. "წუთი დიდი დრო ყოფილა"-ფილმი ეძღვნება მეუფე ელისეს ხსოვნას **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქართული ხმები "იავნანა" (ამბროლაური) **20.00** თაობა ზეტი **20.40** ძილი ნებისა "ილია II" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები ანტიოქია, ქართული ინტელიგენცია-ო.ჭილაძე,ო.ჩხეიძე **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "სხვა ვარძია და ვახანი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დოკ. ფ. **00.35** დოკ. ფ "ბილიკების ენა" **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## შაბათი 19 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" **09.00** ან/ფ "მადმუაზელ ზაზი" **10.00** მხ/ფ "**ბეთჰოვენი**" **11.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "სპექტაკლის დრო" – "**დილა მშვიდობისა 100 დოლარიანო**" **14.30** სპორტული გადაცემა **14.50 რაგბი**. მსოფლიოო თასი: **საქართველო – ტონგა** **16.50** სპორტული გადაცემა **17.20 რაგბი**. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი: **ირლანდია – კანადა** **19.15** მოკ. მხ/ფ "**ფეოლა**" **21.00** ტ/სერ. "**სიცრუე**" **22.00** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **22.50 რაგბი**. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი: **საფრანგეთი – იტალია** **00.45** მხ/ფ "**ამერიკელი განგსტერი**" (რ.ქროუ).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ანიმაცია **10.30** მახე **11.00** ექიმები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** კომედი შოუ **15.30** კომედი კონცერტი **17.00** თომა "განგსტერული საქართველო" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **21.00** კურიერი - გაბუნია **22.30** გააცინე და მოიგე **00.00** სერ. "**გრიმი**" **01.30** კარდაშიანები **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 15.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.30, 3.30**"მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია "**მაგიის რაინდები**" **8.30 სერიალი "სხვისი სხეული"** **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00 სერიალი "ორსულობის ტესტი"** **12.30 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **15.35** გადაცემა "თქვენი გადახდილია" **16.00 სერიალი "ტატიანა"** **18.30** დოკ. ფილმი "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.00 სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **21.30 სერიალი "დამიბრუნე სიყვარული"** **23.30** მხ. ფ "**თავისუფლებისთვის შობილნი**" **2.00 სერიალი "ორსულობის ტესტი"** **3.00 სერიალი "სხვისი სხეული"**.

**08.00** სერ. "**მერლინი**" **09.00** მხ/ფ "**ფიფქია**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40, 03.40** ქრონიკა **11.15** იმედის გმირები **11.35** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **13.00** კულინარიული დუელი **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**სიცოცხლის საფასური**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ – 4**" **1** სერ. **23.00** სერ. "**ჟუჟონები**" **01.00** მხ/ფ "**ქორწილის ორგანიზატორი**" (ჯ. ლოპესი) **02.40** მხ/ფ "**რემბო 4**" **04.10** მხ/ფ "**პომპეი**".

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ღვთის სახლი "ერედვის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი" **06.40** თბილისის ტაძრები "ჯვრის მამა" **06.50** ეპოქის სახელები "ზურაბ ავალიშვილი" **07.20** მოგზაურობა სამშობლოში "სხვა ვარძია და ვახანი " **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** ჩვენი ფონდი "დიმიტრი თუმანიშვილი-მოქვი" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15, 19.00, 22.00, 00.35** სიახლენი **10.35** დოკ. ფ "სატრაპი ძე სინგაპურისა" **10.50** კვირიაკე **11.00** გამოყენებითი ხელოვნება "მინანქარი-თამაზ ელისაშვილი" **12.10** მხ/ფ "**უფლისწული და მათხოვარი**" **13.25** დოკ. ფ. "დები ტრევისის საოცარი სახლი" **14.00** ღია აუდიტორია-ირმა რატიანი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ.ფილმი ქართული **15.40** თაობა ზეტი **16.40** კონცერტი **17.20** გაცოცხლებული წარსული "ხევსურული პოეზია" **18.10** დოკ. ფ "მთის რაინდი-ხერგიანი" **18.35** საქართველოს სამართლის ისტორია **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დეკორატიული ფლორა "ვარდი" **19.35** ქართული ალბომი "ჭიჭინაძეების ოჯახი" **20.00** ქრისტიანული ხელოვნება **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთსულოვნების სალონი **22.20** შუადღის სტუმარი **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფ. "ღვინის მადლი" **00.05** დროის ჩანაწერები " ანტიოქია, ქართული ინტელიგენცია-ო.ჭილაძე,ო.ჩხეიძე" **01.45** მხ/ფ "**ელენე ტროას დედოფალი**" **1** ნაწ.

## კვირა 20 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" **09.00** ან/ფ "მადმუაზელ ზაზი", **10.00** მხ/ფ "**ბეთჰოვენი-2**" **11.30** "ყოჩაღების ქუჩაზე **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ქართ. მხ/ფ "**ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა**" **14.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **15.00** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **15.50 კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. შეხვედრა III ადგილისთვის **17.50** მხ/ფ "**კაპიტანი ნიუმენი" მედიცინის დოქტორი"** **20.30** სპორტული გადაცემა **20.50 კალათბურთი**. ფინალი. **23.00** სპორტული გადაცემა **23.45** მხ/ფ "**მკითხველი**" (რ.ფაინსი) **01.45** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი".

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ანიმაცია **09.30** ქ.მხ/ფ **11.00** კომედი ქიდსი **11.30** სიცილის ზონა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ვანოს შოუ **14.00** იღბლიანი ბორბალი **15.30** ქერის უბანი **16.00** მარაო **18.30** ეკი ვოკი **19.00** ქ.მხ/ფ "**გაღმა ნაპირი**" **21.00** P.S. **22.00** კომედი შოუ **23.00** ექიმები **00.30** სერ. "**გრიმი**" **01.30** კარდაშიანები **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 15.00, 16.00, 18.00, 19.00, 23.30, 01.30** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია "**მაგიის რაინდები**" **8.30 სერიალი "სხვისი სხეული"** **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00 სერიალი "ორსულობის ტესტი"** **12.30 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **15.30** გადაცემა "თქვენი გადახდილია" **16.00 სერიალი "ტატიანა"** **18.30** დოკ. ფ "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.00 სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** **20.00 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **21.30 სერიალი "დამიბრუნე სიყვარული"** **0.00 სერიალი "ორსულობის ტესტი"** **1.00 სერიალი "სხვისი სხეული"** **2.30 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"**.

**08.00** სერ. "**მერლინი**" **09.00** ორი ვარსკვლავი **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.10, 02.10** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 4**" **1** სერ **13.00** სტუმრად იუმორინასთან **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** მხ/ფ "**ხელმწიფის სახელით**" **20.30** შალვა რამიშვილის შოუ **21.30** ერთხელ საქართველოში **22.00** სერ. "**ჟუჟონები**" **00.00** მხ/ფ "**კოლიბრი**" (ჯ.სტეტჰემი) **01.50** მხ/ფ "**საჰარა**" (მ. მაკკონაჰი).

**06.10** მუს.პაუზა **06.20** დოკ. ფ. "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.40** კვირ. სიუჟ **06.50** თვენი-ივერიის ღვთისმშობლის ხატის ჩამობრძანება **07.30** მულტ. ფ "მძინარე მზეთუნახავი" I ნაწ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** საკვირაო სახარების განმარტება **08.40** ღვთის სახლი "თიღვა" **08.55** შვიდგზის ლოცვა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** სიახლენი **10.25** ივერიის ეკლესია "ქართული საღვთისმეტყველო სკოლები" **10.40** შუადღის სტუმარი **11.30** ქართული ალბომი "ჭიჭინაძეების ოჯახი" **12.15** მხ/ფ "**უფლისწული და მათხოვარი**" II **13.30** ქრისტიანული ხელოვნება **14.15** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.20** მულტ.ფილმი ქართული **15.40** მუს.პაუზა **15.55** "ერთსულოვნების" სალონი **16.45** ეპოქის სახელები "ზურაბ ავალიშვილი" **17.40** ბავშვები მუზეუმში **18.30** დროის ჩანაწერები "ანტიოქია, ქართული ინტელიგენცია-ო.ჭილაძე,ო.ჩხეიძე" **19.30** მხ/ფ "**გასეირნება თბილისში**" **21.40** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.05** საქართველოს სამართლის ისტორია **23.15** საღვთისმეტყველო საუბრები "საეკლესიო გადმოცემა საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობის შესახებ" **00.30** პორტრეტები-"ნიკოლოზ ლაგვილავა" **01.20** მხ/ფ "**ელენე ტროას დედოფალი**" **2** ნაწ.

# რომელი მცენარე იცავს ადამიანს დეპრესიისგან, ავითარებს ინტუიციას და ხელს უწყობს ოჯახურ იდილიას

*ქოთნის მცენარეები, არა მარტო ვიზუალურად ლამაზ ფონს ქმნის ბინაში, არამედ იქ მცხოვრებთაც ეხმარება წარმატების მოპოვებაში, სიმშვიდის შენარჩუნებასა და ცხოვრების მოწყობაში. თუმცა, ყვავილმა რომ გაიხაროს და თქვენც წარმატება მოგიტანოთ, მხოლოდ მისი ყიდვა, სახლში ადგილის მიჩენა და მორწყვა როდი კმარა. ის უნდა შეიყვაროთ, ხშირად მოეფეროთ, დაბალ ხმაზე, ჩუმად ესაუბროთ. გულღიად აუხსნათ, რომ მისი დახმარება გჭირდებათ და ასეთ შემთხვევაში, ისიც ადეკვატურად გიპასუხებთ. სწორად შერჩეული მცენარეები, თქვენი სახლის ატმოსფეროს ასუფთავებს. ეს გამოიხატება არა მარტო სახლში ნახშირორჟანგის შთანთქმით, არამედ, ის უარყოფით ენერგიას დადებითად გარდაქმნის. ყვავილი ვერ ხარობს აგრესიული ადამიანების სახლში, რადგან ვერ უძლებს მფლობელის ემოციურ დატვირთვას და იღუპება. სადაც ყვავილი ხარობს, იმ სახლის ბინადართ ძლიერი იმუნიტეტი აქვთ და ნაკლებადაც ავადმყოფობენ. ასევე, ყვავილს პატრონის „ხასიათის შეწყობაც“ შეუძლია და ადამიანების მსგავსად, ზოდიაქოს სხვადასხვა ნიშანსა და პლანეტის გავლენას ექვემდებარება.*

*თუ სახლში თქვენი ზოდიაქოს ნიშნის შესაბამისი მცენარე ხარობს, ის თქვენს წარმატებებზეც აგებს პასუხს. ის, შეუმჩნევლად და სიძნელეების გარეშე გააძლიერებს თქვენში დადებით ენერგიას, უარყოფით ენერგიას კი ჩამოგაშორებთ. სხვა ზოდიაქოს ნიშნის მცენარეები კი იმ თვისებებს შეგძენთ, რომლებიც არ გაგაჩნიათ.*

**ვერძის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულისთვის მისაღებია გერანი, ბეგონია და იელი. ეს მცენარეები საქმეში წარმატების მიღწევასა და პირადი ცხოვრების მოწყობაში დაეხმარებათ. განწყობას გაგიუმჯობესებთ, მოგიხსნით სტრესს, საკუთარ თავში პასუხისმგებლობის გრძნობას გაგივითარებთ, საზრიანობასა და სისხარტეს შეგძენთ.

**კუროებისთვის** კარგია სახლში ყოჩივარდისა და იის გახარება. ეს მცენარეები ხელს უწყობს მატერიალური სახსრების მოზიდვას, ეხმარება ადამიანს ძალების მობილიზებაში, წმენდს სახლს უარყოფითი ენერგიისგან. ასევე, ავითარებს შემოქმედებით უნარს და დაგეხმარებათ პრობლემების მოგვარებაში.

**ტყუპების** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულებისთვის მისაღებია გვიმრა და სურო. ეს მცენარეები ტყუპებში ავითარებს ზომიერებისა და ტაქტის შეგრძნებას. თუ სულიერად გიჭირთ, აუცილებლად შეიძინეთ ეს მცენარეები და მალე იგრძნობთ სიმშვიდეს.

**კირჩხიბებისთვის** კი სახლში აუცილებელია ქოთნის აგავა და ალოე. ალოე მომავლის რწმენას გაგიმტკიცებთ, აგავა კი ოჯახის წევრებს საერთო ენის გამონახვაში დაეხმარება. ზოგადად, ეს მცენარეები სიმშვიდეს და იდილიას ამკვიდრებს სახლში. კირჩხიბებს ინტუიციის განვითარებაში ეხმარება.

**ლომებისთვის** კარგია სახლში ქოთნის დეკორატიული ვარდის, კალისა და უკადრისას გახარება. ეს მცენარეები ანეიტრალებს ოჯახში უარყოფით ენერგიას, აძლიერებს ლომების დამოუკიდებლობას, თვითრწმენას და სახლში მყუდრო, თბილ, სასურველ ატმოსფეროს ქმნის. ლომები შემოქმედებითი ადამიანები არიან და ეს მცენარეები მათ ამ უნარის გამოვლენაში ეხმარება.

**ქალწულის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულმა კი უნდა შეიძინოს და სახლში გაახაროს მონსტერა. ეს მცენარე ქალწულებს ეხმარება ინტელექტუალურ საქმიანობაში, ხელს უწყობს სწორად აზროვნებასა და ოჯახური სიმყუდროვის შენარჩუნებაში.

**სასწორებისთვის** აუცილებელია ბინაში ქოთნის ქრიზანთემის გახარება. ეს მცენარე სასიკეთო ცვლილებებს მოუტანს ამ ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულებს. ის ერთგვარი თილისმაა მათთვის. ბინაში ქრიზანთემა წმენდს ატმოსფეროს, აგარიდებთ ჭორებს, ინტრიგებს და ეჭვებს, მოგანიჭებთ სიმშვიდეს. ასევე, შეგძენთ საკუთარი თავის რწმენას.

**მორიელებისთვის** ბინაში აუცილებელია ქოთანში გახარებული კაქტუსი. მას შეუძლია, ამ ნიშნით დაბადებულები ადვილად დაამშვიდოს, ასწავლოს ემოციების კონტროლი, თავის ხელში აყვანა, დაიცვას შეცდომებისგან. კაქტუსი მორიელებს მეხსიერების გაუმჯობესებაშიც ეხმარება და მის შემოსავლებსაც გაზრდის.



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

> *„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*
>
> **კურტ ვონეგუტი**

**მშვილდოსნებისთვის** კარგია ქოთანში გახარებული ლიმონი. ის აძლიერებს ახლის შეცნობისკენ ლტოლვას, ავითარებს ცნობისმოყვარეობას. ეს მცენარე პატრონს დამოუკიდებლად მოქმედებაში ეხმარება.

**თხის რქის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულმა აუცილებლად უნდა შეიძინოს ქოთნის ფიკუსი. ეს მცენარე მას წარმატების მოპოვებაში დაეხმარება და ოჯახში შექმნის მყუდრო გარემოს. ფიკუსი აგაცილებთ ჩხუბსა და სკანდალს, მოგგვრით ძალას კრიტიკულ და დაძაბულ სიტუაციებში. ასევე, ენთუზიაზმსა და ოპტიმიზმს.

**მერწყულებისთვის** კარგია მარანთა და რძიანა. ეს მცენარეები ორიგინალობასა და სისპეტაკეს სძენს ამ ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულებს. უბიძგებს სიახლეებისკენ და უზრუნველყოფს მის წინსვლას კარიერაში. ამ მცენარეებს საკმაოდ სწრაფად მოაქვს წარმატება, დადებითი მუხტი და სიმშვიდე ოჯახში.

**თევზების** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულთა ბინაში კი უნდა იდგას ქოთანში გახარებული და მოვლილი ორქიდეა. ეს ლამაზი მცენარე მათ პრობლემების მოგვარებაში ეხმარება, იწვევს შთაგონებას, აძლევს სტიმულს და დეპრესიისგან იხსნის. ასევე, ავითარებს ინტუიციას და ეხმარება რამდენიმე საქმის ერთდროულად შესრულებაში.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1997 წლის 21 აგვისტოს. რომელ პროფესიაში მივაღწევ მეტ წარმატებას და რა არის ჩემი კარმული მისია?**

**პასუხი:** თქვენი კარმული მისიაა, იყოთ მეტად აქტიური, ენერგიული; შეძლოთ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება; წარმოაჩინოთ ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებები; სადაც საჭიროა, გამოავლინოთ უშიშარი, მებრძოლი სულისკვეთება. იყოთ ოპტიმისტი, კეთილშობილი, კომუნიკაბელური; დაეყრდნოთ ცოდნის ბაზას, გონივრულად გადაანაწილოთ და ხარჯოთ თანხები; დაიცვათ სისუფთავე და წესრიგი. უნდა იყოთ „უხალტურო“ მუშაკი, იმუშაოთ ზედაპირულობისა და მიფუჩეჩების გარეშე. ასევე, უნდა იყოთ მიზანსწრაფული და მარტოხელა მებრძოლი. გამოავლინოთ პასუხისმგებლობის გრძნობა – ასე დადგებით სწორ კოსმიურ ევოლუციურ გზაზე და წარმატებებსაც ადვილად მიაღწევთ. გაითვალისწინეთ ისიც, რომ თქვენი კოსმიური მისია უკავშირდება უცხოეთს, ამიტომ, აუცილებელია, დიდი დრო გაატაროთ იქ და შეიძინოთ ცოდნა და გამოცდილება. პროფესიებიდან კი კარგია: მედიცინის ფართო სპექტრი, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო სფერო, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო ინდუსტრია, პედაგოგიური მოღვაწეობა ან ბიზნესი, ლინგვისტიკა, სოციოლოგია, ავტომატიკის, ტელემექანიკის, კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის ბიზნესი, პოლიტიკის ფართო სპექტრი, პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე. იურისპრუდენცია, ტურიზმი, ტერიტორიული ორგანიზაციების ბიზნესი, ფოტოგრაფის ხელოვნება ან ბიზნესი, სპორტის ფართო სპექტრი, ფილოსოფია და ფსიქოლოგია. ამ სფეროებში წარმატებების შანსი ნამდვილად გაქვთ.

## კვირის ჰოროსკოპი



### ვერძი

ნუ ეტყვით საკუთარ თავს სიამოვნებაზე უარს. ახალი კავშირების დამყარება დაგეხმარებათ ადრინდელი გეგმების განხორციელებაში. სასიყვარულო გრძნობა იმიჯის შეცვლისკენ გიბიძგებთ. კარგია დასვენება და სახლის მოწყობა.



### კურო

მოიმატებს ცნობისმოყვარეობა, მჭევრმეტყველება და რომანტიკულობა. მზად იქნებით ახალი თავგადასავლებისთვის, რომანტიკული ნაცნობობისა და საყვარელ ადამიანთან გულახდილი საუბრისთვის. არ არის გამორიცხული, შეიცვალოს თქვენი გეგმები.



### ტყუპები

ნუ იქნებით ზედმეტად თავდაჯერებული. გაგიჭირდებათ სამსახურებრივი საქმის შესრულება. როგორც ფიზიკური, ასევე ფინანსური დახმარება დასჭირდებათ ოჯახის წევრებს და ნუ ეტყვით უარს. პირადი და რომანტიკული ურთიერთობებისთვის დრო არ დაგრჩებათ, რაც საყვარელი ადამიანის გაღიზიანებას გამოიწვევს.



### კირჩხიბი

არაერთგვაროვანი დროა. მოქმედებებისა და მუშაობისას გამოიჩინეთ სიფრთხილე. თავდაჯერებულობით და შინაგანი სიმშვიდით შეძლებთ, მოიზიდოთ გარშემო მყოფების ყურადღება და გაიუმჯობესოთ ფინანსური მდგომარეობა. დალაგდება პირადი ცხოვრებაც.



### ლომი

ბევრ საქებარ სიტყვას მოისმენთ და მოგემატებათ საქმის გაკეთების სტიმული. გაზრდილი პატივმოყვარეობა და წინსვლის სურვილი გიბიძგებთ ახალი იდეების განხორციელებისკენ. სასიყვარულო ურთიერთობებში კი გამოიჩინეთ მეტი სიფრთხილე, რათა ეჭვიანობა დაშორების მიზეზი არ გახდეს.



### ქალწული

კარგი დროა ახალი საქმეების დასაწყებად და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მისაღებად. ნუ აჰყვებით ემოციებს და შეინარჩუნეთ სიმშვიდე. არ არის გამორიცხული, კონკურენტებს დაუპირისპირდეთ. ეცადეთ, მეტი სიამოვნება მიიღოთ საყვარელ ადამიანთან გატარებული წუთებით.



### სასწორი

ენერგიის ნაკლებობა შეასუსტებს თქვენს აქტიურობას და სამსახურებრივ საკითხებში გაგიჭირდებათ სწრაფი მოქმედება და გადაწყვეტილებების მიღება. ნუ იქნებით ზედმეტად ამპარტავანი, რათა გარშემო მყოფებისა და კოლეგების თვალში სასაცილო არ გამოჩნდეთ.



### მორიელი

პროფესიონალიზმი დაგეხმარებათ დამოუკიდებლად იმოქმედოთ და ცხოვრებაში მეტ წარმატებებს მიაღწიოთ. ნუ შეიძენთ ძვირადღირებულ ნივთებს და გადადეთ ბინის რემონტი. საყვარელ ადამიანს კი თავს ნუ მოახვევთ თქვენს აზრს. ერიდეთ უცნობებს.



### მშვილდოსანი

მოერიდეთ ერთდროულად ბევრი საქმის შესრულებას და ეცადეთ ზედმეტად არ გადაიტვირთოთ. ასევე, მოერიდეთ სხვების გაკრიტიკებასა და ზედმეტ სიმკაცრეს. ამ პერიოდში მნიშვნელოვანია, ჰარმონიული ურთიერთობები დაამყაროთ არა მარტო კოლეგებთან, არამედ საყვარელ ადამიანთან და ოჯახის წევრებთან.



### თხის რქა

ამ პერიოდში ძნელი იქნება თქვენი მოტყუება. გაიზრდება თავდაჯერებულობა, აზარტულობა და თავნებობა, რის გამოც გაგიადვილდებათ საქმიან და სასიყვარულო პარტნიორებთან საკუთარი აზრის დაფიქსირება. მოერიდეთ საყვარელი ადამიანის გულისტკენას, რომ ეს დაშორების მიზეზი არ გახდეს.



### მერწყული

ჯობია, უსიამოვნება კომპრომისისა და დიპლომატიის გზით მოაგვაროთ. მოერიდეთ დიდ ფინანსურ ხარჯებს. შეიცვალეთ იმიჯი და საკუთარი თავის მიმართ იყავით ნაკლებად კრიტიკული. კარიერისა და საქმის წინსვლისთვის რთული დროა. შესაძლოა, თავი იჩინოს ჯანმრთელობის პრობლემებმაც. ეცადეთ, დრო დასვენებისთვისაც გამონახოთ.



### თევზები

მეტი ყურადღებით მიუდექით საქმეს და ბევრი დრო გაატარეთ ხალხის გარემოცვაში. გაუმჯობესდება ნათესავებთან ურთიერთდამოკიდებულება. მეგობრული ურთიერთობა კი შეიძლება დიდ სასიყვარულო გრძნობაში გადაიზარდოს.

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 13 ოქტომბერი, 00 : 04 სთ.**

### ორშაბათი
### გეომაგნიტურია დღის პირველი ნახევარი

პროვოკაციული დღეა. მოიმატებს კორუფციული მოქმედებების ალბათობა. მეტი დრო გაატარეთ ოჯახში. კარგია რომანტიკული საღამოები საყვარელ ადამიანთან. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ჩალისფერი, ნაცრისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი ან ტოპაზი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. კარგია გართობა, შემოქმედებითი მუშაობა, მეგობრული კონტაქტები, შოპინგი, ექიმებთან კონსულტაცია, მკურნალობის დაწყება. სუსტდება თირკმელები, კანი, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

კარგია სახლის მოწესრიგება, ახალი ნაცნობობა, შეწყვეტილი ურთიერთობების აღდგენა, შემოქმედებითი მუშაობა. ატარეთ ნაცრისფერი, ჩალისფერი, ყვითელი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, აკვამარინი ან სარდიონი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. არ ვარგა მანქანის ყიდვა-გაყიდვა. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, გართობა, შოპინგი. სუსტდება ყელი, თირკმელები, კანი, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.***

### ოთხშაბათი

მორიდეთ გაღიზიანებას, უტაქტობას, მერყეობას და სულსწრაფობას. კარგია ექიმებთან კონსულტაცია, მკურნალობის დაწყება, სამეცნიერო კვლევა, დიპლომატიური მოქმედება. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ჩალისფერი, მწვანე ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ჟადეიტი, ლაზურიტი, სარდიონი ან ცირკონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, სასიყვარულო კავშირები, გართობა, მეგობრული კონტაქტები, საყიდლების გაკეთება. სუსტდება თირკმელები, ენდოკრინული და შარდსასქესო სისტემები, ყელი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ნურაფერს დაგეგმავთ გაუაზრებლად. ნუ აიღებთ სესხს და ნურც თქვენ გაასესხებთ, რადგან დაბრუნება გაგიჭირდებათ. ატარეთ წითელი, ყვითელი, შავი, შინდისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ზურმუხტი, ქრიზოპრაზი, მარგალიტი ან ონიქსი. ყურადღებას ნუ მაიქცევთ ცუდ სიზმარს, ის არ ახდება. მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, მოგზაურობას, ადგილსამყოფლის შეცვლას, უზრუნველყოფისა და დაზღვევის ორგანიზაციებთან ურთიერთობას. სუსტდება შარდსასქეო სისტემა, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### პარასკევი

მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ პარტნიორების არჩევისას და მათთან ურთიერთობისას. მოერიდეთ ბინაში რემონტის დაწყებას, ასევე, ახალი საქმის წამოწყებას, მოგზაურობას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. ატარეთ წითელი, ყვითელი, შავი, მწვანე ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, მწვანე იასპი, ონიქსი, ამეთვისტო ან ტოპაზი. ნუ მოუყვებით სიზმრებს სხვებს. კარგია ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, სამეცნიერო კვლევა, თმის შეჭრა. გამოავლინეთ მეტი კომპეტენტურობა. სუსტდება შარდსასქესო და რეპროდუქციული სისტემები, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### შაბათი

მოიმატებს ინტუიცია. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, მოგზაურობა, ინტელექტუალური საქმიანობა, იურიდიული საკითხების მოგვარება. ატარეთ წითელი, ლურჯი, ცისფერი, ყვითელი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, ლაზურიტი, საფირონი, იაგუნდი ან ქარვა. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. არ ვარგა მშენებლობა. კარგია პარტნიორული თანამშრომლობა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ შორეულ მოგზაურობებს, ტყუილის თქმას, ურთიერთობების გარკვევას, ფულის ვალში გაცემას ან აღებას. ატარეთ წითელი, ყვითელი, იისფერი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, სარდიონი, ნეფრიტი, საფირონი ან ლაბრადორი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ინტელექტუალური განვითარება, უცხოელებთან კონტაქტი, ვარჯიში, აქტიური მოქმედებები. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემები, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***



# მან არ იცოდა სროლა

## დევიდ ოუენი

ამ მკვლელობის შესახებ ყველა გაზეთი წერდა: შეშლილმა საყვარელმა მოკლა მამაკაცი, მისი ცოლი დაჭრა და მამაც გამოასალმა სიცოცხლეს.

ჯორჯი მივიდა, რომ ბიძაშვილი მოენახულებინა... მისი ქერა კულულები ბალიშებზე იყო გაშლილი. ფერწასული და ისეთი უსუსური იყო, რომ ჯორჯს გული შეეკუმშა. სესილიამ მისკენ გაიწოდა ხელები:

– ო, ჯორჯ, საყვარელო! ეს ხერხი იყო – მერიმ გადაწყვიტა, რომ ყველა ჯეფერსი გამოესალმებინა სიცოცხლეს და თავი მოვიმკვდარუნე, ჯორჯ, სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, ისეთი შეშლილი სახით შემოვარდა სახლში. ვსადილობდით. თვალები უელავდა და ხელში რევოლვერი ეჭირა. ჩემს ქმარს უყვირა, ახლავე უთხარი შენს ცოლს, რომ ტოვებ მას და ჩემთან მოდიხარ, თორემ, ყველას დაგხოცავთო. ვერაფერი შევძელით, ეგრევე დაიწყო სროლა, მერე კი საფეთქელში დაიხალა ტყვია. ყველგან იმდენი სისხლი იყო...

– დამშვიდდი, სესილია, ყველაფერი ცუდი უკან დარჩა, – ჯორჯი თმაზე მიეფერა ბიძაშვილს. მის მიმართ თბილი გრძნობა ჰქონდა, თუმცა ეს არ იყო სიყვარული. სესილია ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ ფაიფურის თოჯინას ჰგავდა – უსიცოცხლო და უფერული, კაცს მოწყენილობას ჰგვრიდა. მისი სრული ანტიპოდი იყო მერი სტალეტი – შავგვრემანი, ცეცხლოვანი, როგორც ფოიერვერკი... ამიტომ ჯორჯს საერთოდ არ გაჰკვირვებია, როცა ჰენრიმ, სესილიას მეუღლემ, მდიდარმა დიდგვაროვანმა, ცოლს ამ ქალთან უღალატა. ჰენრი ჯეფერსისა და მერი სტალეტის რომანის შესახებ ყველამ იცოდა და სესილია ებრალებოდათ კიდეც. თუმცა მან გამოსავალი მონახა და კომპენსაციის მიზნით ჯორჯი დაიახლოვა. ჯორჯს თავიდან მოსწონდა მდიდარ კუზინასთან სიახლოვე, მაგრამ მერე სესილიამ მეტისმეტი მოინდომა: ჭირვეულობდა, ეჭვიანობდა... ჯორჯს უფლება არ ჰქონდა, საღამო მისი ნებართვის გარეშე, უმისოდ გაეტარებინა. როცა ტრაგედია მოხდა და სესილია საავადმყოფოში გადაიყვანეს, ჯორჯმა შვებით ამოისუნთქა – თითქოს ბორკილები ახსნეს და აიშვა... მერე სინდისმა შეაწუხა და საავადმყოფოში მივიდა ყვავილებით.

– ჰო, ჯორჯ... ძვირფასო. ცუდი უკან დარჩა. როგორც კი აქედან გამოვალ, აღარ დაველოდები, როდის ჩაცხრება მითქმა-მოთქმა, ეგრევე ჩვენი მომავალი ქორწინების შესახებ გამოვაცხადებ!

ჯორჯს შეაჟრჟოლა: სესილია ცოლად? – ეს მეტისმეტი იყო. მით უფრო, რომ ცოლის შერთვა მას გეგმებში საერთოდ არ შედიოდა... საავადმყოფოდან გულდამძიმებული წამოვიდა და სესილიას ბებიის ძმას, დის შვილიშვილის უზომოდ მოყვარულ გადამდგარ პოლკოვნიკ მონტს ესტუმრა.

– როგორ არის სესილია? – ჰკითხა პოლკოვნიკმა, რადგან გაიგო, რომ ჯორჯი საავადმყოფოდან მიდიოდა. ჯორჯს ის დაღვრემილი და ჩვეულებრივზე უფრო პირქუში მოეჩვენა.

– უკეთესად. მალე, ალბათ, საავადმყოფოდანაც გამოწერენ. მითხრა, რომ ცოლადაც ძალიან მალე გამომყვება.

– გაგიმართლა, – ჩაეცინა პოლკოვნიკს, – ის ახლა ძალიან მდიდარი ქვრივია.

– ჰო, მაგრამ, მე არ მინდა მდიდარი ქვრივის გაბედნიერება...

– ეგ უკვე შენი პრობლემაა, – ისევ გაიღიმა პოლკოვნიკმა...– მე სხვა რამ მაშფოთებს – მერისთან დაკავშირებული ეს ისტორია ძალიან არადამაჯერებლად გამოიყურება...

– რას გულისხმობთ, რომ მერის არ შეეძლო ამის გაკეთება?

– მერის ვერ ვიტანდი და, ალბათ, ჩემი ხელით მოვუგრეხდი კისერს იმ ტკივილისთვის, რომელიც ჩემს საყვარელ სესილიას მიაყენა, მაგრამ აქ რაღაც გაუგებრობაა. სესილიას მონაყოლში ყველაფერი ისე არ არის, როგორც პოლიციამ დაიჯერა... მინდა, სწორად გამიგო... მე ისევ სესილიაზე ვდარდობ.

ჯორჯს გაეცინა და მხრები აიჩეჩა:

– ეჭვი რაში გეპარებათ?

– იმაში, რომ იმ მერის არ შეეძლო ამდენი ადამიანის მოკვლა... მკვლელობა ყველას არ შეუძლია, ახალგაზრდავ...

– მაშ, რა მოხდა? – ჯორჯი დაიბნა და თვალები დააცეცა.

– გახსოვს, ერთი თვის წინ. სესილიამ წვეულება მოაწყო, ვითომდა ქმართან შერიგების აღსანიშნავად. მერი დათვრა, ჰენრის რევოლვერი აიღო და ეზოში ვეება ლარნაკებს დაუწყო სროლა, მაგრამ ვერცერთს ვერ მოარტყა, მიუხედავად იმისა, რომ მათგან ორ-სამ ნაბიჯში იდგა. სხვათა შორის, მკვლელობაც ამ იარაღით არის ჩადენილი. მაშინ ჰენრიმ წაართვა და შეინახა...

– ღმერთო!.. ამით რისი თქმა გინდათ?

– მე მხოლოდ ვვარაუდობ, ლოგიკას მივყვები: ერთადერთი ადამიანი, რომელიც იმ ღამეს სასაკლაოს გადაურჩა, სესილიაა...

ჯორჯი დაფიქრდა და შეშინებულმა წამოძახა:

– იმის თქმა გინდათ, რომ სესილიამ ჯერ ყველა დახოცა, მერე თავი დაიჭრა, რევოლვერი კი მერის ჩაუდო ხელში? ჰო, მაგრამ, სესილიამ სროლა არ იცოდა, მას იარაღი არასდროს სჭერია ხელში.

– ასე არ არის, – პოლკოვნიკმა თავი გადააქნია,– სესილია შესანიშნავად ისროდა მიზანში. ხუთი წლის იყო, როცა ჩემი იარაღი დავაჭერინე და თავიდან მხოლოდ გასართობად ვაკეთებდით ამას... მაგრამ მერე ისეთი ნიჭი გამოამჟღავნა, გამაოცა. ხელი არასდროს აჰკანკალებია, ცივი გონებით ისროდა და მიზანშიც ზუსტად ახვედრებდა...

– რატომ არავინ ვიცოდით ამის შესახებ? – ჰკითხა ჯორჯმა.

– სესილიამ უცებ გადაწყვიტა, რომ სროლაში ვარჯიში უნდა შეეწყვიტა. საკუთარ თავს ვერ ვაპატიებ, რომ ყურადღება მოვადუნე...

– აპირებთ, ამ ვერსიის შესახებ პოლიციას აცნობოთ?

– არ ვიცი... სულ ამაზე ვფიქრობ...

– მე, მე რა უნდა ვქნა? თუ ცოლად არ შევირთავ, მეც მომკლავს.

– დიახ, შესაძლებელია, – დაეთანხმა პოლკოვნიკი.

– როგორ ლაპარაკობთ ამაზე ასე მშვიდად? – აღშფოთდა ჯორჯი, – მე თავად წავალ პოლიციაში და მოვუყვები, რაც ვიცი... იმათ გადაწყვიტონ, მკვლელი სესილიაა თუ არა.

– ფეხსაც ვერ მოიცვლი აქედან. ეგოისტი და მშიშარა ხარ! მკვლელიც რომ იყოს, მე მაინც უნდა ვიზრუნო სესილიაზე, ამიტომ, აქედან ვერ გაგიშვებ, შენი მოკვლაც რომ დამჭირდეს.

– არა, არა... ვერ ვიქნები მსხვერპლი მარტო იმიტომ, რომ თქვენ მკვლელი სესილიაც კი გიყვართ; მით უმეტეს, ცოლად არ შევირთავ!

– მომისმინე, ყმაწვილო... ჩემი და, სესილიას ბებია სიყვარულმა ჭკუიდან შეშალა და, გამორიცხული არ არის, ეს გენეტიკური იყოს. მაგრამ, მისი ციხეში გამოკეტვა მეტისმეტია... თქვენ მას ცოლად შეირთავთ, მერე კი ვეცდები, დავარწმუნო, რომ ჩემთან ერთად წამოვიდეს სამკურნალოდ.

– მკვლელის გვერდით გინდათ, ვიცხოვრო? – შეჰყვირა ჯორჯმა.

– აბა, რა გირჩევნიათ, საფლავში იწვეთ? – სარკასტულად ჰკითხა პოლკოვნიკმა.

...ქორწილში ჯორჯს უბედური ადამიანის სახე ჰქონდა, ნაძალადევადაც კი ვერ გაიღიმა. სესილია მაგრად უჭერდა ხელს და ნაზად შესციცინებდა თვალებში. მის ყოველ შემოხედვაზე ჯორჯს ჟრუანტელი უვლიდა... ერთი თვის შემდეგ კი პოლკოვნიკი გულის შეტევით გარდაიცვალა, რომ დანაპირები ვერ შეასრულა – სესილია სამკურნალოდ ვერ წაიყვანა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძემ**

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# ღალატი სიყვარულისთვის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №27-36(767)

ანამ სიგარეტს მოუკიდა და სოფოს მადლიერებით გაუღიმა...

– აშკარად მჭირდებოდა და ვერ ვხვდებოდი... სად არის?

– ვერანდაზე, ბავშვს ეთამაშება... ნიკაც იქ არის, ჩემი შვილიც... იქნებ, ჩვენც გავიდეთ? ისე მოიქეცი, ვითომ არაფერი მომხდარა. ის უნდა ნერვიულობდეს, შენ კი არა.

– ჰოო?! ვერ ნახე, როგორ ნერვიულობს? – დამცინავად ჩაილაპარაკა ანამ.

– რომ ვნახე, იმიტომაც გეუბნები. მაგრამ, მთლად ისეც არ არის საქმე, როგორც შენ გგონია.



– რას გულისხმობ? – ანამ სიგარეტი საფერფლეზე დაასრისა და სოფოს კითხვით სავსე მზერა მიაპყრო.

– იმას, რომ ის გოგო ეგრევე მიაბრძანა აქედან და ეს უკვე რაღაცას ნიშნავს.

– თვალში რომ აღარ გვეჩხირება, იმიტომ გადაწყვიტე ასე? გამორიცხული არ არის, ნომერში ელოდებოდეს, საწოლზე წამოწოლილი.

– არა, დავინახე, სასტუმროდან როგორ გაემგზავრა, – იდუმალი ხმით ჩასჩურჩულა სოფომ, – დიდად კმაყოფილი და ბედნიერი სახე არ ჰქონდა.

– ნაკლებად მაინტერესებს მისი სახის გამომეტყველება... ისეთი გამწარებული ვარ, ისეთი... რა მოვიფიქრო, რომ მეც ისევე მოვუკლა გული, როგორც მან მომიკლა? ის ვახო რომ არის აქ. ვნანობ, რომ მის ყურადღებას არ ვუპასუხე... ბარში რომ დავეპატიჟე, ცუდი არ იქნებოდა.

– გინდა, ნიკას ვეტყვი და ბარში მართლა დავაპატიჟებ შენს თავს...

– არა, გადაირიე?! მე ეს ისე ვთქვი... ნეტავი ეგ მართლა შემეძლოს... – ამოიოხრა ანამ, – შენ გგონია, ბავშვი მართლა აინტერესებს? ახლა ნიკას დასანახად ეთამაშება. აქაოდა, თუ ანა გეტყვით, რომ უნამუსო ვარ, მთლად ასეც არ არის საქმეო. ნაძირალაა, ყოველი ნაბიჯი გათვლილი აქვს მაგ საზიზღარს... ის ქალიც იმიტომ გაუშვა, რომ, სკანდალს თუ მოვუწყობ, თავი ადვილად შეგვაცოდოთ... ჰო, ვიცი, შვილი არასდროს ნდომებია, ოჯახზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... იცი, რას ვფიქრობ ზოგჯერ? იქნებ დამნაშავე მეც ვარ?

სოფომ პროტესტის ნიშნად ენერგიულად გააქნია თავი:

– რა სისულელეა! უბრალოდ, მამაკაცებს პასუხისმგებლობის არსი საერთოდ არ ესმით... თითქმის მარტო ქალებზეა მშობლის ვალდებულებების მთელი ტვირთი... ამას როდისმე ექნება დასასრული?

– ექნება, როცა კაცები აღმოაჩენენ, რომ უფასო სექსი, შეიძლება, ძალიან, ძალიან ძვირი დაუჯდეთ, – თქვა სოფომ და შეცბა, – მაპატიე, მგონი, არც ისე კარგად გამომივიდა.

– ანუ, რას მთავაზობ... ვუჩივლო და დიდი ალიმენტი დავაკისრო?

სოფომ მხრები აიჩეჩა:

– პრინციპში, ცუდი აზრი არ არის...

– ჰო, ვიფიქრებ მაგაზე... – ანამ შუბლი მოისრისა და კოლოფიდან კიდევ ერთი სიგარეტი ამოაძვრინა...

***

... ლაშა ისე დაბარბაცდა, თითქოს წონასწორობას კარგავდა... ანამ საოცარი სიმშვიდე იგრძნო. იდგა და კაცს პირდაპირ სახეში შესცქეროდა.

– შეგიძლია, წყალი დამალევინო? – თქვა ლაშამ და სავარძლის კუთხეში ჩამოჯდა... – ანა, წყალი მომიტანე.

ანა აუჩქარებლად გაემართა სამზარეულოსკენ, ჭიქა წყლით შეავსო და უკანაც აუჩქარებლად დაბრუნდა. ლაშა ხარბად დაეწაფა წყალს და ორ კლუპად გამოცალა.

– მითხარი, რომ მეხუმრები.

– არა, მართლა ორსულად ვარ. ზუსტად სამი დღის წინ დავრწმუნდი ამაში...

– რანაირად, ვერ ვხვდები... ჩვენ ხომ ეს არ დაგვიგეგმავს?

– ხანდახან ბავშვები დაუგეგმავადაც ჩნდებიან, – უნებლიეთ გაეღიმა ანას.

ლაშა გაფითრდა:

– ესე იგი, გააჩენ?! – თქვა ხრინწიანი ხმით და ისევ ჭიქისკენ გაიწოდა ხელი.

– ჰო, სხვა ვარიანტზე არც მიფიქრია.

– მე არაფერს მეკითხები? ანუ, ჩემი აზრი არ გაინტერესებს? – ნაძალადევად გაიღიმა ლაშამ და ტუჩები მოებრიცა.

– არა, რატომ... შენი აზრი მაინტერესებს და იმიტომაც გითხარი ჩემი ორსულობის შესახებ. ახლა ველოდები, რას იტყვი.

ლაშა გაჩუმდა. ორივე ხელი თავზე იტაცა და ცოტა ხანს ასე იჯდა.

ანა იდგა და უყურებდა. თვითონაც უკვირდა ის სიმშვიდე, რომელიც სრულიად მოულოდნელად დაეუფლა. ხვდებოდა, რომ ამ სიახლით კაცი შოკში ჩააგდო. ის ახლა მახეში მომწყვდეულ თაგვს ჰგავდა – აქეთ-იქით რომ აწყდება და გამოსავალს ეძებს, მაგრამ ისიც იცის, რომ თავს ვერ დააღწევს...

– მეგონა, გაგიხარდებოდა, – თქვა ანგარიშმიუცემლად.

– გავგიჟდი სიხარულით, – უკმეხად მიუგო ლაშამ, – მომისმინე! როდისმე, თუნდაც ერთხელ მაინც, მითქვამს შენთვის, რომ შვილი მინდა?

– მაგრამ, შენ ისიც არ გითქვამს, რომ შვილი არ გინდა, – წარბშეუხრელად მიუგო ანამ.

– ჰმ, მშვენიერი ლოგიკაა. ახლა რას ელოდები? გგონია, მუხლებზე დავეცემი და ცოლობას გთხოვ?

– არა, ასეთი რომანტიკა საჭირო არ არის. შეგიძლია, უბრალოდ მითხრა, რომ ერთად ვიცხოვრებთ და ბავშვს გავზრდით.

– არა, არა... უნდა დავფიქრდე. ახლა წავალ და დაგირეკავ, – ლაშა წამოხტა და კარისკენ გაემართა. ანას არც უფიქრია მისი გაცილება. ისე იჯდა, თითქოს კაცის ბოლო სიტყვები საერთოდ არ გაუგონია...

***

– რაზე ფიქრობ? – ფრთხილად ჰკითხა სოფომ და მუხლზე შეახო ხელი...

– რაღაც გამახსენდა... იცი, მართალი იყავი, მათთან უნდა ჩავიდეთ. რატომ უნდა იგრძნოს თავი გამარჯვებულად? – ანა კარადასთან მივიდა და კარი გამოაღო, – რაღაც ისეთი მჭირდება, განსაკუთრებული... ცუდია, რომ არცერთი კაბა არ წამოვიღე... მაშინ, შორტებს ჩავიცვამ... ჰო, შორტებს და, აი, ამ მაისურს.

... ნიკამ ბავშვებს ნაყინი მიუტანა და ლაშას მიუბრუნდა:

– ახლა მაინც არ გინდა, რამე დავლიოთ?

– არა, ფხიზელი გონება მჭირდება. გმადლობთ, რომ ჩემ მიმართ ყურადღებას იჩენ.

– უჰ, ხომ გითხარი, შენს ადგილას ყოფნას არ ვისურვებდი-მეთქი. თანაც, ქალური ემოციების აფეთქებების ძალიან მეშინია. ანა ჩემი ცოლის უფროსია, მეგობრობენ კიდეც... მოკლედ, ხომ გესმის... თუნდაც ისტერიკა ძალიან გადამდებია...

– ყოველთვის ვცდილობდი, ისეთ ქალთან არ დამეჭირა საქმე, რომელიც სერიოზულ პრობლემას შემიქმნიდა, თავს დამნაშავედ ან სინდისის ქენჯნას მაგრძნობინებდა... მაინც არ გამომივიდა, მაინც გავები და ახლა ვნანობ ამას. რატომ ართულებენ ქალები ყველაფერს? რატომ არ შეუძლიათ, იცხოვრონ ისე, რომ მათგან მიღებული სიამოვნება ქარს არ გაატანონ?

– ჰო, ეგ მეც ყოველთვის მაინტერესებდა, – მხრები აიჩეჩა ნიკამ, – ზოგჯერ

სოფოც ისე „ჭედავს“ ხოლმე...

– არა, შენ ვერ გამიგე... ყველა ცოლი „ჭედავს“ და ამიტომაც არ მინდოდა, რომ ცოლი მყოლოდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს – ანა სტატუსიც გარეშეც მშვენივრად ახერხებს, სიცოცხლე გამიმწაროს.

ნიკამ ისე გადახედა, თითქოს ეუბნებოდა, გულახდილები რომ ვიყოთ, შენც არ აკლებო, მაგრამ თქმისგან თავი შეიკავა.

ვერანდაზე ვახო გამოვიდა:

– აი, სად ყოფილხარ, მე კი მთელ სასტუმროში გეძებ. მობილურს მაინც რატომ არ პასუხობ?

– ტელეფონის ზარი გამორთული მაქვს და იმიტომ.

– წასვლას ვაპირებდი, მაგრამ შენთან ჩვენი მოლაპარაკების რაღაც დეტალები უნდა განვიხილო.

– არ გინდა, თბილისში დავილაპარაკოთ? ახლა რაღაც ვერ ვარ კარგად... – ლაშამ შუბლზე მოისვა ხელი.

ვახოს გაეცინა:

– კარგად აშკარად ვერ იქნები – დავინახე „ის“... მაინც, სად პოულობ ასეთებს?

– თვითონ მპოულობენ, – უხალისოდ მიუგო ლაშამ.

– კარგი, მე წავედი, – ვახო ნიკას დაემშვიდობა და სასტუმროს ეზოში ვერანდის კიბიდან ჩავიდა.

– ძალიან სერიოზულია, – თქვა ლაშამ ვახოზე, – მაგრამ, კარგი პარტნიორია. საქმეში ბადალი არ ჰყავს, ისეთი იდეები აქვს. მოლაპარაკებებზეც უცვლელია...

– და, სულ ეგ არის, ხო? გართობაში ვერ აიყოლიე... – მრავალმნიშვნელოვნად ჩაიცინა ნიკამ და იქით გაიხედა, საითაც ბავშვები გაიქცნენ.

– მოდიან! – განაჩენივით წარმოთქვა ნიკამ. ლაშამ მათკენ მომავალი ანა და სოფო დაინახა.

– რაც გინდა თქვი, მაგრამ, ფეხები უნაკლო აქვს, – თქვა და ამოიოხრა.

ნიკამ გაიცინა.

***

... ანამ კარი გააღო და უკან დაიხია, ლაშას საშუალება მისცა, ოთახში შესულიყო. კაცმა მდუმარედ გაიარა მთელი ჰოლი და სავარძელში ჩაჯდა.

– არ მელოდებოდი? – ჰკითხა ანას.

– წყალი მოგიტანო თუ მშვიდად შეძლებთ ლაპარაკს?

– არ გინდა ირონია. მოვედი, ეს არაფერს ნიშნავს?

– რაღაცას ნიშნავს, ოღონდ, კარგს თუ ცუდს, ეს ჯერ არ ვიცი.

ლაშამ ამოიოხრა:

– მინდა, რაღაც გკითხო, მაგრამ...

– მაგრამ, რა, გამბედაობა არ გყოფნის? – ანა თვითონაც ვერ მიხვდა, რატომ გაერია ხმაში გესლი.

– ჰო, შეიძლება, გამბედაობა არ მყოფნის, შეიძლება – სხვა რაღაც, რასაც სახელს ვერ ვუძებნი. ამას მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ, რომ წარმოვიდგენ, როგორ მახეში გამაბი, ტანში ჟრუანტელი მივლის, სული მეხუთება და სუნთქვა მიჭირს.

– საწყალო, რა საშინელ დღეში ყოფილხარ. ახლა რა ვქნა, ბოდიში მოგიხადო თუ კუთხეში დავდგე? რა გავაკეთო, რომ თავი დამნაშავედ აღარ იგრძნო? თუ გინდა, გეტყვი, რომ ჩემს დაფეხმძიმებაში მარტო მე მიმიძღვის წვლილი.

– სისულელეების ლაპარაკს თავი დაანებე, აჯობებს, დავსხდეთ და ერთად მოვიფიქროთ რამე.

– ჰო? მაინც რას გულისხმობ ამ „რამეში“?

– თუ მაგ გესლიან ტონს არ მოიშორებ, წავალ.

ანამ მხრები აიჩეჩა.

– ანუ, წავიდე? ეს გინდა? – ლაშა ადგა, ქალთან სულ ახლოს მივიდა და მოეხვია, – არ მინდა დაგკარგო, გაიგე ეს...

ანა წამით გაინაბა მის მკლავებში, მერე თითქოს რაღაცამ შეაშფოთა, ორივე ხელი მკერდზე ჰკრა და მოიშორა.

– რომ არ დამკარგო, რა უნდა გავაკეთო?

ლაშა ფანჯარასთან მივიდა და სიგარეტს მოუკიდა, რამდენიმე ნაფაზის შემდეგ კი დაიწყო... ლაპარაკი უჭირდა, სიტყვებს არჩევდა:

– შენ ჩემთვის სულერთი არ ხარ... უფრო მეტიც, რაღაცნაირად შეგეჩვიე და მენატრები ხოლმე... მინდა, რომ ერთად ვიყოთ, მაგრამ, ისე არა, როგორც ეს შენ წარმოგიდგენია. ანუ, შენი და ჩემი გეგმები ერთმანეთს არ ემთხვევა. უფრო სწორად, შენ გაქვს რაღაც გეგმები, მე – არა. მაგრამ ამან ერთად ყოფნაში ხელი არ უნდა შეგვიშალოს, თუკი რაღაც შეთანხმებამდე მივალთ...

– მოიცა, თუ სწორად გავიგე, მთავაზობ... – ანას ტუჩები აუკანკალდა.

– არაფერს არ გთავაზობ, მხოლოდ გეუბნები, რომ ჩვენი ერთად ყოფნა შესაძლებელია... იცი, შეიძლება, შვილიც მომინდეს, მაგრამ ახლა – არა...

– მე რომ ახლა ვარ ფეხმძიმედ? – ანას ნერვიულმა სიცილმა სახე გაუწითლა...

– სწორედ მაგას გეუბნებოდი – შეუფერებელ დროს დაფეხმძიმდი, – თქვა ლაშამ და ამოისუნთქა. აშკარად დიდხანს ემზადებოდა ამის სათქმელად. ანამ შეხედა, სამზარეულოში გავიდა, წყლით სავსე ჭიქით დაბრუნდა და ლაშას წინ დაუდგა.

– წყალი არ მითხოვია... – გაოცებით შეხედა ლაშამ.

– დაგჭირდება, ახლა ისეთ რამეს ვიტყვი... მოკლედ, მე შვილი მეყოლება, აუცილებლად მეყოლება და თანაც სწორედ ეს. შეგიძლია, წყალი დალიო და წახვიდე.

– ეგ ჩემი შვილიც არის! – გააპროტესტა ლაშამ, – მეც უფლება მაქვს...

– რისი უფლებაც გქონდა, უკვე გამოიყენე, – ხელის მკვეთრი აქნევით გააჩერა ანამ, – გიმეორებ, ბავშვს გავაჩენ. სალაპარაკო აღარაფერია; ჰო, ჯერჯერობით და, პრინციპში, არც მერე, შენგან არაფერი მჭირდება, გარდა ერთისა – ჩემ გვერდით საჯაროდ უნდა გამოჩნდე... ნუ გეშინია, ჩემი ქმრის როლის თამაში დიდხანს არ მოგიწევს, მხოლოდ რამდენიმე თვე...

– ანა, რატომ არ გინდა, რომ მომისმინო?

– უკვე საკმარისად მოგისმინე...

– არა, შენ არ გინდა, გამიგო, მხოლოდ შენსას გაიძახი. გინდა, ურჩხულად გამომიყვანო?

– მორჩა, ლაპარაკი დავამთავრე. ძალიან დავიღალე. წადი და იფიქრე იმაზე, რაც გითხარი.

ლაშამ შუბლი მოისრისა... წასვლას აყოვნებდა. ანა შებრუნდა და ოთახიდან გავიდა...

***

ნიკა ქალებს მიეგება... ისეთი მონდომებით იღიმებოდა, რომ სოფოს გაეცინა:

– ყველა კბილი გიჩანს. ასე რამ გაგამხიარულა?

– კარგი ქენით, რომ ჩამოხვედით, გამიხარდა.

– აბა, ნომერში ხომ არ ვისხდებოდით მთელი საღამო, – ხმამაღლა, ლაშას გასაგონად გადაიკისკისა სოფომ და ქმარს წასჩურჩულა: – შენ ამ ნაძირალასთან ერთობი? ვატყობ, საერთო ენა გამოგინახავთ...

– აუ, ეგლა გაკლდა, რა, – შეიჭმუხნა ნიკა, – რა მექნა, გოგო, წადი აქედან-მეთქი, ხომ არ ვეტყოდი? ვიცნობ, ბოლოს და ბოლოს... გავებუტო თუ რა გავაკეთო?

– არ ვიცი, არ ვიცი, მაგრამ, ვახშამზე ეგ კაცი ჩვენს სუფრასთან რომ დავინახო, იცოდე, გავგიჟდები, – გააფრთხილა სოფომ. ნიკამ ამოიოხრა. მერე, ერთბაშად სახე გაუნათდა და ცოლს მსუბუქად უბიძგა გვერდში:

– მოიცა, იქნებ, ერთად ვახშმობის იდეა კარგიც კი იყოს. მარტოა, ის ქალი გაუშვა... თან, მგონი, ცოტათი სინდისიც უნდა აწუხებდეს... ეგება, შერიგდნენ კიდეც...

– გააფრინე, ხო? რა უნდა შერიგდნენ!.. მე რომ შენ ნაშასთან ერთად დამენახე ეგეთ სიტუაციაში, აუზში ჩაგახრჩობდი!

– ეჭვიც არ მეპარება, – მწუხარედ დაუქნია თავი ნიკამ და ლაშას გახედა, ანას ნელი ნაბიჯით რომ უახლოვდებოდა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

# მწვანე სმუზის დადებითი და უარყოფითი მხარეები

მწვანილის, ხილისა და ბოსტნეულის სმუზი – შესანიშნავი მეთოდია, ცოცხალი სახით მივიღოთ ვიტამინები და, ასევე, უნიკალური კომპონენტი – ქლოროფილი, რომელსაც მხოლოდ მწვანილი შეიცავს. ეს ყველაფერი თითქოს ყველამ ვიცით, მაგრამ, მაინც, დღის განმავლობაში სულ რამდენიმე ღერ ცოცხალ მწვანილს მივირთმევთ და გვგონია, რომ ორგანიზმი საკმარისად მოვამარაგეთ ვიტამინებითა და მიკროელემენტებით.

ბევრი დიეტოლოგი უპირატესობას ანიჭებს ახალგამოწურულ წვენებს, რადგან წვენი ნაკლებად კონცენტრირებულია და შეიცავს საჭმლის მომნელებელი სისტემისთვის აუცილებელ უჯრედისს. მაგრამ, ცნობილი დიეტოლოგების უმრავლესობა იზიარებს მოსაზრებას, რომ ხილისა და მწვანილის კოქტეილი (ერთად დაბლენდერებული რომელიმე ხილი და მწვანილი) უნდა მივირთვათ უზმოზე, საუზმემდე ნახევარი საათით ადრე.



გაცილებით მეტ ქლოროფილს მიიღებს ორგანიზმი, თუ რეგულარულად დალევთ მწვანე სმუზის (დღეში 1 ჩაის ჭიქა სავსებით საკმარისია). თუ გსურთ, ასეთი სასმელი მიირთვათ, დღის მეორე ნახევარში არ დაუმატოთ მას ხილი, რადგან ის დიდი რაოდენობით შაქარს შეიცავს. სწორედ ამ მიზეზის გამო, ხილიანი მწვანე სმუზი რეკომენდებული არაა დიაბეტით დაავადებულთათვის. უმი ხილისა და ბოსტნეულის სმუზის რეგულარული მიღება არ შეიძლება მათთვის, ვისაც აწუხებს კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი მწვავე დაავადება: გასტრიტი, კოლიტი, ქოლეცისტიტი, პანკრეატიტი; ასევე, ეკრძალებათ ფეხმძიმე ქალებსა და მეძუძურ დედებს. სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ მათაც, ვისაც აწუხებს თირკმელების ქრონიკული დაავადება. მათ, ვინც მანამდე ძალიან იშვიათად მიირთმევდნენ უმ ბოსტნეულსა და მწვანილს, მწვანე სმუზის პირველი, რამდენიმე ჭიქის შემდეგ, შესაძლოა, დიარეის სიმპტომები იგრძნონ. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა, დეტოქს-კურსის დაწყებამდე, შეაჩვიოთ ორგანიზმი მწვანილს. საერთოდ კი, ნებისმიერი პროდუქტი სასარგებლოა მხოლოდ ზომიერი რაოდენობით მიღების შემთხვევაში. ნუ ჩათვლით მწვანე კოქტეილს ყველა დაავადების პანაცეად. დაიწყეთ მცირე ულუფებით და ნებისმიერი სიმპტომის შემთხვევაში, შეწყვიტეთ სმა. ხშირად ცვალეთ და ერთმანეთში შეურიეთ სხვადასხვა ფოთლოვანი ბოსტნეული, რომ ჭარბი რაოდენობით არ მიიღოთ რომელიმე მათგანი. მაგალითად, ისპანახი ძალიან სასარგებლოა, მაგრამ, მისმა ჭარბად მიღებამ, შესაძლოა, თირკმელებში კენჭების გაჩენა გამოიწვიოს. არავითარ შემთხვევაში, არ ჩაანაცვლოთ ძირითადი საკვები მწვანე სმუზით. მიირთვათ ის დღეში ერთხელ, როგორც საკვები დანამატი. თუ გადაწყვიტეთ, რომ მოიწყოთ მწვანილის განტვირთვის დღე, გააკეთეთ ეს მხოლოდ მაშინ, როცა ორგანიზმი უკვე შეჩვეული იქნება უმი მწვანილისა და ბოსტნეულის მიღებას, თანაც, მხოლოდ კვირაში ერთხელ. ამასთან, არ დაგავიწყდეთ, რომ ნებისმიერი დეტოქს-პროგრამა თავისთავად გულისხმობს რაციონიდან ცომეულის, ტკბილეულის, შემწვარ-მოხრაკულისა და ცხიმიანი საკვების ამოღებას და, რა თქმა უნდა, მეტ მოძრაობას, წყლის პროცედურებსა და სუფთა ჰაერზე სეირნობას.

# ეპილაცია და დეპილაცია

ეპილატორის მეშვეობით ხდება თმის ღერის მოწყვეტა (და არა ფესვიანად ამოღება, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ). ეფექტი დაახლოებით 3-5 კვირა გრძელდება. ამ აპარატის გამოყენება არ შეიძლება მგრძნობიარე კანზე, ვენების ვარიკოზული გაგანიერების, კანის გაღიზიანების ან კანის ნებისმიერი დაავადების დროს.

დეპილაციის პროცედურა გაცილებით უფრო შედეგიანი იქნება, თუკი დაიცავთ ელემენტარულ წესებს.

ეპილაციის გაკეთებისას (პროცედურამდეც და პროცედურის შემდეგაც) არ შეიძლება გარუჯვა და თუნდაც მოკლე დროით მზის აბაზანების მიღება. ასევე, სიფრთხილეა საჭირო დეპილაციის შემდეგაც, მაგალითად, საპარსის გამოყენების შემდეგ, მით უფრო, თუ არსებობს ღერების ჩაზრდის შემთხვევები, კატეგორიულად იკრძალება გარუჯვა. ზოგადად კი, ბრიტვა გამოიყენეთ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში (მაგალითად, როცა ხელთ არ გაქვთ სხვა საშუალება).



ეპილაციისა და დეპილაციის ყველა პროცედურის ჩატარებამდე, აუცილებელია ღერების გაზრდა. მათი სიგრძე დამოკიდებულია ეპილაციის აპარატზე ან დეპილაციის საშუალებებზე. ამიტომ, სასურველია, ამის შესახებ ჰკითხოთ სპეციალისტს.

დეპილაციის ან ეპილაციის პროცედურის შემდეგ 1-2 დღე ნუ წახვალთ აბანოში ან საუნაში. თუ გაჩნდა გამონაყარი, მაშინვე მიმართეთ სპეციალისტს. შესაძლოა, ეს იყოს ალერგია და არა ბანალური გაღიზიანება.

მაქსიმალური შედეგი, რომელიც შეიძლება, მიიღოთ სახლში გაკეთებული დეპილაციით – ერთი თვეა, შემდეგ კი ისევ ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოთ. თუ გსურთ უფრო ხანგრძლივი ეფექტის მიღება, მიბრძანდით სალონში, გამოცდილ სპეციალისტთან. ეპილაცია დეპილაციისგან იმით განსხვავდება, რომ თანამედროვე აპარატი ანადგურებას არა მხოლოდ გაუხეშებულ ღერს, არამედ ფესვსაც. სწორედ ამის გამო, ეპილაციის შედეგი ხანგრძლივია და მისი რეგულარულად გაკეთებით, შეგიძლიათ, თმიანობა 90 პროცენტით მოიშოროთ, თანაც სამუდამოდ.

რაც შეეხება ამ პროცედურების ჩატარების ასაკს: ეპილაციაც და დეპილაციაც რეკომენდებული არ არის მანამ, სანამ არ გამყარდება ჰორმონული ფონი. მოზარდ ასაკში საპარსი მხოლოდ გააძლიერებს თმის ზრდას და, ასევე, შესაძლოა, გამოიწვიოს გაღიზიანება ან გაჩნდეს პიგმენტური ლაქები.

ეპილაციაც და დეპილაციაც ნებადართულია 18 წლის ასაკიდან, გარდა გამონაკლისი, ინდივიდუალური შემთხვევებისა, როცა სპეციალისტის ნებართვით, უფლება გექნებათ, ეს პროცედურები 16 წლიდან ჩაიტაროთ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: საშინლად არ მიყვარს წვნიანები, მით უფრო მოუხერხებელია მათი მომზადება ზღვაზე ყოფნისას. ვიცი, რომ სიცხეში ბევრი წყალი უნდა ვსვა და საკვებიც თხევადი უნდა იყოს, რათა არ მოხდეს ორგანიზმის გაუწყლოება. წვნიანებს თუ გამოვრიცხავ, რომელი პროდუქტებია ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილი?**

პასუხი: ყოველდღიურად (მონაცვლეობით) მიირთვით: კიტრი, ბოლოკი, ნიახური, კომბოსტო, გოგრა, საზამთრო, ნესვი, ყურძენი, მოცხარი, ჟოლო. ასეთი საკვები ორგანიზმს შიგნიდან მოამარაგებს სითხით და, ასევე, ხელს შეუწყობს ტენიანობის შენარჩუნებას.

**კითხვა: რა არის შატუში?**

პასუხი: შატუში – ეს არის თმის შეღებვის მეთოდი, რომლის ეფექტიც გვაგონებს მზის „ამბორს“ (კოცნას) – მზე ხსნის შატუშს – უფრო მკვეთრსა და ნათელს ხდის მას: მზის ქვეშ ყოფნის რამდენიმე დღის შემდეგ თქვენი თმა ისე გამოიყურება, თითქოს რამდენიმე თვეა, დასასვენებლად იმყოფებით. შატუში უხდება ყველა ასაკის ქალს და ყველანაირ თმას. ოსტატი იყენებს განსაკუთრებულ ტექნიკას – ის „ხატავს“ თმაზე მზის თითოეულ სხივს. ეს არის ძალიან შრომატევადი სამუშაო. სპეციალური საღებავი თმაზე რჩება დიდხანს და სრულიად არ აზიანებს მას. შატუშის გაკეთება ნებისმიერი სიგრძის თმაზე შეიძლება, მაგრამ, რაც უფრო მოკლეა თმა, მით უფრო რთულია ამ პროცესის ჩატარება.

**კითხვა: ცოტა გვიან მიწევს ზღვაზე წასვლა და ამინდიც, ალბათ, აღარ იქნება შესაფერისი. მაგრამ, იმედია, მაინც მომიწევს ზღვის აბაზანების მიღება. პატარა გოგო აღარ ვარ და, შესაბამისად, ვცდილობ, ვიზრუნო კანზე. რა პროცედურები უნდა ჩავიტარო გარუჯვის წინ, რომ კანი არ გამომიშრეს და პიგმენტური ლაქები არ გამიჩნდეს?**

პასუხი: ნებისმიერი ასაკის ქალმა აუცილებლად უნდა „შეამზადოს“ კანი მზის აბაზანების მისაღებად. გამგზავრებამდე კანი უნდა გაიწმინდოთ და დაიტენიანოთ სპეციალური საშუალებებით. პროცედურაში უნდა შედიოდეს: სკრაბი, შეფუთვა და მასაჟი.

**კითხვა: როგორი ლაკის წასმაა რეკომენდებული ფრჩხილების დასაცავად ზღვაზე დასვენების პერიოდში?**



პასუხი: მოგეხსენებათ, რომ ზღვაზე ყოფნისას ფრჩხილებს აზიანებს როგორც მზე, ისე ზღვის წყალი. ამიტომ, წაისვით სინათლის ამრეკლავი, ხანგრძლივად მოქმედი გელ-ლაკი.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ინტიმური საუბრები

## ბედნიერი ვარ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე

ვარ საკმაოდ ცნობილი და შეძლებული მშობლების ერთადერთი შვილი, საკმაოდ კარგი განათლების, კარგი გარეგნობისა და არცთუ ცუდი ხასიათის. მაქვს არაჩვეულებრივი სამსახური, მყავს ძალიან კარგი მეგობრები – მოკლედ, როგორც იტყვიან, სასურველი სარძლო ვარ და, შესაბამისად, არც თაყვანისმცემლები მაკლია და არც მაჭანკალი მამიდა-ბიცოლები. ვიღას აღარ მირიგებენ, ვიღა აღარ მირეკავს, ვიღა აღარ ცდილობს ჩემი გულის მოგებას (თუ მოსყიდვას), მაგრამ არავინ არ მოჰკარებია ჩემს გულს, რადგან, კანით ვგრძნობ, რომ ყველას ჩემი მშობლების სტატუსი, ოჯახის მატერიალური მდგომარეობა და სხვა მსგავსი მონაცემები აინტერესებს – მახინჯიც რომ ვიყო, გაუნათლებელიც, უზრდელიც და უხეშიც, მაინც ასე ირუზრუზებდნენ ჩემ გარშემო. ამ ჩემს თაყვანისმცემლებს შორის ჩემი ტოლებიც არიან, ჩემზე ბევრად უფროსებიც და უმცროსებიც, მაგრამ არცერთს არ აქვს ის რაინდული ხიბლი, რამაც შეიძლება ახალგაზრდა ქალი დააინტერესოს. ჯერ, „მონადირე“ ქალი რა ასატანია და, კაცი ხომ – მთლად ამაზრზენი საშინელებაა. ძალიან გული მწყდება, რომ საქართველოში არათუ მოდაში შემოვიდა, თითქოს ნორმად დამკვიდრდა კაცების „გათხოვება:“ ლამაზი ბიჭები თხოულობენ შეუხედავ, თავისზე უფროს ქალებს; ზედსიძედ შედიან ოჯახში, არ მუშაობენ, ცოლის, სიდედრის ან სიმამრის კმაყოფაზე არიან თვითონაც და თავიანთ მშობლებსა და და-ძმასაც მათ არჩენინებენ; თან, საზოგადოებაში გამოსვლაც ნებავთ და წვეულებებზე ყოფნისას ისე იბრიქებიან და იბღინძებიან, თითქოს მთელი ქვეყნის რჩენა და საზრუნავი თვითონ ადევთ კისერზე. არადა, თითის თითზე დამდები არ არიან, უსაქმურობითა და ტრაბახით ლამის სული ამოსძვრეთ. მოკლედ, ვერ ვიტან ასეთ კაცებს და, შესაბამისად, ყველა მოვიშორე თავიდან. სამაგიეროდ, შემიყვარდა ერთი თანამშრომელი, ძალზე სერიოზული, დახვეწილი და მორიდებული ახალგაზრდა კაცი – ერთადერთი მამაკაცი ამდენ თანამშრომელს შორის, რომელსაც ერთხელაც არ უცდია იაფფასიანი არშიყობითა და ქათინაურებით მოეგო ჩემი გული. ერთხელაც არ „გადახტომია“ წინ დანარჩენ მოარშიყეებს, რათა ჩემი



ყურადღება მიექცია; ერთხელაც არ დაუწყია უაზრო რევერანსების კეთება; პირიქით, ჩემთან ურთიერთობისას იყო ყოველთვის უბრალო, ბუნებრივი, უშუალო და გულწრფელი და სწორედ ამით მომხიბლა. მერე თანდათან დავახლოვდით და მივხვდი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე, რადგან ის სულაც არ იყო ორიენტირებული ჩემი ოჯახის სახელსა და სიმდიდრეზე, თუმცა ნამდვილად არ გადასდიოდა თავზე. მატერიალური მხარე მისთვის მეასე ადგილზე იყო, სნობური რაღაცეები კი საერთოდ არ ახასიათებდა.

ყველას გაუკვირდა, ჩემი არჩევანი რომ გაიგო: არც ცნობილი ბიჭია, არც მდიდარი; ქვეყანა თავს გეხვეოდა და რაღა მაგაზე დაგიბრმავდა თვალებიო, – ესეც კი მითხრეს, მაგრამ მე ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი არჩევნით და, რაც მთავარია, ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს, რადგან გვერდით ნამდვილი მამაკაცი მიდგას: ძლიერი, მზრუნველი, ერთგული და მოსიყვარულე, რომელსაც თვალდახუჭული ისე გავყვები ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, რომ გული არ შემიტოკდება.

**მერიკო, 26 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# უყვარხართ ადამიანებს?

*გაინტერესებთ, უყვარხართ თუ არა ადამიანებს? – მაშინ ნუ დაიზარებთ და გულახდილად უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს. პასუხი უნდა იყოს: „დიახ“ ან „არა“... შემდეგ კი ნახეთ შედეგები.*

**1. უნდა გახსოვდეთ ის ადამიანები, რომლებთანაც ხშირად, თითქმის ყოველ წამს გიწევთ ურთიერთობა?**

**2. ადამიანს საკმარისად უნდა ჰქონდეს განვითარებული დამოუკიდებლობის გრძნობა, რომ სხვებთან ისე ისაუბროს, არ მიიქციოს ყურადღება, იზიარებენ თუ არა ისინი მის აზრს?**

**3. არის თუ არა სიბრძნე ის, რომ შეინარჩუნო ღირსება მაშინ, როცა სხვაგვარად მოქცევის დიდი ცდუნებაა?**

**4. თუკი ერთი ადამიანი საუბრისას შეცდომებს უშვებს, მეორემ უნდა შეუსწოროს?**

**5. როცა უცხო ადამიანებს ხვდები, მასზე შთაბეჭდილების მოსახდენად გონებამახვილი და მომხიბვლელი უნდა იყო?**

**6. შეხვდით ადამიანს, რომელიც გაგაცნეს და სახელი ვერ დაიმახსოვრეთ, უნდა სთხოვოთ, გაგიმეოროთ?**

**7. დარწმუნებული ხართ, რომ პატივს იმისთვის გცემენ, რომ არასდროს აძლევთ სხვას უფლებას, იხუმროს თქვენზე?**

**8. მუდმივად უნდა იყოთ გაფაციცებული და ყურადღებით, რომ სხვებმა არ დაგცინონ?**

**9. როცა გონებამახვილ ადამიანთან საუბრობთ, ხომ ჯობია, არ შეხვიდეთ მასთან პოლემიკაში და საუბარს გამოეთიშოთ?**

**10. ადამიანი უნდა შეეცადოს, მისი განწყობა შეესაბამებოდეს იმ პირების განწყობას, რომელთა გარემოცვაშიც იმყოფება?**



**11. ყოველთვის უნდა ეხმარებოდეთ მეგობრებს, რადგან შეიძლება, მათი დახმარება თქვენც დაგჭირდეთ?**

**12. არ ღირს დიდი სამსახური გაუწიო სხვას, ცოტა თუ დაგიფასებს, რაც გაგიკეთებია?**

**13. უკეთესია, როცა სხვები არიან თქვენზე დამოკიდებულნი და არა პირიქით?**

**14. ნამდვილი მეგობარი ყოველთვის ცდილობს, მეგობრებს დაეხმაროს?**

**15. ადამიანი მუდმივად უნდა ავლენდეს თავის საუკეთესო თვისებებს, რომ ამის მიხედვით ღირსეულად მოექცნენ?**

**16. თუ გიყვებიან ანეკდოტს, რომელზეც არც კი გეღიმებათ, ვინც გიყვებათ, უნდა შეაჩეროთ?**

**17. შეგიძლიათ, ძალიან სასაცილო, ერთხელ მოსმენილ ანეკდოტზე მეორედაც გაიცინოთ?**

**18. ზოგჯერ, მეგობრისთვის სიმართლის გამხელა, მისი წყენინების დიდი რისკია?**

**19. ნამდვილი მეგობრობა მუდმივი კომპრომისია?**

**20. ადამიანებმა ჯიუტად არ უნდა დაიცვან საკუთარი შეხედულება, როცა სხვა საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს?**

## თქვენ უნდა ნახოთ ტესტის შედეგები:

**უარყოფითი პასუხისთვის მე-13, მე-14 და მე-20 პუნქტებზე, დაწერეთ 5 ქულა.**

**დანარჩენი დადებითი პასუხებისთვის დაწერეთ 5 ქულა და ნახეთ შედეგები:**

*85-100 ქულა – ფრიადზე შეფასდით. თქვენ ადამიანებს ძალიან უყვარხართ.*

*65-80 ქულა – აბსოლუტურად კარგი, თბილი ურთიერთობა გაქვთ ადამიანებთან.*

*45-60 ქულა – მეტ-ნაკლებად გესმით ადამიანების, მაგრამ მათ არ უყვარხართ. რატომ? ეს საკუთარ თავს ჰკითხეთ.*

*0-40 ქულა – საშინელი ურთიერთობა გაქვთ ადამიანებთან. იქნებ თქვენ ხართ საშინელი. რომელ სიყვარულზეა ლაპარაკი, იზრუნეთ ურთიერთობების გაჯანსაღებაზე.*

**ელენე წულუკიძე**

ნიკა ლაშაური

# მძარცველთა საგანძური

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №22-36(767)**

კიტია ჩაფიქრდა, შემდეგ თავი გააქნია და თქვა:

– არა, უფროსო, ნამდვილად არაფერი.

– სახელი ან გვარი ხომ არ უხსენებია თქვენთან? ან იმ ქალის ქმარზე ხომ არაფერი უთქვამს? – არ ეშვებოდა კაპიტანი პატიმარს.



– არა, უფროსო, ნამდვილად არა.

კაპიტანმა გააბოლა და კიტიას ჰკითხა:

– ნოდარ მდივანს ხომ არასდროს უთქვამს თქვენთვის, ან ვინმესგან ხომ არ გსმენიათ, რომ მას შვილი ჰყავდა?

– შვილი?!

– დიახ.

– არა, უფროსო არც მას უთქვამს ასეთი რამ და არც ვინმესგან მსმენია, – თქვა კიტიამ, მხოლოდ დედ-მამა ჰყავდა იმ ცხონებულს და ისინიც დაეხოცა, კუკიაზე დაასაფლავა და ხშირადაც ადიოდა სასაფლაოზე. ერთხელ მეც ვახლდი, სხვათა შორის, იმის წინა დღეს, მე რომ წელან მოგიყევით.

– ანუ, კაბინეტში რომ მიხვედით მასთან და, ორცეცხლშუა ვარო, რომ თქვა?

– დიახ, უფროსო. სწორედ მაშინ.

– გასაგებია, – თქვა კაპიტანმა და კიტიას ჰკითხა: – სასაფლაოზე რატომ წაჰყევით?

– მთხოვა.

– გთხოვათ?

– დიახ, უფროსო. ესკიზის გაკეთება უნდოდა და სასაფლაო მანახვა.

– რა ესკიზის?

– მე ხომ პროფესიით მხატვარი ვარ და აკლდამის ესკიზის გაკეთება მთხოვა, სასაფლაოზეც ამიტომ ავედით.

– აკლდამის?

– დიახ, უფროსო. მაშინ მოდაში იყო აკლდამები. უფრო სწორად, დახურული საფლავები და ნოდარსაც უნდოდა, რომ მისი მშობლების სასაფლაო გალიაში ჩაესვა.

– გალიაში?

– დიახ. მაგრამ, ლამაზად უნდოდა გაეკეთებინა და ამიტომ წამიყვანა.

– მერე, გაუკეთეთ?

– ესკიზი გავუკეთე, მაგრამ, აღარ დასცალდა გაკეთება – სულ რამდენიმე დღეში დაიჭირეს.

– ხომ არ გახსოვთ, როგორი იყო თქვენი ესკიზი?

კიტიამ გაოცებული მზერა ესროლა კაპიტანს და უთხრა:

– კი, მახსოვს.

– ამიწერეთ.

პატიმარმა კიდევ უფრო გაოცებით შეხედა კაპიტანს და უთხრა:

– ოთხ ფოლადის სვეტში ვერტიკალური გისოსები იყო ჩასმული. კუთხოვან სახურავზე კი ჯვარი იყო გამოსახული. კარი გორგოლაჭებზე უნდა დამდგარიყო ჩაკეტილ მდგომარეობაში. წინ ჯვარი იყო გამოსახული.

– გასაგებია, – თქვა ჩხიკვაძემ. პატიმარმა კი მას ჰკითხა:

– ბოდიში, უფროსო, მაგრამ, ასეთი წვრილმანები რაში გჭირდებათ?

– გამოძიებაში წვრილმანები არ არსებობს, – მიუგო ჩხიკვაძემ და ჰკითხა: – საფლავის ადგილმდებარეობა გახსოვთ?

– დიახ.

– სად მდებარეობს?

– იქვე, შემოსასვლელთან. ტანკისგან ხელმარცხნივ.

– კარგი, – თქვა ჩხიკვაძემ და კიტიას ჰკითხა: – კიდევ რამეს ხომ არ გაიხსენებთ?

– მეტი ისეთი არაფერია, მე მგონი... – მხრები აიჩეჩა პატიმარმა და სთხოვა: – შეიძლება, კიდევ ერთი ღერი მოგიწიოთ?

– ინებეთ, – მიუგო ჩხიკვაძემ და, კიტიამ რომ გააბოლა, ჰკითხა, – სახლში თუ ხართ ნამყოფი მდივანთან?

– არაერთხელ, – მიუგო კიტიამ, კვამლი გამოუშვა და დაამატა: – ფანტასტიკურად ცხოვრობდა. დიდი, ნათელი ბინა ჰქონდა, რომელიც ძალიან გემოვნებით იყო მოწყობილი, თუმცა, ყველაფერი ჩამოართვეს.

– ბოლოს როდის ნახეთ?

– დაჭერის დღეს. სწორედ მასთან უნდა შევსულიყავი კაბინეტში, რაღაც რომ შემეთანხმებინა, როდესაც ორმა უფორმო მილიციელმა ის „პოდრუჩკით“ გამოიყვანეს კაბინეტიდან. მე პირი დავაღე, მან კი გამიღიმა, თვალი ჩამიკრა და მას მერე აღარ მინახავს. ეტყობა, ფიქრობდა, რომ საქმეს ჩააწყობდა და გამოუშვებდნენ, მაგრამ, არ გამოუვიდა.

– კარგი, კიტია. დღეისთვის კმარა. წადით და დაისვენეთ, მოგვიანებით გამოგიძახებთ, – უთხრა ჩხიკვაძემ პატიმარს და ბადრაგი გამოიძახა.

– უფროსო, ერთ ღერსაც ავიღებ, რა!

– სულ წაიღე, – უთხრა კაპიტანმა პატიმარს, სიგარეტი და ასანთი მიაწოდა და, კარი რომ მიიხურა, საათს დახედა. შემდეგ გაიზმორა, კაბინეტში გაიარ-გამოიარა და კიტიასთან საუბრის გაანალიზებას შეუდგა.

***

გენერალს რომ გაეღვიძა, დღის სამი საათი სრულდებოდა. პოპოვმა ჩაიცვა და საძინებლიდან გამოვიდა.

– როგორ გეძინათ, ვასილ ანდრეევიჩ? – ჰკითხა ნუცამ სტუმარს.

– კარგად, ნუციკო. ამდენი არასდროს მძინებია.

– მოშიებული იქნებით და სუფრას გავშლი.

– კი. ხელ-პირს დავიბან და გამოვალ, – მიუგო პოპოვმა და სააბაზანოს მიაშურა.

– გამოიძინე, მამიკო? – ჰკითხა დიმკამ სამზარეულოში შესულ პოპოვს.

– ზომაზე მეტად, – თქვა გენერალმა.

– რას ფიქრობთ, ვასილ ანდრეევიჩ, როგორ აპირებთ ჩვენს აქედან გაყვანას? – თქვა დიმკამ.

– ჯერ დანაყრდეს და საქმეზე მერე ვილაპარაკოთ, – უთხრა დიმკას ნუცამ.

ჭამა რომ დაასრულა, პოპოვმა გააბოლა და დიმკას უთხრა:

– როგორ ვაპირებ, შვილიკო და მატარებლით, ჩემი მუნდირისა და ქსივის დახმარებით. ერთ კუპეს ავიღებთ, რომ უცხო თვალი არ მოგვხვდეს. ჩავსხდებით „ჩრდილოეთ პალმირაში“ და სამ დღეში ადგილზე ვიქნებით.

– ჰმ... რა დროს დაიჭირეს კიტია, – ჩაილაპარაკა დიმკამ, – ჩვენი პასპორტების დამზადება მაინც მოესწრო.

– პირიქით, – თქვა გენერალმა.

– რა პირიქით? – ჰკითხა დიმკამ.

– რა და, ვფიქრობ, ასე უმჯობესია.

– რას გულისხმობთ? – ვერ მიხვდა დიმკა.

– რას და, იმ კიტიას რომ თქვენთვის საპასპორტე სურათები გადაეღო, მერე დაეჭირათ და სურათები ან ნეგატივები ეპოვა მილიციას, მაშინ ნუცას იცნობდა ჩხიკვაძე. მთელი სქემა გაიშიფრებოდა და ყველას აგვყრიდნენ.

– ეგ კი მართალია, მაგრამ უვიზოდ და უპასპორტოდ როგორ გავემგზავრებით უცხოეთში?

– სხვა რამ უნდა მოვიფიქროთ.

– რამე გეგმა გაქვთ?

– მონახაზი.

– მონახაზი? – გაიმეორა დიმკამ და ჰკითხა, – რა მონახაზი, ვასილ ანდრეევიჩ?

– ვფიქრობ, ნუციკო სრულიად ლეგალურად უნდა გაემგზავროს, დანარჩენები კი, არალეგალურად უნდა გადახვიდეთ. დაახლოებით ისე, როგორც ამას ჯაშუშები აკეთებენ. შემდეგ კი ყველანი იქ შეხვდებით ერთმანეთს.

– ჯაშუშებივით? – გაიმეორა დიმკამ.

– მე სხვა გზას ვერ ვხედავ, – მხრები აიჩეჩა პოპოვმა, – შენ, სედოი და ფიგარო გაშიფრულები ხართ. იციან, რომ უცხოეთში გასვლას აპირებთ ყალბი საბუთებით. ამიტომ, თქვენ სამის სურათი და აღწერილობა ყველა გამშვებ პუნქტზე იქნება და საზღვრის გადაკვეთის პირველივე მცდელობაზე ჩაგავლებენ.

– ჯაშუშური გზით გაგვიშვებენ? – ჩაეცინა დიმკას.

– თქვენს შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ჩემი აზრით, ეს ვარიანტი ჯობია.

– მერე და, ვინ გადაგვიყვანს საზღვარზე არალეგალურად, თქვენ გყავთ ასეთი კაცი?

– ერთ ასეთს ვიცნობდი ადრე. კარგა ხანია, არ მინახავს და მოსაძებნია.

– მერე, მოძებნეთ.

– მოძებნით კი მოვძებნი, მაგრამ ცოტა სახიფათო მარშრუტია და ეს მაფიქრებს.

– მარშრუტი?

– ჰო, მარშრუტი.

– მაინც, რა მარშრუტია, ასე რომ გაფიქრებთ? – ჰკითხა პოპოვს დიმკამ.

– ავღანური.

– რა ავღანური.

– რა და, იმ კაცს შეუძლია, ტაჯიკეთიდან ავღანეთში გადაიყვანოს ხალხი. იქიდან კი რამდენიმე ვარიანტია ევროპაში, ან ამერიკის კონტინენტზე გასამგზავრებლად.

– ასეთ მეგზურს სად მიაგენით?

– ის მეგზური არაა, მაიორია. საჰაეროსადესანტო ნაწილის ოფიცერი. თუმცა, ახლა შეიძლება, პოლკოვნიკიც იყოს.

– ხალხის საზღვარზე გადაყვანით აკეთებს ფულს?

– რა ფულს. უბრალოდ, ვალშია ჩემთან და რომ ვთხოვო, უარს არ მეტყვის.

– ვალში?

– ჰო, ვალში. ამ ათიოდე წლის წინ მისმა ძმამ ერთი ნაძირალა მოკლა, რომელმაც მისი ცოლი გააუპატიურა, გაძარცვა და მოკლა. მე ის დაჭერილი მყავდა. ეს კაცი კი კაბინეტში მეწვია და დიდი ფული შემომთავაზა ძმის გაშვების სანაცვლოდ, მე პატიმარს გაქცევა მოვუწყვე და კაპიკიც არ ამიღია ამაში. გაქცეულის მაიორმა ძმამ კი მითხრა:

– ვასილ ანდრეევიჩ, შენთან ვალში ვარ და თუკი ოდესმე ჩემი სიცოცხლე დაგჭირდება, უყოყმანოდ გაჩუქებ.

– შენი სიცოცხლე შენს ოჯახს მოახმარე, – ვუთხარი მაიორს და ვკითხე:

– რას უპირებ შენს ძმას, ხომ იცი, ძებნას დაუწყებენ და მისი აქ გაჩერება სახიფათოა.

– ზეგ ავღანეთში ვბრუნდები. ტაჯიკეთიდან გადავიყვან. იქიდან კი რამდენიმე ვარიანტი მაქვს ევროპაში ან, სულაც, ამერიკის კონტინენტზე გასამგზავრებლად.

– მშვიდობით იარეთ.

– ვასილ ანდრეევიჩ, თუკი ოდესმე თქვენ ან თქვენს ახლობლებს უცხოეთში გაქცევა დაგჭირდათ, ამ გზით ერთი ბატალიონი ხალხი შემიძლია, გადავიყვანო, – მითხრა მაიორმა და ასე დავშორდით ერთმანეთს. მას მერე კიდევ ორჯერ შევხვდი იმ კაცს და მითხრა, რომ მისი ძმა კანადაში მოეწყო და კარგად ცხოვრობს. თან, თავისი პირობაც გამახსენა.

– ლენინგრადელია? – დაინტერესდა დიმკა.

– კი.

– ესე იგი, ლენინგრადში რომ დავბრუნდებით, იმ კაცს მოძებნით.

– კი. ასე ვიზამ.

– სხვაგან რომ იყოს. ან, სულაც ცოცხალი აღარ იყოს?

– ამ შემთხვევაში ჩვენი ამოცანა უფრო გართულდება, – მიუგო პოპოვმა დიმკას. ბიჭმა კი ჰკითხა.

– როდის მივემგზავრებით?

– ხვალ. დღეს მე და ნუციკო რკინიგზის სადგურზე წავალთ და ბილეთებს მოვიტანთ.

– უკვე მოვემზადო, ვასილ ანდრეევიჩ? – ჰკითხა პოპოვს ნუცამ.

– ჰო. ისე განსაზღვრე, რომ ექვსზე გავიდეთ, – მიუგო გენერალმა.

– მაშინ, ჯერ ადრეა, – თქვა ნუცამ და სამზარეულოში გავიდა.

***

ღამენათევმა ვასო ჩხიკვაძემ დეტალურად გაიხსენა ნოდარ კიტიასთან ბოლო საუბრის შინაარსი. ამასობაში დილის ცხრა საათი შესრულდა. კაპიტანმა კაბინეტის კარი გამოიხურა, დერეფანში გავიდა და კიბეებზე დაეშვა. გასასვლელში მას მაიორი თოიძე შეეფეთა.

– ზდაროვა, გივი! – მიესალმა კაპიტანი მაიორს და ხელი ჩამოართვა.

– გაგიმარჯოს. შენ რა, სახლში არ წასულხარ? – ჰკითხა თოიძემ.

– მთელი ღამე ვიმუშავე.

– ახლა მიდიხარ?

– სახლში არა. მალე დავბრუნდები.

– კარგი. რომ მოხვალ, შემეხმიანე, თუ რამე ახალი იქნა, გეტყვი, – უთხრა ძებნის სამსახურის უფროსმა ჩხიკვაძეს და კიბეებს აუყვა.

კაპიტანი თავის „სამარაში“ ჩაჯდა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოდან გამოვიდა. ვასო ჩხიკვაძემ ნახევარი ქალაქი გაიარა და კუკიის სასაფლაოზე ავიდა. მანქანა შესასვლელში გააჩერა. კვარცხლბეკზე მდგომ ტანკს თვალი შეავლო და ნოდარ მდივნის მშობლების სასაფლაოსკენ გაემართა. საფლავი ადვილად იპოვა. შეჩერდა და ყურადღებით დაათვალიერა იქაურობა. ბოლოს სიგარეტი გააბოლა და ჩაილაპარაკა: „არ შევმცდარვარ. ცოტა ხნის წინ საფლავი ვიღაცამ გათხარა და თუ ჩემი ვერსია სწორია, გამოდის, რომ სწორ გზაზე ვადგავარ“.

ვასო ჩხიკვაძე რომ სამინისტროში დაბრუნდა, მაიორ გივი თოიძეს შეუარა და ჰკითხა:

– ახალი არაფერია?

– არა. სად იყავი ასე უთენია?

ვასო ჩხიკვაძე წინასწარ იყო მომზადებული და მაიორს მიუგო:

– კუკიაზე.

– კუკიაზე?

– ჰო.

– იქ რა გინდოდა?

– ძაღლების გამყიდველთან ავედი. მეცხვარის ლეკვი მინდა წყნეთის აგარაკისთვის და დღეისთვის დამიბარა, – მიუგო ჩხიკვაძემ, რომელიც მართლაც იმყოფებოდა ძაღლის გამყიდველთან, როცა სასაფლაოდან წამოვიდა.

– მერე იყიდე?

– ჯერ არ ჩამოსულა მთიდან და ტყუილად მივედი. ამაღამ ჩამოვა და ლეკვსაც ჩამოგვიყვანსო, – ასე მითხრა იმ კაცის ცოლმა, – თქვა კაპიტანმა და დაამთქნარა, – ძალიან დავიღალე და მეძინება.

– წადი და დაიძინე.

– ჯერ ჩემთან შევივლი და თუ რამე სასწრაფო არაა, მაშინ სახლში წავალ.

– კარგი. თუ ჩემთან იქნა სიახლე, შეგატყობინებ.

კაპიტანი გივი თოიძისგან გამოვიდა და თავის უშუალო უფროსს შეუარა. შემდეგ კიტიას საქმის ანგარიში ჩააბარა. გაეთავისუფლა და სამსახურიდან გამოვიდა. ღამისთევის მიუხედავად, კაპიტანს საერთოდ არ ეძინებოდა. პირიქით, აღგზნებული იყო. მონადირის აზარტით შეპყრობილი შემუშავებული გეგმის მიხედვით მოქმედებდა. გეგმა კი ვასო ჩხიკვაძემ ნოდარ მდივნის მშობლების საფლავის დათვალიერების შემდეგ შეიმუშავა და დაუყოვნებლივ შეუდგა მის განხორციელებას. კაპიტანი ჯერ ჭალარას ყოფილ ბინაში მივიდა და იქიდან მალევე წამოვიდა. შემდეგ თვალის კლინიკას ეწვია. ბოლოს ვაკის ერთ-ერთ ბინაში გამოიარა და სახლისკენ აიღო გეზი.

– ხომ მშვიდობაა, ვასიკო? – ჰკითხა მეუღლეს თინამ, – სად ხარ ამდენი ხანი?

კაპიტანი მეუღლეს თმებზე მიეფერა.

– ძალიან ბევრი საქმე მქონდა. ხომ არავის დაურეკავს?


## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

– არა. მოშიებული იქნები და სუფრას გაგიწყობ.

– მიდი, – უთხრა ცოლს ვასომ. თვითონ კი სავარძელში ჩაჯდა და ჩაფიქრდა. სამიოდე წუთის შემდეგ, მოულოდნელად წამოხტა და კარისკენ გაემართა.

– სად გარბიხარ, ვასიკო?! – მიაძახა მეუღლეს თინამ, რომელიც ღრმა თეფშზე წვნიანს ასხამდა.

– აქვე, ახლოს და მალე მოვალ!

– გეჭამა და ისე წასულიყავი.

– მალე მოვალ. მალე. შენ სუფრა გაშალე, – გამოსძახა ცოლს და სახლის კარი გაიხურა.

***

პოპოვი, დიმკა და ნუცა თბილისი-ადლერი-ლენინგრადის მატარებლით გაემგზავრნენ თბილისიდან და ყოველგვარი ექსცესების გარეშე, მშვიდობიანად ჩააღწიეს ლენინგრადში.

– მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, ჩამოხვედით, – უთხრა სედოიმ ახალმოსულებს.

– სწორედაც რომ, მადლობა ღმერთს, თორემ ახლა ყველანი საკნებში ვიქნებოდით გამომწყვდეულები, – მიუგო სედოის პოპოვმა. ყავარჯენი კედელზე მიაყუდა და სავარძელზე მოკალათდა.

– მაინც, რა მოხდა? – დაინტერესდა სედოი.

– რა და, ის ყალბი საბუთების დამამზადებელი აიგდეს.

– მერე?

– მერე ის, რომ შენი და ფიგაროს ფოტოები მილიციას აქვს, – პოპოვმა დიმკასა და ნუცაზე მიანიშნა სედოის და დაამატა, – ამათმა კი შემთხვევით მოახერხეს თავის დაღწევა.

– ძაღლებს გაექცნენ?

– არა, ხელში არ ჩაუვარდნენ. იმ ადგილზე ტაქსით გაიარეს და მანქანიდან არ გადმოსულან. ამ დროს კი კიტია ჰყავდათ აგდებული და მიჰყავდათ.

– კიტია, ალბათ, ყალბი საბუთების დამამზადებელი, ხომ? – დააზუსტა სედოიმ.

– სწორედ ეგ.

სედოი ჩაფიქრდა და თქვა:

– გამოდის, რომ ძაღლებმა იციან ჩვენი გეგმის შესახებ, ანუ, ის, რომ უცხოეთში ვაპირებთ გამგზავრებას.

– კი, – მიუგო პოპოვმა. ფიგარომ კი ჰკითხა:

– ვინ უთხრა ძაღლებს ამის შესახებ?

პოპოვმა მწველი მზერა ესროლა ფიგაროს. სედოის კი გაეცინა და უთხრა:

– ჩემსა და შენს სურათებს რომ ყალბი საბუთების დამამზადებელთან აღმოაჩენდნენ, რა ძნელი მიხვედრა უნდა იმას, რომ აქედან ათესვას ვაპირებთ?

– ახლა საზღვრებზე უფრო მეტად გაამკაცრებენ კონტროლს და გასვლა გაგვიძნელდება. თანაც, არც საბუთები გვაქვს და არც მათი დამზადების შანსი.

– საბუთები დაივიწყე. სხვა გზით უნდა გახვიდეთ, – უთხრა სედოის პოპოვმა.

– კონკრეტულად? – ჰკითხა სედოიმ.

– პირდაპირ საზღვარზე უნდა გადახვიდეთ და განძიც გადაიტანოთ.

– ჯაშუშურად?

– სწორედაც.

– კი მაგრამ, ამას საიმედო კაცი სჭირდება.

– მყავდა ერთი ასეთი და თუ ცოცხალია და ისევ ძველ ადგილზე მუშაობს, მაშინ დაგვეხმარება.

– ვინაა?

– სამხედრო. ავღანეთში შეეძლო ხალხის გადაყვანა. იქიდან კი – ევროპაში, ან ამერიკის კონტინენტზე.

– ავღანეთი ცოტა სახიფათოა, მაგრამ ასარჩევად არ გვაქვს საქმე.

– სწორედაც რომ, – დაეთანხმა სედოის პოპოვი, – დღესვე დავიწყებ მის ძებნას.

ფიგარომ, რომელიც მანამდე უხმოდ, თვალებგაფართოებული ისმენდა მეგობრების დიალოგს, პაუზით ისარგებლა და პოპოვს ჰკითხა:

– ვასილ ანდრეევიჩ, ომში მივდივართ?

– რა ომში, რას ბოდავ, ფიგარო! შეუღრინა გენერალმა.

– ავღანეთში ხომ ომია, – თქვა ფიგარომ.

სედოიმ ფიგაროს ხელით ანიშნა, – გაჩუმდიო და პოპოვს ჰკითხა:

– ნუცაც ჩვენთან ერთად წამოვა?

– კი, მაგრამ ამ მარშრუტით არა. ის სრულიად ლეგალურად გაემგზავრება უცხოეთში და ერთმანეთს იქ შევხვდებით.

– კარგად მოგიფიქრებია. ასე ჯობია, – თქვა სედოიმ და გააგრძელა, – სიომკა, სამი დღეა, ვიღაც გაბმულად რეკავს. ზარის მიხედვით, საქალაქთაშორისოა.

– ჩემი ვაჟი ან რძალი იქნებიან და ალბათ, გერმანიიდან რეკავენ.

– მეც ასე ვიფიქრე, – დაეთანხმა სედოი. ამ დროს ტელეფონმა გაბმულად დარეკა და სედოიმ ხელი გაიშვირა:

– აი, ალბათ, ისევ ის რეკავს.

პოპოვმა ფიგაროს ხელით ანიშნა, ტელეფონი მომიტანეო. შემდეგ ყურმილი აიღო და უპასუხა:

– გისმენთ.

– ვასილ ანდრეევიჩ, გამარჯობა! – მოესმა პოპოვს კაპიტან ვასო ჩხიკვაძის ხმა.

– გაგიმარჯოს, ძვირფასო. თუ არ ვცდები, კაპიტანი ვასილ ჩხიკვაძე მირეკავს, ხომ? – თქვა პოპოვმა.

– არ ცდებით, ამხანაგო გენერალო, სწორედ მე ვარ.

– ვასო, ძვირფასო, ძალიან გამიხარდა. როგორ ხარ? სად დაიკარგე?

– ვასილ ანდრეევიჩ, სამი დღეა, გირეკავთ.

– აგარაკზე ვიყავი და ახლახან ჩამოვედი. ხომ მშვიდობა გაქვს, ვასო?

– მშვიდობა, მშვიდობა, ვასილ ანდრეევიჩ. უბრალოდ, თინაა ერთი კვირა ბალტიისპირეთში წასული და იმიტომ გირეკავდით, რომ გამეგო, სამი დღის მერე, თუ ლენინგრადში იქნებოდით, შემოგივლიდათ და გინახულებდათ.

– ვიქნები, ვიქნები... მოუთმენლად ველოდები. შემომიაროს კი არა და რამდენიმე დღე დარჩეს აქ. ყველაფერს მოვატარებ და დავათვალიერებინებ. ისევე, როგორც თინამ მოგვატარა ყველგან. თანაც, აქ მარტო არ ვარ და ნუციკოც აქაა.

– გოგონა ბავშვთა სახლიდან, ხომ?

– სწორედ ეგ.

– როგორაა ნუცა?

– მშვენივრად. აქაურობა ძალიან მოეწონა და ჯერ მის გამოშვებას არც ვაპირებ.

– ვალერკა როგორაა, თქვენი ვაჟი?

– მადლობა, კარგად. ახლა ის გერმანიაშია.

– თვალების პრობლემა მოეხსნა?

– ბევრად უკეთაა და წამლებს იღებს.

– ძალიან კარგი. თქვენ როგორ ხართ, ვასილ ანდრეევიჩ? ფეხი როგორ გაქვთ?

– ბევრად უკეთესად. მალე თაბაშირს მომხსნიან. ნუციკო მივლის.

– კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, ვასილ ანდრეევიჩ. ჩემი ბრალია, რომ ასეთ დღეში ხართ.

– ზოგი ჭირი მარგებელია. შენ რომ ჩემთვის ფეხი არ მოგეტეხა, ერთმანეთს ხომ არ შევხვდებოდით და ასეთ კარგ ხალხს ვერ გავიცნობდი?

– ვასილ ანდრეევიჩ, ამას წინათ სვერდლოვსკში ვიყავი სამსახურებრივი მოვალეობით და პოლკოვნიკი ოლეგ მასლოვი გავიცანი.

– კბილა, ხომ?

– დიახ. სწორედ ეგ და ოლეგი გაღმერთებთ. თქვენს მზეს ფიცულობს.

– ვიცი, ჩემო ვასო, ვიცი. ოლეგი მაგარი ვინმეა. ამას წინათ ველაპარაკე კიდეც. მშვენიერი გოგონა ჰყავს, გალია, – მიუგო პოპოვმა კაპიტანს და დაამატა, – სხვათა შორის, ლენინგრადში ყოფილხარ და ჩემთან არ შემოგივლია.

– მართალია, ვასილ ანდრეევიჩ, მაგრამ წამითაც კი არ მქონდა დრო და ვერ მოვიცალე. ვეცდები, უახლოეს დროში მოგინახულოთ. ახლა კი ძალიან ვარ დაკავებული.

– რას იზამ, კაპიტანო, ასეთია ჩვენი ცხოვრება. როცა მოიცლი, მესტუმრე. თინას კი სამი დღის მერე ველოდები და პატივისცემა ჩემზე იყოს.

– კარგი. ამ საღამოს დამირეკავს და ვეტყვი. აბა, დროებით, ვასილ ანდრეევიჩ. ნუციკო მომიკითხეთ. ნახვამდის...

– ნახვამდის... – მიუგო პოპოვმა. ტელეფონის ყურმილი აპარატზე დადო. ჩაფიქრდა და პაუზის შემდეგ თქვა:

– დროებით აგარაკზე მოგიწევთ გადასვლა და თინას რომ გავისტუმრებთ, ისევ უკან დაბრუნდებით. ზეგ საღამოს ჩაგიყვანთ მე და ნუციკო.

– ვასილ ანდრეევიჩ, საეჭვოდ ხომ არ გეჩვენებათ ვასოს ზარი? – ჰკითხა პოპოვს დიმკამ.

– შენ გაეჭვებს? – კითხვა შეუბრუნა პოპოვმა.

– აბა, როგორ გითხრათ, – მხრები აიჩე-

ვამზადებ აბიტურიენტებს ისტორიაში ხარისხიანად და საკმაოდ იაფად. საჭიროების შემთხვევაში – სახლში მისვლით.

**595-25-24-44 გია**

ჩა დიმკამ და გააბოლა.

– რა ვიცი, არ მგონია, რომ რამე საეჭვო იყოს. თუმცა, აგარაკზე იქნებით, სანამ თინა აქ იქნება და ეჭვს ვერავინ აიღებს, – თქვა პოპოვმა და კვლავ ჩაფიქრდა, – თუმცა, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება.

– რას გულისხმობ, ვასკა? – ჰკითხა პოპოვს სედოიმ.

– ვთქვათ და ვასომ ხომ არ გაგშიფრათმეთქი? – მიუგო გენერალმა.

– თუ ყველაფერი მართლაც ისეა, როგორც თქვენ ყვებით, მაშინ ჩვენი გაშიფვრა თითქმის შეუძლებელია, – თქვა სედოიმ.

– კი. მასეა, მაგრამ ყველაფერს ვერ გაითვალისწინებ. არ მგონია, ვასოს ან ვინმეს გავეშიფრეთ, მაგრამ მაინც ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, – თქვა პოპოვმა, – მოდი, ახლა ვისადილოთ და ცოტა დავისვენოთ. შემდეგ კი მე და ნუციკო რომან სიზოვის მოსაძებნად წავალთ.

– სამხედროზე ამბობ? – ჰკითხა გენერალს სედოიმ.

– კი. სწორედ მასზე.

– რა წოდება აქვს?

– მაშინ მაიორი იყო. ახლა, ალბათ, პოლკოვნიკია. თუ ცოცხალია, რა თქმა უნდა, – მიუგო პოპოვმა სედოის და ნუცას უთხრა:

– კი ხარ, შვილო, დაღლილი, მაგრამ გვაჭამე რამე. შემდეგ დავისვენოთ, საღამოს კი წავიდეთ.

ნუცამ სუფრა გაშალა და განძის მაძიებლებმა ისადილეს. შემდეგ დაისვენეს. საღამოს ექვს საათზე კი ნუცა და გენერალი რომან სიზოვის საძებნელად გაემართნენ. ნუცა „ვოლგის“ საჭეს მიუჯდა და პოპოვს ჰკითხა:

– საით წავიდე, ვასილ ანდრეევიჩ?

– გრიბოედოვის არხთან. იქ ერთი პატარა შესახვევია და სიზოვის ბინა იქ იყო. დაიძარი და გეტყვი, როგორ უნდა მიხვიდე.

ნუცამ „ვოლგა“ ადგილიდან დაძრა და სიზოვის სახლში რომ მივიდნენ, შეიტყვეს, რომ პოლკოვნიკი სამხედრო ჰოსპიტალში იწვა.

– რომან მიხაილოვიჩი მხარშია დაჭრილი. ორი კვირის წინ ჩამოიყვანეს აქ და ამ დილით მისმა მეუღლემ მითხრა – ერთ კვირაში გამოწერენო, – სხაპასხუპით უთხრა პოპოვს სიზოვის შუახნის მეზობელმა ქალმა, რომელმაც ცნობისმოყვარე მზერა გააყოლა კიბეებზე ჩამავალ გენერალსა და ნუცას.

პოპოვის თხოვნით, ნუცამ ბაზარში შეიარა და ხილი იყიდა. შემდეგ ნახევარი ლიტრი არაყიც შეიძინა მაღაზიაში და ამის მერე მათ სამხედრო ჰოსპიტლისკენ აიღეს გეზი. პოლკოვნიკი მესამე სართულზე, ერთადგილიან პალატაში იწვა. თეთრ ხალათებში გამოწყობილი სტუმრები რომ დაინახა, ჯერ ნუცას გაუღიმა და მიესალმა, შემდეგ კი საწოლზე წამოჯდა, გენერალს გადაეხვია და ჰკითხა:

– ფეხზე რა გჭირს, ვასილ ანდრეევიჩ?

– არაფერია. ავარიაში მოვყევი. შენ რა გჭირს, ღრმა ჭრილობაა?

– კილოს ნაკბენია, – ხელი ჩაიქნია სიზოვმა, – ერთ კვირაში გამომიშვებენ.

– მაინც, რა შეგემთხვა?

– „დუხებმა“ ალყაში მოგვაქციეს და დაგვიშვეს. მე ყუმბარის ნამსხვრევები მომხვდა.

– მაგარი გადარჩენილი ხარ.

– ეგ არაფერი... შენ ის მითხარი, შენთან ხომ მშვიდობაა.

– შენი დახმარება მჭირდება.



– მზად ვარ, გემსახუროთ, ამხანაგო გენერალო.

– მოკლედ, ჩემო რომან, საზღვარზეა ჩემები გადასაყვანი და თუ შეგიძლია, რომ დამეხმარო?

– შემიძლია, – მოკლედ მიუგო პოლკოვნიკმა და ნუცას მიაპყრო მზერა.

პოპოვს გაეცინა და სიზოვს უთხრა:

– ეს ნუცაა. ჩემი უახლოესი ნათესავი და შეგიძლია, თავისუფლად ილაპარაკო.

– ძალიან კარგი. რამდენი ადამიანია?

– სამი.

– ძებნილები არიან?

– ორს ოფიციალურად ეძებენ. მესამეც მათნაირია.

– გასაგებია, – თქვა სიზოვმა და ჰკითხა, – ძალიან საჩქაროა?

– რაც მალე იქნება, მით უკეთესი.

– კარგი. ვეცდები, მალე ვქნა. თუმცა, ორ კვირაზე ადრე არ მოხერხდება.

– იყოს ორი კვირის მერე.

– შევთანხმდით. ორ კვირაში გამომიარეთ, ოღონდ უკვე სახლში.

– კეთილი. ორ კვირაში გამოგივლით, მაგრამ აქ, ერთი რამაა, – თქვა პოპოვმა.

– თქვი.

– მათ ტვირთი აქვთ.

– რა ტვირთი?

– რა და, ოქრო და ძვირფასი თვლები. ყველაფერი ეს კი ოქროს კუბოშია მოთავსებული. სამოც კილოზე მეტია.

პოლკოვნიკმა დაუსტვინა და თქვა:

– მაგარია. ეგ, ალბათ, მილიონების ქონებაა.

– კი. ასეა.

– არაა პრობლემა. გადავიყვან.

– შენ, რა თქმა უნდა, შენს წილს მიიღებ.

– მე არაფერს ვთხოულობ. ხოლო თუ რამეს მომცემენ, უარს ნამდვილად არ ვიტყვი.

– ახლა უკვე ყველაფრის საქმის კურსში ხარ. ჩვენ წავედით და ზუსტად ორ კვირაში გამოგივლით, – უთხრა პოპოვმა. გამოემშვიდობა და ნუცასთან ერთად წამოვიდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ■ | ■ | ი | პ | ■ | ■ |
| | | | | თ | ე | მ | ი | დ | ა |
| | | | | ე | ნ | ა | ნ | ო | ს |
| | | | | თ | ი | ლ | ა | ს | ო |
| | | | | რ | ს | ა | ■ | ტ | რ |
| ■ | ■ | ი | ჯ | ი | ე | კ | ■ | ი | ტ |
| უ | ი | ს | ■ | ■ | ი | ■ | ო | ■ | ი |
| ო | რ | ტ | ე | რ | ■ | ი | ნ | ა | ■ |
| ■ | მ | ე | ს | ა | ფ | ლ | ა | ვ | ე |
| ი | ქ | რ | ა | შ | ■ | ი | ზ | უ | ნ |
| ი | ტ | ი | მ | ი | ლ | დ | ვ | ■ | ო |
| ■ | ა | კ | ა | ■ | ა | ნ | ი | გ | მ |
| ჭ | ბ | ა | ფ | ი | ქ | ა | ლ | ი | ■ |
| ე | ლ | ე | რ | ■ | ი | მ | ი | რ | გ |
| ო | ა | მ | ა | ■ | ა | ■ | ■ | ი | ო |

**ადვილი ამოცანა**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 8 | 1 | 5 | 9 | 3 | 2 | 6 | 4 |
| 2 | 5 | 6 | 7 | 4 | 1 | 8 | 3 | 9 |
| 9 | 4 | 3 | 6 | 2 | 8 | 5 | 1 | 7 |
| 3 | 2 | 5 | 4 | 7 | 6 | 1 | 9 | 8 |
| 8 | 7 | 9 | 1 | 3 | 2 | 4 | 5 | 6 |
| 1 | 6 | 4 | 8 | 5 | 9 | 7 | 2 | 3 |
| 4 | 1 | 7 | 9 | 6 | 5 | 3 | 8 | 2 |
| 5 | 9 | 2 | 3 | 8 | 4 | 6 | 7 | 1 |
| 6 | 3 | 8 | 2 | 1 | 7 | 9 | 4 | 5 |

**რთული ამოცანა**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 5 | 8 | 7 | 9 | 4 | 1 | 6 |
| 1 | 6 | 4 | 3 | 2 | 5 | 8 | 7 | 9 |
| 7 | 8 | 9 | 4 | 1 | 6 | 3 | 2 | 5 |
| 4 | 5 | 7 | 2 | 8 | 1 | 6 | 9 | 3 |
| 6 | 1 | 8 | 9 | 4 | 3 | 7 | 5 | 2 |
| 2 | 9 | 3 | 5 | 6 | 7 | 1 | 8 | 4 |
| 5 | 4 | 6 | 7 | 9 | 8 | 2 | 3 | 1 |
| 8 | 3 | 1 | 6 | 5 | 2 | 9 | 4 | 7 |
| 9 | 7 | 2 | 1 | 3 | 4 | 5 | 6 | 8 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. ბეიკერ სტრიტი – კონან დოილი („შერლოკ ჰოლმსი“). 2. 660 – რომაულით – VI VI 0. 3. იაბლოჩკოვი. რა თქმა უნდა, უპირველესად მან საკუთარი ბინა გაანათა. 4. მთლიანად გაჩეხეს მიხაკის ხეები. 5. მარტორქას. 6. „პანამა.“ 7. სტუდენტებს ნება დართეს... ემათხოვრათ. 8. აფრიკიდან ამერიკაში შავკანიანთა შეყვანა და მათი მონებად გამოყენება. 9. ცალი ხელით აეხადა ზანდუკისთვის მძიმე სახურავი. 10. გამოეცვალათ ან გადაეკეთებინათ სახელი და გვარი გერმანულად.**

# როგორ მოიპარა 5 ცალი ცნობილი ცისფერი ალმასი, კრიმინალმა მეტსახელად „ჭორფლიანმა“



### გაქცევა

1974 წლის 3 ივნისს ჩრდილოეთ ურალის №9 მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიიდან 34 წლის ირაკლი კალატოზიშვილი, მეტსახელად „ჭორფლიანი“ გაიქცა. პატიმარმა სატვირთო მატარებელში მოახერხა შეპარვა, რომელიც კოლონიაში ჩამოდგა. სანამ ეშელონს პატიმრების მიერ დამზადებული საკანცელარიო კარადებით ტვირთავდნენ, ჭორფლიანი ერთ-ერთ კარადაში დაიმალა, რომელიც შემდეგ ვაგონში აიტანეს და ამგვარად მოახერხა ზონიდან თავის დაღწევა. პატიმრის გაქცევის შესახებ საპყრობილეს ადმინისტრაციამ მხოლოდ 8 საათის შემდეგ შეიტყო. ფეხზე დააყენეს მთელი ჩრდილოეთ ურალის შინაგანი ჯარის გარნიზონი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. კალატოზიშვილმა დრო მოიგო – გასცდა სახიფათო ზონას, სადაც შეიძლებოდა ის მდევარს შეეპყრო და სამშვიდობოზე გავიდა. ჭორფლიანს 15-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი ბანკის გაძარცვისთვის და ხუთწლიანი რეჟიმი „დახურული („კრიტი“) ციხის“ სოლიკამსკის ცნობილ საპყრობილეში – „ბელი ლებედში“ ჰქონდა მოხდილი. №9 საპყრობილეში კი კალატოზიშვილი სულ რაღაც ორი თვის გადაყვანილი იყო – 63-ე დღეს მან გაქცევა მოახერხა.

„ჭორფლიანმა“ და მისმა თანამზრახველმა, 30 წლის სიუ კოკორიამ, 1968 წლის თებერვალში ქალაქ სოხუმის შემნახველი ბანკის მთავარი სეიფი გაძარცვეს, იქიდან 419 ათასი მანეთი, 6 კილოგრამი ოქრო და 2 კილოგრამი პლატინა გაიტაცეს და მიიმალნენ. ორმა ბოროტმოქმედმა ბანკის შენობაში საკანალიზაციო ჭიდან შეაღწია, მანამდე კი ჭორფლიანმა ჯერ ეგრეთ წოდებული გარე სიგნალიზაცია გათიშა. შემდეგ კი ნიღბიანმა მძარცველებმა სამი შეიარაღებული დარაჯი იარაღის მუქარით გაანეიტრალეს მათსავე სამორიგეო ოთახში, იარაღი აართვეს, გაკოჭეს და რადიატორებზე მიაბეს. შემდეგ კალატოზიშვილმა უკვე მთავარი სეიფის სიგნალიზაცია გამორთო და სეიფის გახსნას შეუდგა. ჭორფლიანმა სეიფი 80 წუთში გახსნა და, მას მერე, რაც მისი შიგთავსი გაასუფთავეს, იქაურობას გაეცალნენ. მთლიანად ამ საქმეს 5 საათი დასჭირდა და მხოლოდ დილის 8 საათსა და 30 წუთზე გახდა ცნობილი მილიციისთვის ძარცვის შესახებ. თუმცა, მძარცველები უკვე შორს იყვნენ – კოკორიას კუთვნილი „მოსკვიჩით“ და ნაძარცვით თბილისისკენ მიემართებოდნენ.

მილიცია ბოროტმოქმედების კვალს მხოლოდ ორი თვის შემდეგ, 1968 წლის აპრილში დაადგა, თანაც, სრულიად მოულოდნელად. ორგანოებს ძარცვის შესახებ მექალთანე სიუ კოკორიას ცოლმა, ესმა ცირამუამ აცნობა – ქალმა ქმარი საყვარელთან ერთად გამოიჭირა და სიუ დააჭერინა. სიუ კოკორიასგან მილიცია, რა თქმა უნდა, ჭორფლიანზეც გავიდა, მაგრამ, ის მხოლოდ 9 თვის შემდეგ, 1969 წლის 7 იანვარს შეიპყრეს თბილისში, კუკიაზე, სადაც ის თავის საყვარელთან, ანა მიქაბერიძესთან იმალებოდა. კალატოზიშვილს ორი პისტოლეტი და სოხუმის ბანკიდან წამოღებული დანარჩენი ფული და ძვირფასი ლითონი ჩამოართვეს, გაასამართლეს და „ბელი ლებედში“ უკრეს თავი. თუმცა პატიმარმა ხუთი წლის შემდეგ მაინც მოახერხა გაქცევა.

### ცისფერი ალმასები

ჩრდილოეთ ურალის №9 კოლონიიდან გაქცეულ ირაკლი კალატოზიშვილს მილიცია ინტენსიურად ეძებდა. ჭორფლიანი კი ამ დროს მოსკოვში იმალებოდა და თან ახალი საქმისთვის ემზადებოდა. საბჭოეთის დედაქალაქში კალატოზიშვილმა ვინმე ანტონ ერდმანთან შეაფარა თავი. ერდმანი იუველირი იყო და ჭორფლიანმა ის „ბელი ლებედში“ გაიცნო. 60 წლის იუველირს 9-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მოხდილი ძვირფასი ქვებით სპეკულაციისთვის. მას განსაკუთრებული ლტოლვა გააჩნდა ძვირფასი ქვებისადმი და მათ მოსაპოვებლად დანაშაულზეც იყო წამსვლელი. სწორედ ერდმანმა შესთავაზა გაქცეულ ჭორფლიანს ძვირფასი ქვების გამოფენის გაძარცვა. გამოფენა 1974 წლის 15-16 აგვისტოს უნდა გამართულიყო მოსკოვის ეგრეთ წოდებული „ბროლის სახლში“, რომელიც ძველ არბატზე მდებარეობდა და სხვადასხვა სახის გამოფენების გასამართავად იყო განკუთვნილი.

– ირაკლი, ეს იქნება ზღაპრული სანახაობა. ძვირფასი ქვების ნამდვილი ფოიერვერკი და, რაც მთავარია, იქ იქნება გამოფენილი ის ხუთი ცალი ცისფერი ალმასი, რომლებიც 1908 წელს აღმოაჩინა აკადემიკოს კარცევის ექსპედიციამ ციმბირში, – აღფრთოვანებას ვერ მალავდა ერდმანი და თვალები უელავდა.

**კალატოზიშვილმა 5 წელი „ბელი ლებედში“ გაატარა და ზონაში გადაყვანიდან 63-ე დღეს გაიქცა**

– ძია ანტონ, მე სიგნალიზაციისა და „ბროლის სახლის“ სქემა, აგრეთვე, საკანალიზაციო ჭის ზუსტი აღწერილობა მჭირდება. მე ხომ ჯერ შენობაში უნდა შევაღწიო, შემდეგ სიგნალიზაცია გამოვრთო, ბოლოს კი სეიფი გავხსნა. თქვენ არ ამბობთ, რომ ყოველი ჩვენების შემდეგ ძვირფას ქვებს დილამდე სეიფში ჩაკეტავენო? – მიუგო ერდმანს ჭორფლიანმა.

– რა თქმა უნდა, ირაკლი, არის ასეთი კაცი. ის ჩემი ძველი ნაცნობია და სწორედ ის გაგარკვევს ყველაფერში, – უთხრა კალატოზიშვილს ერდმანმა, რომელსაც უკვე ელანდებოდა ცისფერი ალმასების ციალი.

– სანდოა ის კაცი?

– კი, კი, სანდოა, სანდო... – თქვა ერდმანმა.

საქმის მიმცემი 43 წლის ვინმე იური კრუპინი აღმოჩნდა. ის ალმასის ფონდის თანამშრომელი იყო, ხშირად მიუღია მონაწილეობა „ბროლის სახლში“ გამართულ სხვადასხვა დონის გამოფენებში და კარგად იცნობდა მის სისტემას. კრუპინმა ჭორფლიანს როგორც საკანალიზაციო სისტემის, ასევე სიგნალიზაციის დეტალური სქემა მიუტანა, გასამრჯელოდ კი სრული წილი მოითხოვა. ერდმანი და კალატოზიშვილი დათანხმდნენ კრუპინს და გაისტუმრეს.

1974 წლის 15 აგვისტოს, ღამის 23 საათსა და 30 წუთზე, ჭორფლიანმა „ბროლის სახლში“ გაუქმებული საპირფარეშოდან შეაღწია. მან ჯერ სიგნალიზაცია გამორთო, შემდეგ აირწინაღი გაიკეთა, დასაძინებელი გაზი გაუშვა და მილიციელთა რვაკაციანი ჯგუფი იქვე მიაძინა, მერე სასწრაფოდ გაკოჭა დაძინებულები და სეიფს მიაშურა. კალატოზიშვილმა მძიმე სეიფი ორ საათში გახსნა, იქიდან ძვირფასი ქვები გამოიღო, ტყავის ჩანთაში მოათავსა და იმავე გზით დაბრუნდა უკან, რომლითაც შემოვიდა. დილის 4 საათზე ჭორფლიანი უკვე ერდმანის ბინაში იმყოფებოდა. ძველმა იუველირმა სულმოუთქმელად გახსნა ტყავის ჩანთა, იქიდან ცისფერი ალმასები ამოიღო, სერვანტზე განალაგა. სანთელი აანთო და მათი ჯადოსნური ციალით ტკბებოდა...

– ძია ანტონ, ძალიან დავიღალე და დავიძინებ, – უთხრა მასპინძელს კალატოზიშვილმა.

– დაიძინე. შუადღისთვის კრუპინი მოვა და თავის წილს წაიღებს, – მიუგო მასპინძელმა ჭორფლიანს.

ირაკლი კალატოზიშვილი გასროლის ხმამ გამოაღვიძა. თვალი რომ გაახილა, დაინახა, როგორ დაეცა იატაკზე მასპინძელი. იქვე იდგა პისტოლეტმომარჯვებული კრუპინი, რომელსაც მეორე ხელში ძვირფასი ქვებით სავსე ტყავის ჩანთა ეკავა და ჭორფლიანს უმიზნებდა. კალატოზიშვილი წამოხტა და კარადის უკან ამოფარება სცადა, მაგრამ, კრუპინმა მას ორი ტყვია ესროლა მკერდში და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას.

სროლის ხმაზე გამოძახებულმა მილიციამ ცოცხალ-მკვდარი ძებნილი ჭორფლიანი საავადმყოფოში გადაიყვანა, მოკლული იუველირი კი – პროზექტურაში... კალატოზიშვილი გადარჩა, კრუპინი კი მილიციის ოპერჯგუფმა იუველირის სახლიდან გაქცევიდან ხუთი წუთის მერე ერთ-ერთ სადარბაზოში მომიწყვდია და ურთიერთსროლისას მოკლა... ამოღებულ ტყავის ჩანთაში მათ ყველა ძვირფასი ქვა იპოვეს, გარდა ხუთი ცალი ცისფერი ალმასისა...

ჭორფლიანი რომ გამოჯანმრთელდა, გაასამართლეს და 15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მან სრულად მოიხადა სასჯელი და 1989 წლის დეკემბერში გათავისუფლდა ციხიდან. ექვსი თვის მერე კი ყოფილმა პატიმარმა მსხვილი კოოპერატივი დააარსა, რომელიც ხორბლითა და მარცვლეულით ვაჭრობდა და ძალიან მალე დიდი კაპიტალი შეაგროვა...

75 წლის ირაკლი კალატოზიშვილი დღესაც ცოცხალია. რუსეთში ცხოვრობს და მის ბიზნესს მისი შთამომავლები განაგებენ. ცისფერი ალმასები კი დღემდე ვერ აღმოაჩინეს. როგორც ბოროტი ენები ამბობენ, სწორედ ამ ძვირფასი ქვების მეშვეობითააწყო ბიზნესი ყოფილმა ქართველმა „მედვეჟატნიკმა“...

**ნიკა ლაშაური**

# როგორ იძია შური სიძემ სიდედრსა და ცოლისდაზე და რა აღიარა მან სასამართლოზე



სიდედრისა და ცილისდის მკვლელობის მცდელობისთვის სიძეს რვა წლით პატიმრობა მიესაჯა. ცოლის სახლში ჩასიძებულ ბრალდებულს ორ ქალზე შურისძიება წინასწარ რომ არ ჰქონდა დაგეგმილი, ამას ადასტურებდნენ მოწმეები, რომლებიც ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის აღმოჩნდნენ შემთხვევის ადგილზე. ინციდენტი იმ სადავო ბინაში მოხდა, რაც ოჯახური კონფლიქტის და ხუთწლიანი დაპირისპირების მიზეზი გახდა. სამართალდამცველებმა დანაშაულში ეჭვმიტანილი ვლადიმერ, ლადო ყ-შვილი ინციდენტიდან ერთი თვის შემდეგ ტყეში დაიჭირეს. მისი განმარტებით ის არა გამოძიებას, არამედ სიდედრის შურისძიებას დაემალა, რომელიც გამოჯანმრთელების შემდეგ დაემუქრა, რომ მის შვილზე თავდასხმას არ აპატიებდა.

საქმის მასალების მიხედვით, ლადო ყ-შვილმა ვენერა ჭ-ძის ქალიშვილი, შორენა ცოლად ქმართან გაყრის შემდეგ შეირთო და საცხოვრებლად მათ ბინაში გადავიდა. შორენას პირველი ქორწინებიდან ჰყავდა ერთი შვილი, მეორე კი ლადოსთან შეეძინა. ვენერა ჭ-ძე უსახლკარო სიძის მიმართ თავიდანვე ცუდად განეწყო, მაგრამ საბოლოოდ, მის ჩასიძებას დათანხმდა. მას ჰქონდა მეორე ბინაც, სადაც ვენერა ჭ-ძე მეორე ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს სამომავლოდ ბევრი გეგმა ჰქონდა, მაგრამ სიდედრის აქტიურობით, მათ შორის ურთიერთობა ძალიან მალე გაფუჭდა. ქორწინებიდან სამი წლის თავზე, შორენამ ქმარს განუცხადა, რადგან ვალები ჰქონდათ, ლადო კი უმუშევარი იყო, თავად თურქეთში წავიდოდა სამუშაოდ. ამას ლადო ყ-შვილისგან პროტესტი მოჰყვა, თუმცა ქალმა მაინც მოახერხა ჯერ თურქეთში, შემდეგ კი საბერძნეთში წასვლა. მამაკაცი ორ ბავშვთან ერთად ცოლის კუთვნილ ბინაში დარჩა. თუმცა, რამდენიმე თვეში სიდედრმა განუცხადა, რომ ბინა უნდა დაეგირავებინა, ბავშვებს თვითონ წაიყვანდა, მას კი თავისი გზა უნდა მოეძებნა. სწორედ ამ მიზეზით დაიწყო კონფლიქტი სიძესა და ორ ქალს, სიდედრსა და ცოლისდას შორის. ეს დაპირისპირება თითქმის ხუთი წელი გაგრძელდა, რისი მოწმეც მათი მეზობლები, მეგობრები და უამრავი სხვა ადამიანი იყო. ლადო ყ-შვილს სიდედრი ხან აგდებდა ბინიდან, ხან კი უკან დაბრუნების საშუალებას აძლევდა. მოწმეთა განმარტებით, ლადო ყ-შვილს სიდედრისთვის ათი ათასი დოლარი ჰქონდა გადახდილი, რასაც ქალი არ ადასტურებდა. მოგვიანებით, დაკავებულმა ლადო ყ-შვილმა სამართალდამცველებთან განაცხადა, იმისთვის, რომ სიდედრთან ბინა სადავო არ ჰქონოდა, მას გადაუხადა ათი ათასი დოლარი. ამისთვის კი მშობლებისეული სოფლის სახლი გაყიდა. ფული სიძემ სიდედრს ხელზე გადასცა, მოწმე კი მხოლოდ ვენერა ჭ-ძის მეორე ქალიშვილი, მარეხი იყო. ის ამ ფაქტს, დედის მსგავსად, არ ადასტურებდა. ხუთი წლის განმავლობაში სიძესა და ქალებს შორის არაერთი ხელჩართული კონფლიქტი მოხდა, რაშიც საბოლოოდ, სამართალდამცველებიც ჩაერივნენ. ლადო ყ-შვილი ბინიდან წასვლას მხოლოდ ფულის დაბრუნების შემდეგ აპირებდა, თუმცა მისთვის ფულის გადამხდელი არავინ გახლდათ. ვენერა ჭ-ძის ერთ-ერთი მეზობლის განცხადებით, ფიზიკურ ზეწოლას ქალების მხრიდანაც ბევრჯერ ჰქონდა ადგილი: „ერთხელ ვენერას ეზოში შევედი, არ მელოდნენ. საკუთარი თვალით დავინახე, როგორ სცემდნენ სიდედრი და სიძე ლადოს. შემეცოდა ის ბიჭი და ჩემს ქმართანაც კი ვთქვი, იცოდე, ეს ბიჭი ამ ორი გადარაეული ქალის გამო ციხეში მოხვდება-მეთქი."

როგორც სამართალდამცველებისთვის გახდა ცნობილი, ინციდენტის დღეს, როდესაც ლადო ყ-შვილმა მძიმე დანაშაული ჩაიდინა, ის შემთხვევის ადგილზე, სიდედრთან სალაპარაკოდ მივიდა. ბრალდებულის განცხადებით, სიდედრმა თვითონ დაიბარა. გზად მიმავალმა კი გაიგო, რომ ქალმა ბინა გაყიდა და ბეც აიღო, რაზედაც ძალიან აღშფოთდა. მოგვიანებით, მან გამოძიებასთან განაცხადა: „მივხვდი, რომ მეც და ჩემს შვილსაც უსახლკაროდ გვტოვებდნენ. ძალიან გავმწარდი. ცოტა ნასვამი ვიყავი და გავთამამდი. ჩემს ნათესავთან მივედი, მისი ბინიდან წამოვიღე დანა, რომელიც აღმომაჩნდა შემთხვევის ადგილზე. ქალებზე თავდასხმა არც მიფიქრია, თავდაცვისთვის უფრო მჭირდებოდა, რადგან ჩვენი ყველა შეხვედრა ხელჩართული ჩხუბით მთავრდებოდა. როცა სიდედრთან მივედი, მასთან ეზოში ორი მეზობელი ქალი დამხვდა. ჩემი ცოლის და, მარეხიც იქვე იყო. სწორედ მან წამოიწყო კამათი და ჩემზე გამოიწია. მეც ნასვამი ვიყავი, გავთამამდი და მარეხს ხელი გავარტყი. ამის დანახვაზე ჩემი სიდედრი ზურგზე შემომახტა და სულ შემომახია ტანსაცმელი. ძლივს მოვიშორე ზურგიდან, ხელი ვკარი. იქვე ძირს დავარდა და თავი ყვავილების რკინის ქოთანს ჩამოარტყა.

**ორივე ქალს ჭრილობები მუცლისა და გულმკერდის არეში ჰქონდა მიყენებული**

აი, მანდ დაიწყო ყველაფერი – მარეხი და ვენერა მეცნენ და ცემა დამიწყეს. ყველაფერი მეზობლების თვალწინ ხდებოდა. ისე გამოვედი მდგომარეობიდან, არ ვიცი, რას ვაკეთებდი. როცა მარეხმა თავში ქვა ჩამარტყა, შარვლიდან დანა ამოვიღე, ჯერ მას დავარტყი, მერე კი – სიდედრს. შემთხვევის ადგილიდან მეზობლებმა გამარიდეს, ერთი თვე ვიმალებოდი ტყეში, რადგან გამოჯანმრთელებულმა ვენერამ შემომითვალა, ჩემი ხელით უნდა გამოგჭრა ყელიო. ამის გამკეთებელი კი ნამდვილად იყო."

მარეხ ჭ-ძე და მისი დედა, ვენერა ჭ-ძე საავადმყოფოში სხეულის დაზიანებებით მიიყვანეს. მარეხს ორი ჭრილობა გულმკერდის არეში ჰქონდა მიყენებული, ვენერა ჭ-ძე კი მუცლის არეში იყო დაჭრილი. შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს დანა, რომელიც დანაშაულში ეჭვმიტანილის ნათესავის კუთვნილება გახლდათ. სამართალდამცველებმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით დაადგინეს დანაშაულში ეჭვმიტანილის მდებარეობა და ის დააკავეს სოფლის მახლობლად, ტყეში, სადაც ერთი თვე იყო გახიზნული. დაკავებულმა ჩადენილი დანაშაული აღიარა. მან თავი დამნაშავედ ცნო სასამართლო პროცესზეც, სინანულით აღიარა ჩადენილი დანაშაული და პროკურატურის მიერ წარდგენილი სასჯელის შემსუბუქება მოითხოვა. მისი განცხადებით, დანაშაულისკენ ქალებმა თავად უბიძგეს და რომ არა მათი ქმედებები, ასეთ მძიმე დანაშაულს არ ჩაიდენდა. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ლადო ყ-შვილი ორი მცირეწლოვანი ბავშვის მეურვე იყო და რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრა და საპროცესო გარიგება შედგა განსასჯელის ცოლისდასთან, მარეხ ჭ-ძესთან, რომელიც გამოჯანმრთელების შემდეგ, ასევე აღმოჩნდა გისოსებს მიღმა ბრალდებით, რომლის მიხედვითაც, სიძეს თავის არეში სხეულის დაზიანება მიაყენა. ეს დადასტურდა სამედიცინო ექსპერტიზის მიერაც.

**ეკა ბარაბაძე**


**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად

1. ქვემოთ გახსნილი ოვალით დაიწყეთ გოჭის ხატვა



2. გამოკვეთეთ დინგი და თვალები



3. მიახატეთ ყურები





4. შემდეგ – ნაოჭები და ლოყები



5. მიახატეთ ფეხები



6. ხელში დააჭერინეთ ყვავილი



7. დაასრულეთ ნახატი



ზაალ სულაკაურის სახატავი სტუდია
ტელ.: 272 9191
თამარაშვილის №36

# იპოვეთ 10 განსხვავება





# დაეხმარეთ გზის გაკვლევაში



# რიცხვრებუსი

,,13, 1,,, ,,4

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| რძის ნაწარმი / ორნიშნა რიცხვი | | | | |
| | | | | ყმის პატრონი / ... დამაცადე |
| | მწარე ბოსტნეული | | | |

# მხიარული ჯიბეები



ამ სასარგებლო და მხიარულ ჯიბეებს ორი ცალი ერთჯერადი თეფშით, წებოთი და ფერადი ქაღალდებით გააკეთებთ. გაერთობით კიდეც და თქვენი შვილის ფუნჯებსა და ფერად ფანქრებს ადგილსაც მიუჩენთ.

დახედეთ სურათებს. დაგჭირდებათ მართკუთხედის ფორმის ფერადი მუყაოს ნაჭერი, რომელზეც ჯიბეებს დააწებებთ. ძალიან ადვილია. თუკი ამ ჯიბეებს გოგონასთვის აკეთებთ, მორთეთ ბაფთებით.

# რომელი პეპელა უნდა დაიჭიროს ფისომ





იტალიელი ფეხბურთე-ლი
ქალაქი ყირიმში
ზოლას რომანი
ბავშვის სარწეველა
ნატვრა ...
ფოთლოვანი ხე
გრეგორი ...
... შანელი
შეძახილი ცეკვის დროს
ცელქი, ანუ ...
რბილი ლითონი
სიგრძის საზომი ერთეული
მოჭადრაკე ... კრამლინგი
სახლი ქალაქგარეთ
ბელორუსი პოეტი
პატარა ჩიტი ერთგვარი
კორკოტი, წანდილი
იტალიური ავტომ-ობილი
ინგლისის ძვ. სახელწ-ოდება
აზროვნების ორგანო
ჯადოქრობა, ანუ...
საბჭოთა ფული
მთები ჩრდ. ამერიკაში
ტბა თბილისში
ცულის სახეობა
ქალაქი ეკვადორში
ჯოისის ნაწარმოები
ჩინეთის ისტ. სახელმწიფო.
ესპანელი მხატვარი
... გიბსონი
ბგერის გრაფიკული ნიშანი
ელ. წინაღობის საზომი ერთეული
ხელის მტევნის „საცეცი"
ესპერანტოს II ვარიანტი

| Column | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 6 | | | | | | | | | | | | |
| | | | | | 6 | 7 | 6 | 3 | 8 | | | | | | | 9 | 8 | | | |
| | | | | | 3 | 7 | 8 | 7 | 7 | 14 | 11 | | 15 | 17 | 19 | 9 | 5 | 7 | | |
| | 1 | 2 | 3 | 5 | 6 | 4 | 2 | 2 | 2 | 4 | 6 | 11 | 2 | 2 | 1 | 2 | 1 | 2 | 5 | 3 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | 1 |
| | | | | 3 |
| | | | 2 | 4 |
| | | | 3 | 4 |
| | | | 4 | 4 |
| | | | 5 | 5 |
| | | | 5 | 4 |
| | | | 5 | 5 |
| | | | 5 | 4 |
| | | | 5 | 4 |
| | | | 5 | 4 |
| | | | 3 | 4 |
| | | | | 7 |
| | | | | 9 |
| | | | | 11 |
| | | | | 11 |
| | | | 3 | 8 |
| | | | 3 | 8 |
| | | | | 13 |
| | | | | 12 |
| | | | | 12 |
| | | | | 9 |
| | | | | 9 |
| | | | 3 | 3 |
| 1 | 2 | 1 | 1 | 1 |
| | | 2 | 2 | 3 |
| | | | 7 | 4 |
| | | | 7 | 2 |
| | | | 2 | 2 |
| | | | 1 | 1 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | | 3 | 8 | | 6 | 2 | |
| | 2 | 8 | 7 | | 9 | | | 3 |
| | | 3 | | | 4 | | 1 | 8 |
| 7 | | 6 | | 3 | | 4 | | |
| | 1 | | 4 | | | 3 | 6 | 9 |
| 4 | 3 | 5 | 9 | 6 | | | | 1 |
| | 6 | | 1 | | | 2 | 8 | 5 |
| 2 | | | 5 | | 6 | | 3 | |
| | 5 | | | 4 | | 1 | | 6 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | 6 | | | 5 | | |
| | | 9 | | | 2 | | | 7 |
| | 3 | | | 5 | | | 6 | |
| | | | 8 | 4 | 9 | 1 | | |
| 2 | | | | | | 3 | 8 | 4 |
| 4 | 8 | 5 | 1 | | | | | |
| | 5 | | 4 | | 1 | 7 | 9 | |
| | | 8 | | | 5 | | 3 | |
| | | 6 | | | 7 | | 5 | |

**ლიკა ზენდერი ქართულ შოუ-ბიზნესში წლების წინ გამოჩნდა თამამი კლიპით, სახელწოდებით – „სექსი გინდა." საზოგადოების დიდმა ნაწილმა ამის გამო მომღერალი საშინლად გააკრიტიკა, რის შემდეგაც მან თავი დაანება სიმღერას. სამაგიეროდ, არც ისე დიდი ხანია, რაც საკუთარ თავში ხატვის ნიჭი აღმოაჩინა – ფუნჯის ნაცვლად ნაფიქრი შიშველი ხელებით გადააქვს ტილოზე და დღეს ამ საქმით აქტიურად არის დაკავებული. გარდა ამისა, მისი თქმით, აქვს უნარი, წინასწარ განჭვრიტოს მომავალში მოსახდენი კონკრეტული მოვლენები. ლიკას მეუღლე შვეიცარიის კულტურის ყოფილი მინისტრი და დიპლომატია. დღეს წყვილი შვილებთან ერთად საქართველოში ცხოვრობს, მათი ცხოვრების საინტერესო ისტორიებს და მომღერლისა და მხატვრის უცნაური წინათგრძნობების შესახებ თავად ლიკა ზენდერი გვესაუბრა.**

# როგორ გაუმკლავდა თავისი სკანდალური კლიპით გამოწვეულ აგრესიას ლიკა ზენდერი და როდის არ გადის ის სახლიდან

**– ლიკა, რატომ აღარ მღერი?**

– ვმღერი ჩემთვის, ჩემს საახლობლოში. ის ჩემი ცნობილი კლიპი, რატომღაც, ცუდად მიიღო მაყურებელმა. წლების წინ, როცა გიგა კუხიანიძემ შემომთავაზა მასთან ერთად მუშაობა, რა თქმა უნდა, დავთანხმდი – ნიჭიერი ადამიანია და, ვიცოდი, ცუდს არ გააკეთებდა. ბუნებრივია, ეს ყველაფერი იყო ხუმრობის დონეზე და რეალურად არც ისეთი სცენები იყო კლიპში, რასაც შეიძლებოდა ასეთი აღშფოთება გამოეწვია. საერთოდ, არც მიფიქრია, ჩემი ეს ნაბიჯი საყოველთაო განსჯის და განხილვის საგანი თუ გახდებოდა. მე მამის მხრიდან ბერძენი ვარ და ამით ვხსნი ჩემს თამამ ხასიათს – ნაკლებად მაქვს ქართული კომპლექსები. ამ შემთხვევაში ჩემი შვილების გამო დავიხიე უკან და მომღერლის კარიერას თავი დავანებე.

**– ოჯახის წევრებმა როგორ მიიღეს კლიპი?**

– ჩემმა შვილებმა ძალიან განიცადეს კლიპის შედეგად გამოწვეული მითქმა-მოთქმა. ჩემი უფროსი ქალიშვილი ამ კლიპის მერე ისეთ დეპრესიაში იყო, სკოლიდან სკოლაში გადამყავდა, რომ ჩვენ ირგვლივ არსებული აგრესია ამერიდებინა.



**ჩემი მეუღლე ჩემზე 37 წლით უფროსია და მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე**

**– მეუღლეს რა რეაქცია ჰქონდა კლიპზე და თქვენ გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზე?**

– ჩემმა მეუღლემ ძალიან ჩვეულებრივად მიიღო, არანაირი პრობლემა არ ყოფილა ოჯახში, პირიქით, სულ მეუბნებოდა, არ მიაქციო ყურადღება. მაგრამ, უცხო ადამიანებისგან იმდენად დიდი აგრესია მოდიოდა, რომ ძალიან განვიცადე. ჩემი მეუღლე არაჩვეულებრივი ადამიანია. 22 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი, ის ჩემზე 37 წლით უფროსია და მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. ერთად ძალიან ბევრი სირთულე გამოვიარეთ: ბევრი წლის წინ, ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში, ჩვენს სახლში შემოვიდა ხუთი ადამიანი, რომლებმაც დაგვაყაჩაღეს და წაიღეს ბევრი ნივთი, მათ შორის კამერები და ჩემი მეუღლის საქმიანობისთვის საჭირო ტექნიკა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩემს მეუღლეს მიაყენეს ფიზიკური ზიანი და მაშინ მან დამისვა საკითხი, გვიღირდა თუ არა ჩვენ აქ ცხოვრება. მაშინ მე მას პირობა მივეცი, რათა ყველაფერს გავაკეთებდი იმისათვის, რომ ჩვენ აქ უსაფრთხოდ გვეცხოვრა და საბოლოოდ მაინც დავრჩით საქართველოში.

**– ხატვა როდის დაიწყე?**

– რამდენიმე წელია, რაც ვხატავ, მანამადე საერთოდ შეხება არ მქონია ხატვასთან. ერთ მშვენიერ დღეს კი, გავიღვიძე და გადავწყვიტე, რომ უნდა დამეხატა – შინაგანად რაღაც ძალა მთხოვდა ამას. მეგობარს დავურეკე და ვთხოვე, დავეკვალიანებინე, სად შეიძლებოდა საღებავების შეძენა და ასე შემდეგ. რომ გაიგო ხატვას ვაპირებდი, ძალიან გაუკვირდა. თავიდან მეც ცოტა დაბნეული ვიყავი, მაგრამ თანდათან ძალიან გავიხსენი და მას მერე თავი არ დამინებებია ხატვისთვის.

**– შენს წინათგრძნობებზე მოგვიყევი...**

– ზუსტად არ მახსოვს, რა ასაკიდან მაქვს ეს წინათგრძნობები – ბავშვობაში არ მქონდა, უფრო მერე დაიწყო. ძირითადად, წინასწარ ვიცი სტიქიური უბედურებების შესახებ, თუმცა, რა თქმა უნდა, სხვა სახის მოვლენებსაც ვხედავ. ჯერ კიდევ 2006 წელს ვამბობდი, რომ ვხედავ ტანკებს და უცნობი ჯარისკაცების საფლავებს-მეთქი და ორი წლის თავზე ომიც მოხდა.

**– ვის უზიარებ ხოლმე შენს წინათგრძნობას?**

– ყველასთან არ ვლაპარაკობ ამაზე, მხოლოდ ჩემს ახლობლებთან. როცა რაღაცას ვხედავ, ვცდილობ, მოვერიდო იმ სახიფათო ადგილს, სადაც საფრთხეს ვგრძნობ და გარშემო მყოფებსაც ვაფრთხილებ. რამდენიმე წლის წინ, მეგობრებთან ერთად საღამოს კაფეში მივდიოდი, მთელი დღე ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ჩემი ქალიშვილი, მარიამი, საფრთხეში იყო და ვუთხარი, თავს გაუფრთხილდი, ტვინის შერყევა არ მიიღო-მეთქი. აღმოჩნდა, რომ ჩემი სახლში არყოფნის დროს დაცემულა და გონება დაუკარგავს. წყალდიდობებს ვხედავდი, ამიტომ, ზღვაზე არ წავედი და არც ბავშვები გავუშვი.

**– ეკლესიურად ცხოვრობ?**

– რა თქმა უნდა, დავდივარ ეკლესიაში, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მოძღვრის შუამავლობის გარეშეც შემიძლია პირდაპირ ღმერთთან საუბარი. რატომ უნდა ვუთხრა მამაოს ჩემი ცოდვები, როცა ღმერთმა ისედაც ძალიან კარგად იცის, ვის რა ცოდვა გვაქვს?!

**– რომელიმე სასულიერო პირისთვის თუ მოგიყოლია შენი ხილვების შესახებ?**

– რამდენიმე წლის წინ ზურგზე მქონდა რაღაც ნიშნები, ერთ დედაოს ვაჩვენე და მან მითხრა, რომ ამაში ცუდი არაფერია. ხომ არ შეიძლება, ყველაფერი ბოროტი ძალებისგან მოდიოდეს?! ჩემმა მამაომ მითხრა, რომ ეს ხილვები შეიძლება კარგიც იყოს და ცუდიც. საერთოდ, მამაოები ცოტა არარეალურად უყურებენ ხოლმე ასეთ შემთხვევებს მაგრამ, ფაქტია, რომ ეს ასეა. ლურჯი მონასტრის გვერდით რომ რუსული ეკლესიაა, ადრე იქ დავდიოდი, ერთხელ მივედი მამა გიორგისთან და ვუთხარი, რომ ხილვები მაქვს და ამ ეკლესიაში ცეცხლს ვხედავ-მეთქი, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი მე თვითონ შევესწარი, როგორ გაჩნდა ამ ტაძარში ცეცხლი.

**– რთულია, როცა იცი წინასწარ რა შეიძლება შეგემთხვას?**

– ძალიან რთულია, იმდენად საშინელებაა, როცა წინასწარ იცი, რა შეიძლება დაემართოთ გარშემო მყოფებს რომ, გადავწყვიტე ღმერთისთვის მეთხოვა, დამთავრებულიყო ჩემს ცხოვრებაში ეს პერიოდი. ასეც მოვიქეცი და ახლა ისეთი სიხშირით აღარ მაქვს ეს ხილვები, მაგრამ, მაინც შემომრჩა. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ხატვის დაწყებაც, რაც მოულოდნელად მოხდა ჩემს ცხოვრებაში.

**– შენ თვითონ თუ ითვალისწინებ ხოლმე, ანუ, ისე თუ იქცევი, რომ თავიდან აირიდო მოსალოდნელი ცუდი?**

– უკვე იმდენი რამე ახდა ჩემი ნათქვამი, რომ გარშემო მყოფებმაც დაიჯერეს, რომ ეს სიმართლეა. მეც, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებ, ვიცი, როდის უნდა გავიდე სახლიდან და როდის არა.

**– ძირითადად რა პერიოდში გაქვს ხოლმე ხილვები, როცა მარტო ხარ?**

– საერთოდ, ზაფხულობით, ცხელ პერიოდში უფრო აქტიურდება. სიტუაციას კი არ აქვს მნიშვნელობა – შეიძლება, ბევრი ადამიანის გარემოცვაში ვიყო, შევხედო რომელიმე მათგანს და ვუთხრა, რა ელის მას. თუმცა, უცხოებისთვის ვერიდები ხოლმე ამის თქმას.

**ნინო კანდელაკი**

# რა შანსი გაუშვა პარიზში თათია ახალაიამ და რატომ ატყდა სოციალურ ქსელებში ლუკა ჯაჯვანის ფოტოების გამო დიდი ამბავი

*„იმიჯ ცენტრის“ მოდელები თათია ახალაია და ლუკა ჯაჯვანი „ელიტ მოდელ-ლუქ ჯორჯიას“ გამარჯვებულები არიან და ახლო მომავალში ჩინეთში, „ელიტის“ საფინალო კონკურსზე გაემგზავრებიან.*

**თათია ახალაია:** 19 წლის ვარ, სტუდენტი, ვსწავლობ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. ერთი წლის წინ სამოდელო სფეროთი დავინტერესდი. „იმიჯ ცენტრში“ დაიწყო ჩემი სამოდელო კარიერა. ვფიქრობ, რაღაც შანსი რომ გეძლევა, იმაზე უარი არ უნდა თქვა. სააგენტოში დაახლოებით ერთი თვის მისული ვიყავი, პარიზში რომ წავედი. იმ პერიოდში მაღალი მოდის კვირეული იყო და მე ამირჩიეს ულიანა სერგეენკოს „ფეშენ-შოუში“ მონაწილეობის მისაღებად. ჩემი ბუქერი ბევრს მუშაობდა ჩემზე – დიდ იმედებს ამყარებდა და ბევრს ელოდებოდა ჩემგან. დავყავდი ცნობილი სამოდელო სახლების ქასთინგ-მენეჯერებთან შეხვედრაზე. „ჟივენშის“ სტილისტისგან ძალიან საინტერესო შეთავაზება მივიღე.

**– რა შემოგთავაზეს?**

– „ჟივენშის“ ქემფეინისთვის ამარჩიეს, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ასეთ სამუშაოზე ხომ ტოპ-მოდელების გარდა, არავინ ხვდება, თან, მე უნდა გავმხდარიყავი მათი ექსკლუზიური სახე. ამიტომ, არავის არ უნდა გავეცანი და არ გამოვჩენილიყავი სხვადასხვა სამუშაოზე. ფულს იმაში იხდიდნენ, რომ მე ვყოფილიყავი ახალი სახე, ამიტომაც ჩემს ბუქერს ქასთინგებზე არ დავყავდი და ცდილობდა, „ჟივენშისთვის“ შევენახე. მაგრამ, იმ დროს ეს ვერ დავაფასე, შანსი ხელიდან გავუშვი და გამოცდების გამო, წამოვედი. იმ ეტაპზე დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორად ვიქცეოდი, მაგრამ ახლა უკვე ვნანობ. ჩემი ბუქერიც გაბრაზდა, დღესაც მაქვს მასთან ურთიერთობა, მაგრამ სულ მახსენებს: შენ ის ხარ, რომელმაც კარგი შანსი ხელიდან გაუშვაო. იმედი მაქვს, ასეთი და ამაზე უკეთესი შანსი კიდევ გამოჩნდება ჩემს ცხოვრებაში. გარდა ამისა, ფიტ-მოდელად ვმუშაობდი „სელინთან“. როდესაც ახალი კოლექცია იქმნება, სჭირდებათ მოდელი, რომელზეც მუშაობენ და ამ შემთხვევაში, ვიყავი მე. ლონდონშიც გადამიყვანეს ერთი დღე, სადაც „სელინის“ თავისი ოფისი აქვს. მთავარი სტილისტი იმ დროს ლონდონში იმყოფებოდა და მისთვის უნდა ენახვებინათ რამდენიმე, უკვე დამზადებული მოდელი. გამიჭირდა მუშაობა, ძალიან რთული იყო. ყველა დეტალს ყურადღებას აქცევდნენ.

**– ამ ყველაფრისთვის, ალბათ, ფსიქოლოგიურად არ იყავი მზად.**

– ალბათ. თან, გამოცდილება არ მქონდა. იტალიაშიც, კერძოდ, რომში ვიყავი მოდის კვირეულზე, მაგრამ უპრობლემოდ ჩაიარა ყველაფერმა. რამდენიმე შოუზე გამოვედი, რამდენიმე დიზაინერის ჩვენებაც გავხსენი, ძალიან ლამაზი სანახაობა იყო. შემდეგ, როდესაც თბილისში ჩამოვედი, გადავწყვიტე „ელიტზე“ გამოვსულიყავი. როგორი კარგიც უნდა იყო, ძალიან რთულია, ევროპაში თავის დამკვიდრება. მაგრამ, როცა „ელიტის“ სახელით გამოდიხარ, უკვე აღმოჩენად მიიჩნევი და სხვა თვალით გიყურებენ, უფრო გაფასებენ. ამიტომაც ჩავები კონკურსში და გავიმარჯვე. ძალიან გამიხარდა. ნოემბერში ჩინეთში, „ელიტის“ ფინალზე მივდივართ მე და ლუკა. წელს ეს კონკურსი ტოპ-თხუთმეტეულს ავლენს და „ელიტი“ თხუთმეტივეს უფორმებს კონტრაქტს. ამიტომ, რაც შემეძლება, ყველაფერს გავაკეთებ.

**ლუკა ჯაჯვანი:** 16 წლის ვარ, სკოლაში დავდივარ. თათიასგან განსხვავებით, ამ სფეროში მცირე გამოცდილება მაქვს. თუმცა, მოდელობით სულ ვიყავი დაინტერესებული, მაგრამ მანამდე უფრო მეტად დიზაინის სფერო მომწონდა. ვხატავდი მოდელებს, ტანსაცმლის ესკიზებს ვაკეთებდი – ძირითადად, მამაკაცის სამოსის. ჩემს ალნაგობაზეც ხშირად აკეთებდნენ აქცენტს, ანუ მოდელის გარეგნობა გაქვსო. მეც ვცადე ბედი და გამიხარდა, რომ გავიმარჯვე. მუდმივად ვვარჯიშობ, ვცდილობ, კარგ ფორმაში ვიყო და ამანაც, აშკარად დიდი წვლილი შეიტანა ჩემს გამარჯვებაში.



**თათია: „და მეც ვამბობ – გენეტიკა. სიამოვნებით ვიშვილებ, კარგი ბიჭია“**

**თათია: „ფულს იმაში იხდიდნენ, რომ მე ვყოფილიყავი ახალი სახე. ამიტომაც, ჩემს ბუქერს ქასთინგებზე არ დავყავდი და ცდილობდა, „ჟივენშისთვის“ შევენახე“**

**– როგორც მოდელს, მანამდე გიმუშავია?**

– არა, არანაირი გამოცდილება არ მქონია ამ მხრივ. უბრალოდ, ფოტოების გადაღება მიყვარს, უფრო სამოყვარულო დონეზე. თუმცა, ამას დიდი გამოხმაურება მოჰყვა სოციალურ ქსელებში.

**– კონკურსზე გაიცანით ერთმანეთი?**

**თათია:** კონკურსზე გავიცანით, თუმცა, მერე უფრო დავმეგობრდით და მიხარია, რომ ასეა. ლუკა ძალიან კარგი ბიჭია: კომუნიკაბელური, გახსნილი, აქტიური, ჭკვიანი, მიზანდასახული და ვფიქრობ, წარმატებას მიაღწევს.

**– და თათია, როგორია?**

**ლუკა:** თათიაზე კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი. არაჩვეულებრივი გოგონაა. პუნქტუალურია, მიზანდასახული – საერთო თვისებები გვაქვს.

**თათია:** არ ვარ პუნქტუალური, ლუკა ყოველთვის სულ ადრე მოდის, მე კი ვაგვიანებ.

**ლუკა:** ჰოდა, ვავსებთ ერთმანეთს.

**თათია:** უცხოეთში მარტო ყოფნა ძალიან რთულია, მით უმეტეს, როცა ამდენი ქვეყნის წარმომადგენელი იქნება. ამიტომ მიხარია, მე და ლუკა ერთად რომ მივდივართ. იქ მე ვიქნები ლუკას ყველაზე დიდი გულშემატკივარი და ანალოგიურად – ლუკაც ჩემთვის. თუ რამეში დავჭირდები, აუცილებლად დავეხმარები.

**ლუკა:** ახლაც მიზიარებს თავის გამოცდილებას, რჩევებს მაძლევს და მეც, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებ. სხვისი აზრი აუცილებლად უნდა გაითვალისწინო, მით უმეტეს, თუ კომპეტენტურია.

**– როგორი გოგონები მოგწონს?**

– თათიასნაირები, ასაკს არ აქვს მნიშვნელობა. ხასიათშიც თათია ვიგულისხმე – პუნქტუალურობა, სხვებისთვის საკუთარი გამოცდილების გაზიარება და რჩევების მიცემა რომ შეუძლია. მიხარია, რომ კარგი მეგობრები ვართ.

**თათია:** თუ ჩინეთში ქალბატონ იას გარეშე მოგვიწევს წასვლა, რადგან ლუკა არასრულწლოვანია, ჩემს სახელზე მოუწევთ მინდობილობის გაკეთება. ამაზე ვხუმრობთ: დედა-შვილი ვართო.

**ლუკა:** თან, ერთმანეთს ხშირად გვამსგავსებენ.

**თათია:** და მეც ვამბობ – გენეტიკა. სიამოვნებით ვიშვილებ, კარგი ბიჭია.

**– თათია, შენ გყავს შეყვარებული?**

– კი, მყავს, თუმცა, არცთუ ისე დიდი ხანია. ყველაზე კარგი ადამიანია მთელ სამყაროში და ძალიან ბედნიერი ვარ ამ ურთიერთობით. ყველაზე მეტად მასში მომეწონა ცხოვრებისადმი დამოკიდებულება, მისი ცხოვრების წესი. საინტერესო ადამიანია. ყოველდღე რაღაც ახალს მასწავლის და უკეთესობისკენ მცვლის. ყველაფერში მხარს მიჭერს, ერთმანეთთან ახლოს არის ჩვენი შეხედულებები.

**ნათია უტიაშვილი**

# რატომ მოხდა დაპირისპირება ბიძაშვილ-მამიდაშვილებს შორის და როგორ გაიყვეს საქართველო დავით ულუმ და დავით ნარინმა

მონღოლებმა არ გააუქმეს ქართული სახელმწიფოებრიობა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადვილად შეეძლოთ, რადგან რუსუდან მეფის ხელისუფლება, ფაქტობრივად, არც კი არსებობდა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში; ხოლო ადგილობრივი გამგებლები კი, მეფის გვერდის ავლით ეყმნენ თათრებს. მონღოლებმა მოითხოვეს მეფესთან შეთანხმება, მისი ვასალობა, რაც გულისხმობდა მათ მიერ საქართველოს მეფის დამტკიცებას და სხვა, ვასალობისთვის დამახასიათებელ ვალდებულებებს. სამაგიეროდ, სახელმწიფოებრიობა შენარჩუნდებოდა.

1245 წელს რუსუდან მეფე გარდაიცვალა. მისი ვაჟი ურდოში იყო მეფედ დასამტკიცებლად. ამ პერიოდში ცოცხალი აღმოჩნდა ლაშა-გიორგის ძე და ისიც ყარაყორუმში გაემგზავრა მეფობის მისაღებად.



მონღოლებმა ორივე პრეტენდენტი დაამტკიცეს მეფედ, დავით რუსუდანის ძე და დავით ლაშას ძე.

რუსუდანის ძეს ეწოდება დავით მეექვსე, რადგან ის უფრო ადრე აკურთხეს მეფედ. ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო, როცა დედამისმა გადაწყვიტა, საბოლოოდ ჩაეგდო ხელში ტახტი, რომელიც ძმამ დროებით დაუტოვა. ამიტომ, თავისი ვაჟი თანამეფედ გამოაცხადა. ძმის, მეფე ლაშა-გიორგის ანდერძის თანახმად კი, რუსუდანს უნდა გაეზარდა ძმისშვილი და როცა სრულწლოვანებას მიაღწევდა, მისთვის დაეთმო ტახტი. საკუთარი გეგმის აღსრულებისთვის კი რუსუდანმა ძმისწული გააგზავნა იკონიაში, რუმის სასულთნოში, თავის სიძესთან, სულთან ყიასდინ ქეი ხუსრევ მეორესთან და ფარულად მისწერა, მოეკლა ლაშას ვაჟი. ყიასდინმა უფლისწული დააპატიმრა და საშინელ საპატიმროში ჩააგდებინა. ლაშას ძე გადარჩა. წლების შემდეგ დიდებულებმა შეიტყვეს, რომ ცოცხალი იყო, დააბრუნეს საქართველოში და მონღოლებს მისი გამეფება მოსთხოვეს.

მონღოლებს არც ერთი პრეტენდენტის განაწყენება არ უნდოდათ, თან, აწყობდათ კიდეც საქართველოს ხელისუფლების ორად გაყოფა და ორივე კანდიდატი მეფედ დაამტკიცეს. რადგან ლაშა-გიორგის ვაჟი უფროსი იყო და თან ლაშას ძე გახლდათ, მონღოლებმა უწოდეს ულუ, რაც უფროსს ნიშნავს მონღოლურად, ხოლო რუსუდანის ვაჟს უწოდეს ნარინი – უმცროსი.

ქართველები დიდი სიხარულით მიეგებნენ ყარაყორუმიდან დაბრუნებულ თავის მეფეებს. დავითი და დავითი მოვიდნენ ტფილისში და დასხდნენ სამეფო ტახტზე. მიუხედავად რუსუდანის მიერ ჩადენილი საქციელისა, ბიძაშვილ-მამიდაშვილებს ერთმანეთისადმი სიყვარული ჰქონდათ.

უმეტესი პატივი და ზედაჯდომა დავით ულუს ჰქონდა, რადგან უფროსი იყო და ლაშას ძე. ულუ იყო დიდი და ახოვანი, მსხვილი და მაგარი მოისარი, გულუბრყვილო, გულწრფელი და მალემრწმენი, ბოროტების შემნდობი. ცოტა ენას უკიდებდა, რაც 5-7 წლის განმავლობაში ხაროში პატიმრობამ და წამებამ დაუტოვა.

ნარინი იყო საშუალო სიმაღლის, ზომიერი ტანით და თხელი, თხელი თმით, ფეხმარდი, რჩეული მონადირე, ენატკბილი და საუბრის მოყვარული, უხვი და თავმდაბალი, კარგი ცხენოსანი, ლაშქრობის დროს სარდლების დამჯერე, სამართლიანი.

ქართველები ძალიან გაწვალდნენ ილხან ჰულაგუს დაუცხრომელ ომებში მონაწილეობის გამო. უამრავი ადამიანი იხოცებოდა მონღოლების ინტერესებისთვის. ნარინი არ ემორჩილებოდა თათრებს და აუჯანყდა კიდეც.

მონღოლთა დროინდელი უცნობი მემატიანის თქმით, ერთხელაც ჰულაგუ ყაენს საზაფხულო სადგომში ესტუმრა დავით ნარინი, ალბათ გამოიძახეს, რათა პასუხი მოეთხოვათ. მემატიანის თქმით, ილხან ჰულაგუს თურმე უფრო უყვარდა ლაშას ძე, რუსუდანის ძე კი სძულდა. ჰულაგუს ბრძანებით, შეიპყრეს დავით ნარინი და ჰულაგუს სხვა რეზიდენციაში, საზამთრო სადგომში, ბარდავში გააგზავნეს. ჩინგიზ ყაენის შვილიშვილს არ მოსწონდა დაუმორჩილებელი ნარინი.

როცა ნახჭევანში მივიდნენ, დავით მეფემ შეძლო გაქცევა ორ მხლებელთან, გურკლელ მახუნჯაგისძესთან და ბეგა სურამელთან ერთად. ბეშქენ გურკლელი და ბეგა სურამელი იყვნენ მისი თანაშეზრდილები და ერთგული თანამებრძოლები. ისინი 1243 წელს ყარაყორუმშიც ახლდნენ დავით რუსუდანის ძეს და რამდენიმე წელი დარჩნენ იქ. ბეშქენი სამეფო კარზე ამირეჯიბი გახდა. ბეგა სურამელს თათრები სალინბეგს უწოდებდნენ, რაც კარგ ბეგას ნიშნავს. მან მამის მსგავსად მიიღო ქართლის ერისთავობა და მსახურთუხუცესობა.

მეფე და მისი ორი დიდებული გაემგზავრნენ აფხაზეთისკენ, ქუთათისისკენ. ავაგ მხარგრძელი ათაბაგის საგამგებლოში, უბრალო ტანსაცმელში გადაცმული ნარინი და მისი ორი მხლებელი ნადირობისას იცნო 1177 წელს შერისხული ორბელების ერთმა შთამომავალმა, სუმბატ ორბელიანმა. ნარინმა აჩუქა დედამისის მიერ ურდოში გატანებული უძვირფასესი თვალი და სთხოვა, არ გაეთქვა ის. სუმბატ ორბელიანმა ნარინი და მისი მხლებლები გამოაცილა. მიაღწიეს თორს, სადაც ლიპარიტ თორელმა ისტუმრა დევის-ყურში.

**გამოარჩიეს თავადები და გაყვეს ორად. ტფილისი ორად, ქუთათისიც ორად. თავადები და ერისთავები გაათანასწორეს. ასე მოხდა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. გაყვეს სამეფო და გაყვეს ხაზინა**

ლიპარიტ თორელმა მისცა მეფეს შესაბამისი ტანსაცმელი, ცხენები და თან წაჰყვა ქუთათისში.

დასავლეთ საქართველოს დიდებულებმა რომ გაიგეს მისი ქუთაისში მისვლა, ეახლნენ დიდი სიხარულით და აფხაზთა, ანუ დასავლეთ საქართველოს მეფედ გამოაცხადეს ლიხის ქედამდე.

მონღოლები ვერ ბედავდნენ დასავლეთში გადასვლას.

ასე შეიქმნა საქართველო ორ სამთავროდ. თუმცა, მაინც ერთ სამეფოდ ითვლებოდა. მეფეები კი ერთმანეთისადმი კვლავ ძმური სიყვარულით იყვნენ განწყობილნი. აღმოსავლეთ საქართველო ულუს დარჩა, დასავლეთი კი ნარინს.

დავით ულუმ დიდი ქონება იშოვა მონღოლთა ლაშქრობებში და მშვიდად აცხოვრებდა სამეფოს, თუმცა მერე, მონღოლთა მიერ ქვეყნის აღწერისა და დიდი გადასახადების გამო, აუჯანყდა თათრებს, როგორც ცოტა ადრე მისი მამიდაშვილი, ნარინი.

1260 წელს, მას შემდეგ, რაც დავით ულუს აჯანყება, რომელსაც მეთაურობდა სარგის ჯაყელი, მონღოლებმა დაამარცხეს ქართველი დიდებულების დახმარებით, მეფე გადავიდა შავშეთსა და კლარჯეთში. მოიხმო თავისი ერთგული დიდებულები და ეთათბირა, რა ექნათ.

სარგის ჯაყელმა-ციხისჯვარელმა ურჩია: სამცხე პატარაა და მეფეთა სადგომად შეუფერებელი. გირჩევ, წახვიდე ლიხთ-იმერეთში რუსუდანის ძესთან, რადგან ეს სამეფო ორივეს თანაბრად გეკუთვნით. მე თავს გადავდებ შენთვის, მთელი ჩემი საქონელი და სამხედრო ნაწილები შენია, როგორც გინდა, გამოიყენე. თუ კარგად მიგიღებს დავითი, კარგია, თუ არა და აჰა ჩემი ქონება, ნუ დაზოგავ, მოვეთათბიროთ იმერელ თავადებს, გავცეთ საჩუქრები და ჩვენს მხარეს გადმოვიყვანოთო.

მოეწონა ეს აზრი ლაშას ძეს და გააგზავნა მოციქული რუსუდანის ძესთან, რათა მიეღო თათართაგან დევნილი. ნარინმა თანხმობა შემოუთვალა.

მივიდნენ ქუთათისში. მიეგება მამიდაშვილი ბიძაშვილს და მშვენიერი მასპინძლობა გაუწია. ასე გავიდა ერთი წელიწადი. კეთილად მასპინძლობდა ნარინი ულუს, მაგრამ გაუცხოებული იყვნენ უკვე.

დავით ულუს ხალხი მოეთათბირა, ასევე, რაჭის ერისთავ კახაბერ კახაბერისძეს, რომელიც დავით ულუს სიმამრი იყო, ქვეზულისძეებს, სარგის ფარაჯანიანს, რათა იმიერ საქართველოში ულუ გაემეფებინათ. დაიწყო განდგომილება, დაპირისპირება იმერეთში.

ზოგი ულუს მხარეს დადგა, ზოგი კი ნარინის მხარეს. ბედიან (ზედან) ჯუანშერის ძე დადიანი რუსუდანის ძეს მიემხრო. ბედიანი ყოფილა ძალიან კარგი პიროვნება, ზნეობრივი ადამიანი და უხვი, გონიერი. ისეთი წესრიგი ჰქონდა დამყარებული ოდიშში, ქურდობა და დანაშაული არ ხდებოდა. სვანები ორად გაიყვნენ.

თუმცა, შეტაკება არ მომხდარა და ერთმანეთს არაფერს ავნებდა ბიძაშვილ-მამიდაშვილი. არც ჯარს სურდა შეტაკება, არც მეფეები გასცემდნენ მეომრებისთვის საჩუქრებს ამ საქმესთან დაკავშირებით. იყო აშლილობა და შფოთი იმერეთ-აფხაზეთში.

სხვა გზა ველარ მოიძებნა და გადაწყვიტეს, მეფეებმა გაეყოთ სამეფო და სამეფო ხაზინა ორად.

გამოარჩიეს თავადები და გაყვეს ორად. ტფილისი ორად, ქუთათისიც ორად. თავადები და ერისთავები გაათანასწორეს. ასე მოხდა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. გაყვეს სამეფო და გაყვეს ხაზინა. მაგრამ, საიდუმლო საცავები თითქმის ხელუხლებლად დატოვეს.

თავიდან დავით ულუ ვერ აკონტროლებდა აღმოსავლეთ საქართველოს, მაგრამ მერე შეურიგდა მონღოლებს და გადმოვიდა ტფილისში, ნარინი კი ქუთათისში დარჩა.

ასე გაიყო დავით აღმაშენებლის მიერ გაერთიანებული დიდი სახელმწიფო ორად.

**გიორგი მახობეშვილი**

**ბორჯომში ქვაბისხევის ხეობაში, მაღალ მთაზე, პატარა ბაზილიკა დგას, რომელიც მერვე-მეცხრე საუკუნით თარიღდება. ამ სამლოცველოში ქართველი მეცნიერებისთვის მეტად საინტერესო ფრესკაა შემონახული, რომელზეც ახალგაზრდა ვაჟი და შუახნის ქალია გამოსახული. სამნავიანი ბაზილიკის კედელზე არსებული ფრესკა, სავარაუდოდ, მე-12 საუკუნისაა, ხოლო მასზე გამოსახულ პიროვნებებად კი, შოთა რუსთაველსა და დედამისს მოიაზრებენ. არსებული ფრესკის მიმართ ინტერესი და კვლევები ჯერ კიდევ ნიკო ბერძენიშვილმა დაიწყო. ცნობილმა მკვლევარმა და მწერალმა პეტრე ქორჩაკიძე-ჭალადიდელმა დაასაბუთა, რომ ფრესკაზე ნამდვილად შოთა რუსთაველი და დედამისი – იაა გამოსახული.**

# იყო თუ არა შოთა რუსთაველი გვარად ბაგრატიონი და ეწამებოდა თუ არა ის ცოტნე დადიანთან და კოხტასთავის ამბოხებულებთან ერთად

**– ბატონო პეტრე, რით მტკიცდება, რომ ფრესკაზე გამოსახული პიროვნებები შოთა რუსთაველი და დედამისია?**

– შოთა რუსთაველზე ძალიან მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება, ამიტომ ვერც ნიკო ბერძენიშვილმა და ვერც სხვა მეცნიერმა ვერ გაბედეს ზუსტად ეთქვათ, რომ ფრესკაზე შოთა და დედამისი – იაა გამოსახული. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამ საკითხზე მრავალი მკვლევარი მუშაობდა. არსებულ კითხვაზე პასუხს, თავად შოთა იძლევა „ვეფხისტყაოსანში", რომელიც ქართველთა სახარებაა.



შოთამ საოცარი ჰიპოსტასი შექმნა ქართველთათვის: სიყვარული, მეგობრობა და ერთგულება. მე-12 საუკუნეში გამოთქმული მისი აზრები, სავსებით არ არის განხორციელებული დღესაც და მთელი მოწინავე კაცობრიობის იდეალს წარმოადგენს. რაც შეეხება ასმათისა და ტარიელის შეხვედრის ადგილის აღწერილობას, ზუსტად ემთხვევა ის ქვაბისხევის სამნავიანი ბაზილიკის მიმდებარე ტერიტორიას – მდინარე, ტყე, ხედი, ორიგინალიდან შეიძლება ითქვას, ერთი-ერთშია გადმოტანილი ფურცელზე:

„დღისით ვლეს და საღამოს-ჟამ გამოუჩნდეს დიდნი კლდენი,

კლდეთა შიგან ქვაბნი იყვნეს, ძირსა წყალი ჩანდადენი.

წყლისა პირსა, არ ითქმოდა, შაბი იყო თუ რასდენი.

ხე დიდრონი, თვალ-უწვდომი, მაღლა კლდემდის ანაყრდენი."

იქვე ვკითხულობთ:

„რა ტყენი გავლნა მან ყმამან, მოსილმან ვეფხის ტყავითა,

ქვაბისა კარსა გამოდგა ქალი ჯუბითა შავითა".

აქ კი უკვე, გარდა ადგილის აღწერისა ასმათის ჩაცმულობასაც ვხვდებით...

გარდა ამისა, იმ პერიოდში წესი იყო ასეთი – დიდგვაროვანი, რომელიც ეკლესიას ააშენებდა, ან შესწირავდა რაიმეს, საკუთარ თავს მეუღლესთან და შვილებთან ერთად გამოსახავდა ტაძრის კედელზე. ამის ბევრი მაგალითი გვაქვს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. აღნიშნულ ფრესკაზე გამოსახულია ასაკოვანი ქალი და ახალგაზრდა კაცი, რომელსაც შოთა ჰქვია. სახელები – შოთა და ია თავად ფრესკაზეა მითითებული. ორივეს მდიდარი სამოსელი ამკობთ. ქალს მონაზვნის სამოსი აცვია, რაც გამორიცხავს მის გვერდით ქმრის არსებობას – მონაზონთან ერთად მეუღლეს არავინ გამოსახავდა. ახალგაზრდა ვაჟი შვილი უნდა იყოს ამ მანდილოსნის. როგორც ყველასთვის ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის" გმირებიდან, ტარიელი მოიაზრება შოთად, ხოლო ასმათის პერსონაჟი კი დედამისის – იას პროტოტიპია. ამ დროს შოთას მამა უკვე გარდაცვლილი ჰყავდა და იზრდებოდა დედულეთში, ჯაყელების მამულში, რომელთაც ეკუთვნოდათ არა მარტო ქვაბისხევის მონასტერი. „ვეფხისტყაოსანში" წერია, 15 წლის იყო ტარიელი, მამა რომ გარდაეცვალა. ერთი წლის შემდეგ კი მეფემ მამამისის თანამდებობა ამირბარობა შესთავაზა. ეს იგივე სახლთუხუცესობაა. მეფე იქვე დასძენს, რომ ტარიელი მისი გვარისაა. შესაბამისად, შოთა ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელია, ოღონდ ტაოს, ანუ უფრო სწორად მესხეთის ბაგრატიონია. აი, აქედან იღებს სათავეს რუსთაველის თითქოსდა „არმენული" წარმომავლობა.. სომხითი ანუ სომხეთი ქართლის სამხრეთ ნაწილია. ხოლო „არმენი"კი სულ სხვა ჯიშია (ეს ძალიან დიდი თემაა და სხვა დროს განვიხილავთ)... სომხითის მკვიდრი ისეთივე ქართველია, როგორიც იმერელი, მეგრელი და სხვა. შოთასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის მეფე გიორგი მეცამეტის ვაჟი, თეიმურაზ ბატონიშვილი: „ხოლო შოთა რუსთაველი იყო შობილივე რუსთავსა შინა, თუმცაღა წერილთა შინა, რომელთა მე მეხილვა და სიტყვისა მსმენოდა ნამდვილ ჭეშმარიტებით შოთა რუსთველისა, რომელი იგი იყო ადგილით ჰერეთით ქალაქით რუსთავით და ქალაქიცა იგი იყო სამთავროთ მისსა მიცემული, მეფისა თამრისასგან. გარნა აწ, ახლად ვიპოვეთ რა მოთხრობად საქართველოისა, აღწერილი ფარსადან გორგიჯანიძისა, მასშინა წერილ არს რუსუდან მეფისა, მოთხრობასა შინა შემდგომი ესე სიტყვანი: „მეფემან რუსუდან მოინება წარგზავნა თათართა თანა ძისა თვისისა დავითისა, და აღილო შანა და ფიცი მათგან უვნებოლობისა, ხოლო მოციქულად გაუგზავნნა თათართა მიმართ, მთავარნი თვისი დიდებულნი კაცნი შანშე და ავაქ და ვარამ გურიელი და ჰერეთის ერისთავი შოთა, რომელიც მელნის სეფობისათვის კუპრობით იხსენიების".



**ქალს მონაზვნის სამოსი აცვია, რაც გამორიცხავს მის გვერდით ქმრის არსებობას – მონაზონთან ერთად მეუღლეს არავინ გამოსახავდა**

**– კუპრი, შეიძლება ითქვას, რომ შოთა რუსთაველის მეტსახელი იყო?**

– დიახ, ამის შესახებაც უფლისწული თეიმურაზი გვამცნობს, როგორც უკვე აღვნიშნე. უფრო მეტსაც გეტყვით, შოთა რუსთაველი ცოტნე დადიანთან ერთად ეწამებოდა. როდესაც ცოტნე დადიანი კოხტასთავის ამბოხებულებთან მივიდა და თაფლი წაისვა, მის გვერდით ვარლამ გაგელთან, ყვარყვარე ჯაყელთან და სხვებთან ერთად შოთა კუპრიც იჯდა. თეიმურაზი წერს: „შოთა, რომელიც მელნის სეფობისათვის კუპრობით იხსენების. სეფე სხვათა და სხვათა დიდებულთა, გინდა მეფეთა, მთავართა, ნათესაობასა, გინდა ნივთსა რაისამე, შესაფერსა მათსა, სახელედების, ხოლო სეფობისათვის ამას ნიშნავს, ესე იგი დიდებულად გამოჩინებისათვის საქმისასა. კუპრობით იხსენიებს სიშავისათვის მელნისა, ვინაითგან რუსთავისა ქალაქისა მახლობლად არს წყაროი, ვითარცა მელანი გამომდინარე, რომელიცა იხმარების საწერადცა და მახლობელთა მათ ადგილთა იპოვებიან გამომდინარენი ვაკესა ადგილსა ზედა კუპრი მრავალი და ყოველსა ადგილსა შინა საქართველოისასა მუნით წარიღებენ ყოველთვის კუპრთა, სახმარად ტიკთა ღვინისათა." ეს ამონარიდი ნათლად ადასტურებს ყოველივე ზემოთქმულს. შოთას მამის მამული იყო ჰერეთი. ბავშვობაში იზრდებოდა ჯაყელებთან (ისტორიიდან ცნობილია ჯაყელთა და ბაგრატიონთა ურთიერთობა). თავად იყო ბაგრატოვანი, დედა კი ჯაყელი ჰყავდა. თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვების ჭეშმარიტებაში ეჭვი არ შეაქვთ ექვთიმე თაყაიშვილს, პავლე ინგოროყვას, მარი ბროსეს და ასევე მეც. ბატონიშვილის სიტყვას თუ არ ვენდეთ, სხვას ვის უნდა დავუჯეროთ.

**– განიხილება თუ არა სხვა ვარიანტი, რომლის მიხედვითაც შოთა რუსთაველის გარდა, სხვაც შეიძლება, მოიაზრებოდეს ფრესკაზე?**

– ნახეთ, რას გვაწვდის შოთას ქველობის შესახებ თეიმურაზ ბატონიშვილი: „შოთა რუსთაველმან დაუტევა სოფელი ესე და ყოველივე დიდება და შვება საწუთროსა ამის, და წარვიდა წმიდად იერუსალემად, და შევიდა მონასტერსა შინა... და განაახლა მონასტერი იგი შოთა რუსთაველმან, რამეთუ ფრიადნი სიმდიდრენი შესწირნა მონასტერსა მას და ქრისტეს საფლავსა და ყოველთა მათ თვითოეულად ქართველთა მონასტერთა, გინა სხუათა." ვფიქრობ, არ უნდა იყოს რთული მისახვედრი, რომ ქვაბისხევის მონასტრის მოხატულობა, რომელიც შემორჩენილია დღესაც, მისი ქველობის შედეგია. სწორედ ამიტომ არის შოთასა და დედამისის ფრესკაც ბაზილიკის კედელზე.

**ეთო ხურციძე**

**მაგდა ვასაძისა და „გუფი ლენდისთვის" ეს ზაფხული საკმაოდ დატვირთული და წარმატებული იყო. გარდა ამისა, მაგდას პირად ცხოვრებაშიც ძალიან კარგი სიახლეა. მან თავისი ცხოვრება ხელოვან გიორგი პაპკიაურს დაუკავშირა – ისინი ცოტა ხნის წინ დაინიშნენ და სამომავლოდ ჯვრისწერას, ლამაზი ქორწილის გადახდასაც გეგმავენ.**

# რის გამო „გააფრინა" მაგდა ვასაძეზე მისმა მომავალმა მეუღლემ და რას სთხოვს ის ცოლს ყველაზე ხშირად

**მაგდა ვასაძე:** როგორც იცით, „გუფი ლენდში" ვარ და ხშირად გვაქვს კორპორატიული საღამოები, ვმღერით სხვადასხვა კლუბში. მთელი აგვისტო გადავბარგდით ბათუმში. ვიქირავეთ დიდი სახლი და ყველანი ერთად ვცხოვრობდით. ყოველდღე ივენთები გვქონდა. ბოლოს ვამბობდი: ალბათ, გამომიმუშავდა იმუნიტეტი და აღარ ვარ ცუდად-მეთქი. შარშან ისე დავიღალე, რომ ბოლოს სასიმღერო ხმაც არ მქონდა, თან გავცივდი, მაგრამ წელს გადავრჩი. თბილისში დაბრუნებულებსაც ბევრი ივენთი დაგვხვდა და ვაგრძელებთ საქმიანობას.

**– ბიჭების მხრიდან ხელშეწყობა გექნება.**

– ყოველთვის. სულ ამბობენ: ჩვენ ვართ ფიფქია და შვიდი ჯუჯაო. ანუ ისინი შვიდნი არიან და მე – ერთი. შესაბამისად ჩვენს ჯგუფს მეორე სახელი აქვს: „ფიფქია და შვიდი ჯუჯა".

**– ბოროტი დედინაცვალიც ხომ არ გყავთ?**

– დედინაცვალი არა, მაგრამ გვყავს მამა, დავით გაგუა, რომელიც ჩვენი ბენდის მენეჯერია და განაგებს ყველაფერს. თვითონ გვეუბნება: ახლა ეს ჩაიცვით, ახლა ეს უნდა გავაკეთოთ, ახლა აქ უნდა წავიდეთ... უი, დღეს ვიქეიფოთ? ასე უცბად იღებს გადაწყვეტილებებს. ყოფილა შემთხვევა: ვიცი, დღეს ვისვენებ – ცივი ყავა, შვილი, დედაჩემს ვეჭორავები, მოკლედ სრული იდილია მაქვს და უცებ მირეკავს გაგუა: მაგდა, ჩქარა, საღამოს ივენთი გვაქვს. ეს არის ჩვენი მამინაცვალი.

**– რა იყო შენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი?**

– სულ ვფიქრობდი, რაღაცას აუცილებლად უნდა მივაღწიო-მეთქი. როდესაც გავთხოვდი, წინ გავიხედე, ვფიქრობდი, საით შეიძლება წავიდე-მეთქი. ქვეცნობიერად სულ მქონდა ის მომენტი: მაინც წავალ წინ! გავიდა რაღაც პერიოდი, ეტაპები და ჩემი ცხოვრება 180 გრადუსით ამოტრიალდა, თან, კარგისკენ. რა თქმა უნდა, ამაში „ვოისი" დამეხმარა და საზოგადოებამ ძალიან კარგად მიმიღო. როდესაც გავთხოვდი, მაშინ 19 წლის ვიყავი და ბევრ რამეზე არ ვფიქრობდი – მიყვარდა და მეტი არაფერი მაინტერესებდა. ახლა, მეორედ რომ გავთხოვდი, უკვე ვიცი, რატომ ვდგამ ამ ნაბიჯს. მაგრამ, მაშინ ვერაფერს ვხვდებოდი, რაღაცეებზე კი ვფიქრობდი, მაგრამ, როგორც ამბობენ: სიყვარულს ჭკუა არ აქვსო. ახლა 9 წლის შვილი მყავს – ლუკა, რომელიც ცხოვრებაში ყველაზე დიდი განძია.

**– ცოტა ხნის წინ გათხოვდი, გილოცავ!**

– მე და გიორგი პაპკიაური თავიდან მეგობრები ვიყავით. ისიც მღერის, ხატავს, გადასარევი კულინარია, სასწაული. ამიტომ მეშინია, არ მოვიმატო წონაში და ამასთან დაკავშირებით, ცოტა ვნერვიულობ. თუმცა, მეუბნება: მე დიეტურებიც ვიცი, მაგდაო. ვცდილობ, თავად მოვუმზადო კერძები. მოკლედ, მესამე წელია, რაც ვიცნობთ ერთმანეთს. თავიდან „ვოისში" მნახა და ჩემს მეგობარს უთხრა: გამაცანიო. მეც გავიცანი და მას შემდეგ ვმეგობრობდით. ჯერ დამიმეგობრა, მერე კი ვითომ შემომაპარა ეს ყველაფერი. ერთი პერიოდი საერთოდ აღარ ვეკონტაქტებოდი, თან, ბათუმში ვიყავი, რეპეტიციები მქონდა, ჩემს სტიქიაში ვიყავი.



მერე იქ ჩამოვიდა, შევხვდით, ვისაუბრეთ, მითხრა: მიყვარხარ, სხვანაირად არ შემიძლიაო. ჩემი პასუხიც დადებითი იყო. მიყვარხარო, ცოტა ზედმეტი ნათქვამი იყო, მაგრამ ერთმანეთის მიმართ ორივეს დიდი სიმპათიები გვქონდა და ეს არც დაგვიმალავს. არცერთი არ ვართ პატარები, ის 30 წლის არის და მე – 29-ის. არ ვართ იმ ასაკში, ერთმანეთს რაღაცეები ვუმალოთ.

**– ამ ურთიერთობის დამალვა მოახერხეთ.**

– არ დაგვიმალავს, უბრალოდ, არ მიგვიქცევია ამისთვის დიდი ყურადღება. ერთად კარგად ვგრძნობდით თავს და „სიყვარულსა მალვა უნდაო" – შეიძლება, ესეც კარგი ფრაზაა, ამასაც ვფიქრობდით. ფოტოებს კი ვდებდით, მაგრამ ბევრი ვერ ხვდებოდა: მეგობრები ვიყავით თუ რა ხდებოდა. მერე, რომ დავწერეთ: „დავინიშნეთ", უკვე ყველასთვის ცხადი გახდა. ბევრი საერთო ინტერესი გვაქვს. თუნდაც ის, რომ გიორგიც მღერის. პირველად რინგზე მომისმინა და ამაზე საერთოდ გააფრინა: შენ ვინ ხარო. ამის მერე ჩემმა შემოქმედებამ გაიტაცა. სულ ამბობდა: მიყვარს დინჯი ქალებიო, მაგრამ ახლა ვიზუალზე არ მეჩხუბება, რომ დინჯი ვარ. მაშინ სხვანაირი ვიყავი, რეპერტუარიც, იმიჯიც სხვანაირი მქონდა. მისთვის მთავარია, მე ვიყო კარგად და წარმატებული.

**– ქალებს ხშირად უჭირთ მეორედ გათხოვების გადაწყვეტილების მიღება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შვილი ჰყავთ.**

– თავიდან, 4 წელი არაფერზე მიფიქრია. მხოლოდ სამსახური, შვილი, ოჯახი, დედა, მამა – ასე მერჩივნა. ხან ერთი მეპრანჭებოდა, ხან – მეორე, არავის თავი არ მაქვს, არ შემიძლია-მეთქი, ვამბობდი. მაგრამ გამოჩნდა ადამიანი და მივხვდი, რომ შემეძლო მეფიქრა მასზე და მასთან ერთად, სამომავლო გეგმების განხორციელებაზე.

**– ჯუჯებზე არ ეჭვიანობს?**

– არა. მე ხან ბათუმში ვარ, ხან – ზესტაფონში, ხან – თბილისში, ხან – ერევანში. გიორგი ამ ყველაფერს ჩვეულებრივ იღებს, ეს ჩემი სამსახურია. თვითონ, ძირითადად, ხატვით არის დაკავებული. რამდენიმე გამოფენა ჰქონდა, მათ შორის, ახლახან – 11 სექტემბერს. თავისი საინტერესო ხედვა აქვს, ძირითადად აბსტრაქციაზე მუშაობს, ლამაზ რაღაცეებს ქმნის. მე ვეხუმრები „ყველაფერჩიკი" ხარ-მეთქი. ჩემი ჯუჯები მეუბნებიან: რა არ შეუძლია გიორგის, ეგ მღვდელი ვერ იქნებოდაო. მღვდელი არა, მაგრამ სტიქაროსანი იყო-მეთქი.

**– შენი ახალი იმიჯი მოსწონს?**

– გიორგის ძალიან უყვარს ქალი ქუსლებზე, გრძელი ფრჩხილებით, გრძელი თმით და ასე შემდეგ. გრძელი ფრჩხილები კი მაქვს, მაგრამ თმაზე რა გითხრა. ბევრი ივენთი რომ გვაქვს, ქუსლებზე ფეხები მელლება, ცუდად ვხდები, არ შემიძლია მაღლებზე დგომა. გიორგი კი სულ მეხვეწება: მაგდა, ქუსლიანები ჩაიცვი. თმაზე, თავიდან რომ შემომხედა, მითხრა: არ დამენახოო. მერე შეეგუა და მეუბნება: მთავარია, შენ მოგწონსო. თუმცა, გრძელი თმა მოსწონს, სასწაული გართულება აქვს. მაგრამ, მეუბნება, რომ სცენას სჭირდება, ამიტომ რაც გინდა, ის უქენიო.

**– რა ვითარებაში გთხოვა ხელი?**

– ჩემი ოჯახის წევრები იცნობდნენ, სახლში იყო ჩემთან, როცა ვმეგობრობდით. მაშინ მხოლოდ მეგობრები ვიყავით. ახლა, როცა ჩვენი ურთიერთობა სხვა ეტაპზე გადავიდა და გაგრძელდა, გადავწყვიტე, ჩემი მშობლებისთვის გამეცნო. ამიტომაც წავედით ქობულეთში ჩემს

## მე ვეხუმრები – „ყველაფერჩიკი" ხარ-მეთქი

მშობლებთან, ჩემი და და ბავშვი იყო და იქ მთხოვა ხელი.

**– ბავშვმაც, ალბათ, ძალიან კარგად მიიღო.**

– გიორგის ძალიან უყვარს ბავშვები და ისინიც გრძნობენ ამას. ამიტომ ურთიერთობა არ გაჭირვებიათ – დასხდებოდნენ და საუბრობდნენ. მეც ლუკას პირდაპირ ვუთხარი ყველაფერი და ის, რომ მისი აზრი მაინტერესებდა. ისეთი რამ მითხრა, აღფრთოვანებული დავრჩი: დედა, ჩემთვის მთავარია, შენ იღიმებოდე და იყო ბედნიერიო.

**– რამეზე კამათობთ შენ და გიორგი?**

– ძირითადად, ერთმანეთს ვეკაიფებით. იყო შემთხვევები, როდესაც ერთმანეთს დავცხებდით: ვსიო, არ გელაპარაკები – ესეც ელემენტალურის გამო. ახლა ისეთ მსუყე ფაზაში შევედით, რომ ეს ყველაფერი დალაგდა.

**ნათია უტიაშვილი**

**16 წლის გიგი ადამაშვილმა უკრაინულ „X ფაქტორში“ არა მხოლოდ ჟიური, მაყურებელიც მოხიბლა. მისმა ლამაზმა, ემოციურმა ნამღერმა არავინ დატოვა გულგრილი. ნინო ქათამაძეს თვალზე ცრემლი მოადგა, ხოლო „ბუმბოქსის“ სოლისტი სცენაზე ავიდა და ნიჭიერ მომღერალს გადაეხვია. თუმცა, ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. სოციალურ ქსელში გიგის ნამღერმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა: თითქმის ყველა აზიარებდა მის ვიდეოს და გიგის შესახებ კომპლიმენტებსა და შეფასებებს თავად მომღერლებიც წერდნენ თავიანთ გვერდებზე.**

# როგორ აატირა უკრაინულ „X ფაქტორზე“ 16 წლის გიგი ადამაშვილმა ნინო ქათამაძე და რატომ აქვს მას ბავშვობიდან „გატრანსული“

**გიგი ადამაშვილი:** 11 წლის ვიყავი, როდესაც გიტარაზე დაკვრა დავიწყე. 12 წლისამ აღმოვაჩინე, რომ თურმე, ვმღეროდი. ბავშვობაში კი ვატარებდი კონცერტებს გიტარითა და სარეცხის ჯოხით, რომელიც მიკროფონის მაგივრობას მიწევდა, მაგრამ სიმღერა სერიოზულ ფაზაში მოგვიანებით გადავიდა. ნელნელა ყველაფერი კარგად მიდის. თავიდან დედამ მასწავლა აკორდები, მერე ვოკალის პედაგოგმა მითხრა: კარგი ხმა გაქვს, დამუშავება სჭირდებაო. მივედი პედაგოგთან და დავდივარ დღემდე. ყველამ ჩემ ირგვლივ, მათ შორის სკოლაშიც, იციან, რომ ჩემთვის პირველია მუსიკა და მერე სხვა დანარჩენი. მუსიკოსი ვარ თავიდან ბოლომდე, სკოლის დამთავრების შემდეგ არსად არ ვაპირებ გამოცდების ჩაბარებას. უცხოეთში უნდა წავიდე და როგორც მუსიკოსმა, ისე გავაგრძელო სწავლა. ახლა პიანინოზე დაკვრასაც ვსწავლობ, ჰარმონიკაზეც მინდა ვისწავლო დაკვრა. ლამაზია, თან ეფექტური.

**– ქუჩა, ჩხუბი და ასეთი ამბებიც არის შენს ცხოვრებაში?**

– როგორ არა. თავისთავად ხდება ყველაფერი, თუმცა სერიოზული – არაფერი. თუ ქაჯი არ ვარ და სხვაც ქაჯი არ არის, შესაძლებელია, ერთმანეთთან დალაპარაკება. კომუნიკაბელური და აქტიური ვარ, თუმცა ზოგჯერ ზარმაციც, მაგრამ „შუსტრი“. არასასურველი სიტუაციებიდანაც მარტივად გამოვდივარ.

**– სხვა კონკურსებშიც მიგიღია მონაწილეობა?**

– ბავშვების „ახალ ხმაში“ გამოვედიოდი. მაშინ 14 წლის ვიყავი და ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე როგორც მუსიკალური, ასევე ცხოვრებისეული. მაშინ ეკა კახიანის გუნდში ვიყავი, რინგი მოვიგე, მაგრამ ნახევარფინალიდან გამოვვარდი. ამის გამო ცოტა შოკში ვიყავი, ვიცინოდი ჩემთვის: 2 თვეზე მეტია, ერთ რეჟიმში ხარ და უცებ არაფერი აღარ ხდება, საშინელებაა.

**– ალბათ, ოჯახიდანაც გაქვს ხელშეწყობა.**

– 100-პროცენტიანი. დედა მღერის, უკრავს, მაგრამ სამოყვარულო დონეზე. აი, მამა და ჩემი ძმა რა შუაში არიან სიმღერასთან – არ ვიცი. ძმა ჩემზე უფროსია, ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს, იშვიათად ვჩხუბობთ. თავიდანვე „გატრანსული“ მქონდა, ამიტომ დიდებთან ურთიერთობა ძალიან მომწონდა. ჩემი ასაკის ხალხთან ვერ ვურთიერთობ, უფრო – უფროსებთან. მთელი დღე სახლში ვიჯექი და ის რომ სადღაც მიდიოდა, მეც სულ მაინტერესებდა, მაგრამ არსად დავყავდი.

**– რატომ გადაწყვიტე უკრაინულ „X ფაქტორში“ მონაწილეობა?**

– ჩემთვის ვიჯექი სახლში და უცებ გავიგე, რომ ტარდება თბილისში უკრაინული „X ფაქტორის“ ქასთინგი. ნინო ქათამაძე უნდა ყოფილიყო ჟიურიში, გარდა ამისა, უცხო ქვეყანაა და შეიძლებოდა, ბევრი რამ გამეკეთებინა. ამიტომ გავედი ქასთინგზე, მოვეწონე და დამირეკეს. უკრაინაში რომ ჩავედი – „ია გრუზინ“. მარტო წავედი, თუმცა ჩემი ორი მეგობარი გიორგი ჩიქოვანი და ქეთი კვიცარიძეც მონაწილეობდნენ. სულ ერთად ვიყავით მთელი დღის განმავლობაში. ქასთინგი დილის 8 საათზე დაიწყო და საღამოს 9-ზე დამთავრდა. სამივე გადავედით მომდევნო ტურში, სამივეს წარმატებული გამოსვლა გვქონდა.

**– ძალიან დიდი ემოციები მოჰყვა შენს გამოსვლას.**

– არ მეგონა ასეთი ემოციები თუ მოჰყვებოდა. ძალიან მოეწონათ და გამიხარდა. ჟიურის ერთ-ერთი წევრის შეფასება – თავი კონცერტზე მგონიაო, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ადამიანი თავის პრობლემებს მოაშორო და სხვა სამყაროში გაიყვანო, ეს მხოლოდ ნამდვილ მუსიკოსებს შეუძლიათ – ამიტომ ეს ჩემთვის დიდი კომპლიმენტი იყო. თან, ისეთი დონის მომღერალს, როგორიც ნინო ქათამაძეა, შენს ნამღერზე რომ ეტირება, ესე იგი, რაღაცას წარმოადგენ. ნინო ძალიან კარგია და საყვარელი. ყველა ქართველს ედგა მხარში, უბრალოდ, ჩვენ მიმართ ცოტა უფრო მომთხოვნი იყო.

**– როგორი რეაქცია გაქვს, როდესაც შენს შესრულებას უყურებ?**

– ყველა ნოტს ვიჭერ – სად რა გავმაზე. თუმცა, ეს შესრულება ძალიან მომწონს. ღამე ჩემთვის ყურსასმენები გავიკეთე და ვუსმენდი, თითქოს უცხო მღეროდა. რომ მივხვდი, ცოტა თვალები ამემღვრა, ვთქვი: „ყოჩაღ, გიგი”... – საკუთარ თავს ტაში დავუკარი. საკმაოდ რთული გრაფიკი გვქონდა, სამი ძალიან რთული ტური უნდა გაგვევლო. წარმოიდგინეთ, ღამის 4 საათზე გვეუბნებიან: შენ ეს სიმღერა უნდა იმღერო და დილის 7-ის ნახევარზე უკვე მზად უნდა გქონდეს, უნდა იჯდე ავტობუსში, ანუ ბევრი რამ. სამი დღის განმავლობაში თითო საათი ვიმღერე. მაგრამ დიდი გამოცდილება მივიღე. უფრო მშვიდი, თავდაჯერებული გავხდი. რადგან ძალიან მაგარ ტიპებს მოსწონთ შენი ნამღერი, გამოდის, მაგარ „ხოდში“ ხარ.



**მაგათთვის არ მეცალა, თუმცა თავს ვიმხნევებდი: საქმეზე ხარ, საქმეზე, მიდი, გამაგრდი, არავითარი ქალები!**

**– უკრაინელი გოგონები მოგეწონა?**

– უკრაინელი გოგონები ლამაზები არიანო – ეს ყოფილა მითი. არანაირი ლამაზი გოგონები იქ არ არიან. ყველას აქვს გრძელი ფეხები, მაგრამ სახეზე საშინელებები არიან. მეიქაფს არ ხმარობენ. თუმცა, 13 წლის გოგონას ჩემი სიმაღლე ფეხი აქვს. მაგრამ ქართველი ქალები – ვაიმე, ყველა ჯობიან. თან, მაგათთვის არ მეცალა, თუმცა, თავს ვიმხნევებდი: საქმეზე ხარ, საქმეზე... მიდი, გამაგრდი, არავითარი ქალები.

**– ისე, როგორი გოგონები მოგწონს?**

– დახვეწილი. ქალის მთავარი ღირსება დახვეწილი იყო – საუბრის მანერა, ქცევა, ბევრი რამ მნიშვნელოვანია. მხოლოდ ფიტული არავის სჭირდება. პირველ ეტაპზე, რა თქმა უნდა, გარეგნობას მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თუ პირს დააღებს და სისულელეს იტყვის... ზოგადად, ყველაფერი ბუნებრივად ხდება, როდესაც მიხვდები ის „ის“ არის, შენ „შენ“ ხარ, მასთან ურთიერთობისას ჰარმონიას დაიჭერ – სხვა გრძნობაა.

**– რას გააკეთებ, როცა გოგონა მოგეწონება?**

– არაფერი არ არის საჭირო. უბრალოდ, ვუყურებ და ჩვეულებრივად ხდება ყველაფერი. მაგრამ, იშვიათად მომწონს, ძალიან კრიტიკული ვარ.

**– ერთ დილით გაიღვიძე და აღმოჩნდა, რომ ძალიან პოპულარული ხარ. როგორი იყო შენი რეაქცია?**

– ძალიან მომწონს. დილის 6 საათამდე კომპიუტერთან ვზივარ და ხალხს პასუხს ვცემ. სიმართლე გითხრათ, ჩემი ვიდეოს შემდეგ, ძირითადად, ახლობლებისგან ველოდებოდი შეფასებებს. უცბად კი, ყველა საიტი აზიარებს, ჟურნალისტები მირეკავენ, ცოტა შოკში ვიყავი, დამამშვიდებლებს ვსვამდი. სერიოზულმა მუსიკოსებმა გააზიარეს: სტეფანემ, მაია კაჭკაჭიშვილმა, ეკა კახიანმა, ნატო დუმბაძემ, ვერიკო ტურაშვილმა, მაგდა ვასაძემ, ანრი ჯოხაძემ პირადშიც მომწერა. ბოლოს ნინო ქათამაძემაც რომ დაწერა: მეც ძალიან მომწონსო – გამიხარდა. ნინო ქათამაძე რომ მოიცლის, ნახავს და დაწერს ამას – ეს „უჟე“ კარგია. დიდი მადლობა, რომ მათ ასე გამოხატეს თავიანთი შეფასებები.

**– სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?**

– უპირველეს ყოვლისა, ვმონაწილეობ „ჯიდიესის“ ახალ პროექტში „გახდი ვარსკვლავი“. დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგი გამოვა. სკოლას რომ დავამთავრებ, მერე უკვე სასწავლებლად წავალ.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**ბაირონი**: თავისუფლება ყველას სურს; განსხვავება ისაა, რომ სამართლიანს ის ყველასთვის სურს, უსამართლოს კი – მხოლოდ საკუთარი თავისთვის.

**ვოლტერი**: თავისუფლება მხოლოდ კანონებზე დამოკიდებულებას ნიშნავს.

**კომენსკი**: კარგი ბუნების ადამიანებს განათლება ესაჭიროებათ იმისთვის, რომ დავიცვათ ისინი გახრწნილებისგან; განათლება საჭიროა გახრწნილთათვისაც, რომ გამოვასწოროთ მათი ბუნებრივი ნაკლოვანებანი.

**ბალზაკი**: მიზნამდე რომ მიაღწიო, აუცილებელია იარო.

**რენანი**: მსოფლიოს მიზანია, რომ გონებამ იმეფოს.

**ჰელვეციუსი**: გაკვირვებას წუთიც ჰყოფნის, გასაკვირის შექმნას კი წლები სჭირდება.

**კონსტანტინე**: ყოველი დროის ცილისმწამებლებს კარგად სცოდნიათ, რომ ადამიანის უსასტიკესად დასჯა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მას სწორედ იმაში დასდებენ ბრალს, რის წინააღმდეგაც თავად იბრძვის.

**გოეთე**: შენს ნაკლს მხოლოდ საკუთარი თვალებით დაინახავ.

**ჰაინე**: სიხარბიდან გაცემამდე ერთი ნაბიჯია.

**მონტესკიე**: იმაზე დასანანი არაფერია, როცა ხედავ, თუ როგორ კვდება წარმატებით ნათქვამი სიტყვა სულელის ყურში.

**პასკალი**: ადამიანს, ჩვეულებრივ, ის აზრი უფრო არწმუნებს, რომელიც მას მოსდის თავში, ვიდრე ის, რომელიც სხვის თავში იბადება.

**ლაროშფუკო**: ბედნიერი ადამიანები გამოუსწორებელნი არიან: ბედი არ სჯის მათ ჩადენილი ცოდვების გამო და ამიტომაც უცოდველი ჰგონიათ თავი.

**ჭაბუა ამირეჯიბი**: ავკაცობას ჭკუა კი არა, უნამუსობა უნდა.

**დოსტოევსკი**: რა უნდა ვქნა მე, როცა დანამდვილებით ვიცი, რომ ძირითად ადამიანურ კეთილ ქმედებებს ულრმესი ეგოიზმი უდევს საფუძვლად?! გიყვარდეს საკუთარი თავი – აი, ერთი წესი, რომელსაც მე ვაღიარებ. ცხოვრება კომერციული გარიგებაა.

**ჩერნიშევსკი**: მლიქვნელობენ იმ მიზნით, რომ მორჩილების ნიღბით იბატონონ.

**განდი**: სიყვარული არასდროს ითხოვს, ის ყოველთვის გასცემს.

**პეტრარკა**: საკუთარი სიყვარულის სრულად გადმოცემა შეუძლია მას, ვისაც სუსტად უყვარს.

**ნიცშე**: ქალზე მხოლოდ მამაკაცებმა უნდა ისაუბრონ.

**ჰოუპი**: ქალის ბუნების არსია სურვილი, რომ მოგვეწონოს და სურვილი, რომ გვიბრძანოს; ეს მეორე – პირველის მიზანია.

# თუ გამოიცნობთ

1. 1863 წელს ლონდონში გაიხსნა პირველი მეტრო, რომელსაც სახელი იმ ქუჩის მიხედვით დაერქვა, რომელიც მომავალში მსოფლიოს გააცნო ოთხი წლის შემდეგ ედინბურგში დაბადებულმა მწერალმა. **დაასახელეთ, რა დაარქვეს მეტროს.**

2. SUBARU-ს ფირმის ერთ-ერთ ავტომობილს მისმა შემქმნელებმა VIVIO დაარქვეს, რაც ლათინურად „სიცოცხლეს" ნიშნავს, თუმცა, თუ კარგად დააკვირდებით მათ მინიშნება მისი ცილინდრის მოცულობაზეც ჩადეს. **დაასახელეთ ეს რიცხვი.**

3. 1878 წელს პეტერბურგში ბინის გასანათებლად ეგრეთ წოდებული იაბლოჩკოვის „ელექტრონული სანთელი" გამოჩნდა. **დაასახელეთ გვარი, ვის ბინაშიც ის პირველად აინთო.**

4. შუა საუკუნეებში სურნელ-სანელებლებს ოქროს ფასი ედო, ალბათ, სწორედ ამიტომ, მეჩვიდმეტე საუკუნეში, როდესაც ჰოლანდიელებმა მოლუკსის კუნძულები დაიპყრეს, მიხაკის მოპოვებასა და წარმოებაზე მონოპოლიის შენარჩუნება მოინდომეს. **რა გააკეთეს მათ ამისთვის?**

5. ცნობილია, რომ ყველაფერ ახალს, უცნობსა და რთულს ადამიანი უკავშირებს, ადარებს, ამსგავსებს მანამდე მისთვის ცნობილს. როდესაც აფრიკაში პირველად გამოჩნდა ტანკი, ადგილობრივებმა მას „ფარუ" შეარქვეს, რაც იმ აფრიკული ტომის ენაზე ერთ-ერთ ცხოველს ნიშნავს. **რომელს?**

6. მისი სრული სახელია „სომბრერო დე პახა ტოკილი", რაც ქართულად ნიშნავს – „ქუდი ტოკილას ლერწმისგან". **რა სახელით ვიცნობთ მას ჩვენ?**

7. 1388 წელს ინგლისში გამოვიდა პარლამენტის ბრძანებულება, რითაც საგრძნობლად უმჯობესდებოდა სტუდენტთა მდგომარეობა მატერიალური კუთხით, თუმცა ეს არასასიამოვნო სიახლე იყო არა მარტო შეძლებულთათვის, არამედ ღარიბებისთვისაც. **რას შეეხებოდა ეს ბრძანებულება?**

8. როგორც ამბობენ, მამა ბართლომეს ძალიან შეეცოდა ინდიელები, რომლებიც გატანჯულნი იყვნენ ანტილიის ოქროს საბადოების ჯოჯოხეთში გაუსაძლისი მუშაობით და 1515 წელს მან საფრანგეთის მეფეს, კარლოს მეხუთეს, ამის გამოსასწორებლად იდეა შესთავაზა. **რა იდეა?**

9. შუა საუკუნეებში ინგლისში საინტერესო ტრადიცია არსებობდა პატარძლის შესამოწმებლად: ეკლესიაში იდგა თავდახურული ზანდუკი. მასთან მიდიოდა პატარძალი და ცდილობდა, გაეკეთებინა ის, რითაც ყველას აჩვენებდა, რომ ის ოჯახური საქმიანობისთვის მზად იყო. თუ ეს ცდა წარუმატებელი აღმოჩნდებოდა, სასიძოს უფლება ჰქონდა, ჩაეშალა ქორწინება. **რა უნდა გაეკეთებინა პატარძალს?**

10. **რისი უფლება მისცა** მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ებრაელებს ავსტრია-უნგრეთის იმპერიის მთავრობამ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის მთლიანი და სწრაფი ადაპტაციისთვის?

***პასუხები იხილეთ 47-ე გვერდზე***

# რა მოხდა ამ დღეს

**14 სექტემბერი**

1812 – ნაპოლეონის ჯარები შევიდნენ მოსკოვში. იმავე დღეს რუსებმა ცეცხლს მისცეს თავიანთი დედაქალაქი.

1886 – ჯორჯ ანდერსონმა დააპატენტა საბეჭდი მანქანის ლენტი.

**15 სექტემბერი**

1830 – გაიხსნა მსოფლიოში პირველი სარკინიგზო ხაზი – სტოკტონი–დარლინგტონი.

1928 – ინგლისელმა მეცნიერმა ალექსანდრ ფლემინგმა ობის სოკოსგან გამოყო პენიცილინი.

1935 – ებრაელებს ჩამოართვეს გერმანიის მოქალაქეობა.

**16 სექტემბერი**

1908 – დაარსდა კორპორაცია General Motors.

1955 – სამხედრო ბალისტიკური რაკეტის პირველი წარმატებული გამოცდა.

**17 სექტემბერი**

1922 – ბერლინში გაიმართა პირველი ხმოვანი ფილმის ჩვენება.

1953 – გაკეთდა სიამის ტყუპების გაყოფის პირველი წარმატებული ოპერაცია.

**18 სექტემბერი**

1851 – გამოვიდა გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის" პირველი ნომერი.

1932 – სახელმწიფო ჰიჯაზს ეწოდა საუდის არაბეთი.

**19 სექტემბერი**

1783 – ძმებმა მონგოლფიერებმა გაუშვეს პირველი საჰაერო ბურთი, რომლის მგზავრი იყო ცხვარი.

1893 – ახალი ზელანდია გახდა პირველი სახელმწიფო, სადაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ ქალებს.

1939 – საბჭოთა არმიამ მოახდინა ლიტვის ოკუპაცია.

1946 – უინსტონ ჩერჩილი გამოვიდა ევროსაბჭოს შექმნის ინიციატივით.

1957 – ნევადას პოლიგონზე განხორციელდა პირველი მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება.

**20 სექტემბერი**

622 – ჰიჯრა (წინასწარმეტყველ მუჰამედის გაქცევა მექიდან მედინაში) – მუსლიმანური წელთაღრიცხვის დასაწყისი.

1519 – დაიწყო ფერნანდო მაგელანის მოგზაურობა დედამიწის გარშემო.

# შამათი ორ სვლაში




**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**

**1. e8=კ მფe6 2. ლe5≠**



**ზალიკო სულაკაურის ანეკდოტები**

სვანი სახლს ყიდის. წაიყვანა კლიენტები სახლის სანახავად. იარა, იარა და ვერ მიაგნო. ბოლოს დაფიქრდა და დარწმუნებულმა ჩაილაპარაკა:

– ეტყობა, ჩემმა ძმამ გაყიდა უკვე!

***

ტიპი ისეთი მახინჯი იყო, ჯოკერში „დამაც" არ მოსდიოდა.

***

სუფრასათან მჯდომი მამაკაცი ეუბნება გურულ მასპინძელს:

– რა კარგი ბავშვები გყოლია.

– მაგი ერთია ძამა, უბრალოდ, სწრაფად დარბის.

**ბორის ბედიას ანეკდოტები**

გურულს ოთხი ტყუპი შეეძინა. გამოვიდა ცოლი სამშობიაროდან და ოთხივე ხელში უჭირავს. მიუახლოვდა ქმარს.

ქმარი:

– რაია, ქალო, აი ბალღები ამოსარჩევად მეიყვანე?

***

სვანმა ქუჩაში ყავარჯნებით მიმავალი კაცი დაინახა. შეეცოდა, მიუახლოვდა და ჰკითხა:

– გიჭირს, ძმაო, სიარული?

– კი, ძალიან.

– მომეცი მაგ ჯოხები, მე წამოგიღებ!

***

გურიაში მსუბუქი ყოფაქცევის ქალი მოკვდა. მეზობლის ქალი გასვენებაში დასტირის:

– ნენა, ნენა, შე გაჭირვებულოოო... რავარც იქნა მიადევი ფეხები ერთმანეთს...

***

გოგო ისეთი მახინჯი იყო, ფიქრებიც არ იტაცებდნენ.

***

მიხო სახლში გახეთქილი მთვრალი მივიდა. აკაკუნებს, მარო კარს არ უღებს.

მიხო:

– გააღე კარი, ლამაზი ყვავილები მამაქ ლამაზი ქალითვინა...

მარო გააღებს კარს და ხედავს, მიხო ხელცარიელი დგას.

მარო:

– სად არი ყვავილები?

მიხო:

– ვა, ლამაზი ქალი სადღაა?

***

ქუთაისში დიდი სუფრაა გაშლილი და თამადა ამბობს სადღეგრძელოს:

– დავითი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, პატარა კახი...

უცბათ ვიღაცამ დააცემინა. გვერდით მჯდომმა კაცმა ბეჭზე ხელი დაარტყა და უთხრა: იმათ მოსვლამდე არაფერი გეტკინოსო. თამადა ფეხზე წამოხტა:

– რას ამბობ, კაცო! ისინი დაბრუნდნენ, მოვიდნენ და ამის დედაცო.

***

– გაიგე, ბიჭო, ნიკა უნიჭო მკითხავთან რომ იყო?

– მერე, რა უთხრა?

– რა და, ორი წელი სექსი არ გექნებაო.

– მერე?

– რა მერე? ნიკამ იქვე დაუმტკიცა, რომ მკითხავი უნიჭო იყო.

***

სომეხმა ანდერძი დატოვა:

„ჩემს ცოლს, სუსანას, ვუტოვებ 100 ათას დოლარს და სახლს; ჩემს შვილს, ლოვიკას, ვუტოვებ 200 ათას დოლარს და დაჩას; ჩემს ძმას, რუბიკას, რომელმაც მთხოვა, ანდერძში უეჭველი მომიხსენიეო, ვიხსენიებ – პრივეტ, რუბიკ!"

***

გურული ციმბირშია ჯარში. დაიწყო ექვსთვიანი პოლარული ღამეები. მიიღო დედის წერილი: „რაფერ ხარ, ნენა, სა ხარ, მომწერე"... და, მისწერა:



„სა ვარ, ნენა და, შენ რომ ბაღნობაში მწყევლიდი, შენ არ დაგიღამდესო, ე, იქინე ვარ".

***

– კაკ, კუკ!

– ვინ არის?

– შენი შანსი.

– იტყუები!

– რატომ?

– შანსი ორჯერ არ აკაკუნებს!

***

ვაკელი გოგო უყვება დაქალს:

– აუუ, გოგო, დღეს ისეთი მივალაგე სახლი, კოლო შემოფრენამდე ფეხზე იხდის...

## როგორ აღმოჩნდა მილიციის ავტოინსპექტორი მამაკაცი ფეხმძიმე

შევარდნაძის შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს ტესტირებას გავდიოდით ნარკომანობაზე. შარდს ვაბარებდით. პასუხს ნახევარ საათში გვეუბნებოდნენ. ვისაც დადებით შედეგს აღმოუჩენდნენ, იქვე აწერინებდნენ განცხადებას და სამსახურიდან უშვებდნენ. ნარკოლოგთა სპეციალური მობილური ჯგუფი განყოფილებებში გვაკითხავდა. ამ შემოწმების თაობაზე კი წინასწარ გვაფრთხილებდნენ ხოლმე და ნარკომანი თანამშრომლები მომზადებულები ხვდებოდნენ ტესტირებას.



ერთ-ერთ განყოფილებაში ავტოინსპექტორი ვალოდია ძუგაევი მუშაობდა. მორფინისტი იყო, მაგრამ, ალბათ, სოლიდური წილი მიჰქონდა უფროსობასთან და ამიტომ, არ ათავისუფლებდნენ სამსახურიდან. ერთხელ უფროსმა შეგვკრიბა და გამოგვიცხადა: ხვალ ნარკოშემოწმება იქნება და იცოდეთო.

ვალოდიას ფერი წაუვიდა, რადგან ორგანიზმის გასაწმენდად დრო არ რჩებოდა.

დადგა მეორე დღე და ნარკოლოგები მოვიდნენ. იქვე ვშარდავდით და ქილებს ექიმებს ვაძლევდით, რომლებიც შემდეგ ანალიზს აკეთებდნენ. მოშარდა ვალოდიამაც და არხეინად ჩააბარა ქილა ექიმს.

ერთი საათის შემდეგ ექიმი-ლაბორანტი მოვიდა და შედეგების კითხვას შეუდგა. ვალოდიას სახელი და გვარი რომ ამოიკითხა, თქვა:

– ძუგაევი ვალოდია, ფეხმძიმედაა... – შემდეგ გაეცინა დაამატა, – ამ ქალბატონს, ალბათ, თავისი სახელი შეეშალა...

რომელ შეშლაზე იყო საუბარი, ვალოდიამ, უბრალოდ, სახლიდან ქილით მოტანილი, თავისი მეუღლის შარდი შეუცურა ნარკოლოგებს და ვალოდიას მეუღლე კი ფეხმძიმედ აღმოჩნდა.

**გივი სოხაძის მიხედვით, მოამზადა ნიკა ლაშაურმა**

## ჰოპლა

ნოდარ დუმბაძეს ანაგის ქუჩაზე მეტისმეტად დაბალჭერიანი ბინა ჰქონდა, ეგრეთ წოდებული „ხრუშჩოვკის" სამოთახიანი.

– აია, ძამა, საქმე? ბაღანაიზა „ჰოპლა" ვერ მითქვამს და მაღლა ვერ შემისროლია. ბუზებს ჭერზე ისე ვკლავ, ფეხის წვერებზე აწევაც არ მჭირდებაო, – იტყოდა ხოლმე.

**ჭორების მსხვერპლი თითქმის ყველა ცნობილი სახეა, მაგრამ, არა მთელი ოჯახით. მაყაშვილები ის გამონაკლისები არიან, რომელთა ირგვლივ მუდმივად ცხელი ჭორების კორიანტელია. უყვართ თუ არ უყვართ, უნდათ თუ არ უნდათ, ეზარებათ თუ არ ეზარებათ, მაინც ლაპარაკობენ მათზე და ეს ლაპარაკი ხშირად მტკიცებით ფორმაში მიმდინარეობს. ორი ქოსამატყუარა ერთმანეთს რომ ხვდება, ბევრ ტყუილს ყვებიან და ამტკიცებენ. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ ერთი ასეთთაგანი ამტკიცებდა, თამარ მაყაშვილი ავარიაში მოკვდაო; მეორე – რუსკა მაყაშვილის სამოქალაქო პანაშვიდებზე მსჯელობდა, მესამემ კი, საერთოდ, მთელი ოჯახი ერთბაშად ამოწყვიტა და თქვა: ცოცხალი მხოლოდ თამარ მაყაშვილის უცხოელი ქმარი გადარჩაო (ასი წელი ყველას ჯვარი სწერია). ცნობისთვის, მსახიობის მეუღლე სინამდვილეში ქართველია, გვარად ყიფშიძე და ყველა მაყაშვილი თავს შესანიშნავად გრძნობს. გთავაზობთ სატელეფონო ინტერვიუს თამარ მაყაშვილთან.**

# რატომ არის თამარ მაყაშვილის სხეულის ნაწილები მიწაში და ვინ მოკლა ის შვილთან, რუსკა მაყაშვილთან ერთად

**– ქალბატონო თამარ, რა ხდება თქვენს თავს, სად ხართ და როგორ ხართ?**

– მართალია, მთელი სხეული არა, მაგრამ, სხეულის გარკვეული ნაწილები მიწაში და ცემენტებში მაქვს *(იცინის)* – ბათუმში რუსკას ბინას ვარემონტებ და გადარბენაზე ვარ. ხომ იცი, მუშებს როგორ ვემუქრები? თუ დროზე არ დაამთავრებთ, ჩემს ნაცვლად თქვენ ჩაგდებთ მიწაში და „მაყაშვილშეწირულებს" დაგარქმევთ-მეთქი *(იცინის).*

**– ანუ, ამ ეტაპზე მაყაშვილებიც და მუშებიც ცოცხლები და უვნებლები ხართ?**

– ამ ეტაპზე – კი, მაგრამ, ისეთ დღეში ვარ, მგონი, ამ რემონტს მუშებთან ერთად მეც შევეწირები. მართალია, ჟურნალისტები მთელი ზაფხულია, მკლავენ, მაგრამ, სინამდვილეში შემოდგომაზე აღვესრულები, უკანასკნელი ფარდის დაკიდების შემდეგ *(იცინის).*

**– მაინც, რა მოხდა, რატომ გავრცელდა ხმა, რომ ვითომ ავარიაში მოყევით?**

– უსაქმურებს რა დალევს, ჩემო კარგო? ხალხის ნაწილმა მე მომკლა, ნაწილმა – რუსკა; მთავარი კი ის არის, რომ ფოტოებიც დაურთეს და, საიდან რა მოიტანეს, მაგას ვერ მივხვდი.

**– ასეთ სიტუაციებში რა რეაქცია გაქვთ ხოლმე?**



**ყუბანეიშვილის არ იყოს: „თვისება არის თურმე მონების – იყონ შემყურე სხვისი გონების" – ეს საქართველოს რეალობაა, აქ ყველა სხვისი გონების შემყურეა**

– ზოგადად, მივესალმები ჭორებს, ოღონდ უბოროტოს, რომლებიც არც ობიექტს და არც მკითხველს არ ავნებს. ზოგჯერ ხან ძუძუს გაუზრდიან ხალხს, ხან ცხვირს მოაჭამენ, პლასტიკურ ოპერაციებს უკეთებენ ფოტოშოპით, ხან ვილაცაზე ათხოვებენ და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი ძალიან სასაცილო და სახალისოა, თან, საზოგადოების ყურადღების ცენტრში როცა ხარ და ჭორაობენ, მაგას რა სჯობია.

**– თქვენთვის ჯერ არავის მოუწებებია მკერდი?**

– ინსტიტუტიდან მოყოლებული, მე თვითონ იმდენს ვმყარობ ყველგან ჩემი გუბკების ჩალაგებაზე, რომ, როგორც ჩანს, საჭიროდ აღარ ჩათვალეს ამის გაკეთება. საერთოდ, ყველამ იცის, რომ ეპატაჟზე სპეციალურად არასდროს მივდივარ. ჩემ ირგვლივ თუ რამე ხდება, ყველაფერი სპონტანურია და, თან, იმდენ რამეს იგონებენ და მაბრალებენ, რომ, კიდევ რაღაც მოვიგონო საკუთარ თავზე და ავალაპარაკო ხალხი, აღარ მჭირდება... მაგრამ, ეს სიკვდილი რა ბოროტებაა, ვერ ვხვდები. თან, იმ დღეებში მართლა ცუდად ვიყავი, ყელი საშინელ მდგომარეობაში მქონდა და, ხალხი რომ მირეკავდა, პირველივე წუთებში ეს ჭორი სიმართლე ეგონათ, სანამ არავუხსნიდი, რატომ მქონდა ასეთი ხმა.

**– ისეთი ჭორი რომელი იყო, რაზეც ბევრი იცინეთ?**

– ასეთი იყო, როცა ჩემი მეუღლის ქალიშვილი, ადამიანი, რომელიც პრაქტიკულად ჩემთან ცხოვრობს, გაგიჟებული მოვიდა და მიყვება, ვერაფრით დააჯერა ვიღაც კეკელკები, რომ მამამისი, ანუ ჩემი ქმარი, ქართველია და არა უცხოელი ბიზნესმენი. მერე ამას ვეჩხუბე – რაღას ედავებოდი, ჰგონებოდათ ჩემი ყიფშო უცხოელი მილიონერი-მეთქი.

**– ყველაზე დიდი პრობლემა რომელმა ჭორმა შეგიქმნათ?**

– ძალიან რთული იყო, როცა რუსკას დააბრალეს უფროსი ასაკის მამაკაცთან რომანი. ამას თვითონ რუსო განიცდიდა და, შესაბამისად, მთელი ოჯახისთვისაც რთული ასატანი იყო ეს სიბინძურე. მაგრამ, ბოლოს მივაკვლიე წყაროს, საიდანაც მოდიოდა და ყველას საკადრისი პასუხი გავეცი. ჭორი არის მოცლილი ადამიანის საქმე, რომელმაც არ იცის, რა აკეთოს ცხოვრებაში. ჩვენს ქალაქში ხომ უმუშევრობა და უსაქმურობა სუფევს, ამიტომ, ჭორაობაც უფრო მეტია, ვიდრე საქმიანი ურთიერთობები. ყუბანეიშვილის არ იყოს, „თვისება არის თურმე მონების, იყონ შემყურე სხვისი გონების" – ეს საქართველოს რეალობაა, აქ ყველა სხვისი გონების შემყურეა – როცა საკუთარი არ გაგაჩნია, სხვაზე ლაპარაკობ.

**– შვილების შესახებ გაგონილ ჭორებზე რა რეაქცია გაქვთ?**

– ისეთივე, როგორიც თავის დროზე ჰქონდა დედაჩემს, ანუ, ნული რეაქცია! მე ბავშვობიდან თვალშისაცემი ტიპი ვიყავი, ძალიან ლაღი და ხალისიანი. დედაზე უკვე არავინ იცნობს საკუთარ შვილს და, შესაბამისად, დედაჩემსაც ძალიან ეცინებოდა ხოლმე, როცა ჩემზე რაღაც სისულელეს იგებდა. რუსკა და ნინუცა მაყაშვილები ცნობილი გოგოები არიან და ყველას აინტერესებს მათი პირადი. ვიღაცას უყვარს, ვიღასაც სძულს, ვიღაცას შურს და, აქედან გამომდინარე, არც არასოდეს მიკვირს, როცა მათზე ცუდი თუ კარგი ჭორები მესმის. მამაჩემი იტყოდა ხოლმე:

**რაში მაინტერესებს, ჩემი მეზობელი რას იტყვის, როცა დილის 5 საათზე შემოვალ სახლში? ის თუ პატიოსანია, რას დგას ფანჯარაში დილის ხუთზე?**

მთავარია, საკუთარ თავთან იყო მართალიო და ეს ნამდვილად ასეა. რაში მაინტერესებს, ჩემი მეზობელი რას იტყვის, როცა დილის 5 საათზე შემოვალ სახლში? ის თუ პატიოსანია, რას დგას ფანჯარაში დილის ხუთზე? *(იცინის)* მე თავისუფალი ქალი ვარ და სახლის კარსაც ამაყად გავაღებ, თუნდაც დილის ხუთზე, იმიტომ, რომ ჩემს თავთან მართალი ვარ. ჩემთვის „გიჟი მაყაშვილის" სტატუსი უფრო მაგარია, ვიდრე საცოდავისა და მშვიდის. მე თუ არ ვიბობოქრე, არ ვაფრქვიე ჩემი პოზიტივი, თუ ჩემ გარშემო ხმაური და აურზაური არ არის, არ მინდა ასეთი სიცოცხლე. მთელ დღეს მეზობელთან ყავაზე სხვისი ცხოვრების განხილვას მირჩევნია, მე მივცე სხვებს ჩემზე ჭორაობის საბაბი, რომ, იქნებ, რამენაირად კიდევ ერთი ულიმღამო დღე ჩაკლან, მერე „გრელკა" ჩაიდონ საწოლში და ღამის ფანტაზიებს მიეცნენ საკუთარ ფიქრებში.

**– ხშირად სჩადიხართ სიგიჟეებს?**

– ვგიჟდები სიგიჟეებზე! იმას, რასაც მასა სიგიჟეს ეძახის, ჩემთვის გართობასა და სილაღეს ნიშნავს. თუ მომინდა ამ ასაკში ველოსიპედზე დაჯდომა ან მანქანის ლიუკიდან თავის ამოყოფა, ამას აუცილებლად გავაკეთებ, ისე, რომ წუთითაც არ დავფიქრდები.

**– რუსკას მოგებულ ბინას ბევრი სირთულე მოჰყვა, ესე იგი, საბოლოოდ დაგიმტკიცდათ?**

– საბედნიეროდ, სამი წლის შემდეგ, როგორც იქნა, ბათუმის მხარემ, ისევ თავისი აქტიურობით, ბინა რუსკას სახელზე გააფორმა, გასაღები გადმოგვცეს და რემონტიც ამიტომ დავიწყეთ. სამაგიეროდ, ამას მთელი ოჯახის საზაფხულო დასვენებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი შეეწირა, მაგრამ, მეგობრებიც რომ არ დაგვხმარებოდნენ, არაფერი გამოგვივიდოდა. ბევრი მეკითხება, საიდან გაქვს ამდენი ფულიო, რაც ძალიან მაღიზიანებს; მაგრამ, დაე, ყველას ეგონოს, რომ მაღალშემოსავლიანი, მაღალანაზღაურებადი ოჯახი ვართ. თუმცა, ერთი ძალიან საინტერესო ფაქტი მოხდა: წლების წინ ჩვენი ოჯახიდან გავიდა საკმაოდ დიდი თანხა, რომელიც ვასესხეთ ახლობელს და მას მერე არავის აღარ გაგვხსენებია ეს ფული, მაგრამ, ცოტა ხნის წინ, სრულიად მოულოდნელად, ამ ადამიანმა ეს თანხა სრულად დაგვიბრუნა. ძალიან გამიკვირდა და გამიხარდა კიდეც, იმიტომ, რომ მართლა არასდროს მოგვითხოვია მისთვის. მიმაჩნია, რომ ეს ფაქტი ღვთის საჩუქარია. ამიტომაც, ყველამ უანგაროდ უნდა ვაკეთოთ სიკეთე და ის აუცილებლად დაგვიბრუნდება უკან მაშინ, როცა არ ველით. ამ რემონტის გადამკიდე, ბათუმში უკვე ისე გავიდგი ფესვები, რომ თავი მასპინძელი მგონია. ეს ქალაქი ყოველთვის იყო ჩემი ცხოვრების ნაწილი, მაგრამ ახლა უფრო სხვანაირად შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში. სულ ვხუმრობ: პლეხანოვზე კიკა იყო და ბათუმში მე ვარ-მეთქი *(იცინის).*

**ბესო მახარაშვილი**

# იცხოვრეთ ტკბილად „ტკბილ ქვეყანასთან“ ერთად – რატომ ირჩევენ მომხმარებლები „ტკბილი ქვეყნის“ პროდუქციას

**„ტკბილმა ქვეყანამ“ დიდი ხანია, მომხმარებლისგან დამსახურებულად მოიპოვა სანდო და მაღალხარისხიანი პროდუქციის მწარმოებელი კომპანიის სახელი. ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენ მიერ წარმოებული გამოკითხვებიც, რომლის თანახმადაც, „ტკბილი ქვეყნის“ პროდუქტი მკითხველებმა ყველაზე ხარისხიან და რჩეულ საკონდიტრო ნაწარმად დაასახელეს. სწორედ მათი შეხედულებების გაზიარებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინების შედეგია, რომ კომპანიის ავტორიტეტი ურყევი და საიმედოა.**

**შპს „ტკბილი ქვეყანა” 2005 წლის დეკემბერში დაარსდა. კომპანიამ ფუნქციონირება 2006 წლის მარტიდან დაიწყო. საწარმომ უმოკლეს დროში შეძლო საქართველოს ბაზარზე გამორჩეული ადგილის დამკვიდრება. მისი წარმატება განაპირობა არა მარტო მაღალკვალიფიციურმა პერსონალმა, არამედ უახლესმა ტექნოლოგიებმაც, რომლის შემოტანა ქარხანამ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებიდან (გერმანია, საფრანგეთი, იტალია) განახორციელა. ფაბრიკა დღეისთვის მომხმარებელს ტკბილეულის უამრავ სახეობას სთავაზობს, რომელიც გარდა მრავალფეროვნებისა, მაღალი ხარისხითა და კვებითი ღირებულებებით გამოირჩევა. საკონდიტრო პროდუქციის წარმოების პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ტექნოლოგიური მხარეა. ამიტომაც „ტკბილი ქვეყნის“ პროდუქციის ხარისხი, ინტენსიურად მოწმდება უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილ ლაბორატორიაში. ამ პროცესის საიმედოობას უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური პერსონალი. კომპანიაში 300-მდე ადამიანია დასაქმებული და მოიცავს საკუთარ სადისტრიბუციო ქსელსაც.**

***ლია ზარიძე, კომპანიის გენერალური დირექტორი – ახალგაზრდა წარმატებული ქალბატონი და საწარმოს ხელმძღვანელი. მისი სამუშაო დღე იწყება წარმოებაში სამუშაო პროცესის სრული კონტროლითა და ტექნოლოგიური ციკლის კიდევ ერთხელ დაგეგმარებით.***



**– ქალბატონო ლია, როგორ მოიპოვა კომპანიამ – „ტკბილი ქვეყანა“ – მომხმარებლის ნდობა?**

– კომპანია ბაზარზე უკვე 10 წელი ოპერირებს და დღემდე არ შეგვიცვლია უმთავრესი მიდგომა – ჩვენი პროდუქციის გამორჩეული ხარისხიანობა. ვფიქრობ, მომხმარებელი უკვე ათეული წელია, ამჩნევს ამას და სათანადოდ გვიფასებს ჩვენს ზრუნვასა და კეთილსინდისიერ მიდგომას. „ტკბილი ქვეყნის“ ყველა წარმოებული პროდუქტი ხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა ნაწარმია. ჩვენი წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ ისიც, რომ კომპანია მუდმივად ზრუნავს ნოვაციების დანერგვაზე, ახალი, გემრიელი პროდუქტის გამოშვებაზე. მუდმივად ვამდიდრებთ ასორტიმენტს და წარმოება მთლიანად ორიენტირებულია მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის საკონდიტრო ნაწარმის დამზადებაზე.

მოგეხსენებათ სულ ახლახან მიიღეს საკანონმდებლო რეგულაციები, რომლის თანახმადაც, პროდუქტის ეტიკეტზე დატანებული უნდა იყოს გენეტიკურად მოდიფიცირებული ნედლეულის ნიშანი. ჩემთვის, როგორც „ტკბილი ქვეყნის“ დირექტორისთვის, ძალიან საამაყოა, რომ ჩვენი ნაწარმი ჩატარებული ლაბორატორიული შემოწმების შედეგად, ეკოლოგიურად აბსოლუტურად სუფთა პროდუქტია და არავითარი გენეტიკურად მოდიფიცირებული ნედლეული მასში არ არის. ეს აუცილებელი ფაქტორია. მე უნდა ვიცოდე, რას მიირთმევენ ჩემი ოჯახის წევრები. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რას ვაწვდით საზოგადოებას. ეს დიდი პასუხისმგებლობა საწარმოში ყველას აქვს გათავისებული. ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ინგრედიენტების ხარისხიანობას. მაგალითისთვის, შვრიის ნამცხვრის დასამზადებელი ფქვილი გერმანიიდან შემოგვაქვს და ამიტომაც არის ის განსაკუთრებულად გემრიელი და გამორჩეული.

**– რომელი პროდუქტით დაიწყეთ ბაზარზე ფუნქციონირება და როგორ გაიზარდა წარმოება დღეისთვის?**

– დავიწყეთ ერთი სახეობის პროდუქტით და დღეს 120-მდე სახეობის წარმატებით რეალიზებული ასორტიმენტი გვაქვს. კომპანია გამოირჩევა თავისი მრავალფეროვანი ნაწარმით: შაქროვანი, ნაზავი, ფენოვანი, ბისკვიტოვანი ცომისგან დამზადებული სხვადასხვა ნამცხვარი, ასევე, ვაფლი, თაფლაკვერი, მარმელადი, ზეფირი და შოკოლადის კანფეტები. ამას ემატება ინდივიდუალური კორპორატიული შეკვეთებიც.

**– ძალიან ფართო ასორტიმენტი გაქვთ, მაგრამ ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტი რომელია?**

– „ტკბილი ქვეყანა” ორიენტირებულია მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისი პროდუქციის წარმოებაზე, მაგრამ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ჩვენი სააღდგომო პასკა.

პირველებმა გავიტანეთ ბაზარზე შეფუთული ნამცხვრები, ორცხობილები და ასე შემდეგ. საერთოდ, შეფუთული პროდუქტის სტანდარტი ბაზარზე პირველად სწორედ ჩვენ დავამკვიდრეთ. კომპანია ორიენტირებულია სეგმენტურად ყველა ტიპის მომხმარებელზე



და ჩვენი პროდუქცია აკმაყოფილებს ყველანაირი გემოვნების მოთხოვნებს.

„ტკბილი ქვეყანა“ ზრუნავს იმაზე, რომ ჩვენი ტკბილი პროდუქციის შეძენა ყველამ შეძლოს! ვისაც ერთხელ მაინც გაუსინჯავს ჩვენი პროდუქტი, მისი საყვარელი საკონდიტრო ნაწარმი ხდება.

**ანა თაბაგარი**




მე ვეხუმრები – „ყველაფერშჩიკი“ ხარ-მეთქი











ISSN 1987-569X
9771987569002

# თბილისელები®

...ა ბეჭედია ... და თბილისი – შიგ ჩას...ლი ბადახში

...ული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * ... №37 (768) * 14–20 სექტემბერი * ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge